

გათუვის შოთა ჩუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ნუბზარ ცეცხლაძე

კიეზანი ჭორღის აუზის ტოპონიმიდიან

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“
გათუბი – 2004

BATUM RUSTAVELİ DEVLET ÜNİVERSİTESİ
BATUMI RUSTAVELI STATE UNIVERSITY
БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. ШОТА РУСТАВЕЛИ

NUGZAR TSETSHLADZE
ÇORUH'A VUZUNUN TOPONİMİ
ARAŞTIRMALARI

NUGZAR TSETSKHLADZE
RESEARCHES FROM THE TOPONYMY
OF THE CHOROKHI BASIN

НУГЗАР ЦЕЦХЛАДЗЕ
ИСКАНИЯ ИЗ ТОПОНИМИИ
ЧОРОХСКОГО БАСЕЙНА

ნაშრომი ეძღვნება გეოგრაფიულ სახელებს იმ ძირიკელი ქართული რეგიონებისა, სადაც პირველად დაირწა ქართული სახელმწიფოს აკვანი, მაგრამ დროთა განმავლობაში ისტორიული კატაკლიზმების შედეგად ეს მხარეები მოწყდა დედასაქართველოს და აქაური ქართველი მოსახლეობა უცხო ენის მძლავრი სეწოლის ქვეშ მოექცა. ამის შედეგად მოსახლეობის ერთმა ნაწილმა უკვე დაკარგა შშობლიური ენა, მეორე ნაწილი კი ჯერ კიდევ ისარჩუნებს შას. ასეთ ვითარებაში ტოპონიმია წარმოადგენს სანდო და უაღრესად მნიშენელოვან წყაროს მხარის ისტორიული წარსულის შესასწავლად, ამიტომ შისი დაწერილებითი აღნუსსვა და შეცნიერული ანალიზი ფრიად საშური და გადაუდებელი საქშეა. აქედან გამომდინარე, ნაშრომის თემა უაღრესად აქტუალურია. დიდ ეროვნულ მნიშენელობასთან ერთად ეს საკითხი საინტერესოა ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების კვლევის მსრივაც.

ძიებანი ქორონის აუშის გარდა მოიცავს მტკვრის სეშო წელის რეგიონებსაც.

ნაშრომი გათვალისწინებულია ისტორიული გეოგრაფიისა და ქართული ენის სპეციალისტებისთვის. იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების მკვლევრებსაც.

რედაქტორი მამია შალაშა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რედაქტორი: მისიულ ქაშალაქი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნანა სმისლაქი – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

მეზარ მახარაქი – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

I. შავშეთის ტოპონიმი

შესავალი

შავშეთი დღევანდელი საქართველოს ფარგლებს მიღმა დარჩენილი ერთ-ერთი რეგიონია. ისტორიულ შავშეთს მოიცავს დღევანდელი შავშეთის რაიონი. მასში შედის მთიანი მხარე იმერხევი, სადაც ძირითადად ქართულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს. შავშეთის ცენტრია დაბა შავშეთი, რომელიც 1921 წლის 28 თებერვალს გამოცხადდა ქალაქად და არდაგანის (არტაანის) სანჯაყს შეუერთდა. იმავე წლის 7 ივლისს კი – ართვინის ვილაეთს, სადაც შედის ისტორიული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი: – ტაო, კლარჯეთი, ლივანი (ნიგალი), ზედა მაჭახელი, ოლთისი, შავშეთი, იმერხევი. ვილაეთის ცენტრია ქ. ართვინი, რომელიც მდებარეობს მდინარე ჭოროხის ნაპირას. ართვინი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. XVI საუკუნეში ართვინს თურქეთი დაეპატრონა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის ფარგლებშია, ხოლო 1918-1921 წლების ავბედითი ისტორიული მოვლენების შემდეგ კვლავ თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. იგი ამჟამად ართვინის ვილაეთის ადმინისტრაციული ცენტრია. ართვინის ვილაეთში შედის ართვინის, არტანუჯის, არხაეის, ბორჩხის, იუსუფელის, მურღულის, შავშეთის, ხოფის რაიონები (56,49).

შავშეთის რაიონი ართვინის ვილაეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს. მას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ფოცხოვის, ჰანაკის, არტაანის რაიონები, რომლებიც არტაანის ვილაეთს მიეკუთვნებიან. შავშეთს ფოცხოვისაგან ჰყოფს არსიანის და სისხლიანი მთები (თურქ. „ყანლი ტალი“), ჰანაკისაგან – ეშმაკების მთა (თურქ. „ჯინტალი“), არტაანისაგან კი – საპარის მთები. სამხრეთით შავშეთი იალანუს ჩამის ტყიანი მთათა სისტემით კვლავ არტაანისაგან იყოფა. დასავლეთით შავშეთს ესაზღვრება არტანუჯის, ართვინისა და ბორჩხის რაიონები. არტანუჯისაგან გამოიყოფა ბარეუანის მთებითა და ბილევის მდინარით, ხოლო ართვინისა და ბორჩხისაგან – კარჩხლის მთებით. ჩრდილოეთით შავშეთის ქედი გამოჰყოფს მას აჭარისაგან. დღევ-

ანდელი შავშეთის რაიონის ფართობი შეადგენს 1 317 კვ. კმ-ს. ქ. შავშეთი ზღვის დონიდან 1 100 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, რაიონის მოსახლეობა შეადგენს 33 255 კაცს, მათ შორის სოფლის მოსახლეობა – 28 388 კაცს, ქ. შავშეთის – 4 867 კაცს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ-ზე შეადგენს 25 კაცს (56, 49).

შავშეთის სოფლები განლაგებულია მდინარეების – შავშეთისწყლის, მანსურათის, სხლობანის, მერიის, ხანთუშეთისწყლის, ყვირალას ზემო წელის და სხვა პატარა მდინარეების ხეობებში. იმერხევის სოფლები კი – მდინარე იმერხევის (იმერხევისწყლის), ყვირალას ქვემო წელის, ბაზგირეთისწყლისა და ჩიხისხევის ხეობებში.

დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით შავშეთის რაიონში შედის 67 სოფელი და ერთი ქალაქი – შავშეთი, რომლის დაქვემდებარებაშია სამი დასახლებული პუნქტი: სათლელი, სათლელ-რაბათი და სამჯელი. დანარჩენი სოფლები გაერთიანებულია სამ სასოფლო მხარეში (თურქ. Bucaklı* „კუთხე“), რომელთა ცენტრებია ქ. შავშეთში, მერიასა და დიობანში. ისტორიული სამწყარისა (შდრ. სამწყალი) და ნორგიელის რეგიონები ამჟამად არტანუჯის რაიონს მიეკუთვნება.

შავშეთის სოფლებია: ანკლია, ახალდაბა, ბალვანა, გარყილობი, გურნათელი, დაბაკეთილი, დაბაწვრილი, ვანთა, ველი, ვერხვინალი, ზედა სულისი, ზენდაბა, თურმანიძე, კარავათი, კუჭენი, მამანელისი, მერია, მიქელეთი, მოქეთა, მოროხოზი, მორღელი, მუხოზანი, ოქრობაგეთი, სათაფლია, სათლელი, სათლელ-რაბათი, სამჯელი, სოფორო, ზედა სულისი, ქვედა სულისი, სხლობანი, ტბეთი, ქრთეთისი (შდრ. ქვათეთისი), ყვირალა, შავშთა, შავქეთი, ჩართულეთი, ჩიფთლიგი, ციხია, ციხისძირი, წეწლაური, წითვეთი, წორწელი, ჭუარები, ხანთუშეთი, ჯარათი, ჯინალი.

იმერხევის სოფლებია: ბაზგირეთი, დაბა, დასამობი, დიობანი, ზაქიეთი, ზიოსი, ივეთი, იფხრეველი, სვირევანი, სინკოთი, სირა-სინკოთი, უბე, უსტამისი, ჩაქველთა, ჩიხვთა, ჩიხისხევი, ჩიხორი, წეთილეთი, წყალსიმერი, ხევწრული (შდრ. ხევწვრილი), ხოხლევი.

* თურქული მასალის ანალიზის დროს ვისარგებლობთ შემდეგი ლექსიკონებით: 1. Турецко-русский словарь (редакторы: Э. М.-Ф. МУСТАФАЕВ и Л. Н. СТАРОСТОВ). М.: 1977; 2. ჯანგიძე ვ., ჯიქია ს., ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული მოკლე ლექსიკონი. თბ., 1973

შავშეთ-იმერხევის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროებია „ქართლის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ტბეთის სულთა მატთანე“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და სხვ. შავშეთის ქვეყნის ტოპონიმური მასალაა თავმოყრილი XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის ქართულ და უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა შრომებსა და ჩანაწერებში. ამ მხრივ აღსანიშნავია: დიმიტრი ბაქრაძე (10), გიორგი ყაზბეგი (81), ვ. ლისოვსკი (94), პ. უვაროვა (72), ა. პავლინოვი (60), ზაქარია ჭიჭინაძე (107, 108), ნიკო მარი (44, 45), ექვთიმე თაყაიშვილი (26, 27,28). შავშეთის საისტორიო გეოგრაფიის საკითხებს ნაყოფიერად იკვლევდნენ დიდი მეცნიერები – ივ. ჯავახიშვილი (111, 112, 113), ნ. ბერძენიშვილი (13), შემდეგ პ. ინგოროყვა (41), ი. სიხარულიძე (66, 67, 68, 69). ამ მხარის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პროფ. შუშანა ფუტყარაძემ (93).

შავშეთის ქვეყნის მოკლე ისტორიული
მიმოხილვა და საისტორიო გეოგრაფიის საკითხები

შავშეთ-იმერხევი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძინიშენლოვანესი ისტორიული მხარეა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დიდ როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაწინაურების საქმეში. ტაო-კლარჯეთი, რომელშიც სხვა ქართულ მხარეებთან ერთად შედიოდა შავშეთ-იმერხევიც, განსაკუთრებით აღორძინდა IX-X საუკუნეებში. აქ დაირწა ბაგრატიონთა დინასტიის აკვანი, ფართოდ გაიშალა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა, დაარსდა ტბეთის საეპისკოპოსო. აქედან დაიწყო საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. მაგრამ სამწუხაროდ, მე-16 საუკუნეში ეს მხარე თურქეთმა დაიპყრო. ერთ დროს საქართველოს აღორძინებული და დაწინაურებული რეგიონი მოექცა უცხო სახელმწიფოს უღელქვეშ. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთის ხელში გადავიდა ბათუმისა და ყარსის ოლქები, არტაანის, ერუშეთის, შავშეთის რაიონები. საუკუნეების განმავლობაში მიტაცებული ქართული მიწა-წყალი საქართველოს დაუბრუნდა. 1918-1921 წლების ისტორიული მოვლენების შემდეგ ეს მხარე კვლავ თურქეთის შემადგენლობაში დარჩა.

საისტორიო წყაროებში შავშეთი („შეშე“-ს ფორმით) პირველად მოხსენიებულია ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის წარწერებში. ასურეთის მბრძანებელს ძვ.წ. აღ-ით 1112 წელს ლაშქრობები დაუწყია თავისი სამფლობელოების ჩრდილოეთით, ამიერკავკასიის სამხრეთ პერიფერიაზე. ამ მიდამოებში მოსახლე ტომებს ისინი განიხილავდნენ როგორც „ნაირის“ სამყაროში (ქვეყანაში) მოსახლე ხალხებად. ასურელთა მიერ ნაირის 43 ქვეყნის დალაშქრის პირველი ცნობა ეკუთვნის მეფე ტუკულთი-ნინურთას (1248-1209 წ.წ.). არაა გამორიცხული, რომ მათ შორის შავშეთის ტერიტორიაც იგულისხმებოდა, რადგან იგი თავის თავს სამყაროს ოთხივე ნაწილის დამპყრობელს უწოდებს (21, 273).

როგორც აღინიშნა, შავშეთი პირველად დამოწმებულია ტიგლათფილესერ პირველის წარწერებში. იგი ამბობს, რომ გადაიარა 16 უზარმაზარი მთა, მათ შორის უკანასკნელი იყო მთა შეშე: „...ნუბანაშე და შეშე – 16 მაღალი მთა, – მოხერხებულ ადგილას ჩემი ეტლით მივდიოდი, ძნელადგასასვლელ ადგილებში სპილენძის წერაქვით მივიკლევდი გზას...“ (21, 273). ტიგლათფილესერი „16 უზარმაზარი მთის“ რაიონში ასახელებს 23 ქვეყანას. ჩამოთვლილ

ქვეყანათა რიგში უკანასკნელად დაიყენა დასახელებული. ამიტომ წყაროში მოხსენიებული მთა შემე და მისი მიდამოები დაიყენის ქვეყნის მეფის სიენის სამფლობელოს შემადგენლობაშია საგულეებელი. დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე უნდა იყოს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული შემეს მთაც, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ასურულ წყაროებში დახასიათებულ იმავე სახელის მქონე უზარმაზარ მთასთან. ბასილ ზარზმელი წერს: „—მთაჲ ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰქვიან თავი შემეთაჲ, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართაჲ ამისთვის შემისთავ ეწოდების და უვალ არს კაცთა და პირუტყვთაგან სიმაღლისათვის მისისა“ (96, 655).

გ. მელიქიშვილის მიხედვით, შავშეთის ქვეყანა ისტორიული და თანამედროვე დაბა შავშეთის რაიონებშია საძიებელი. შვეთი ატარებს ქართულ ელფერს თავისი დაბოლოებით (-ეთ), რომელიც ყველაზე გავრცელებული სუფიქსია. იგი საკმაო პროდუქტიულობით გამოირჩევა შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიზში. შვეთში თანამედროვე შავშეთის რაიონი უნდა იგულისხმებოდეს და აზსთანავე საქართველოს ერთ-ერთი ძველი სამხრეთ-დასავლეთი პროვინცია შავშეთი (52, 115).

აღსანიშნავია ისიც, რომ ანტიკურ (ბერძნული, რომაული) წყაროებში ქვეყანა შავშეთი ან ტომი შავში არ მოიხსენიება. ქართულ წყაროებში ერთიც და მეორეც VIII საუკუნიდან ჩანს. პ. ინგოროყვას მიხედვით შავში კლარჯთა ტომის განშტოებაა (41).

ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ შავშეთი ფარნავაზ მეფის მიერ შექმნილ კლარჯეთის მეშვიდე საერისთავოში უნდა შესულიყო. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით ოძრხის სამხრეთით მოთავსებული იყო კლარჯეთის საერისთავო. „ფარნავაზიანის“ ავტორი ამ საერისთავოს ასე შემოსაზღვრავს: „არსიანიდან ზღუამდე“ (99, 24). სადავო არაა, რომ შავშეთის ქვეყანა მთლიანად ფარნავაზის ახალშექმნილ მეშვიდე საერისთავოში შევიდა.

შავშეთში ქრისტიანობის გავრცელება ანდრია პირველწოდებულს დაუწყია. ლეონტი მროველისა და ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ცნობებით იგი ეგრისიდან აჭარის გავლით კლარჯეთში გადადის. მანამდე კი შავშეთს გაივლიდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მატიანეს კლარჯეთში შავშეთიც იგულისხმება. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თანადროულად შავშეთში ახალ რელიგიას წმინდანინო ავრცელებდა. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის (V ს.) ცნობით, ნინომ „იქადაგ: (სახარება) კლარჯეთიდან დაწყებული ვიდრე ალანთა და კასპიის კარებამდე“ (143). შავშეთში წმინდა ნინოს სახელზე აშენებული ეკლესიაც ყოფილა. ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს, რომ კარჩხლის მთის ქედ-

ქედ არის ერთი დიდი მთა, რომელსაც ნინოწმინდა ეწოდება. ძველად აქ ეკლესია ყოფილა. მას ნინოს სახელს უწოდებენ. იგი თურქებს დაუნგრევიათ. „კარჩხლის მთის ახლოს, სოფელ ბაძგიერეთთან, საიდანაც აჭარა-მაჭახლით შავშეთის გზა გადადის, მის მახლობლად არის ერთი ადგილი, რომელსაც სახელად ნინო წმინდა ეწოდება, ამ ადგილის მახლობლად არის ერთი მშენიერი ხეობა“... (107, 19).

შავშეთი, როგორც ჩანს, ჯუანშერის (VIII-IX ს.ს.) „ყოველ კლარჯეთში“ იგულისხმება. იგივე ისტორიკოსი გორგასალის მოღვაწეობის პერიოდში კლარჯეთის ერისთავად არტავაზს ასახელებს. შავშეთ-კლარჯეთისათვის განსაკუთრებული ყურადღება ვახტანგ მეფეს მიუქცევია. მისი ბრძანებით არტანუჯში აუგიათ ციხე, ოპიზაში – მონასტერი და სამი ეკლესია მერეში, შინდობსა და ახიზაში. ამ უკანასკნელშივე განუახლებიათ ციხე: „ალაშენა... სამნი ეკლესიანი“ „დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქუაბად“ (99, 178).

ჯუანშერის ეს ცნობები რომ სიმართლეს შეეფერება, დადასტურებას პოულობს სუმბატ დავითის-ძის ქრონიკაში. ასევე გიორგი მერჩულეც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ მიუთითებს არტანუჯისა და ოპიზის მონასტრის არსებობას გრიგოლის სამისიონერო მოღვაწეობის დაწყებამდე.

შავშეთი დამოწმებულია აგრეთვე ანანია შირაკაცის (VI-VII ს.ს.) გეოგრაფიაში. სომეხი სწავლული თავის „სომხურ გეოგრაფიაში“ (VII ს.) ქართლის პროვინციების ჩამოთვლისას ასახელებს შავშეთსაც. ამ წყაროში შავშეთი ისეთივე მნიშვნელობის პროვინციაა, როგორც სამცხე, აჭარა, კლარჯეთი, ჯავახეთი და სხვები. სომხური გეოგრაფიის ცნობები, ჩველევართა აზრით, IV თუ V საუკუნეებისაა, ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აღრეფეოდალური ურთიერთობის საწყის ეტაპზე ქართულ წყაროებში შავშეთი მართლაც კლარჯეთის სახელის ქვეშაა ნაგულისხმევი (98, 93; 100, 16-17).

შავშეთი რამდენჯერმეა მოხსენიებული სუმბატ დავითის-ძის ქრონიკაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. როგორც ცნობილია, 654 წლიდან ქართლის სამეფომ ოფიციალურად დაიღო არაბთა ბატონობის უღელი. მალე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან აწიოკებული მოსახლეობა თავშესაფარს ეძებს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. არაბებისაგან დევნილი თვით აშოტ ბაგრატიონი თავს აფარებს „ქევსა შავშეთისასა“. სუმბატის გადმოცემით მაშინ ეს მხარე გაოხრებული ყოფილა. წყაროში ვკითხულობთ: „ხოლო ჴევი შავშეთისა უშენებელი იყი მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოწრდა, ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ყოველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა

და ლადონი. და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობისამან მოაოგრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედლა დაშეთს კაცნი ადგილ-ადგილ, ზოლო დაშთობილთა მათ მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა, და დაემკუდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯჴება და აწელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოკერი ალაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა“ (75, 376).

აშოტ კუხს (გურგენ კუროპალატის-ძეს) შავშეთის სოფელ ტბეთში აუგია საეპისკოპოსო კათედრალი. აქვე დაუსვამს პირველი ეპისკოპოსი სტეფანე: „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსაც ეწოდა კუხი, ალაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოველთა განგებითა, და დასჴა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა“ (75, 380).

ტბეთის საეპისკოპოსო კათედრას X საუკუნის ბოლოს სათავეში ედგა იოანე მტბევარი. ჩვენამდე მოღწეული იოანეს კიმნები უმეტესად პროზითაა დაწერილი. ტბეთშივე მოღვაწეობდა გიორგი-პროხორე შავშეთიდან, რომელსაც განათლება წყაროსთავის სასწავლებელში მიუღია. მან პალესტინაში ააშენა ჯვრის ქართველთა სავანე. ოპიზაში მოღვაწეობდა საქვეყნოდ სახელგანთქმული ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი. ერთ საინტერესო მოღვაწეს შავშეთიდან გვაცნობს XII-XIII სს-ის მიჯნაზე მოღვაწე თამარ მეფის ისტორიკოსი. მისი ცნობით, იოანე შავთელი ყოფილა ფილოსოფოსი, რიტორი და პოეტი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია თვით თამარ დედოფალთან (76; 95,99, 136, 138).

სუმბატ დავითის-ძის მონათხრობის დეტალებს აკონკრეტებს X საუკუნის შუა ხანების უმნიშვნელოვანესი ძეგლი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გიორგი მერჩულის ცნობით, შავშეთში, ისევე როგორც კლარჯეთსა და ტაოში, დასახლებული ადგილები ძალიან მცირე იყო, ისინიც ტყეში მიმოფანტული. ბაგრატიონების შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების შემდეგ დაიწყო მთელი სამხრეთ საქართველოს აღორძინება და აყვავება. იმავე პერიოდში (VIII ს-ის ბოლო) გამოჩნდა გრიგოლ და მისი თანამოაზრენი. ისინი პირველად ოპიზის მონასტერში მისულან, სადაც ორი წელი დაუყვიათ. მწერლის გადმოცემით, ამ ქვეყნებში ოპიზის გარდა არც ერთი მონასტერი არ მდგარა.

გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოხსენიებულია შავშეთის იერარქი მტბევარი, რომლის რეზიდენცია იყო ტბეთი, სავანე გუნათლე (ახლანდელი გურნათელი) და სოფელი ნორგიალი. მთავარი ცენტრი შავშეთისა ყოფილა ტბეთი. აქ რეზიდენცია ჰქონიათ შავშეთის მხარეთა გამგებელს IX-X საუკუნეთა მიჯნიდან მოყოლებული. ტბეთის კათედრალი, აგებული XI საუკუნ-

ის დასაწყისში აშოტ კუხის მიერ, მოღწეულია ჩვენამდე. ეს მონუმენტური ძეგლი კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმნილებაა.

ადრეფეოდალური ხანის შავშეთის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის „მატიანე ქართლისაჲ“. მისი ცნობით ადარნასე ბაგრატიონის (VIII ს-ის II ნახევარი) სამფლობელოს შავშეთთან ერთად შეადგენდნენ ძველი ქართული პროვინციები: კლარჯეთი, აჭარა, ნიგალი, არტაანი, ტაო, ასისფორსი (99, 251). „მატიანე ქართლისაჲს“ ერთ ჩანართში ვკითხულობთ, რომ ბერძენთა მეფემ კონსტანტინემ შეიწყნარა პატრიარქი მელქისედეკი, რომელმაც „კლარჯეთს მოიგო სოფელი ერთი სხლოანი. და შავშეთს მოიგო სოფელი დიდი სხლობანი“. ამავე წყაროს ცნობით თურქთა სულთანს, სპარსეთის მეფეს ალფარსლანის მარბიელ ლაშქარს ქართლის მსახურებთან ერთად ჭოროხის ხეობის პროვინციები – შავშეთი, კლარჯეთი, ტაო და სხვა დაურბევია (75, 317).

თურქ-სელჯუკების მიერ საქართველოს დაპყრობისა და განადგურების პირამდე მიყვანის შესახებ ცნობებს გვაწვდის უცნობი ავტორის მიერ შექმნილი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“. მემატიანე 1080 წლის ამბებს ასე გადმოგვცემს: „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკუდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი. და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყყდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ჯურელთა ქუეყნისათა“ (75, 319, 320).

შავშეთის შესახებ ცნობები დაცულია თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.“ აქ მოთხრობილია შავშეთსა და კლარჯეთში თურქების შემოსევისა და ქართველთა მიერ მათი განადგურების შესახებ. თამარ მეფის ორივე ისტორიკოსი (ბასილი ეზოსმოძღვარი და უცნობი მწერალი) მოგვითხრობენ შავშეთისა და კლარჯეთის მფლობელი გუზანის შესახებ (76, 49, 55, 81, 141).

შავშეთი მრავალჯერ ფიგურირებს XIV საუკუნის უცნობი ავტორის თხზულებაში „ასწლოვანი მატიანე“.

როგორც ცნობილია XIII საუკუნის 30-იან წლებში მონღოლები საქართველოში დამკვიდრდნენ. მონღოლ-თათრები მოედვნენ საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთ ოლქებს, მათ შორის შავშეთს.

„ასწლოვან მატთანში“ გვხვდება ისტორიული გეოგრაფიისათვის საინტერესო მასალები. იქ ნათქვამია, რომ ბექას (სარგისის-ძეს) დაუპყრია ქუეყანა ტაშისკარიდან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაოს დიდი ნაწილი, ვაშლოვანი, ნიგალის ხევი, არტანუჯი, კულა, კარნიფორა, არტაანი, ჯავახეთის ნაწილი. მემატთანე მსგავს ცნობას გვაწვდის მოგვიანებითაც.

შავშეთის საისტორიო გეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა „ტბეთის სულთა მატთანე“, რომელიც ტბეთშია შედგენილი XII-XVII საუკუნეებში. „მატთანეში“ გვხვდება იმერხევის ორი გეოგრაფიული სახელი: ბზათა და დაბა: „ბზათელის თათასძესა გიორგის... შეუნდვენ ღმერთმან“ (70, 426), „დაბელისა ჩიმაგასძისა ივანეს შეუნდვენ ღმერთმან“ (70, 578).

ამავე წყაროში მოხსენიებულია – ეთ დაბოლოებიანი გვარსახელები დაველაეთი (70; 322, 393, 402) და ზარქიეთი (70, 271). ამჟამად დაველათი სოფელ დასამობის ერთ-ერთი უბანია, დაველაური კი ჰქვია სათესს იმავე სოფელში. დაველათი „დოვლათიანი“, ბარაქიანი აღვილია. დაველაური დაველათისას ან დაველაძისეულს ნიშნავს. ეს გვარსახელი აქ აღარ დასტურდება. იმავე წყაროშია უკვე -ძე სუფიქსით გაფორმებული იგივე გვარსახელი – დაველასძე (70; 385, 388). გვარსახელი დაველასძე ამჟამად აჭარაში დასტურდება.

„მატთანეში“ მოხსენიებულ გვარსახელებსა და დღეს შეკრებილ მასალებს შორის შეიძლება ასეთი პარალელები გავავლოთ:

გამეშისძე 970, 36 0) – გამეშეთი (სოფ. ბაზგირეთის უბანი);
გორგოშისძე (70, 533) – გორგოშისერი სათიბი (წეთილეთი);
მიქელისძე (70, 415), მიქლასძე (70, 527), მიქლაური (70, 540 – მიქელეთი სოფელი (შავშეთი).

ქოქოლისძე (70, 583) – ქოქოლიეთი (სოფ. დიობნის უბანი);
ზარქიეთი (70, 271), ზაქიარაული (70, 145) – ზაქიეთი სოფელი (იმერხევი) და სხვ.

აქაურ გეოგრაფიულ სახელებში ჩანს ბევრი ისეთი გვარსახელი, რომელიც დღესაც ფიქსირდება. მაგალითისათვის ავიღოთ „მატთანეში“ მოხსენიებული გვარსახელი გამეშისძე. გამეშეთი არის სოფელ ბაზგირეთის ერთ-ერთი უბანი, სადაც ადრე გამეშობიებს უცხოვრიათ და მათ სამკვიდრო ადგილად უნდა მივიჩნიოთ. ზემო აჭარაში, კერძოდ, ხულოს რაიონის სოფელ თხილვანაში ცხოვრობენ ქამაშიძეები. საინტერესოა, რომ ეს გვარსახელი სოფელ თხილვანის გარდა არსად არ დასტურდება. უეჭველია, რომ თხილვანელი ქამაშიძეების წინაპარი იმერხევის სოფელ ბაზგირეთიდან არის გადა-

სული ზემო აჭარაში. ამას ადასტურებენ ადგილობრივი მცხოვრებნიც: „ქამაშიძე იქ არიან დარჩენილი, ჩუენ სოფლიდამ“ (73, 252). ქამაშიძეების ერთი შტო კი გადმოსულია მაჭახელში, კერძოდ, ქვემო მაჭახელში და იწერება გამეშიძედ. გამეშიძე/ქამაშიძე ანთროპონიმული წარმომავლობის სახელია. გამეშა კაცის სახელია. გამეშეთი კი – მისი კუთვნილი საცხოვრებელი ადგილი. ფონეტიკური ცვლილებებით ადვილი შესაძლებელია გამეშისძისაგან ქამაშიძის მიღება: გამეშისძე→გამაშისძე→გამაშიძე→ქამაშიძე. ე. ი. გვარსახელის არსებობის ფაქტი თვითონ გვარსახელთან ერთად ტოპონიმმაც შემოგვინახა.

შავშეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა (მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი). იგი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ შავშეთის თემს ასე შემოსაზღვრავდა: აღმოსავლეთით – „მთა არსიანი“, სამხრეთით – კლდეჲ არტანუჯსა და შავშეთს შორისი, დასავლეთით – „მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორის“ ჩრდილოეთით – „მთა, არსიანიდამ ჩამოსული დასავლეთ ჭოროხამდე“ (10, 679-680). ვახუშტი ბატონიშვილს „აღწერაში“ დაფიქსირებული აქვს საკვლევი რეგიონის შემდეგი გეოგრაფიული სახელები: 1. შავშეთის წყალი, რომელიც „გამოდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას“, 2. ჭილოვნის წვეი, „ისიც გამოდის არსიანის მთას“; 3. მდინარე სათლესი და ტბეთისა, „ესეც გამოდის არსიანსავე“, 4. სათლე, „ქალაქი მცირე და მოსალხენი ვაჭარნი მას შინა“. 5. ტბეთი, სოფელი, „რომელმაც მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდშენიერი“, 6. ციხე თუხარისი, „რომელმაც „მოიგო სახელი სიმპარით სიმტკიცისათჳს“ – თუ ხარ შენ ციხე და არა სხჳა“ (9, 678-679).



ვახუშტი ბატონიშვილი
(ბაგრატიონი)

ვახუშტი ბატონიშვილის ზოგიერთი ცნობა დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, იგი შავშეთის წყლის ერთ-ერთ შენაკადად ასახელებს ჭილოვნის ხევს, რომლის ლოკალიზაცია გართულებულია. ი. სიხარულიძე ვარაუდობს, „თუ ამ მდინარის ვახუშტისეული აღწერის ზოგიერთი მინიშნებიდან („გამოდის არსიანის მთით, მოდის ჩრდილოდამ სამწრით გრეხით“), მაშინ ეს მდინარე შეიძლება სხლობნის წყალთან (შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადი) გაავაიგივოთ. ასეთ ვარაუდს თუმცა ეწინააღმდეგება ბატონიშვილის ცნ-

ობა ამ მდინარის შესართავზე (ერთვის შავშეთისწყალს „ჭოროხის შესართავს ზეით“). მაგრამ ეს, უდავოდ, მცდარი ჩვენებაა, რადგან შავშეთისწყალს ამ სექტორში არსიანიდან მომდინარე არც ერთი მდინარე არ უერთდება. არ არის გამორიცხული, რომ ვახუშტის აქ ერთმანეთში არეოდა ჭოროხი და იმერხევი, რის „ზეით“-აც ჩამოედინება სწორედ სხლობნის წყალი“ (69, 10-11).

მეტად საინტერესოა ვახუშტისეული განმარტება თვით სიტყვა „შავშეთის“. სიტყვა „შავშეთში“ გამოიყოფა „შავ“ ფუძე და -ეთ მაწარმოებელი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ეს ფუძე დაკავშირებულია შავთან – რადგან შავშეთი ტყეებით გამორჩეული ქვეყანაა, სახელდებაც მოხდა ამის მიხედვით. ვახუშტი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში წერს: „...შავშეთი-ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთა-კლდოვან ტყის გამო“ (9, 658). მოგვიანებით ამის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე ამბობს: „იქაური მკვიდრნი ამბობენ, რომ შავშეთს ოსმალურად ნისლათას უწოდებენო, ე. ი. ნისლიან ქვეყანასო. ოსმალთ წიგნებში ასე მოიხსენება ამ ადგილების სახელიო. ვახუშტის თქმით, შავშეთს სახელი მისგან დარქმევია, რომ შავშეთში ყოველთვის, ნაძვნარის მეოხებით, სიბნელეა, შავით არის მოსილი და იმიტომ უთქვამთ, რომ „შავშიო“. ამნაირად სიტყვა შავშიდან წარმომდგარა სიტყვა შავშეთი (107, 264).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანუ ისტორიული ზემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის შავშეთიც XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალეთმა დაიპყრო. სწორედ XVI-XVII საუკუნებიდან იწყება ქართული მხარეების „გათათრების“ პროცესი. ოსმალეთის იმპერიის ძლიერებით ქედ-მოხრილი ქართული პროვინციები იძულებული გახდნენ ელიარებიანთ ოსმალეთის ხელისუფლება. თურქეთის ხელისუფლებამ დაპყრობილი ადგილები სანჯაყებად დაპყრო. სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობის შემდეგ (XVI ს-ის მეორე ნახევარი) ოსმალეთმა გააერთიანეს ძველად და ახლად დაპყრობილი ტერიტორიები და ჩილდირის საფაშო შექმნეს. დაპყრობილი ქვეყანა 1595 წელს აღწერეს და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (125) შეიტანეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შავშეთი, როგორც პუნქტი, არ იხსენიება ამ „დავთარში“, რადგან ეს მხარე საერთოდ არ აღუწერიათ იმ დროს. გამონაკლისი არც „ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარია“ (88), სადაც არაა აღწერილი ჩილდირის საფაშოს ოთხი სანჯაყი: შავშეთი, ლივანა, ნისფი ლივანა და ფერთექრეკი, რომლებიც გადაცემული იყო კერძო მფლობელობაში.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ ჭოროხის აუზის ის ნაწილი, რომელიც ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში შედიოდა, იყოფოდა თორმეტ სანჯაყად. მათ შორის ორი საკვლევ ტერიტორიას მოიცავდა. შავ-

შეთის ცენტრი შავშეთში იყო, იმერხევის – ველში. ანდრიანოპოლის ზავის შემდეგ თურქეთმა ჩილდირის საფაშო გააუქმა და შავშეთი ტაო-კლარჯეთთან ერთად ერზრუმის საფაშოს შეუერთა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა კლარჯეთი, აჭარა, შავშეთი, კოლა-არტაანი, ოლთისი. საუკუნეების განმავლობაში დაკარგული ისტორიული ქართული მიწა-წყლის დიდი ნაწილი საქართველოს დაუბრუნდა. 1878 წლის 20 სექტემბერს შეიქმნა ბათუმის ოლქი, სადაც გამოიყოფოდა ქალაქი ბათუმი, ბათუმის, ართვინის, აჭარის ოკრუგები. ბათუმის ოკრუგში შეიქმნა სამი უბანი: ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის. ბათუმის ოლქში შავშეთისა და არტანუჯის მხარის შეყვანა სავსებით გამართლებული იყო, ვინაიდან ეს რეგიონები ჭოროხის აუზში მდებარეობენ და ჭოროხის ხეობის სხვა დანარჩენ ნაწილებთან, თვით ბათუმთან მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ბათუმის ოლქის ასეთი დაყოფა 1878 წლიდან 1883 წლამდე არსებობდა.

1883 წელს ბათუმის ოლქი გააუქმეს და იგი ქუთაისის გუბერნიას მიაკუთვნეს. ყოფილი ოლქის ტერიტორია კი დაიყო ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად. ართვინის ოკრუგში შევიდა ართვინის, არტანუჯისა და შავშეთის უბნები. 1903 წელს ბათუმისა და ართვინის ოკრუგები გამოყვეს ქუთაისის გუბერნიიდან და კვლავ ბათუმის ოლქი შექმნეს. ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგის ართვინის უბანი იყოფოდა მურღულის, სვეტისა და წრიას საზოგადოებად, შავშეთის უბანში კი გამოიყოფოდა დაბაწვრილის, იმერხევისა და სათლელ-რაბათის საზოგადოებები. დაბაწვრილის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა 15 სოფელი, იმერხევის სასოფლო საზოგადოებაში – 20 სოფელი, სათლელ-რაბათის სასოფლო საზოგადოებაში – 21 სოფელი.

1921 წელს ყარსის ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმის მხარის დიდი ნაწილი, ართვინი, არტაანი, ყარსი. კვლავ დაიკარგა ქართველთა სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული ქართული მიწა-წყალი, ქართველი მოსახლეობა.

შავშეთის ტოპონიმიური მასალები
ქართულ და უცხოურ წყაროებში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციები ყოველთვის იყო ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და მოგზაურების ყურადღების ცენტრში. XIX საუკუნეში, ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროს ეს მხარე მონახულეს დიმიტრი ბაქრაძემ და გიორგი ყაზბეგმა, რუსული მმართველობის დროს – ვ. ლისოვსკიმ, ა. პავლინოვმა, გრაფინია უვაროვამ, ფრანგ-მა ჟან მურიემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და სხვებმა. ამ მკვლევარებისა და მოგზაურების მიზანი არ იყო მხოლოდ ამ რეგიონების შემოვლა და აღწერა, არამედ ერის მოწინავე ადამიანებს აინტერესებდათ, თუ როგორ იყო ქართული ენა შემონახული საუკუნეების განმავლობაში მივიწყებულ ქართულ მხარეებში, რა მდგომარეობაში იყო იქ ქართული კულტურა და ყოფა, მატერიალური კულტურის ძეგლები.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მდგომარეობით „ქართული ენა მთლიანად დაცულია იმერხევის ზემო ნაწილებსა და ყვირალა-წყლის ხეობის გასწვრივ, რომელიც შავშეთის ჩრდილო ნაწილს შეადგენს, ანუ იმ ადგილებში, რომელთაც მუდმივი ურთიერთობა აქვთ აჭარასთან: შემდეგ იგი ქრება შავშეთის დასავლეთ ნაწილებში, ისევე ჩნდება, თუმცა სუსტად, არტაანის უბანში, გურჯის-ხევში... იგი ჩანს კიდევ ართვინის ქვემოთ... გაბატონებულია მთელ სივრცეზე, რომელიც ართვინის უბნის ქვემოთაა, მურღულისა და მაჭახელის რაიონებსა და ჭოროხის ნაპირის გაყოლებით, მარალდის უბანში“ (10, 159). როგორც ვხედავთ, ქართული ენა თავის პოზიციებს არ თმობს ტაო-კლარჯეთის მთელ ტერიტორიაზე. თუმცა იგი ძალიან შევიწროებულია და თითქმის განდევნილია შავშეთის აღმოსავლეთ ნაწილიდან. ამჟამად შავშეთში ქართულ ენაზე არაინ ლაპარაკობს. სამაგიეროდ, მის ერთ-ერთ ნაწილში – იმერხევში იგი კარგად არის შემონახული.

გიორგი ყაზბეგმა, რომელიც პროფესიით სამხედრო სპეციალისტი იყო, ქართველ მოღვაწეთაგან ერთ-ერთმა პირველმა იმოგზაურა ოსმალეთის საქართველოში 1874 წელს, თურქთა მფლობელობის დროს და შექმნა საფუძვლიანი ნაშრომი „სამი თვე თურქეთის საქართველოში“ (81).

გ. ყაზბეგის მარშრუტი იყო: აბასთუმანი – სოფელი დერცელი – მდინარე ქვაბლიანი – ზემო აჭარა – შავშეთი – არტანუჯი – ართვინი – ლაზისტანი.



გენერალი
გიორგი ყაზბეგი

გ. ყაზბეგი შავშეთში სხალთის ხეობის გავლით ჩავიდა. მოგზაურობის დროს მან აღწერა მატერიალური კულტურის ძეგლები, ეკლესიები და ციხე-კოშკები, ტოპონიმები. მას, როგორც სამხედრო სპეციალისტს, აინტერესებს ყოველივე, წვრილმანიც კი. აღსანიშნავია, რომ გ. ყაზბეგი შესაშურ ცოდნას ამჟღავნებს გეოგრაფიაში, ეთნოგრაფიაში, დემოგრაფიასა და სახელმწიფო წყობის აღწერაში. მოგზაურის ცნობით, შავშეთში იმერხევის ჩათვლით 58 სოფელია, საკუთრივ შავშეთში – 36. მოსახლეობა 12-დან 14 ათასამდე იქნება. მოსახლეობა, 145 კომლი სომეხის გამოკლებით, არის სუფთა ქართველური რასის. შავშეთში უფრო ფეხმოკიდებულია თურქული ენა, იმერხევი კი გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ქართულ ენას. „შავშეთში ოსმალების გავლენა ძალზე ძლიერია... შავშელები აჭარლებზე ადრე მოიქცნენ მაჰმადიანობისაკენ“ – აღნიშნავს მოგზაური (81, 90-91). ალბათ, ეს არის მიზეზი შავშეთის მოსახლეობის ჩამორჩენილობისა და დაბეჩავებისა, რასაც იგი ყოველი ფეხის გადადგმაზე გრძნობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღნიშნავს სოფელ ყვირალის მცხოვრებლებს: „შევედით თუ არა სოფელ ყვირალაში, ჩვენ შეგვხარა აქაურთა განსაკუთრებულმა გამომეტყველებამ. მათ საცოდავი სახე აქვთ და გონებრივად განუვითარებელი არიან. აქ ერთ ყოჩაღსაც ვერ ნახავ – ყველა ძონძებშია, მჭმუნვარე და დაბალი ტანისანი არიან“ (81, 91). თუმცა იქვე ავტორი აღნიშნავს, რომ „საბედნიეროდ შავშეთის მთელი მოსახლეობა არ ჰგავს ყვირალას მცხოვრებლებს“. ყვირალა შავშეთის პირველი სოფელია, სადაც მოგზაური ჩირუხისა და არსიანის მთის თხემის გავლით ჩავიდა.

გ. ყაზბეგმა მოგვცა ოიკონიმების რაოდენობრივი მანკვენებელი, მათი დახასიათება. გ. ყაზბეგის მიხედვით, სოფელ ყვირალაში ცხოვრობს 18 კომლი და მიეკუთვნება ჯინალის საზოგადოებას, რომელიც მეზობელ სოფელ ჩიხთასთან ერთად 60 კომლს შეადგენს. შავშეთის ვაკე ნაწილი ტერასებად მიემართება სამხრეთ-დასავლეთით. პირველ ტერასზე მდებარეობს სოფლები – გარყლობა, უხედი, წეთილეთი, ზემო და ქვემო ჩვარები, კარავათი. მეორე ტერასაზეა სოფელი ციხისძირი 50 კომლით. მესამეზე – ტბეთი და დაბაკეთი. მდინარის პირას – ველი და სათლელი (81, 77).

სოფელი ტბეთი „პატარა მდინარის ნაპირზე მდებარეობს. საქართველოს ისტორიის საუკეთესო პერიოდში ტბეთი იმ ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო,

რომელიც მართავდა ქრისტიანულ სამყაროს გურიიდან და ზარზმიდან არტ-ანუჯამდე... ტბეთის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული მოგონება აქაურ ტაძარზე... ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს“ (81, 78-80).

ტბეთიდან სამი ვერსის მანძილზეა სოფელი ველი, საღაც 12 კომლი ცხოვრობს. სოფელ სათლელში 60 კომლია, ოქრობაგეთში – 70, მთლიანად სომეხ-გრიგორიანები, ახალდაბას – 90. სოფელ ჭალეთში – 10, სურევანში – 20, სოფელ ფხიკიურში 18 კომლს ითვლიან, სინამდვილეში 25-ზე მეტი კომლი ცხოვრობს, ყველა სომეხი კათოლიკეა.

მეტად საინტერესოა მხარის კიდრონომების შესახებ ავტორისეული მონაცემები და დახასიათება. მათ თავის დროზე განვიხილავთ.

ქვემოთ მოგვყავს გ. ყაზბეგის მიერ აღწერილი შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიული ნომენკლატურის სრული სია: აბანო¹ მინ. წყალი (შავშეთი), აბანოს ხევი ხეობა (შავშეთი), აგარა სოფ. (შავშეთი, იმერხევი), ანაკერტი სოფ. (შავშეთი), ანდრიაწმინდა სოფ. (იმერხევი), ანკლია სოფ. (შავშეთი), არსიანი ქედი, მთა (აჭარა-შავშეთი), ახალდაბა სოფ. (შავშეთი), ბაძგირეთი სოფ. (იმერხევი), ბაძგირეთისწყალი მდ. (იმერხევი), გარყლობა სოფ. (შავშეთი), გობიხვეწია მთა (შავშეთი), დაბა სოფ. (იმერხევი), დაბაკეთილი, დაბაწვრილი, დევაძე სოფლები (შავშეთი), დემირ-ყაფი ქედი (შავშეთი), დიობანი სოფ. (იმერხევი), ველი სოფ. (შავშეთი), ზაქიეთი, ზიოსი სოფლები (იმერხევი), იალანუს ჩამი მთა, ულელტეხილი (შავშეთი), ივიეთი (ივეთი – ნ.ც.) სოფ. (იმერხევი), იმერხევისწყალი მდ. (იმერხევი), კარავათი სოფ. (შავშეთი), კარჩხალი მთა, ქედი (იმერხევი), კურჩინი სოფ. (შავშეთი), კურჩინისწყალი მდ. (შავშეთი), მამანელისი, მერია, მიქელეთი სოფლები (შავშეთი), მოქთა, ოქრობაგეთი სოფლები (შავშეთი), რაბათი სოფ. (შავშეთი, იმერხევი), სათლელი¹ სოფ. (შავშეთი), სათლელის წყალი მდ. (შავშეთი), სათლელ-რაბათი სოფ. (შავშეთი), სამწყალი სოფ. (შავშეთი), სინგოთი, სურევანი სოფლები (იმერხევი), სხლობანი სოფ. (შავშეთი), სხლობანის წყალი მდ. (შავშეთი), ტბეთი სოფ. (შავშეთი), უბე სოფ. (იმერხევი), უხედი სოფ. (შავშეთი), ფხიკიური სოფ. (იმერხევი), ყვირალა, შავქეთი სოფლები (შავშეთი), შავშეთის წყალი მდ. (შავშეთი), შინდობანი, ჩვარები ზემო, ჩვარები ქვემო,

გამოკვეთილია გეოგრაფიული ობიექტი. შემდეგ ნაჩვენებია, თუ რის სახელია ის. ფრნსილებში კი მითითებულია სოფელი ან მხარე, რომელშიც შედის ეს ტოპონიმი. გეოგრაფიული ობიექტის სახელი მოცემულია იმავე ფორმით, რაც ავტორებმა – მოგზაურებმა და მეცნიერებმა დაადასტურეს ადგილზე.

ჩივთლული, ციხისძირი, ციხია სოფლები (შავშეთი), წეთილეთი სოფ. (იმერხევი). ჭალეთი სოფ. (შავშეთი), ხევწვრილი სოფ. (იმერხევი).

მეტად საინტერესოა კავკასიის სამხედრო ოკრუგის გენერალური შტაბის მიერ თბილისში 1887 წელს გამოცემული პოლკოვნიკ ვ. ი. ლისოვსკის წიგნი „ჭოროხის მხარე. სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევები“. სადაც ჭოროხის მხარის სხვა კუთხეებთან ერთად დასახელებულია შავშეთის გეოგრაფიული სახელები, საკვლევი რეგიონის საზღვრები. მთები. მდინარეები. წიგნში მოცემულია ჭოროხის მხარის ტოპოგრაფიული, ეთნოგრაფიული მიმოხილვა. ეკონომიკური ყოფა. წიგნს ერთვის დასახელებული პუნქტების სია. კერძოდ ფიქსირებულია შავშეთის შემდეგი გეოგრაფიული სახეები: ახალდაბა, ბამგირეთი, ბალვანა, ვანთა, ველი, ვერხნალი, გარყილობი, გოგლიეთი, გურნათელი, დაბა, დაბაკეთილი, დაბა-წვრილი, აგარა, ანკლია, ძიოსი, დიობანი, ენი-რაბათი (ახლანდელი სათლელ-რაბათი - ნ. ც.). ზაქიეთი, ზენდაბა, იფხრეული, ქვათეთრისი, კუჩენი, მამანელისი, მერია, მოქთა, მურღელი, (მორღელი - ნ. ც.), მზობანი (მუხობანი - ნ. ც.), ნორგიელი, ოქრობაგეთი, ფხიკიური, საბუდარა, სამჯელი, სათლელი, სეეტი, სინდიეთი, სინკოთი, სირა-სინკოთი, სოპორო (სოფორო - ნ. ც.), სულესი, სურევანი, სხლობანი, ტანზოთი (ტანძოთი - ნ. ც.), თურმანიძე, უბე, უსტამელი, ხანთუშეთი, ხევწვრილი, ცენტა, წითვეთი, ციხისძირი, ციხია, წყალსიმერი, ცორცელი (წორწელი - ნ. ც.). ჩვარები (ჭვარები - ნ. ც.). ჩიხის-ხევი, ჩიხორი, შავქეთი, ჯინალი. სულ ფიქსირებულია ჭოროხის მხარის 461 ტოპონიმი (94).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხების გასარკვევად საინტერესო მასალებს გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე. აქ იგულისხმება მისი როგორც საგაზეთო კორესპონდენციები, ასევე ცალკეული წიგნები. ამ მხრივ მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ (107): „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი-ემიგრაცია“ (108).



ზაქარია ჭიჭინაძე

ზ. ჭიჭინაძე წერს: „თუ ოდესმე საქართველო იდიდებოდა და სახელოვნებდა. ვიტყვით თამამად, რომ ყველა ამ დიდების და სახელოვნების მიმნიჭებელნი და მწარმოებელნი აქაური პირები იყვნენ... ეს მხარე კერა იყო იმ დიდებისა და სახელოვნებისა, რაც კი საქართველოს მიენიჭა და აღმოუბრწყინდა ოდესმე. ყველაფრის დასაწყისს

აქ ეძლეოდა აღორძინება და ამის შემდეგ იგი ეფინებოდა და ვრცელდებოდა მთელს საქართველოს კუთხეებში“ (107, 3-4). მაგრამ იქვე ავტორი დასძენს, რომ დღეს „აქ ყველაფერი დაქვეითებულია და ჩვენი ძველი ქართველები, ჩვენი გამოჩენილი მესხნი იმ დროისანი აღარ არიან, რაც ოდესმე ყოფილან, აქ ყველაფერი ქართველობისა ფერფლად ქცეულა. აქ მხოლოდ ერთად ერთი ქართული ენა არსებობს. ისიც ზოგიერთ ადგილას, ყველგან არა“ (იქვე, გვ. 5).

შავშეთ-იმერხევისადმი მიძღვნილ სტატიებსა და კორესპონდენციებში ზ. ჭიჭინაძე აღწერს სოფლებს, მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფას, კულტურას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მოგზაური აღნიშნავს, რომ საქართველოს მცხოვრებთა შორის მხოლოდ შავშელნი გამოირჩეოდნენ ზნით, სასიათით, ჩვეულებით და შავშეთის სოფლების ნახვით კაცი აღტაცებაში მოვა (107, 273). შავშელები და იმერხეველები ჩაცმა-დახურვით ძალიან ჰკვანან აღმოსავლეთ საქართველოს მთის მცხოვრებლებს: თუშებს, ფშაველებს, ხევსურებს. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, შავშეთი შედგება 7 სამამასახლისოსაგან, მათ შორის 4 ეკუთვნის შავშეთს, 3 – იმერხევს. შავშეთში ქართული ენა აღარ იციან, სამ სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ (ახალდაბა, გარყელობი, ჭუარები), იმერხევში კი გაბატონებულია ქართული ენა. აქ არის ისეთი სოფლები, სადაც თათრული ენა სრულებით არ იციან 9107, 300). შავშეთში ყველა სოფელს ქართული სახელი ჰქვია. ქართული სახელის არმქონე სოფლები იშვიათია. შავშეთის სოფლებია: სათლელი, საბუღარა², მურდენი, მამა-ნელისი, გურანთელი³, მოროზოსი⁴ ზენდობა, ცეცხლაური⁵, ცორცვალი (წორწელი – ნ. ც.), მოქვთა, მუხნობანი, ვერხვანალი, ხანთუშეთი, ქვათეთრასი⁶, ოქრო-ბაგეთი, სულობანი (სხლობანი - ნ. ც.), ციხე⁷, მერია, დაბაწვრილი, სულესი შავქეთი, ბალვანა⁸, რაბათი⁹, კუჭენი, საფარა¹⁰, სამჯელი¹¹, ქვათეთრისი, ჩიხთა, ციხისძირი, ტბეთი, ხონლეთი¹², გარყილუფი (გარყილობი – ნ. ც.), ჯვარები (ჭუარები – ნ. ც.) და ახალდაბა. იმერხევის სოფლებია: ხონლეთი (ხონლეთი – ნ. ც.), აგარა, შოლტისხევი, წყალსიმერი, წითლოეთი¹³, დობანი, იფხრევი (იფხრევი – ნ. ც.), ივეთი, გზათა¹⁴ სურევანი¹⁵, უბე, ძიოსი¹⁶, ხემწვრილი¹⁷ დაბა, ბელტიეთი, ზაქიეთი, ბაძგირეთი¹⁸, ლეონიძე¹⁹, ჩიხარი, ციხის ხევი²⁰, უსტამისი, ბრილ-აგარა, პნიკიური, ლივანის ძირი²¹, შვამთა²², ხარსანა²³, გორგოტიხანა²⁴, ოქროს წუა²⁵, გარყლუფი, ჯვარები, მიქელეთი²⁶, მანატბა, წყეთის ბარი, დევაგულა²⁷ (107, 294-297).

იმერხევში ქართული ენის შემონახვის მიზეზად ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნია ორი ძირითადი ფაქტორი: 1. იმერხევის მოსახლეობამ მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღო სულ ცოტა 100 წლით გვიან, ვიდრე შავშეთის მოსახლ-

ეობამ²⁸; 2. გეოგრაფიული მდებარეობის გამო იმერხევი მიუვალა და იქ იშვიათად ჩნდებოდნენ ხოლმე თურქები, შავშეთი კი ართვინ-არტაანის ცენტრალურ გზაზეა და ამიტომ ძველთაგანვე მომრავლდნენ აქ ოსმალები, ქურთები²⁹ და სხვა ხალხები. ყოველივე ამან კი დააჩქარა ქართული ენის ასიმილაცია³⁰ (107, 293).



აკადემიკოსი ნიკო მარი

XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1904 წლის ზაფხულში ტაო-კლარჯეთში და შავშეთ-იმერხევიში იმოგზაურა დიდმა მეცნიერმა, აკად. ნიკო მარმა. 1911 წელს მან პეტერბურგში გამოაქვეყნა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ქართული ტექსტი, ლექსიკონი და შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიური (44). ამ დღიურებმა „მეცნიერებას შესძინა ძვირფასი ცნობები ძველი ქართული ხელოვნების შესახებ, ტაძრების დეტალური აღწერილობანი, ქართული ენისა და პალეოგრაფიის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო წარწერები, ისტორიული გადმოცემები, ქართული არქაული ეთნოგრაფიის დამახასიათებელი ნიშნები, გადაშენებული მესხური მეტყველების რელიქვიები და სხვა“ (102, 55). „მოგზაურობის დღიური“ ყოველმხრივ საყურადღებო და ფასდაუდებელი

ნაშრომია. არნ. ჩიქობავა წერს: „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის მეტი რომ არ დარჩენოდა ნიკო მარს, გამოჩენილი მეცნიერ-ფილოლოგის სახელს მაინც დაიმკვიდრებდა“. ნიკო მარის ეს ნაშრომი დაწერილია იმგვარი მამულიშვილური გრძნობით, ტკივილით და სულისკვეთებით, რომ მკითხველს არამარტო შემეცნებით სურვილს უკმაყოფილებს, არა მარტო ენციკლოპედიური ცნობებით ამდიდრებს მის მწირ ინფორმაციას ისტორიულ ტაო-კლარჯეთზე, არამედ სიამაყის გრძნობით აღავსებს მის მარად მწუხარე გულს – რანი ყოფილან ჩვენი უშუალო წინაპრები და რა ყოფილა ის ედემის ბაღივით აყვავებული, უნიკალურწარწერებიანი ძეგლებით მოფენილი ჩვენი სამხრეთი, სადაც ოდესღაც დიდი ქართული კულტურის აკვანი დარწეულა. „მოგზაურობის დღიურების“ წაკითხვის დროს კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რა ძლიერი და გაუტეხელია ქართული ენა. გულს უხარია, როცა „გათურქებული“ მოსახლეობა იმ ტკბილქართულით მეტყველებს, ასე რომ გვენატრება ხოლმე და როგორ შემონახულა სოფლების, მთების, გზების, მდინარეების ქართული სახელები (14).

დიდმა მეცნიერმა რეგიონის მნიშვნელოვან ტოპონიმურ მასალას მოუყარა თავი. კერძოდ მან დააფიქსირა საკვლევი რეგიონის შემდეგი გეოგრაფიული სახელები: აგარა სოფ. (შავშეთი), აგარა ჩაი მდ. (შავშეთი), ანდრიაწმინდა სოფ. (იმერხევი), ანკლია სოფ. (შავშეთი), არსიანი მთა (აჭარა-შავშეთი), ახალდაბა სოფ. (შავშეთი), ბაძგირეთი სოფ. (იმერხევი), ბალვანა სოფ. (შავშეთი), ბალტიეთი სოფ. (იმერხევი), ბარას ციხე ციხე (იმერხევი), ბარიჭალა მდ. (იმერხევი), ბელეშეთი საძ. (საბუღარა), ბერი კლდე მთა (შავშეთი), ბზათა სოფ. (იმერხევი), ბოსელთა (ბოსელთ, ბოზთა) იალალი (იმერხევი), ბრილი სოფ. (იმერხევი), ბუახანა, ბულანჯეთი ადგ. (ნორგიელი), ვაკეთი საზ. სადგომი (ზაქიეთი), ვანთა სოფ. (შავშეთი), ველთა, ველი სოფ. (შავშეთი), გამიშეთი სოფ. უბანი (ბაძგირეთი), გარყელოფ სოფ. (შავშეთი), გვალა ადგ. (შავშეთი), გიგაძის წყალი წყაროები (ნაფურნევი, იმერხევი), გილიეთი, გოგნიძე ადგ. (იმერხევი), გომთა//კომთა, გორაშეთი ეკლ. (შავშეთი), გრიალ-იწყარო წყარო (ნაფურნევი, იმერხევი), გუნათლია//გუნათლე სოფ. (შავშეთი), დაბა სოფ. (იმერხევი), დაბაკეთილი, დაბაწერილი სოფლები (შავშეთი), დავითეთი//დავითი სოფ. უბანი (სვირევანი, იმერხევი), დავლაური ადგ. (ცხიკიური, იმერხევი), დავლათი მთა (იმერხევი), დასამობა სოფ. (იმერხევი) დებაძე სოფ. უბანი (დაბა), დევაძეები//დევაძევი სოფ. უბანი (უბე), დევაძეების წყალი მდ. (უბე), ზიოსი სოფ. (იმერხევი), დიდმერე, დიობანი სოფლები (იმერხევი), ღორიკ ადგ. (ნორგიელი), დუმათი კლდე (შავშეთი), ზაქიეთი სოფ. (იმერხევი), ზედვაკე სოფ. უბანი (აგარა), ზედ-უბე, ზემო მექლე//ზემო მაჭალე სოფ. უბანი (ბაძგირეთი), თაუზეთი სოფ. (შავშეთი), თეთრაკეთი სოფ. (იმერხევი), ივიეთი სოფ. (იმერხევი), იმნაძე სოფ. (იმერხევი), იმრხეული-//იფხრეული სოფ. (იმერხევი), ილილი მთები (შავშეთი), კაპანთა//კაპანთითავი ადგ. (ბაძგირეთი), კარავათი სოფ. (შავშეთი), კარჩხალი მთა, იალალი (იმერხევი), კოლადზილარ დასახლება (შავშეთი), კოდი ადგ. (უბე), კოკიშაური ადგ. (სათლელ-რაბათი), კოლოთათ ვაკე ადგ. (ოქრობაგეთი), კოტალაძე-//კუტალაძე//კუტალეთი სოფ. (იმერხევი), კონიბავური ადგ., კურნის წყალი მდ. (შავშეთი), ლურჯა კლდე (სინკოთი), მასურათ//მასურათ ჩაი მდ. (შავშეთი), მახარობი-ცორ//მახარობა ადგ. (ოქრობაგეთი), მერია სოფ. (შავშეთი), მერე//წყალსიმერე სოფ. (იმერხევი), მიქელეთი, მოქთა, მორღელი სოფლები (შავშეთი), მუქნიქეთი ტყე (ნორგიელი), მუზობანი სოფ. (შავშეთი), ნაფურნევი იალალი (იმერხევი), ნაცარევი ადგ. (ცხიკიური), ნიალეთი//ნიალიძე სოფ. უბანი (თეთრაკეთი), ნორგიელი//ნორგიელი, ოქრობაგეთი სოფლები (შავშეთი), საბუღარა სოფ. (შავშეთი), სადგერელი ადგ. (ბაძგირეთი), საყდარი ადგ. (დიობანი, ქოქლიეთი), სანადირო ხეობა (იმერხევი), სათავალა მთა (შავშეთი), სათლელი/სათლელ-რაბათი//რაბათი სოფ. (შავშეთი), სამხარი,

საწილო, საწერნაგე ადგილები (შავშეთი), სინდობა //წინდობა ადგ. (შავშეთი), სინკოთი, სირა-სინკოთი სოფლები (იმერხევი), სულისი//სულესი სოფ. (შავშეთი), სურევანი სოფ., ეკლ., (იმერხევი), ტბეთი სოფ., ეკლ., (შავშეთი), უკეთი სოფ. (შავშეთი), ფაფართი მთა, მდ. (იმერხევი), ფარნუხი სოფ. უბანი (სვირევანი), ფხიკიური სოფ., ეკლ., (იმერხევი), ქურდევანი მთა (შავშეთი), ყვირალა სოფ. (შავშეთი), შაქქეთი სოფ. (შავშეთი), შოლტისხევი სოფ. (იმერხევი), ჩაქველთა, ჩიხისხევი, ჩიხორი სოფლები (იმერხევი), ჩიხორის წყალი მდ. (იმერხევი), ცენტა სოფ., ციხე, მთა (შავშეთი), ცენტბარი სოფ. (შავშეთი), ციხია სოფ. (შავშეთი), წეთილეთი სოფ. (იმერხევი), წითვეთი სოფ. (შავშეთი), წითელაძე//წიქრაძე//წიქრეთი სოფ. უბანი (ჩიხორი), წითელ-ოღლი, წვრილხევი სოფლები (იმერხევი), ჭუარები სოფ. (შავშეთი), ჭედრეუ-ლი//ჭედრიული სოფ. უბანი (თეთრაკეთი), ხევწრილი სოფ. (იმერხევი), ჯან-ჯირი იალალი (ბაძვირეთი), ჯვარისხევი ადგ. (იმერხევი), ჯინალი სოფ. (შავშეთი), ჯოგისარი ადგ. (ნორგიალი), ჯორის ფეხი (ოქრობაგეთი).

რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროებია სხვადასხვა დროს შედგენილი და გამოცემული რუკები, ატლასები. კერძოდ, აღსანიშნავია ვახუშტი ბაგრატიონის შედგენილი საქართველოს ატლასი (XVII ს.), კაკასიის დაწვრილებითი ტოპოგრაფიული რუკები (შემდგენელი – კაკასიის სამხედრო ოლქის ტოპოგრაფიული განყოფილება. XIX ს-ის ბოლო, XX ს-ის დასაწყისი), ხუთვერსიანი რუკა; საქართველოს ისტორიული რუკა (გამოცემული 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით), საქართველოს რუკა (1931წ.) და სხვა.



ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე, რომლის რედაქტორია ივ. ჯავახიშვილი, ტოპოგრაფი, შემდგენელ-ტოპოგრაფი ევ. ბარამიძე, ფიქსირებულია შავშეთ-იმერხევის შემდეგი გეოგრაფიული პუნქტები: ანდრიაწმინდა, ბრილი, დაბა, იფხრეული, ხევწვრილი, წიფეთის ანუ წერეთის ციხე, ახალდაბა, ველი, მერე, სათლელი, სამწყარი³¹, სხლობანი, ნორგიალი³², კარსანი, ქვათეთრისი, ტბეთი, ჩართულეთი, ციხე გარყლობისა, შავშეთის წყალი (ზედაწელი შერთულამდე), შავშური (მონაკვეთი შერთულიდან მდინარე ანაკერტამდე), ანაკერტი.

შვედეთის გეოგრაფიული სახელები ისტორიულ წყაროებში, სამეცნიერო ლიტერატურაში, ისტორიულ რუკებზე სხვადასხვა ფორმით არის ფიქსირებული. მოგვყავს რამდენიმე ნიმუში:

გურნათელი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იხსენიება „გუნათლეს“ ფორმით: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ძიება ყო გულმოდგინედ და კპოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად“ (32, 35), ზ. ჭიჭინაძეს მოაქვს „გურნათელი“ ფორმით (107, 284), ადგილობრივ დასტურდება გურნათელი (97).

კუჭენი. გ. ყაზბეგს „კუჩენ“ ფორმით მოაქვს. ასეა ნ. მარის (44, 10) და ხუთვერსიანი რუკის მიხედვით (112). ზ. ჭიჭინაძესთანაა „კუჭენი“ (107, 284), ალ. ჯავახიშვილის რუკაზეა „ყუჩენი“ (62). ამჟამად დასტურდება კუჭენი (97).

სულისი. ხუთვერსიან რუკაზეა „სულესი“ (212), ასეა ალ. ჯავახიშვილის რუკაზეც (62) და ზ. ჭიჭინაძესთან (107, 284). ადგილზე დავადასტურეთ სულისი (97) სულისი ორია: ზედა სულისი და ქვედა სულისი.

თაუზეთი. ხუთვერსიან რუკაზე „ტანზეთი“ (112). ალ. ჯავახიშვილის რუკაზე თაუზეთი (82). ადგილობრივ მოსახლეობაშიც ეს ფორმა დასტურდება (97). უძველესი ფორმაა „ტანძეთი“ (შდრ. ტანძია, სოფელი ქვემო ქართლში). თაუზეთი ამჟამად დაბაწვრილის ერთ-ერთი უბანია (97).

ჭუარები. გ. ყაზბეგს მოაქვს „ჩუარები“ ფორმით (81, 77), ზ. ჭიჭინაძეს – „ჯვარები“ (107, 284). ნ. მარის მიხედვით ამ ტოპონიმის უძველესი ფორმაა „ჭუარები“ (446-31). რაც „ჯვარების“ ფონეტიკური ნაირსახეობაა. ე. ი. სოფლის უძველესი სახელია ჯვარებია. ადასტურებს ამას ზ. ჭიჭინაძეც. ამჟამად უფრო ჭუარები დასტურდება (97).

დასამობი. ვ. ლისოვსკის „დესამობის“ ფორმით მოაქვს (94, 16), ნ. მართანაა – „დასამობა“ (44, 35). ნ. მარი აქვე იძლევა ამ ტოპონიმის ხალხურ ეტიმოლოგიას („და სამობს“ – „და ცეკვობს“). ადგილობრივ ამჟამად დასამობია მიღებული (97).

გარყილობი. „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია „გარყლობა“ ფორმით (75, 292), ხუთვერსიან რუკაზეა „გარკელოპ“ (112). ზ. ჭიჭინაძეს ჩაუწერია „გარყილოფი“ (107, 284). გ. ყაზბეგს – „გარყლობა“ (81, 76), ნ. მარს – „გარყელოფი“ (44, 36). ალ. ჯავახიშვილის რუკაზეა „გარკილობა“ (62). ადგილზე დასტურდება „გარყილობი“ ფორმა (97).

ჯინალი³³. სოფლის სახელწოდების უძველესი ფორმაა „ჯნალი“ (75, 260). თურქული ენა ვერ იტანს სიტყვის თავში თანხმოვანთა თავმოყრას. მათ შორის ჩნდება ხმოვანი ბგერა – შდრ.: ტბეთი-ტიბეთი. ხმოვანი ჩნდება ფუძის შიგნითაც: გარყლობი-გარყილობი. „ჯინალი“ ფორმა დადასტურებული ხუთვერსიან (112) და ალ. ჯავახიშვილის (62) რუკებზე. შდრ.: დგნალი

სოფელი მთიულეთში (დუშეთის რაიონი). სახელი შერქმეულია მცენარის მიხედვით: დგნალი ანუ მდგნალი წნორის ჯიშის ხეს ეწოდება მთის კილოებში (109, 441). ჯგალი სოფელია სამეგრელოში (წალენჯიხის რაიონი). ჯნალის მთა იხსენიება ჟამთააღმწერელის 1269 წლის ამბებში (75, 260).

ისტორიული წყაროები, მეცნიერთა და მოგზაურთა ჩანაწერები და დღიურები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა და საჭიროა მათი შეჯერება. ხშირია შემთხვევა ისეთი გეოგრაფიული პუნქტების ხსენებისა, რომლებიც დღეს საკვლევ რეგიონში აღარ დასტურდება და მათი ლოკალიზება გართულებულია. აქვე აღსანიშნავია, რომ მცირეკომლიანი დასახლებული პუნქტები ხან ცალკე სოფლებად იხსენიებიან, ხან ცალკეული სოფლების შემადგენელ უბნებად. ე. წ. „მეჭლეებად“. დღეს რეგიონში დასახლებულ პუნქტთა გამსხვილების ტენდენცია შეიმჩნევა. ადრე მეცნიერთა და მოგზაურთა მიერ მიჩნეული ცალკე სოფლის სტატუსის მქონე პუნქტები, დღეს მსხვილი სოფლის რომელიმე უბანს წარმოადგენენ. მაგალითად, სოფელ დასამობში შედის „მეჭლეები“: ბრილი, გიგიეთი, დაკლათი, ნიოლეთი, რაბათი, ფხიკიური³⁴, რომლებიც ადრინდელ წყაროებში დამოუკიდებელი სოფლები იყვნენ. დღეს კი ისინი სოფელ დასამობის უბნებია. სხვადასხვა მიზეზთა გამო მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ტოპონიმიაში. ზოგი გეოგრაფიული სახელი გაქრა ან ადგილმდებარეობა შეიცვალა, ზოგი დარჩა, მაგრამ სხვა სახელით იხსენება. ზ. ჭიჭინაძე შავშეთის სოფლების სიაში ასახელებს ცეცხლაურს და საფარას, იმერხევის სოფელთა სიაში კი ჩამოთვლილია სოფლები: ბელტიეთი, ლივანის ძირი, ხარსანა, გორგოტისანა, ოქროს წუა, დევაგულა. მათგან ამჟამად ბელტიეთი სოფელ ხევწვრულის ერთ-ერთი უბანია, დანარჩენი პუნქტები ნასოფლარია ან ლოკალიზება არ ხერხდება. ჩამოთვლილ სოფელთა ერთი ნაწილი კლარჯეთშია (გორგოტისანა, ხარსანა, ლივანის ძირი)³⁵. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის ტოპონიმთა დიდი ნაწილი ძველია და ბევრი მათგანი უცვლელი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ცვლილებები უფრო შეეხო ოიკონიმებს. მნიშვნელოვანი ცვლილებებია შავშეთის მიკროტოპონიმიაშიც, სადაც საგრძნობლად მაღალია თურქული წარმომავლობის ტოპონიმების ხვედრითი წილი (28,3%).

ისტორიული ქართული მხარეების შესწავლის საქმეში ახალი ხანა დაიწყო 1988 წლიდან, როდესაც გაიხსნა სარფის კარი. საქართველოსა და თურქეთის შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების წყალობით შესაძლებელი გახდა ათეულწლობით მივიწყებული ჩვენებურების ნახვა და მათთან სათანადო მუშაობის ჩატარება. 1993 წლამდე იმერხეულ მეტყველებას მხოლოდ ნიკო მარის „მოგზაურობის დღიურების“ საშუალებით ვიცნობდით. მეცნიერი ამ რეგიონში იყო 1904 წელს. მას შემდეგ ამ მხარეში გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებამდე ქართველი ენათმეცნიერი არ გამოჩენილა.

1993 წელს გამოქვეყნდა შ. ფუტყარაძის „ჩვენებურების ქართული“. სხვა მასალებთან ერთად ავტორი აღწერს ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ტოპონიმისაც.



შუშანა ფუტყარაძე

ავტორი უმეტესწილად იმერხევის სოფლების შემოვლით შემოიფარგლება. ეს სოფლებია: აგარა, ბაზგირეთი, დასამობი, დიობანი, იფხრეველი, ივეთი, მანატბა, მაჩხატეთი, მიქელეთი, უბე, შოლტისხევი, წეთილეთი, წყალსიმერი, ჩიხორი, ზიოსი, ხევწრული, ხოხლევი, ჯინჯალი.

მოგვეყვას პროფ. შ. ფუტყარაძის მიერ ჩაწერილი ტოპონიმები ცალკეული სოფლების მიხედვით.

აგარა^{ა6}. ქერეველა. უკანეთი, კაკაბავრი, კაკაბავრი ღელე, სათხარა, სათხარა ხეები, ბოლღვერა ხეები, თეთროზეთი, მუსაყანა. დოდოკალი ხევი. კოწარუხი. ყორითავი, ნატარაი, არყინალი (არყენალი – ნ.ც.), ყიშლები, თათელვანი, ქვიტავრი, მუტრუკი კლდე, კლდეშუათი წყარო, ბასილური, აბაშიეთი. შოღლიეთი ყანა. მოსიეთ ყანები, ინჯილები... სულ 56 ტოპონიმი (73. 284).

ბაზგირეთი: საუბნო, სახელი ხევი, სინგურთი, ვაკიბოლოთი, სიდმითი, ხერთვისი, სიონზითი, ჯანჯირი (973. 249).

დასამობი: ობნიენთი, წიქრიენთი, ყუმაშეთი, ციალეთი, ქოქლიეთი, სანებათი, ვახათი, ჭედრაულაი, მორჩენალათი. სამარილო, მელისსაკუნტარაი, დიდახო, მირის საფლავი, გენეჯავრი (73. 284).

იფხრეველი: ბოჯანური, სათრიპირი. ჯანიბალის სერი, სელავრი, ჯელლეთი ღელე, დეფანზირაჯ (დეფანძირაჯ). წიახტი, გოგლაზირი, ზემონაგვარი, ვაკე-ვაკი, კრიჭასერი, არჩილაწყარო. ცივწყარო, საჩარხია... სულ 91 ტოპონიმი (73, 279).

მანატბა: ასკილუანი, ჯავრიენთი. დოღლანური, ხეობა, ნაჭარლები, ავაზანყანა, ნასახლევი, შავტყე, რობანეთი. სანაფოტე, ნასახლები, საბუქრი წვერი... სულ 49 ტოპონიმი (73, 266).

მაჩხატეთი: ზელქედ, პატარა წუერ, კაპელა ქედ, გასახვევ, დიდღელე, ქატრუანი, კარჩხალეთხევ, ფიქლუან, გუერდ, საინითავ, ზიზანავრ, ასკილუან, ჭოჭეწყალი, კოლოსერი... სულ 68 ტოპონიმი (73, 257).

მიქელეთი: დოლაბი ყანა, ნაფუზი თავ. ციიყელ, ჭუნტა. წმინდა, ნაფუზარ, გუნდუგეთ, ველთ, ზუარეთ, ვაშლიჯელ, ლაორმან, იანნალა, ლერწმან, ჯუარ, მაკრატეულ, მაჭალა//ღრმა ჭალა. ვირიზრუგა... სულ 29 ტოპონიმი (73, 223).

შოლტისხევი³⁷: სომეხეთი, ხვალეთი, ქურდიკეთი, ბათიენთი, ხოჯიენთი, თათუნთი, მიქელეთი, შოლტისხევის დელე, სარიჩაირი, ნარვალა რუ, კორტოხი, კლდეკარი... სულ 74 ტოპონიმი (73, 278).

წეთილეთი: იხტრიენთი, თემუროლლები, ახალჭალა, ჭიდილა, წისქვილი გზა, ზელა ყანა, გოგაშაური, საზამთრო, წიახტი, ქომოთ ქამორეველი, ნაფურნევი, დოდო ყანა, სივაკეთი... სულ 54 ტოპონიმი (73, 253).

ჩიხორი: თეთრაკეთი, ლიბანი, არდიასწმინდა (ანდრიაწმინდა – ნ.ც.), პაწა ჩიხორი, აგარა, ბერიეთი, გიგიეთი, ზეგანი, სონალი, თუთილელე, გაღმა ყანა, ოჭივარა... სულ 45 ტოპონიმი (73, 227).

ზიოსი: გოხოვრა, ვალალევი, სექვაჭალა, ჭიდილა, ტბეთი, ჭალათი, ტაბიკოვრა, ჭერულა, კუნდრათი, მიქიეთური, უკანეთი, ელიაწმინდა... სულ 53 ტოპონიმი (73, 289).

ხევწრული: მიქელყმაზე, გუერდაი, სხანნარი, ჩაკიდულო, ნაჭიბულო, ნაგუთნი, სავლიანე, ნოსპარი, ნატუსალა, ნაქილისავი, სარიკალა, თეთრობი თავი, ციალეთი, ფერდათი, შარაგათი (73, 229).

ზოხლევი: მესხიეთი, გორგიეთი, ქომიენთი, ჯენიგლიენთი, ლომიენთი, ხევრიენთი, წყაროტანა, ყანა, გვიანურ, გუერდაი, ხერცუათ, ბაკათ, ეკლუანთ... სულ 38 ტოპონიმი (73, 195).

ივეთი: საზეპელი, საბუქე ჭალა, წყაროები, გაჭრილი კლდე, ციკატისერი, გარზე ყანები, სამწყავი, კირკატისერი, წამოსახედავაი, კორხოლი... სულ 68 ტოპონიმი (73, 283).

ჯინალი: ველათ, უზნარეთ, მელუსკუდან, მერობან, აბანო, შაქაროლლი, ბახჩიენთი, ბაკათი, ზაქარეთი, მიქელეთი, ბუჯანათი, ჭიაჭიმურეთი, ხოშათი, ბარდულეთი, დოლაბი ყანა, არსიანი, ოგენა, ველათის წყალი, ფეთექლუგი (73, 223) 38.

ქართული ენის სამხრულ მეტყველებას არაერთი საინტერესო ნაშრომი (მათ შორის სადოქტორო დისერტაცია) უძღვნა მამია ფაღავამ (72 ა).

ამრიგად, შავშეთის ქვეყნის გეოგრაფიული ნომენკლატურა ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ცნობილ მეცნიერებსა და მოგზაურ-მკვლევარებს. მათ დღიურებში, ჩანაწერებსა და ნაშრომებში რეგიონის მრავალი გეოგრაფიული ობიექტის სახელია ფიქსირებული და ლოკალიზებული.

თავი III

შავშეთის ტოპონიმიის სტრუქტურულ-გეოგრაფიული ანალიზი

შავშეთის ტოპონიმური ფონდი წარმომავლობის მიხედვით იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად:

1. ქართული ტოპონიმები;
2. თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები;
3. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები;
4. ზანური ტოპონიმები;

სულ საკვლევი რეგიონის ხუთ ათეულზე მეტი სოფლისა და ნასოფლარის გეოგრაფიული სახელების რაოდენობა აჭარბებს სამი ათას ერთეულს.

რეგიონის ქართული ტოპონიმური სახელები ძირითადად ისევე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეების გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის. ასევე მაღალია ქართული ტოპონიმების პროცენტობრივი მაჩვენებელი არაქართულ გეოგრაფიულ სახელებთან შეფარდებით (71,7%). წარმოების მიხედვით შავშეთ-იმერხევის ქართულ ტოპონიმურ მასალაში გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი:

1. უაფიქსო სახელები;
2. აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები:
 - ა) პრეფიქსური წარმოების სახელები;
 - ბ) სუფიქსური წარმოების სახელები;
 - გ) პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები;
3. რთული გეოგრაფიული სახელები.

3. 1. უაფიქსო სახელები

მარტივი სახელების მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი სახელები ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან. იშვიათად იცვლიან ფორმას. ნაკლებად განიცდიან ფუძისეულ ცვლილებებს და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან გეოგრაფიულ სახელთა უძველესი ისტორიის შესახებ.

ძველ ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურულ ძეგლებში ტოპონიმთა დიდი ნაწილი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი. ასეთი ტოპონიმების სემანტიკური მხარე ზოგჯერ დაბნელებულია.

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმურ მასალებში მარტივფუძიან სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: ახო სათესები (ზიოსი, უბე, ჯინალი, დასამობი, წეთილეთი, ხევწრული), ბოლო სათიბი (დაბაწვრილი), ბრილი ტყე, სოფ. უბანი (სხლობანი, დასამობი), ღუბე სათიბი (ზაქიეთი), ვაკე სათიბები (დაბაწვრილი, დიობანი, კუჭენი, სვირევეანი), ვან სათიბი, სათესი (დაბაწვრილი, სინკოთი), ველი სოფელი (შავშეთი), ვენახი სათესი, სათიბები (დასამობი, ჩაქველთა, წეთილეთი), ზეგანი სოფ. უბანი (ჩიხორი), კალო ტყე (ხევწრული), კონცხი საძოვარი (დიობანი), ლარ, ლაშე სათიბები (დაბაწვრილი, კარავათი), მერე სათესები (წყალსიმერი, დიობანი), მითი სოფ. უბანი (ოქრობაგეთი), მურყანი ტყე (კუჭენი), ტევრი ტყე (ტბეთი), უბე სოფელი (იმერხევი), ფაცხა სათიბი (წყალსიმერი), ფონ სათიბი (ჩართულეთი), ქარაფი სათიბი (დაბაწვრილი), ქედ მწვერვალი (კუჭენი), ღელე სათიბი, ღელე, ტყე (მამანელისი, ჭუარები, დაბაწვრილი), ყანა სათესი (ხობლევი), ციალი ტყე (უბე), წალკოთი/წალკოტი სათესი, სათიბი (ზაქიეთი, დაბა), წიახტი წყარო საძოვარი (წეთილეთი, იფხრეველი), წმინდა ეკლ. ნანგრ. (მიქელეთი), ჭოლო სოფ. უბანი, სათიბი (ქვ. სულისი, დაბაწვრილი), ჭოჭე სათიბი, საძოვრები (მაჩხატეთი, ჩაქველთა, დაბა, უბე), ხევი ღელე (იფხრეველი), ჯვარი/ჯუარი სათიბი, ეკლ. ნანგრ. (სვირევეანი, დიობანი, ზიოსი, მიქელეთი).

ქართულის არმცოდნე შავშელთა თურქულ მეტყველებაში ტოპონიმი ჩვეულებრივ წარმოდგენილია ფუძის სახით (ვან, ლარ, ფონ, ქედ...), რაც თურქული ენის ზეგავლენით აიხსნება, მარტივი ტოპონიმები უმთავრესად გამოხატულია არსებითი სახელით (ახო, მერე, კონცხი, ღელე, ყანა, ჭოჭე, ჯვარი...). იშვიათად – ზედსართავი სახელით (წმიდა...). ისინი საზღვრულდაკარგული გაარსებითებული სახელებია.

მარტივი ტოპონიმი გამჭვირვალეა, ის თვითონ გვაძლევს ხელშესახებ ცნობას მის წარმოშობაზე, ახასიათებს გარემოს და მიგვითითებს ამ მხარისათვის ან კონკრეტულად ამ ადგილისათვის დამახასიათებელ მეურნეობაზე, ისტორიულ წარსულზე (ახო, ბრილი, ვაკე, ველი, ჭოჭე, ჯვარი...). განვიხილავთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

ახო. ამ სახელწოდებით რამდენიმე გეოგრაფიული სახელია შავშეთში: ახოობის ქვეშ გარკვეული სამიწათმოქმედო სისტემა იგულისხმება. იგი ითვალისწინებს როგორც მუდმივად, ასევე პერიოდულად გამოყენებული სახნავ-სათესი ფართობის შექმნას ტყის გაკაფვის ხარჯზე, ე. ი. ახო ტყეში, ბუჩქნარში გატეხილი ყანაა. თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობით არის წარმოდგენილი „ახო“ ქართული ენის ლექსიკონებში: საბას მიხედვით ახო არის „საყანური გაკაფული“ (7, 83), დ. ჩუბინაშვილის ცნობით – „სახნავად გაკაფული ჭალა“ (95, 87). ვ. ჯანგიძის ცნობით, სიტყვა „ახო“ AXU ფორმით, როგორც ლექსიკური სუბსტრატი, დასტურდება საინგილოში მცხო-

ვრებ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში (121, 126). საინტერესოა აგრეთვე აკად. აკაკი შანიძის ცნობა, რომელიც მას აკად. ს. ჯიქიასათვის მიუწოდებია, რომ აზერბაიჯანში, ნუხის რაიონში არის ტოპონიმი ახიები (126, 213).

დუბე ჰქვია სათიბს სოფელ ზაქიეთში. ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა შეესაბამება ტოპონიმის შინაარსს. დუბე, საბას განმარტებით არის „დაბალი ადგილი“ (57, 225), ჩუბინაშვილის მიხედვითაც ასეა – „დაბალი ადგილი, ჩოლი“ (95, 483). დუბე ტოპონიმად დასტურდება ზემო აჭარაში და იქაც დაბალი, ჩავარდნილი ადგილის სახელია (74, 127).

ველი შავშეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფელია, რომელიც მდებარეობს შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადის შუა წელზე. XIX საუკუნეში აქ ცხოვრობდნენ ბეგები ხიმშიაშვილის გვარიდან, უფრო ადრე კი ეს სოფელი დიდაზნაურთა რეზიდენცია იყო. ველი ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ გ. ყაზბეგს, ნიკო მარს და სხვა მოგზაურებსა და მეცნიერებს. ისტორიული ტბეთისაკენ მიმავალმა მგზავრმა აუცილებლად უნდა გაიაროს სოფელ ველში, რადგან გზა ამ სოფელზე გადის. სოფელი აშენებულია ვრცელ, ამაღლებულ მინდორზე. აკი საბაც ასე განმარტავს „ველი – მინდორი დიდი“ (57, 258).

მერე მარტივი, საზოგადო სახელია. საბას მიხედვით „მერე მეედანი სწორი ვაკეა“ (57, 207). ხოლო „მეედანი – მეიდანი: სხუათა ენაა, ქართულად მერე, მინდორი და ფონი (57, 204). ივ. ჯავახიშვილი უფრო აკონკრეტებს მერეს განმარტებებს და გამოაქვს დასკვნა, რომლის მიხედვით „... მერე სწორი ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა, მაგრამ ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდება, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს, ირკვევა, რომ ტერმინი მთელ საქართველოში გავრცელებული იყო. ამიტომაც, რომ მერე საქართველოში ბევრგან გეოგრაფიულ სახელად გვხვდება“ (114, 127-128). მერე არის იმ სამ სოფელთაგან ერთ-ერთი, სადაც ვახტანგ მეფის ბრძანებით ეკლესია აუშენებიათ. მერე ხშირად გვხვდება რეგიონის მიკროტოპონიმიაში, თუმცა ასევე ხშირად დასტურდება შემთხვევები, როცა მერე ფუძეს გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დართული აქვს სუფიქსები: მერე-თა საძოვარი (ივეთი), მერ-ია სოფელი (შავშეთი). ანალოგიური მაგალითების მოტანა შეიძლება დღევანდელი საქართველოს მაკროტოპონიმებიდანაც: მერ(ე)-ევ-ი სოფელი იმერეთში (ჭიათურის რაიონი), მერ(ე)-ია – გურიაში (ოზურგეთის რაიონი), მერე-თი – ქართლში (გორის რაიონი), მერ(ე)-ის-ი – აჭარაში (ქედის რაიონი). მერე შედის კომპოზიტურ სახელებში: მერისწყარო – წყარო (ხოხლევთი).

მარტივი ტოპონიმების ერთი ნაწილის წარმოშობა და ეტიმოლოგია ნათელია, ამასთან ბევრია ისეთი გეოგრაფიული სახელი, რომელთა სემანტიკა გაურკვეველია: წურნაფი სათესი (წყალსიმერი), ქაფარი ტყე (მიქელეთი),

კვეთი ვაკე ადგილი. საძოვარი (უბე), წიახტი დაღმართი, წყარო (იფხრეელი, წეთილეი). გეოგრაფიული ობიექტის დღევანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება ადგილის სახელის ნამდვილ შინაარსს. სოფელ ჩიხორში მთას, მწვერვალს ჰქვია მინდორი, სოფელ წეთილეთში სათიბს – ვენახი. სავარაუდებელია, რომ ადრე ამ ადგილას ვენახი იყო გაშენებული. დღეს – სათიბად არის ქცეული. ტოპონიმი „კალო“ დაკავდასტურეთ ტყის სახელად სოფელ ხევწრულში. აქაც შეუსაბამობაა. კალონ//კალორ პიროვნული სახელია, რომელიც ასლაც დასტურდება ამ კუთხეში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმი კალო აღდგება, როგორც კალონის ტყე//კალორის ტყე. მ. ქამადაძის მიხედვით, „გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმები ზემო აჭარაში აფიქსითაა გაფორმებული. იშვიათ შემთხვევაში ადგილის სახელად გამოყენებულია პიროვნული სახელი ან გვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე: როსტომი გზა, ტყე (ნენია), აბრამაჟ სათ. (ჩირუხის მთა), ჯიმშერი, ჯაყელი სათიბები (ბაკო), კახაბერი სახნ. (ოქტ). და ა. შ. ეს სახელწოდებები რთული შედგენილობის ტოპონიმების ნაწილი უნდა იყოს. ე. ი. თავდაპირველად უნდა გვექონოდა ჯიმშერის სათიბი, ჯაყელის ყანა..., მაგრამ დროთა განმავლობაში ტოპონიმს ჩამოშორდა მეორე შემადგენელი ნაწილი და მხოლოდ პირის სახელი თუ გვარი დარჩა გეოგრაფიული ობიექტის სახელად“ (74, 46).

2.2. აზი:სხაპით ნაწარმოები ტოპონიმები

ა) ტოპონიმთა ოდენპრეფიქსული წარმოება

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ცნობილი, ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულ ტოპონიმიაში ნაკლები სიხშირით ხასიათდება (24; 74; 17).

პრეფიქსებია ნა- და სა.

ნა- პრეფიქსი დაერთვის როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფუძეებს და გამოსატაკს წინავეითარებას, რაც ჩვეულებრივ პრეფიქს-სუფიქსებით გამოიკვება.

„სა“- პრეფიქსი აწარმოებს მყოფადი დროის მიმღეობას საშუალი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან.

ნა- – ნამყო დროის მიმღეობას აგრეთვე საშუალი და ვნებითი გვარის შინაარსით... მიმღეობის წარმოებისას სუფიქსს ზმნის ფუძე არ დაირთავს (ნა-წერ-ი... ნა-გლეჯ-ი, ნა-ჭერ-ი...)“ (89, 183). საერთოდ, „ასეთი ტოპონიმები გასუბსტანტივებული ვნებითი გვარის წარსული დროის მიმღეობაა“ (123, 109).

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმურ მასალაში გვხვდება ორივე პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები:

ნა-: ნა-კაფი-ი ტყე, სათიბები (კუჭენი, სოფორო, ყვირაღა, ზენდაბა), ნა-ფლათ-ი საძოვარი, სათიბები (უბე, სოფორო, სხლობანი, ვერხვინალი), ნა-გუთნ-ი სათიბი, სათესი (ჩიხორი, ხევწრული), ნა-ბერწ-ი საძოვარი (ივეთი), ნა-სყიდ-ი სათესი (წეთილეთი), ნა-ნაჭრ-ი საძოვარი (წეთილეთი) და ა. შ.

სა-: სა-ბერწ-ი ტყე (დაბა), სა-სვენ-ი/სა-სუნ-ი წყარო, სათესი (წყალსიმერი, კარაკათი), სა-ქართ-ი სათესი (წყალსიმერი), სა-ვარტყი საძოვარი (წყალსიმერი), სა-ჯღომ-ი საძოვარი (წეთილეთი), სა-მწყავ-ი³⁹ სათიბი (ივეთი), სა-ჯად-ი/სა-ხად-ი⁴⁰ ტყე (ჩიხორი, მაჩხატეთი), სა-თიბ-ი ტყე (სხლობანი) და სხვ.

საკვლევ რეგიონში ორივე პრეფიქსით ნაწარმოები სახელები თითქმის თანაბარი რაოდენობისაა. შენიშნულია, რომ სა-პრეფიქსი უფრო მეტი პროდუქტულობით გამოირჩევა (89, 183). საკვლევ ტერიტორიაზე არ დასტურდება ოდენპრეფიქსული წარმოების ოიკონიმები.

ოდენპრეფიქსული წარმოების სახელებთან საზღვრული წევრი იგულისხმება. იგი ხშირად დაკარგულია. ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებში გვხვდება რამდენიმე ისეთი შემთხვევა, სადაც ეს წევრი შენარჩუნებულია. ეს უმეტესად ეხება სა- პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებს: საბუქრიწვერი საძოვარი (მანატბა), სათიბიწყარო საძოვარი, წყარო (ბახგირეთი), საპატკნიძირი გამოქვაბული (ზაქიეთი), ნაგუთნითავე საძოვარი (ხევწრული). ადგილზე დაუადასტურეთ ტოპონიმი გაღმა საკაფი სათიბი (სვირევანი). ამ თხზულ ტოპონიმში სა- პრეფიქსით ნაწარმოები სიტყვის საზღვრული წევრი დაკარგული ჩანს. შეიძლება აღვადგინოთ – გაღმა საკაფი ტყე. თუმცა არ არის „გამორიცხული, რომ სათიბი, სათიბი და მისთანა სახელები ზოგჯერ პირდაპირ შერქმეოდა ადგილს და იმთავითვე არ გვექონოდა საზღვრულები, რადგან ნა- და სა- პრეფიქსებიანი ფორმები საქმარისად გამოხატავს სახელწოდების ძირითად ზოგად შინაარსს“ (74, 20).

ბ) სუფიქსური წარმოების ტოპონიმები

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიში განსაკუთრებული პროდუქტულობით გამოირჩევა სუფიქსური წარმოება. ეს სუფიქსებია: -ა, -ია, -იან, -იენტ, -იეთ, -თ-ი, -თ, -ათ, -ათ-ა, -თა, -ებ, -ობ//ობ-ა, -ურ//ულ, -ნარ//ნალ, -ოვან და სხვ.

-ა სუფიქსი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტოპოფორმანტია საკვლევი რეგიონის ტოპონიმიში. იგი დაერთვის როგორც მარტივ, ასევე რთ-

ულ ფუძეებს. კვხედება მეორე მაწარმოებლად. აწარმოებს კნინობისი, დანი-
შნულების. წარმოძავლობის, ქონების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს.

-ა სუფიქსი ტოპონიმებს აწარმოებს არსებითი სახელისაგან: ბელელ-ა სა-
თიბი (ახალდაბა), ბოსტან-ა-დ სათესი (სვირეკანი), გორ-ა ტყე (დაბა), გუ-
გულ-ა სათიბი (ახალდაბა), ველ-ა-დ საძოვარი (წეთილეთი, წყალსიმერი).
ზურგ-ა სათესი (მამანელიისი), იფრან-ა საძოვარი (წყალსიმერი) კორტოხ-ა
სათიბი (დაბაწერილი), სარტყელ-ა სათიბები (ზიოსი, წყალსიმერი, უბე).
ფონ-ა-დ წყარო, ღელე, საძოვარი, სათესი (სხლობანი, იფსრეელი, დაბა, ტბე-
თი). ქედ-ა ტყე, საძოვარი (ზაქიეთი, იფსრეელი), ღარ-ა ტყე (დაბა), შუბლ-
ა-დ სათესი (ხევწრული), ჩანჩქერ-ა ჩანჩქერი (ტბეთი), ზევ-ა მთა, სათიბი
(იფსრეელი, ქოთეთრისი)... -ა დაერთვის სახელებს მეორე სუფიქსად: ქუ-იანა
საძოვარი (მიქელეთი), ჭედრ-ა-ულ-ა საძოვარი (დასამობი), ჭერ-ულ-ა სათესი
(ზიოსი), ჯირკ-ნალ-ა სათესი (ზიოსი); ზედსართავი სახელისაგან: გრძელ-
ა//გზელ-ა საძოვარი, სათიბები (ჩაქველთა, დაბა, ზიოსი), გვალ-ა სოფ. უბანი
(დასამობი), ვერან-ა სოფ. უბანი (ხანთუშეთი), ლურჯ-ა სათიბი (სინკოთი),
პატერეკ-ა¹ სათიბი (ტბეთი), ჩიდილ-ა ტყე (ზიოსი); საწყისისაგან: მაჯლ-
ანა სათიბი (ახალდაბა), ღარღალ-ა-დ საძოვარი (იფსრეელი), ყვირალ-ა სო-
ფელი, მდინარე (შავშეთი), შიმშილ-ა სათიბი (მამანელიისი), ჭიდილ-ა საძო-
ვარი (წეთილეთი)... მიმღობისაგან: მოდრეკილ-ა-დ საძოვარი (წყალსიმერი),
საგორავ-ა-დ საძოვარი (მანატბა), ჩაკიდულ-ა-დ სათესი, საძოვრები (სინკ-
ოთი, ზაქიეთი, ჩაქველთა, მანატბა)...

-ა სუფიქსი ხშირად დაერთვის რთულ სახელებს: ბერქედ-ა-დ სათიბი
(წეთილეთი), დიდელ-ა ტყე (დაბაწერილი), კართავ-ა-დ საძოვარი (მან-
ხატეთი), კილდიკარ-ა სათიბი (წყალსიმერი), კლდითავ-ა-დ სათიბი (სვირეკ-
ანი), კოდიქეთ-ა-დ სათიბი (დასამობი), კუდმოზუერ-ა-დ საძოვარი (წეთილ-
ეთი), პაპასათიბელ-ა-დ სათიბი (ბაზგირეთი), სხალფილ-ა სოფ. უბანი (სვი-
რეკანი), ტყიბირ-ა-დ საძოვარი (მანხატეთი), ფაფასელ-ა სათიბი (კუჭენი),
ქუაბიკარ-ა ტყე (ხევწრული, წყალსიმერი), ქუატბლ-ა საძოვარი (ხობლევი),
ქუაჯამ-ა სათიბი (წყალსიმერი), ჭურიბირა-დ სათესი (ივეთი), ხოფურ-ა
საძოვარი (ზიოსი). გვაქვს შემთხვევები, როცა კომპოზიციის ორივე წევრი
დაირთავს -ა სუფიქსს: ველ-ა გზელ-ა საძოვარი (ჭუარები), ჩანჩ-ა ღარ-ა
საძოვარი (სხლობანი)...

„-ა სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის საზღვრულდაკარგუ-
ლი ფორმა ჩანს: ონავირ-ა, აკვან-ა ტიპის სახელებთან იგულისხმება საზღვ-
რული წევრი: მთა, სერი, გორი... ასეთ ტოპონიმებში -ა საზღვრულის
ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“ (74, 20-21). დასტურდება საზღვრულშენარჩ-
უნებული ფორმები: აკვან-ა სერი სათიბი (ზაქიეთი), ბოდვერ-ა ხევი ღელე

(მანატბა), კრიჭ-ა სერი მთა (იფხრეველი), მომწვარ-ა-ს წყარო წყარო (ბაზგი-რეთი), როგორც ვხედავთ, მსაზღვრელი წევრის ბრუნვის ნიშანი უმეტე-სწილად მოკვეცილია. ტოპონიმების ერთ ნაწილს დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი, რომელიც დ-ს სახით არის წარმოდგენილი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში -ა სუფიქსის შესახებ საინტერესო მოსაზრებები და დებულებები გამოთქვენ აკადემიკოსებმა აკ. შანიძემ და ს. ჯანაშიამ. აგრეთვე მკვლევარებმა თ. ზურაბიშვილმა, ფ. მაკალათიამ, პ. ცხადაიამ, გ. ბედოშვილმა, ა. მანჯგალაძემ, ა. პაპიძემ, რ. ძნელაძემ, ო. კახაძემ და სხვებმა (83; 118; 24; 42; 12; 43; 104; 34).

აკად. აკაკი შანიძე -ა სუფიქსს -აკ კნინობითიდან მიღებულად მიიჩნევს. ჯანაშიას მიხედვით, -ა სუფიქსისთვის მთავარი არის მასუბსტანტივებელი ფუნქცია. ამ აზრს იზიარებს ფ. მაკალათია, რომელიც აზუსტებს, „რომ -ა არ არის კნინობითის ან ქონება-თვისების აღმნიშვნელი სუფიქსი, მას სხვა ფუნქცია აკისრია, კერძოდ, საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელს – ზედსართავ სახელს ან მიმღობას აარსებითებს“ (41, 44). თ. ზურაბიშვილმა კი ხაზი გაუსვა -ა სუფიქსის კნინობით, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღნიშვნის ფუნქციებს (25, 224). მ. ქამადაძე აღნიშნავს, რომ „ზემო აჭარ-ის ტოპონიმიაში -ა საკმაოდ გავრცელებული სადერივაციო აფიქსია. მას აქვს მაკნინებელი ფუნქცია (გეერდ-ა), აღნიშნავს მსგავსებას (მანგალ-ა, ონაგირ-ა, აკვან-ა...), მიუთითებს ქონებაზე (გულდიდ-ა), ასევე თვისებაზე (ფშნილ-ა-დ)“ (74, 21).

-ია სუფიქსით წარმოებული გეოგრაფიული სახელები შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში მცირე რაოდენობით დასტურდება. -ია აწარმოებს რამდენიმე ოიკონიმს: ანკლ-ია⁴², მერ-ია, ციხ-ია⁴³. გვხვდება მიკროტოპონიმებში: ბუჭ-ია სათიბი (ბაზგირეთი), გორ-ია საძოვარი (ხევწრული), ვაკ-ია-დ საძოვრები (ზაქიეთი, წყალსიმერი), კიბ-ია საძოვარი (იფხრეველი), ნუკრ-ია საძოვარი (სვირევანი), ტყ-ია-დ ტყე (ზაქიეთი), ჭა-ია-დ საძოვარი (ხევწრული).

-ია დაბოლოებიანი სახელები უფრო მეტად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში (კერძოდ, იმერეთი, სამეგრელო): ანარ-ია, აკვან-ია, რომა-ია, სალ-ია, სეერგ-ია, ფოფრ-ია, ჩახალ-ია, ხიც-ია... (123, 110), ანაკლ-ია, ზღვა-ია, ფოქვა-ია, ტობა-ია, მინდორ-ია... (129, 92). ამ უკანასკნელ ტოპონიმებში ხაზგასმულია სახელდებული ობიექტების სიმ-ცირე. -ია სუფიქსი საზოგადოდ გამოხატავს კნინობით, სააღერსო ფორმებს: და-ია, ძამ-ია... (83, 120).

ასევე შეზღუდულია რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში – იან სუფიქსით ნაწარმოები სახელები: ატ-იანი//ათ-იანი-ი⁴⁴ ტყე, მთა (სინკოთი, იფხრეველი), ბაზ-იანი-ი ტყე (სხლობანი), ღორბლ-იანი-ი სათიბი (წითვეთი),

კენჭიანი⁴⁵ მთა არსიანის ქედზე (აჭარა-შავშეთი), ლოდ-იანი სათიბი (სხლობანი), სოტ-იანი სათიბი (ზაქიეთი), ქუშ-იანი (← ქვიშიანი) საძოვარი (ტბეთი)... -იან სუფიქსი გვხვდება კომპოზიტურ წარმოებაშიც: წყლ-იანი დელე დელე (დიობანი), ნარ-იანი აზო სათესი (მანატბა). „-იან სუფიქსი ქართულში თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ წარმოშობის, შთამომავლობის, მიმდევრობის აღსანიშნავად, შემდგომში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი იხმარება რისიმე ყოლისა და ქონების აღსანიშნავად. სწორედ ამ მნიშვნელობით არის ნახმარი გეოგრაფიულ სახელებში: ვაჩიანი, ვაზიანი, თელიანი, ლელიანი, მუხიანი“ (129). ეს სუფიქსი აწარმოებს ტოპონიმებს იმის მიხედვით, თუ რა არის ნიშანდობლივი ამ ადგილზე, ან როგორია ადგილი ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. სახელწოდებებში კენჭიანი, ლოდიანი, -იანი სუფიქსი მიგვითითებს კენჭის, ლოდის სიმრავლეზე. -იან რთული სუფიქსია. ივარაუდება მისი მიღების ორი გზა: ა) -ივ-ან → -იან; ბ) -ევ-ან → -ევან → -იან (-ვა კომპლექსის დისიმილაციით → -ია) (129-215).

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში განსაკუთრებით დიდია -იენტ, -იეთ და -ეთ სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმების ხვედრითი წილი.

- იენტ სუფიქსი - იანთ რთული სუფიქსის ფონეტიკურ ნაირსახეობადაა მიჩნეული და აღნიშნავს კუთვნილება-შთამომავლობას (129, 221). -იენტ, -იეთ სუფიქსები იმდენად ხშირად გვხვდება საკვლევე რეგიონის ტოპონიმში, რომ ისინი ამ მხარის გეოგრაფიული ნომენკლატურის სპეციფიკურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. რეგიონის მსხვილ დასახლებულ პუნქტებში შედის ცალკეული უბნები, ე. წ. „მეჰელე“//„მაჰალე“. სადაც, როგორც წესი, ერთი წარმომავლობის გვაროვნული ოჯახები ცხოვრობენ. ასეთ სახელებს დართული აქვთ კუთვნილება-შთამომავლობის აღმნიშვნელი -იენტ, -იეთ სუფიქსები: აბრამ-იენტ-ი სოფლის უბანი (ხვეწრული), ბათ-იენტ-ი სოფლის უბანი (წყალსიმერი), დარბაზ-იენტ-ი სოფლის უბანი (მანატბა), კოსოლ-იენტ-ი სოფლის უბანი (მანატბა), კუკულ-იენტ-ი სოფლის უბანი (უბე) და მიგვანიშნებენ იმაზე, რომ აქ ცხოვრობენ აბრამიდის, ბათაძის, დარბაზიდის, კოსოლიძის. კუკულაძის შთამომავალნი. სოფელ ხოხლევის უბნებია: გორგ-იეთ-ი, ლომ-იეთ-ი, მესხ-იეთ-ი. ეს უბნები შესაბამისად განეკუთვნება გორგაძეების, ლომიძეების, მესხიძეების საგვარეულოებს. ქართული შტო-გვარების წარმოების საკითხებს ქვემოთ სპეციალურ თავში მიმოვიხილავთ.

ნიკო მარის მიხედვით, -ეთ სუფიქსი „...ითვლება ქვეყნის, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდებების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნების, სახელწოდებათა მაწარმოებლად“ (44, 36). -ეთ სუფიქსი აკაკი შანიძეს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სუფიქსად მიაჩნია გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში. იგი „უშუალოდ დაერთვის საზოგადო

სახელთა ფუძეს: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი... განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისაგან იმავე ეთ-ის საშუალებით გეოგრ. სახელები კეთდება: ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, მთიულეთ-ი... (86, 198). არნოლდ ჩიქობავას მიხედვით, -ეთ სუფიქსი „რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს ნიშნავს“ (90, 308). შავშეთის ისტორიული სოფლის – ტბეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავს, რომ მან „მოიგო სახელი ესე მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ (9, 678). ე. ი. ტბეთი დაერქვა სახელად ადგილს ტბების გამო, ტბეთი ტბებიანი ადგილია. ამჟამად ტბეთელები თავიანთი სოფლის სახელს გამოთქვამენ ფორმით – ტიბეთ (შდრ. კილდე, კიბილი, ტკიბილი...)

- ეთ აწარმოებს ოიკონიმებს: ბაზგირ-ეთ-ი, ივე-ეთ-ი, მაჩხატ-ეთ-ი, მიქელ-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, წეთილ-ეთ-ი, წითე-ეთ-ი, ოქრობაგ-ეთ-ი. იგი პროდუქტულია რეგიონის მიკროტოპონიმიაშიც: ასალმ-ეთ-ი საძოვარი (ჭუარები), გოგოლ-ეთ-ი სოფ. უბანი (ახალდაბა), ვაკე-(ე)თ-ი (← ვაკე-ეთ-ი) სათიბი (ზაქიეთი), თაუზ-ეთ-ი სოფ. უბანი (დაბაწვრილი), თეთროზ-ეთ-ი სათესი (მანატბა), კარ-ეთ-ი მთა, საძოვარი. სათიბი (უბე, ზაქიეთი, ხევწრული), ნადირ-ეთ-ი ტყე (ივეთი), ორონიკ-ეთ-ი სათესი (ზაქიეთი), პერან-ეთ-ი სოფ. უბანი (სხლობანი), სუან-ეთ-ი სათიბი (ივეთი), უკან-ეთ-ი სოფ. საძოვარი, სათესი (ზიოსი, წეთილეთი), ფიქალ-ეთ-ი სათიბი (მაჩხატეთი), ციალ-ეთ-ი სოფ. უბანი (დიობანი), ხილვ-ეთ-ი სათესი (მოქტა). -ეთ სუფიქსით გაფორმებულია ფლორისა და ფაუნისაგან მომდინარე ტოპონიმები: ბარდ-ეთ-ი სათესი (ჯინალი), ბაზგირ-ეთ-ი სოფელი (იმერხევი). ზუარ-ეთ-ი სათესი (მიქელეთი), კუტალ-ეთ-ი⁴⁶ სოფ. უბანი (სვირევანი). ხშირ შემთხვევაში -ეთ სუფიქსი დაერთვის მეორე მაწარმოებლად: თეთრ-აკ-ეთ-ი სოფ. უბანი (ჩიხორი), მალღ-ის-ეთ-ი მთა (ქოთეთრისი) და სხვ.

-თი მოქმედებითი ბრუნვის -ით ნიშნის ნაირსახეობა ფუძეუკვეცელ სახელებში. შედგება ბრუნვის ნიშნისეული -თ(←-ით) და ემფატიკურად მიჩნეული -ი სუფიქსისაგან (129, 1930). შავშეთ-იმერხევის ტოპონიმურ მასალაში ამ სუფიქსით გაფორმებული ბევრი ტოპონიმი დასტურდება: -თი დაერთვის ფუძეხმოვნთან სახელებს: ბიბო-თ-ი სათესი (ზიოსი), კვირო-თ-ი სათიბი (იფხრეელი), ლაშე-თ-ი სამკურნალო წყალი, სათიბი (კუჭენი, ბაზგირეთი), წყარო-თ-ი წყაროები (უბე), ჭალა-თ-ი სათიბი, საძოვარი. სათესი (ქოთეთრისი, უბე, ვერხვინალი)... -თი სუფიქსი გვხვდება თანხმოვანფუძიან სახელებთანაც: კორკ-თ-ი წყარო (უბე), ვარდ-თ-ი⁴⁷ სოფლის უბანი (წეთილეთი), ბრავალ-თ-ი სათიბი (იფხრეელი)...

-თ მრავლობითი სუფიქსით ნაწარმოები სახელები გამოხატავენ სიმრავლეს ან კრებითობას: აკვან-თ სათიბი (სხლობანი), გომ-თ სათიბი. ტყე (კუჭ-

ენი, კარავათი), ველ-თ საძოვარი (მიქელეთი), ზოლ-თ საძოვარი (მამანელი-
ისი), კატარ-თ სათიბი (ჯინალი), ურჩხ-თ სათესი (წყალსიმერი), ფიქალ-თ
სათიბი (ქოთეთრისი), ქუაბ-თ სათიბი (ხოხლევი)... -თ-ი და -თ სუფიქსები
დაერთვის სახელის ფუძეს მეორე მაწარმოებლად: ლეკ-ნარ-თ-ი სათიბი (ზა-
ქიეთი), ნატურ-ალ-თ საძოვარი (ციხია), კუჭ-ან-თ ტყე (წითვეთი).

შავშეთის ტოპონიმიაში პროდუქტულია -ათ სუფიქსი, რომელიც ტოპონ-
იმებს აწარმოებს ძირითადად საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან, იშვიათად
ეთნონიმებისაგან და ანთროპონიმებისაგან: აბაზ-ათ-ი სათიბი (სინკოთი),
აბრამ-ათ-ი სათესი (მოქეთა), ავაზან-ათ-ი სათიბი, სათესი (წყალსიმერი,
ვანთა), ბაკ-ათ-ი სათიბები (ხოხლევი, ჯინალი), ბასილ-ათ ტყე (სინკოთი),
ბორბალ-ათ-ი ტყე (წეთილეთი), ბუჭ-ათ-ი სოფ. უბანი, სათიბი (ვანთა,
ხოხლევი), გაბლ-ათ საძოვარი (მამანელისი), გობ-ათ სათიბი (სათლელ-
რაბათი), გოდორ-ათ ტყე (დაბაწვრილი), გორ-ათ-ი მთა (ჩაქველთა), დავლ-
ათ-ი სოფ. უბანი (დასამობი), ღუმ-ათ-ი კლდე, სათიბი (მორღელი, მამანელ-
ისი), ვან-ათ-ი საძოვარი (მანატბა), ველ-ათ-ი სათიბი (ჯინალი), თეთრ-ათ
სათიბი (ვერხვინალი), კაპან-ათ-ი საძოვარი (უბე), კუჭ-ათ⁴⁸ სათესი (წით-
ვეთი), კულ-ათ ტყე (ტბეთი), მალალ-ათ სათიბი (ჭუარები), მესხ-ათ სათესი
(ჭუარები), სანებ-ათ-ი სათიბი (დიობანი), სენ-ათ-ი სათესი (ზიოსი), ფერდ-
ათ-ი სათიბი (ბაზვირეთი), ქარაფ-ათ-ი ტყე, სათესი (ჩიხორი, სვირევეანი),
ქედ-ათ-ი სოფ. უბანი, საძოვარი, სათიბი (სხლობანი, მამანელისი, ჭუარები),
ქოთან-ათ-ი//ქეთან-ათ-ი სათიბები (მოქეთა, ზაქიეთი), წყარო-ათ-ი წყარო
(წეთილეთი), ჭურ-ათ-ი⁴⁹ სათიბი (ტბეთი), ჯარ-ათ-ი სოფელი (შავშეთი)... -
ათ დაერთვის მეორე მაწარმოებლად: გვერდ-ნალ-ათ-ი სათიბი (ზაქიეთი).
კარ-ის-ათ-ი მთა (მიქელეთი), მორჩე-ნალ-ათ-ი სათიბი (უბე), ნარ-ის-ათ-ი
საძოვარი (კუჭენი), ქედ-ის-ათ-ი ტყე (ტბეთი), ჭერ-ულ-ათ-ი ტყე (წითვეთი).
ძალზე იშვიათია -ათ-ა წარმოების სახელები: მახვილ-ათ-ა გზა (ზიოსი).
ნისლ-ათ-ა მთა, საძოვარი, ტყე (კარავათი, წითვეთი, ციხისძირი).

-თა სუფიქსი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია
საზღვრულდაკარგული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად. -თა -თან
თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობაა, რომელიც მიღებულია ბოლოკიდუ-
რი ნ სონანტის დაკარგვით (129, 186). -თა-ზე გათავებული სახელები აკაკი
შანიძის მიხედვით ნაგენეტივარი სახელებია, „რომელთაც... მრავლობითის
გაგება აღარ აქვთ და ისე იბრუნვიან. როგორც -ა-ზე გათავებული მხოლ-
ობითი რიცხვის სახელები... ეს ის სახელებია, რომელთაც რაღაც საზღვ-
რული (დაბა, სოფელი, ციხე, ქალაქი და სხვა) უნდა ჰქონოდათ ერთ დროს,
მაგრამ საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაკარგვია პირვანდელი
მნიშვნელობა და ახალი მიუღია...“ (83, 115). -თა სუფიქსის ფუნქციები
ქართველური ენების ტოპონიმებში ვერცლად მიმოიხილა ვ. თოფურიაშვილმა ნაშ-

რომში „გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში“, სადაც აღნიშნულია, რომ -თა სუფიქსიან სახელებს „დროთა ვითარებაში უნდა დაჰკარგოდათ მეორე შემადგენელი ნაწილი და ჰქონოდათ ემფატიკური ა, რის შედეგსაც უნდა წარმოადგენდნენ ასეთი სახელები: ანგელოსთა (მდინ). ბალთა, ბერთა, ბზათა, ბოსელთა...“ (29, 288).

შავშეთის ტოპონიმიში დასტურდება მხოლოდ საზღვრულდაკარგული -თა სუფიქსით ნაწარმოები სახელები: ბარ-თა ტყე (ველი), ბორ-თა საძოვარი (იფხრეველი), ბზა-თა სოფ. უბანი (წყალსიმერი), ბოსელ-თა ტყე (დაბა), ვან-თა სოფელი (შავშეთი), მოქვ-თა სოფელი (შავშეთი), ფიქალ-თა საძოვარი (ხობლევნი), ჩიხვ-თა/ჩიხვ-ტა სოფელი (იმერხევი), მერე-თა საძოვარი (ივეთი), ხანძ-თა საძოვარი (უბე). -თა სუფიქსი მეორე მაწარმოებლად ერთვის სახელს: ბარ-ელ-თა სათიბი (ზაქიეთი), გობ-იან-თა სათიბი (ჩართულეთი), ლოლ-იან-თა სათიბი (ხანთუშეთი), მაჭარ-ელ-თა სათიბი (სათლელ-რაბათი), ჩაქვ-ელ-თა⁵⁰ სოფელი (იმერხევი) და ა. შ.

შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიულ სახელებში – ებ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ ფორმანტით მიკროტოპონიმები იწარმოება. არ დასტურდება ოიკონიმებში მისი ხმარების არც ერთი შემთხვევა. ეს ფაქტი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიკროტოპონიმი ახლოს დგას საზოგადო სახელთან და ბუნებრივია მხოლოდ მას სჭირდება საზოგადო სახელთაგან გამიჯვნა.

– ებ ფორმანტის ძირითადი ფუნქცია მრავლობითობის აღნიშვნაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი მიგვანიშნებს სახელდებული ტოპონიმის არა სიმრავლეზე, არამედ სიდიდეზე. აკაკი შანიძე წერს, რომ „ზოგიერთი სახელი მრავლობითი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარ აქვს; განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში: რკონი, მსხლები, კოშკები. ქეები... მოწამეთა, ჩხიკეთა, ცაბაურთა და სხვა“ (83, 80). ფ. მაკალათიას აზრით, „სემანტიკური თვალსაზრისით მრავლობითის სუფიქსებით (-ებ, -ნ, -თ) გაფორმებულ ტოპონიმთა ანალიზისას გასათვალისწინებელია შემდეგი: ა) ტოპონიმში წარმოდგენილია აღსანიშნ გეოგრაფიულ ობიექტთა სიმრავლე (ეწერები, წყაროები...), აღსანიშნ გეოგრაფიულ ობიექტზე ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა სიმრავლე (ვაშლები, ზარნაძეები...). ან აღსანიშნ გეოგრაფიული ობიექტის მფლობელთა სიმრავლე (მოწამეთა, ცაბაურთა...). ეს უკანასკნელი სახელები... წარმოშობით საზღვრულწაყარდნილი მსაზღვრელი სახელებია; -თა – აღნიშნავს მსაზღვრელის და არა საზღვრულის აღსანიშნ გეოგრაფიული ობიექტის სიმრავლეს. ნომინაციის პერიოდში ტოპონიმი აღსანიშნ ობიექტთა რეალურ სიმრავლეს ასახავდა. რაც მრავლობითის ფორმით წარმოდგენილმა საზღვრულწაყარდნილმა ატრიბუტმა მსაზღვრელმა იტვირთა (სასვილები-

სასვილე მამულები; რიგ შემთხვევაში გაარსებითებული ზედსართავი სახელი თუ მიმღობა იმთავითვე საზღვრულის გარეშეა აღებული (მაღალაები, ნამპ-აღნი...)“ (40, 115).

შავშეთის ტოპონიმიში -ებ სუფიქსი ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს, იშვიათად დაერთვის ეთნონიმურ ფუძეს: მეგრელ-ებ-ი⁵¹ სოფ. უბანი (ხევწრული), მიქაძე-ებ-ი სოფ. უბანი (ზაქიეთი), უნიალ-ებ-ი⁵² სოფ. უბანი (ზაქიეთი), ჩაქურიძე-ებ-ი სოფ. უბანი (ზაქიეთი)... ტოპონიმის ფუძედ აღებულია საზოგადო სახელი: ახო-ებ-ი სათესი (ჩიხორი), ბუჭ-ებ-ი ტყე (მანჩხატეთი), გვერდ-ებ-ი, სათიბი (წყალსიმერი), გომ-ებ-ი სათესი (უბე). ვენახები სათესი (სვირეკანი), კორდ-ებ-ი ტყე (მანჩხატეთი), სორო-ებ-ი გვირაბი (იფხრეველი), ყან-ებ-ი სათესი (წეთილეთი), ყლარჭე-ებ-ი⁵³ სათიბი (წეთილეთი), ხევ-ებ-ი სათიბი (წეთილეთი).

აღსანიშნავია, რომ -ებ სუფიქსი განსაკუთრებული პროდუქტულობით გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ერწო-თიანეთი, ხევი...) და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონის (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა...) ტოპონიმიში (12; 30; 123; 3; 61; 74).

-ობ//ობ-ა დაერთვის სახელის ფუძეს და ახასიათებს რაიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით (129, 338). როგორც ა. შანიძე წერს: -ობა... სუფიქსი საწყისური (მასდარული) წარმოშობისაა და რთულია: -ობ-ა. დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან... დამოუკიდებლად -ობ სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება, ესენია: მაღლ-ობ-ი, /მ/ დაბლ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ბექ-ობ-ი ანუ ბეგ-ობ-ი“ (83, 131-132). თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს: „გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია -ობ//ობ-ა ბოლოსართიც, რომელიც საერთოდ აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს; ტოპონიმურ სახელებში კი მას კრებითი, ქონების მნიშვნელობა აქვს. კუერცხობი, ორჭობი, იფნობი, ვაშლობი...“ (24, 151).

საკვლევ რეგიონში -ობ//ობ-ა სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები მცირე რაოდენობით დასტურდება: გარყილ-ობ-ი//გარყლ-ობ-ა⁵⁵ სოფელი (იმერხევი), წითლ-ობ-ი საძოვარი, სათესი (წეთილეთი, მანჩხატეთი), წიწლ-ობ-ი საძოვარი (კარავათი), ხეობ-ა ხევი (მანატა, მანჩხატეთი), -ობ- ფორმანტში მეღერ ბ თანხმოვანს ცვლის ფშვინვიერი ფ თანხმოვანი, ვლებულობთ - ოფ სუფიქსს; თეთრ-ოფ-ი ტყე, საძოვარი (სხლობანი, დაბაწვრილი), წისლ-ოფ-ი მთა (ტბეთი).

-ურ(//-ულ-, -ურ-ა(//-ულ-ა):

შავშეთის ტოპონიმიში საკმაოდ ხშირია -ურ(//-ულ), -ურ-ა(//-ულ-ა) სუფიქსებით გაფორმებული სახელები: ბორჯ-ურ-ი სათიბი (სხლობანი), თერძ-ულ-ი სათესი (ხევწრული), კიკივ-ურ-ი სათიბი (ტბეთი). კოხ-ურ-ი საძოვარი

(ტბეთი), ფანჩატ-ურ-ი სათიბი (ხანთუშეთი), წიქარ-ულ-ი საძოვარი (ხევწ-რული), ბერაგა-ულ-ა საძოვარი (სინკოთი), თელეკ-ურ-ა⁵⁶ სათიბი (დაბაწვ-რილი), ხოჭო-ურ-ა სათიბი (ქოთეთრისი).

გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ნაწარმოებია -ოურ (//-ოულ), -ოურ-ა (//-ოულ-ა) სუფიქსებით: კოტრ-ოულ-ი სათიბი (კარავათი) კოჭბ-ოურ-ი საძოვარი (სათლელ-რაბათი), კოჭ-ოვრ-ი (- კოჭ-ოურ-ი) სათიბი (ხევწრული), გორგ-ოვლ-ი (- გორგ-ოულ-ი - გორგ-ოურ-ი) სათიბი (დაბა), კორძ-ოვლ-ა (- კორძ-ოულ-ა - კორძ-ოურ-ა) სათიბი (მანატბა), გორამ-ოვლ-ა (- გორამ-ოულ-ა - გორამ-ოურ-ა) სათესი (დაბა).

-იური-:

ეს რთული სუფიქსია: -იეჲურ (-იეჲულ), რომელიც აწარმოებს კუთვნ-ილება-წარმომავლობის სახელებს და ჩვეულებივ დაერთვის არსებითი სახე-ლის ფუძეს. საკვლევ რეგიონში ასეთი წარმოების სახელები იშვიათია; აფთ-იური სათესი (ველი), ბოსტნ-იური სათესი (მაჩხატეთი). ფხიკ-იური სოფ. უბანი (დასამობი), ყანდ-იური სოფ. უბანი (მორღელი)...

-ეურ (//-ეულ, -ეურ-ა (// -ეულ-ა):

-ეულ აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლის -ეულ -ი, ერის-თვის-ეული... ეს სუფიქსი შეი-ძლება პირდაპირ ფუძესაც დაერთოს: მამა-პაპ-ეული, მთ-ეული (→ მთ-იული)" (86, 129). შედგენილობით -ეულ- რთული სუფიქსია (←ევ + ულ) რომელიც კუთვნილებას, განკუთვნიებას და წარმომავლობას გამოხატავს: მა-კრატ-ეულ-ი ტყე (მიქელეთი), მალარ-ეულ-ი ტყე (ახალდაბა).

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმურ მასალაში ამ რთული სუფიქსის მეორე შემადგენელი ნაწილის (-ულ) ხმოვანი უ მოკვეცილია და ხშირად დართული აქვს -ა სუფიქსი: -ევ- (უ)ლჲა → ევლჲა სუფიქსი დაერთვის სახელის ფუძეს: გევ-ევრ-ა სათიბი (კარავათი), მესხ-ევრ-ა-ჯ სათესი (წეთილეთი), კევ-ევრ-ი სათესი (დასამობი), ბერ-ევლ-ა სათიბი (მამანელისი). ლურჯ-ევლ-ა სათესი (ახალდაბა), მახარ-ევლ-ა სათიბი (სხლობანი), მორბედ-ევლ-ა სათიბი (დაბაწვრილი), მუნჯ-ევლ-ა სათესი (ახალდაბა), ქერ-ევლ-ა სათიბი (წეთილ-ეთი), ყარჩ-ევლ-ა სათიბი (ციხია), ჭერ-ევლ-ა საძოვარი (ჭუარები), ანალ-ოვიური წარმოებისაა იფხრ-ევლ-ი⁵⁷ სოფელი (იმერხევი).

-ნარ (//-ნალ), -ნარ-ა (//-ნალ-ა):

შავშეთის ტოპონიმიაში პროდუქტულია -ნარ(//-ნალ) ტოპოფორმანტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში გართულებულია ა ხმოვნით. იგი დაერთვის უმეტეს შემთხვევაში მცენარეთა სახელების ფუძეს, აღნიშნავს კრებითობას.

აწარმოებს ძირითადად მიკროტოპონიმებს. ივარაუდება, რომ -ნარ რთული შედგენილობისაა: - ნ -არ, სადაც -ნ მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია, -არ კრებითობისა (129, 318): არყი-ნალ-ი// არყ-ნალ-ი ტყე (წეთილეთი, ხანთუშეთი). ვერხვი-ნალ-ი სოფელი (შავშეთი), თლ-ნარ⁵⁸ სათესი (ტბეთი), იან-ნარ-ა-ღ საძოვარი (წყალსიმერი), კარწ-ნალ-ი სათიბი (ივეთი), მუხ-ნერ⁵⁹ ტყე (ქვედა სულისი), მორჩე-ნალ-ა-⁶⁰ საძოვარი (იფხრეელი), მომწე-ნარ-ა-ღ სათიბი (ბაზვირეთი). სხალ-ნარ-ი სოფ. უბანი, სათიბი (ხევწრული, ციხია, ზიოსი), სოჭ-ნარ-ი ტყე (ახალდაბა), ფუტკ-ნარ-ა მთა (ჩიხეთა), ჭოჭ-ნარ-ი საძოვარი (კუჭენი), ჭოლ-ნარ-ი ტყე (ივეთი).

-ოვან-//-ოვან-ა:

-ოვან სუფიქსი უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულში, ვიდრე ახალში. ქართული ენის ზოგ დიალექტში ეს სუფიქსი ახალ ფუნქციას იძენს: „ოვ-ან სუფიქსი არა მარტო აწარმოებს არსებით სახელთა ფუძეს, არამედ გვხვდება ვითარებით ზედსართავ სახელებთანაც. გვაქვს ეკალ -ეკლ-ოვა-ან-ი და მეორე მხრივ, პატარა - პატერანი ← პატარ -ოვ-ან-ი“ (124, 358).

-ოვან სუფიქსის დაშლა პირველად ნიკო მარმა მოგვცა. მისი აზრით, -ან არის -ოვან სუფიქსის მეორე ნაწილი, რომელიც მრავლობითის არ-ის (სვანურში რომ გვაქვს) არქაულ სახეს წარმოადგენს (47, 938). -ან ელემენტი გამოყო ს. ჯანაშიამ -ი-ან, -ო-ან, -ო-ვან, -ე-ვან აფიქსებში. -ოვან სუფიქსს -ოვ და -ან ელემენტებად შლის არ. მარტიროსოვი. მისი აზრით, -ან იგივე ელემენტია, რაც გვაქვს -ე-ან-//-ი-ან, ოს-ან-ში, -ოვ-ს კი მოეპოვება -ევ და -ივ ვარიანტები რთულ -ევ-ან და -ივ-ერ (ი-ერ) სუფიქსებში (49, 107).

-ოვან რთული სუფიქსის პირველი ელემენტის (-ოვ) ფუნქცია ასახსნელია. მეორე ელემენტს (-ან) კრებითობის გამომხატველად მიიჩნევენ (24; 105; 39). საკვლევი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში - ოვან სუფიქსი უმეტესად თავკიდური (ო) ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი: ბალ-ვან-ა (← ბალ-ოვან-ა) სოფელი (შავშეთი), ლელ-ვან-ა (ლელ-ოვან-ა) სათიბი (ახალდაბა), ნარ-ვან-ი (← ნარ-ოვან-ი) საძოვარი (ხევწრული). ფატ-ვან-ან⁶¹ სათიბი (ციხია)... დასტურდება შემთხვევა, როცა სუფიქსის თავკიდური (ო) ხმოვანი შენარჩუნებულია: კატრ-ოვან-ი ტყე (სვირევანი). პარალელურად დასტურდება გეოგრაფიული სახელი კატრ-ჟან-ი ტყე (წყალსიმერი). „-უან -ოვან სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა. დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (იმერულში, გურულში, აჭარულში...): პატრ-ჟან-ი „პატარა, პატარები,“ ამ სიფართ-ჟან-ი“ ამ სიფართე“, ამ სიმაღლ-ჟან-ი „ამ სიმაღლე“... (იმერული), ძალ-ჟან-ი „ძალიან“ (გურული), დიდ-ჟან-ი „დიდი, დიდები...“ (აჭარული) (129, 387).

შავშეთ-იმერხევეში – ჭან სუფიქსით ნაწარმოები არაერთი ტოპონიმი დასტურდება. ასეთი გაფორმების სახელებს ხშირად ერთვის –თ სუფიქსი: ასკილ-ჭან - ძველ ქართულში ფართოდ გამოიყენებოდა – ობან სუფიქსი, რომელიც -ოვან სუფიქსის ფარდია. საკვლევ რეგიონში შემორჩენილია – ობან სუფიქსით გაფორმებული რამდენიმე ტოპონიმი; დი-ობან⁴⁰ სოფელი (იმერხევი), სხლ-ობან-ი, მუხ-ობან-ი სოფლები (შავშეთი): დიობანი დიდ ადგილს ნიშნავს, სხლობანი არის ადგილი, სადაც ბევრი მსხალია. მუხობანი ანუ მუხოვანი – მუხიანი ადგილი, იგივე მუხნარი.

რეგიონის ტოპონიმიში საკმაოდ შეზღუდულია - ის, -ენ, -ოთ სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: მამანელ-ის-ი, ქოთეთრ-ის-ინ⁴¹ სოფლები (შავშეთი), უსტამ-ის-ი სოფელი (იმერხევი), კუჭ-ენ-ინ⁴² სოფელი (შავშეთი), სინკ-ოთ-ი სოფელი (შავშეთი).

გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები

შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიული სახელების წარმოება პრეფიქს-სუფიქსებით საკმაოდ პროდუქტულია. პრეფიქსებია სა- და ნა-, რომლებიც სხვადასხვა სუფიქსის დართვით თითქმის თანაბარი რაოდენობის ტოპონიმებს აწარმოებენ. სა- თავსართიან სახელში სიხშირით გამოირჩევა სა-ე პრეფიქს-სუფიქსი, ხოლო ნა- თავსართიან ტოპონიმებში ნა- ევ და ნა--- არ (//ნა---აღ) პრეფიქს-სუფიქსი.

საკვლევ რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ასევე ხშირია სა---ო, სა---ეთ, სა---ურ (//ს---ულ), სა---ელ, სა---ა პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული ადგილის სახელები.

სა---ე:

სა-მაცხოვრ-ე ნაეკლ., (მანატბა), სა-შეშ-ე საძ., ტყე (ხვეწრული), სა-კრავ-ე ტყე (მანხატეთი), სა-სილ-ენ⁴³ ტყე (კუჭენი), სა-თავ-ე ტყე (სვირევანი), სა-კეც-ე სათესი (ზიოსი), სა-მერცხლ-ე მთა, ტყე (სვირევანი, ივეთი), სა-ბუზანკლ-ე სათიბი (წეთილეთი). სა-მაჩვ-ე ტყე (წეთილეთი), სა-ყინულ-ე სათიბი (წეთილეთი), სა-ნაფოტ-ე სათიბი (მანატბა), სა-წილ-ე ტყე (მამანელისი), სა-კანჯ-ე საძ., (მანატბა) და ა. შ.

„სა---ო აწარმოებს დანიშნულების სახელებს სახელადი ფუძეებისაგან. იშვიათად ზმნური ფუძეებისაგან, იგი იმავე დანიშნულებისაა. რაც სა--- ე. „სა- – -ო ხშირია გეარსახელისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: სა-გურამ-ო (გურამიშვილებისათვის განკუთვნილი, „გურამიშვილების მამული“). „სა-

ბარათიან-ო“ამგვარი წარმოება ხდება მხოლოდ ეთნონიმებისა და გვარ-სახელებისაგან: სა-ქართველ-ო, სა-მეგრელ-ო, სა-ინგილ-ო... სა-ციციან-ო, სა-მაჩაბლ-ო“ (129, 333, 375). შავშეთ-იმერხევეში ამგვარი სახელები თითქმის არ დასტურდება. ტოპონიმის ფუძედ აღებულია ჩვეულებრივი საზოგადო სახელი: სა-სადილ-ო საძ., (დასამობი), სა-უბნ-ო სათიბი (ბაზვირეთ), სა-მარხილ-ო სათიბი (დიობანი), სა-ზამთრ-ო საძ., (წეთილეთი), სა-მარილ-ო საძ., სათიბი (კარავათი, დიობანი), სა-ნადირ-ო ტყე, სათიბი (დასამობი, მანატბა, წეთილეთი). იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ფუძე რთული სახელია: სა-ავიდრ-ო საძ., (მაჩხატეთი)...

დანიშნულებას გამოხატავს აგრეთვე სამელემენტიანი მაწარმოებელი: სა-ე-ა (დისიმილირებული ფორმა სა--ია), რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში: ზემოაჭარულში (სა-ჯინჭრ-ია, სა-მაჩვ-ია, სა-გველ-ია-ჯ და ა. შ.) (74, 30), ლეჩხუმში (სა-ბაწრ-ია, სა-დათვ-ია, სა-კატ-ია....) (3), რაჭაში (სა-კიბ-ია, სა-ნისლ-ია, სა-ოქრ-ია...) (93, 83). ამგვარი წარმოება დამახასიათებელია ფშავის (41, 58), ერწო-თიანეთის (12, 33), მთიულეთ-გუდამაყრის (100, 49) გეოგრაფიული სახელებისათვის. შავშეთში ეს პრეფიქსი-სუფიქსი აწარმოებს მიკროტოპონიმებს. ამგვარი წარმოების მხოლოდ ერთი სოფელია შავშეთი: სა-თაფლ-ია. ფუძედ აქაც ჩვეულებრივ საზოგადოების სახელია აღებული: სა-ბროლ-ია სათიბი (ზაქიეთი), სა-თარგმ-ია საძ., (დიობანი), სა-ქორ-ია სათიბი, იაილა (წითვეთი, ზიოსი), სა-ბურთ-ია საძ., (ჩიხორი) სა-სკ-ია სათიბი (უბე), სა-თიბ-ია საძ., (სინკოთი), სა-ჩარხ-ია. საძ. (იფხრეველი) და ა.შ. არის შემთხვევები, როცა სა- - -ია პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმი დაირთავს -თ-ი სუფიქსს, სა- - -ე-ათ-ი→სა-ია-თ-ი: სა-მერ-ცხლ-ია-თ-ი (←სა-მერცხლ-ე-ათ-ი) სათიბი (ზაქიეთი), სა-ბურთ-ია-თ-ი (←საბურთ-ე-ათ-ი) საძ., (ხევწრული), სა-ნეგვ-ია-თი⁶⁶ (←სა-ნეგვ-ე-ათ-ი ←სა-ნეგ^ა-ე-ათ-ი ←სა-ნეგო-ე-ათ-ი) ტყე (მიქელეთი) და სხვა.

სა ---ეთ:

სა-ყურ-ეთ-ი სათიბი (ზაქიეთი), სა-ფის-ეთ-ი⁶⁷ სათიბი (ყვირალა), სა-ლებ-ეთ-ი სათიბი (ივეთი), სა-ზბუ-ეთ-ი (←სა-ზბო-ეთ-ი) საძოვრები (მიქელეთი, მანატბა), სა-ჯურ-ეთ-ი⁶⁸ სათესი (დაბაწვრილი). სა-კარაკ-ეთ-ი სათიბი (მაჩხატეთი), სა-ტყეთ-ი (←სა-ტყე-ეთ-ი) სათიბი (მორღელი). სა-მაჩ-ოთ-ი სოფელ ტბეთში ჰქვია სათიბს და საზამთრო სადგომს. რომელიც სოფლიდან მოშორებულია 2-3 კმ-ით; უდავოა, რომ გეოგრაფიული ადგილის სახელი მომდინარეობს მაჩვისგან. ამას ადასტურებენ ადგილობრივი ინფორმატო-

რებიც. ტოპონიმის ფუძეში მოხდა ბგერათცვლილება: ვე-ო. ე. ი. სამაჩოთი იგივე სამაჩეთია, ადგილი, სადაც ბინადრობს მაჩვი.

სა—ურ (//სა---ულ):

სა-ბად-ურ-ი ტყე (მამანელისი), სა-ყან-ურ-ი სათესი (მანატბა), სა-გუნდ-ულ-ი ტყე (ივეთი). დასტურდება ფორმები სა-ბად-ურ-თ ტყე (მიქელეთი), სა-კანჯ-ულ-ა, საძ., (ზიოსი) და ა. შ.

სა - - - ა:

სა-ზელ-ა (←სა-გძელ-ა←სა-გრძელ-ა) ტყე (მორღელი), სა-ჩილ-ან⁹ (←სა-ჩილ-ა←სა-ჩრდილ-ა) სათიბი (დაბაწვრილი), სა-ქოთ-ა (←სა-ქოთან-ა) ტყე (დაბაწვრილი).

სა—ელ, სა- - - ელ-ა:

სა-მღერ-ელ-ი სათესი (უბე), სა-ზ^ჲუწ-ელ-ი→სა-ხვეწ-ელ-ი გამოქვაბული (ივეთი), სა-ზგირ-ელ-ი მთა, საძ., (ბაზგირეთი), სა-ზნ-ელ-ა (←სა-ზვნ-ელ-ა) სათიბი (წითვეთი), სა-რანწკუნებ-ელ-ა საძ., (ბაზგირეთი) და სხვა. სა—ელ პრეფიქს-სუფიქსი უმეტესად ტოპონიმებს აწარმოებს ზმნური ფუძეებიდან.

სა—არ, სა — არ-ა:

სა-ბუზ-არ-ი სათესი (მანხატეთი), სა-ბუზ-არ-ა საძ., (ზიოსი). სა-ბუდ-არ-ა სოფ. უბანი, საძ., მთა (მორღელი, ჩიხორი, ჩაქველთა). სა-ყუნდ-არ მთა (დაბაწვრილი), სა-ტყე-(ე)ვ-არ საძ., (წითვეთი), სა-ყევ-არ-ა (←სა-(ტ)ყე-(ე)ვ-არ-ა) საძ., (ზაქიეთი). ბოლო ორ მაგალითში სა-პრეფიქსი ორი, სამი სუფიქსით აწარმოებს ტოპონიმებს: სა—ევ-არ, სა—ევ-არ-ა. თ. ზურაბიშვილი წერს, რომ „ზოგ შემთხვევაში ერთ ფუძესთან ერთდროულად ორი სუფიქსიც ყოფილა გამოყენებული. როგორც -ევ, ისევე -არ, ან -ურ სადაც ზოგან -ევ-ის -ე ხმოვანი ამოვარდნილია: ნადიკვარი, ნაციხვარი, ნატბე(ვ)ური და სხვა“ (24, 154).

სა — იენტ, სა--- იეთ:

სა-ლესვ-იენტ-ი, სა-შელ-იენტ-ი სათიბები (ბაზგირეთი). სა-ყორნ-იეთ-ი სათიბი (ციხია), სა-მხვალ-იეთ-ი სათიბი (ბაზგირეთი). სა-ნერგ-იეთ-ი სათესი (უბე)...

ა. შანიძე აღნიშნავს: „ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით. საამისოდ მას მოეპოვება

წყვილ-წყვილი მაწარმოებლები: ნა-არ და ნა-ევ, რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული. მეორესთან კი – მეორე... „მთ“-ისგან ნა-მთ-ევი გვაქვს, მაგრამ „იალალ“-ისგან -ნა-იალალ-არ-ი; „ხმლ“-ისგან – ნა-ხმლ-ევი, მაგრამ „ტყვი“-ისგან – ნატყვი-არ-ი...“ (86, 133).

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიში წინავითარების სახელთა თავსართი ნა-უფრო პროდუქტულია -ევ სუფიქსთან, ვიდრე -არ სუფიქსთან.

ნა— ევ:

ნა-ფურნ-ევი მთა, ტყე, იაილა (დასამობი, წეთილეთი, სინკოთი, ზიოსი), ნა-სახლ-ევი სათესები (იფხრეველი, წეთილეთი, ზაქიეთი, მანატბა), ნა-ჯვარ-ევი (-ნა-ჯუარ-ევი), ნაეკლ., სათესი (ზაქიეთი, მანატბა), ნა-გაბ-ევი სათიბი (დაბაწვრილი), ნა-სესხ-ევი ტყე (ველი), ნადარბაზ-ევი ნანგრ. (სანთუშეთი), ნახარ-ევი სათიბი (ზიოსი), ნა-საყდრ-ევი სათესი (ხევწრული), ნა-მარმ-ევი (←ნა-მარ(ია)მ-ევი) სათიბი (ზაქიეთი), ნა-ბოსლ-ევი სათიბი (ტბეთი), ნა-ასლ-ევი სათიბი (დიობანი), ნა-ურმ-ევი საძ., (წეთილეთი), ნა-ტბ-ევი ტბა, წყარო (წითვეთი, კარავათი), ნა-ილ-ევი (← ნა(და)ილ-ევი) სათიბი (ზაქიეთი, დასამობი), ნა-ლარ-ევი სათიბი, ტყე (კუჭენი, დაბაწვრილი).

ნა --- არ (//ნა---ალ), ნა --- არ-ა (//ნა --- ალ-ა):

ნა-ფუზ-არ-ი⁷⁰ (←ნა-ფუძ(ე)-არ-ი) სათესი, სათიბი (მიქელეთი, მამანელი-სი). ნა-ოსპ-არ-ი სათესი (ხევწრული), ნა-სელვ-არ-ი ←ნა-სელ(ე)ვ-არ-ი) სათესი (ბაზგირეთი), ნა-ყანვ-არ-ი (←ნა-ყან(ე)ვ-არ-ი)←ნა-სელ(ე)ვ-არ-ი) სათესი (ბაზგირეთი). ნა-ყანვ-არ-ი (←ნა-ყან(ე)ვ-არ-ი) სათიბი (ივეთი), ნა-მუ-არ-ი⁷¹ ტყე (ივეთი). ნა-ახ^ა-არ-ი//ნა-ახო-არ-ი სათესი (ივეთი), ნა-კორდ-ალ-ი სათესი (წყალსიმერი), ნა-ციხ-არ-ა-დ სათიბი (ივეთი), ნა-ტუს-ალ-ა-დ (← ნა-ტუსალ-ალ-ა) საძოვრები (ბაზგირეთი, ხევწრული).

ნა --- ებ:

ნა-კალუ-ებ-ი (←ნა-კალო-ებ-ი) სათიბი (მანატბა), ნა-ჭარლ-ებ-ი (←ნა-ჭალ(ა)რ-ებ-ი ← ნა-ჭალა-არ-ებ-ი) ← სათესი (მანატბა). ამ უკანასკნელი ტოპონიმის ფუძეა არა ჭარ, არამედ ჭალა, მომხდარია ბგერათა გადასმა, რომელიც ჩვეულებრივ წარწარა ნ რ ლ ბგერებს ახასიათებს.

ნა --- ავ: ნა-კორ-ავ-ი (←ნა-კორ(დ)-ავ-ი) სათიბი (ბალვანა) ნა-ყორ-ავ//ნა-ყორ-ოვ სათიბი (ჩართულეთი, შავქეთი).

ნა - პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსებით აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს.

ნა --- ავ-ათ-ი:

ნა-წისქვილ-ავ-ათ-ი საძ., (სვირევანი), ნა-სვილ-ავ-ათ-ი სათიბი (წეთილეთი)...

ნა-ბუკვ-არ-ათ-ი⁷² საძ., (ხევწრული)...

ნა --- ულ-ო; ნა-ჭიბ-ულ-ო საძ., (ხევწრული), ნა-წიბ-ულ-ო სათიბი (ხევწრული) და ა. შ.

ნა --- ათ; ნა-ჯიბ-ათ-ი სათესი (სინკოთი), ნა-ცქვილ-ათ-ი საძ., (წყალსიმერი) და სხვა.

ნა---არ-ებ: ნა-ფუზ-(ა)რ-ებ-ი სათესი (წყალსიმერი, ხევწრული).

როგორც ეხედავთ, მოპოვებული ტოპონიმური მასალის მიხედვით ხშირად გვაქვს შემთხვევა, როცა ტოპონიმის სახელდებაში ერთ პრეფიქსთან ორი და არაიშვიათად სამი, ოთხი სუფიქსი ღებულობს მონაწილეობას, რაც საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხის გეოგრაფიული სახელებისათვის (41; 58-59; 74; 33-34; 22: 31).

პრეფიქს-სუფიქსური წარმოება დამახასიათებელია საკვლევი რეგიონის მიკროტოპონიმისათვის. ძალზე იშვიათია ასეთი გაფორმება ოიკონიმებში, გამონაკლისია სათაფლ-ია სოფელი (შავშეთი).

II. 3. რთული ბაზირაჟული სახელები

შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში რთულ სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საანალიზოდ აღებული 1 535 ქართული ტოპონიმიდან სიტყვათშეერთებით ნაწარმოებია 625 ადგილის სახელი ანუ საერთო რაოდენობის 40,71%. რთული სახელი ჩვეულებრივ მსაზღვრელ-საზღვრულია. გაბატონებულია პრეპოზიციური წყობა, შედარებით ნაკლები სინშირით დასტურდება პოსტპოზიციური წყობის მიხედვით გაფორმებული სახელები. საკვლევ რეგიონში საკმარის რაოდენობით გვხვდება სამფუძიანი ტოპონიმები, დასტურდება ოთხფუძიანი გეოგრაფიული სახელებიც.

საერთოდ, როცა კომპოზიციური გაფორმების ტოპონიმებში გამოვყოფთ ჯგუფებს (მაგ., არსებითი სახელი + არსებითი სახელი., არსებითი სახელი + ზედასართავი სახელი...) პირობითია. რადგან კომპოზიტი წარმოდგენილი ფორმები ფაქტიურად გაარსებითებული სახელებია.

შავშეთ-იმერხევის რთულ ტოპონიმებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა) კომპოზიტის ორივე წევრი არსებითი სახელია

მსახლკრელ-სახლკრულის რიცხვი მხოლოდითია, მსახლკრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია:

ბერისახო სათესი (ველი), დოდოფლისწყარო წყარო (დასამობი, ზაქიეთი), ვირისსაფლავი საძ., (უბე), კვიციანფეხი სათიბი (სვირევანი), კოდისწყარო სოფ. უბანი (სინკოთი), მერისწყარო წყარო (წეთილეთი), სვირევანისღელე ღელე (სვირევანი), ქვაბისკარი სათიბი (დაბა), წისქვილისღელე ღელე (წეთილეთი), ჭიოთისწყალი ღელე (მანხატეთი), ჯინალის ხიდი ხიდი (სვირევანი) და სხვ.

გენეტური მსახლკრელი -ებ-იან და ან -ნარ-თან-იან მრავლობითშია, სახლკრული წევრი მხოლოდითში. ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი ზოგჯერ მოკვეცილია:

ბაგათსერი საძ., (ზაქიეთი), ბაგათხევი ღელე (ზაქიეთი), დევაძეებისწყალი ღელე (უბე), ვაშლთაყანა სათესი (ახალდაბა), კაკლებისერი საძ., (დასამობი), (ზაქიეთი), ლეკებისერი საძ., (დასამობი), ტყუბლათწყარო წყარო, საძ., (ზაქიეთი) და ა. შ.

რთული სახელის ორივე წევრი მხოლოდითშია, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი (ს) მოკვეცილია. ასეთი გაფორმების კომპოზიტები საკვლევ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით დასტურდება:

აბანოხვე სათიბი (ვანთა), ავაზანყანა სათესი (მანატბა), ბარიღელე ღელე (ხევწრული), ბერიახო სათიბი სვირევანი, დაბაწვრილი), ბეჭიკლდე საძ., კლდე (ბაზვირეთი), დართავი სათიბი (ხევწრული), ვარდიყანა სათიბი (ჩიხორი, ზაქიეთი), თაფლიწყარო წყარო (უბე), თელაწყარო წყარო (უბე), თუთიღელე ღელე (ჩიხორი), კაბითავ ტყე (ჭუარები), კალოსერი სათესი (მანხატეთი), კინიჯვარი, კლდეკარი სათიბები (ბაზვირეთი, ხოხლევი, წყალსიმერი), ლოდივაკე, რუთავ სათიბები (ივეთი, ტბეთი), მახანთავი ტყე (წეთილეთი), საყდარისერი სათესი (ივეთი), სერიყანა სათესი (შავშთა), ფერდიყანა სათესი (მანატბა), ქალიწყარო წყარო (წეთილეთი), ქვაბიკარი ტყე (ჩაქველთა), ქურთიტყე (ივეთი), ჩიტიყანა სათესი (ჭუარები), ძაღლიახო ტყე (ხევწრული), წისქვილიკარი, ხევიჭალა სათიბები (სვირევანი, ბაღვანა)...

გენეტური მსახლკრელი მხოლოდითშია, სახლკრული -ებ-იან მრავლობითში: კლდითავები სათიბი (დასამობი), ჯარბაზიყანები სათესი (დასამობი), რუღელეები ღელე (დასამობი)...

დასტურდება შემთხვევა, როდესაც მსახლკრელ-სახლკრულის რიცხვი მრავლობითია: მოსიენტ ყანები სათესი (წეთილეთი) და ა. შ.

ბ) თხზული სახელის პირველი ნაწილი არსებითი სახელია.
მეორე – ზედსართავი სახელი

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული – ზედსართავი. ორივე წევრის რიცხვი მხოლოდითია. ხშირ შემთხვევაში მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია. უნდა აღინიშნოს ისიც, ასეთი გაფორმების გეოგრაფიული სახელები საკვლევ რეგიონში შეზღუდული რაოდენობით გვხვდება:

არღიასწმინდა (←ანდრიასწმინდა) სოფლ. უბანი, სამ., (ჩიხორი), გვერდწმინდა იაილა (ხევწრული), დაბაკეთილი, დაბაწერილი სოფლები (შავშეთი), ელიაწმინდა ნაეკლ., (იფხრეული, ზაქიეთი), ქვაწითელი სათესი (მაჩხატეთი), ხევწრული (←ხევწერილი) სოფელი (იმერხევი) და სხვ.

გ) კომპოზიტის პირველი ნაწილი ზედსართავი სახელია.
მეორე – არსებითი

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია, მსაზღვრელად გამოყენებულია ვითარებითი ზედსართავი სახელები: დიდი, პატარა, გრძელი, ახალი, თეთრი, შავი, მაღალი და სხვა. საზღვრული საზოგადო არსებითი სახელია. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გაფორმების ტოპონიმები საკვლევ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით დასტურდება:

ახალდაბა სოფელი (შავშეთი), ავჭალა სათიბი (ჩართული) დიდახო სოფლ. უბანი, სათიბი (ჩიხორი, ზენდაბა), დიდმერე სოფლ. უბანი, (სვირევანი). დიდდარე სათიბი (ზიოსი), დიდლოდი სამ., (ზიოსი), დიდვაკე, დიდველი⁷³ სათიბი. სამ., (წეთილეთი, ზაქიეთი). დიდლეუ ლელე (ჩიხორი), ზუელკალო (← ძველი კალო) სათესი (წეთილეთი). ზელქედ (←გრძელი ქედი) მთა (მაჩხატეთი), თეთრხევი სათიბი (ზაქიეთი). თეთრიწყარო წყარო (კარავათი), თეთრიქვა მთა (ჩიხორი), მაღალწყარო წყარო (იფხრეული), მიწრო ლელე (←ვიწრო ლელე) ლელე (ბაზგიეთი). პატარა ლელე სათიბი (ახალდაბა), პაწახიდი (←პატარა ხიდი) ხიდი (დიობანი), ფართოლეუ ლელე (ბაზგირეთი), მაჭალა (←ღრმა ჭალა) სამ., (მიქელეთი), შავმთა სოფ., (შავშეთი), შავტბა ტბა (კარავათი), შავქეთი (←შავქედი) სოფ., (შავშეთი), შავიკლდე კლდე (წყალსიმერი), შავტყე ტყე (ხევწრული), ცივიწყარო წყარო (დიობანი), წითელკლდე კლდე (ზაქიეთი)...

ხშირად დასტურდება შემთხვევები, როდესაც საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას: ახალჭალები სათიბი (წყალსიმერი), დიდწისქვილები სოფ. უბანი, (უბე), ზუელკარები (←ძუელკარები←ძველი კარები) სამ., (დასამობი), ლამაზწუერები სამოვარი (უბე), შავმორები სათიბი (წეთილეთი) და სხვ.

დ) თხზული სახელის პირველი შემადგენელი
ნაწილი ზმნიზედაა, მეორე – არსებითი სახელი

მსაზღვრელი ზმნიზედაა, საზღვრული – არსებითი სახელი. ორივე წევრის რიცხვი მხოლოდითია. „მსაზღვრელი ფორმაუცვლელი სიტყვები აზუსტებენ ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობას. ეს დაზუსტება შემდეგი დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ნიშანთა მსგავსების გამო გაჩნდა რამდენიმე ერთნაირი სახელწოდება, ან ერთი სახელწოდების პუნქტი გაიზარდა ტერიტორიულად. დაიწყო და წარმოიშვა ამ ადგილთა გარჩევის ბუნებრივი აუცილებლობა“ (24, 156). მოპოვებულ ტოპონიმურ მასალებში ამგვარი წარმოებისას მსაზღვრელად გამოყენებულია უმეტესად შემდეგი ზმნიზედები: გაღმა, ზედა, ქვედა და სხვ. საზღვრულად კი სახოგალო არსებითი სახელი: ახო, ყანა, ვაკე, ჭალა, მთა და ა. შ.

ბოლოყანა სათესი (ანკლია), გაღმა ახო სოფ. უბანი (ივეთი), გაღმა ყანად სათიბი (წყალსიმერი), გაღმა ყანა სათესი (სვირეჯანი), მიღმა წყარო წყარო (მანხატეთი), გაღმა ჭალა საძ., (ბაზგირეთი), ზედვაკე სათესი (ბაზგირეთი), ზედვეკა (← ზედვაკე, ზედა ვაკე) სათესი (ტბეთი), ზედა სულისი სოფ. (შავშეთი), ზედუბე (← ზედა უბე) სათიბი (უბე), ზემობანი (← ზემო უბანი) სოფ. უბანი (უბე), იქითად ჭალა სათიბი (დაბაწვრილი), უკან ჭალა საძ., (დიობანი), ქვედა სულისი სოფ., (შავშეთი), ქმომთა (← ქვემო მთა), შუაგზა გზა (სვირეჯანი).

ე) კომპოზიტის პირველი ნაწილი არსებითი
სახელია, მეორე – ზმნიზედა

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული – ზმნიზედა. კომპოზიტის ორივე წევრის რიცხვი მხოლოდითია. ასეთი გაფორმების სახელებს ერთ დროს საზღვრული ჰქონდათ, რომელიც დაკარგულია:

ბალსუკანა, ვაკიბოლოს, ველიბოლოს სათიბები (მანხატეთი, ციხია, ველი), კარჩხლიზირს (← კარჩხლის ძირს) ტყე (წყალსიმერი), კილდეზირს (← კლდის ძირს) სათიბი (ქოთეთრისი), კილდეშუად საძ., (იფსრეული), კუტალაზირს (← კუტალას ძირს) სათესი (მანატბა), რუსიქით საძ., (დაბა), სერუკან, ტყიმლიზირს სათიბები (მანხატეთი, სევერული), ღობიძირს სათესი (ტბეთი), ჩიტიძირას სათიბი (ივეთი), (შავშეთი), წყალსიმერი⁷⁴ სოფ., (იმერხევი), წყალქუეშად საძ., (მანხატეთი) და ა. შ.

გვაქვს შემთხვევები, როცა არსებითი სახელი – თან-იან მრავლობით რიცხვშია: კილდეთუკანა (← კლდეთა უკანა) საძ., (წითვეთი), ლეკთუკანად

ტყე, სათიბი (უბე). არის შემთხვევა, როცა საზღვრული წვერი შენარჩუნებულია: კლდეშუათის წყარო წყარო (წეთილეთი)...

კ) თხზული სახელის პირველი შემადგენელი ნაწილი სახელზმნა, დანიშნულების ან წინავითარების სახელია, მეორე – არსებითი სახელი

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმურ მასალაში გვხვდება რთული გეოგრაფიული სახელები, რომლებიც გაფორმებულია სახელზმნით, დანიშნულების ან წინავითარების სახელისა და არსებითი სახელის შერწყმით. კომპოზიტში მსაზღვრელი სახელზმნა, დანიშნულების ან წინავითარების სახელია, საზღვრული კი – არსებითი სახელი. რთული ტოპონიმის ორივე ელემენტის რიცხვი მხოლოდითაა, იშვიათად – მსაზღვრელი – თან -იან მრავლობითში:

დამპალწყარო წყარო (წყალსიმერი), დამპალყანა სათესი (უბე), კირკატისერი სათიბი (ივეთი), ნარევიტყე ტყე (წეთილეთი), ნარვალარუ რუ (წყალსიმერი), საბურავაწყარო წყარო (იფხრეელი), საბუქეჭალა სათიბი (ივეთი), სანგლიაფერდი სათიბი (ზაქიეთი), სანიგიხევი სათიბი (ზაქიეთი), საოგრეკლდე (წეთილეთი) სარჩევთა ღელე (წყალსიმერი), სასარცხლისხევი ღელე (ზაქიეთი). საყველასერი მთა, საძ., (კარავათი) და ა.შ.

ზ) არსებითი სახელითა და სახელზმნით შედგენილი კომპოზიტები

ასეთი გაფორმების კომპოზიტებში არსებითი სახელი გენეტიკური მსაზღვრელია, საზღვრული სახელზმნა კი – უმეტესად ნამყო დროის მიმღეობა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად შენარჩუნებულია, რიცხვი მხოლოდითი:

ვანისათიბ სათიბი (ჩართულეთი), კრავისაპარსი სათიბი (უბე), მელის საკუნტარი, სერისათიბ საძოვრები (დასამობი, ჭუარები), ურისაკლავე (←ტურის საკლავე) საძოვრები (ზიოსი, დასამობი, ბაზგირეთი), ქალის საფრინავე⁷⁶ გზა (სვირევანი), ცხვრის საწოლი საძ., (წეთილეთი), ჭუავის საგორებელა-ღ საძ., (დასამობი), ხარისაკლავე სათიბი (უბე), ხარისაწოლი საძ., (წყალსიმერი)... იშვიათად მსაზღვრელ-საზღვრული მრავლობითშია: სხალთნამწარათა სათიბი (იფხრეელი) და სხვ.

თ) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად

საკვლევ ტერიტორიაზე დასტურდება ისეთი რთული გეოგრაფიული სახელები, რომლებიც გაფორმებულია რაოდენობითი რიცხვითი (ორი, სამი,

ოთხი, ცხრა...) და არსებითი სახელით. ასეთი გაფორმების სახელებში მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, ხოლო საზღვრული – არსებითი სახელი. რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად – საზღვრული –ნარ-იან მრავლობითში.

სამიჭალა სათიბი (მამანელისი), სამიხევი სათესი (კუჭენი), სამყური სათიბი (ივეთი), ორბოკა (← ორბოკელა), ორგზა სათიბები (დიობანი, ჩართულეთი, წყალსიმერი), ოთხკილდე სოფ. უბანი (სვირევანი), ცხრაწყარო, ცხრაწყაროთი საძოვრები (დიობანი, ხეკწრული). დასტურდება შემთხვევა, როცა მსაზღვრელი ორწევრიანი რთული სახელია: ორსულა დელე დელი (სვირევანი), ორპატიტა წყარო წყარო (წყალსიმერი) და სხვა.

ი) თანდებულების მონაწილეობით გაფორმებული ტოპონიმები

თანდებულების მონაწილეობით ნაწარმოები ტოპონიმები დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების: თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის, ხევის, მთიულეთის ტოპონიმისათვის (11; 51). ასეთი გაფორმება უცხო არ არის არც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის (74, 42).

საინტერესოა, რომ შავშეთის ტოპონიმურ ფონდშიც გვხვდება თანდებულის ტოპონიმები: ბათანა (←ტბათანა) სათიბი (დაბაწერილი), გარზეყანები (←განზე ყანები) სათესი (ივეთი), თავშიყანა სათესი (დასამობი), კალოთანყანა (←კალოსთან ყანა) სათესი (წეთილეთი).

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თანდებულების დართვით ტოპონიმების წარმოება საერთო მოვლენაა ქართული ტოპონიმისათვის და იგი ნიშანდობლივია არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის.

კ) ფუძის გაორკეცებით გაფორმებული სახელები

შავშეთის ტოპონიმიაში დასტურდება ერთი წყება რთული გეოგრაფიული სახელებისა, რომლებიც იწარმოებიან ფუძის გაორმაგებით. ასეთი სახის ტოპონიმები საერთოდ იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში, მაგრამ მაინც დასტურდება საქართველოს სხვადასხვა მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში (47, 45). ჩვენს საკვლევ რეგიონში მოპოვებულ ამ ტიპის სახელებში შეერთება ფუძეებს შორის უკავშიროა, იშვიათად – და კავშირიანი. გამოიყოფა სახელურფუძიანი და ზმნურფუძიანი ფუძეგაორკეცებული სახელები:

აღმა-აღმა სათიბები, ყიშლა (ტბეთი, ქოთეთრისი, კუჭენი), პირდაპირი სათიბები, საძოვრები, (იფხრეკლი, ქოთეთრისი, ზაქიეთი), ქედ-ქედი, ქედ-

ქედა სათიბები (წყალსიმერი, სვირევანი). დასტურდება შემთხვევები, როცა კომპოზიტიის მეორე ფუძე წარმოდგენილია სუფიქსებით -ეთ, -თ, -ელ-ა: ღურ-ღულ-ეთ-ი (←ღურ-ღურ-ეთ-ი) ტყე (მანატა), ჭალა-ჭალა-თ სოფ. უბანი (მორღელი), ღურ-ღუმ-ელ-ა-ღ (←ღურ-ღურ-ელ-ა-ღ, რ და მ თანხმოვანთა შენაცვლებით) იაილა (ხანთუშეთი). ასევე გვხვდება ხმოვანთა შენაცვლებით გაორკეცების ორიოდ შემთხვევა: ბრაგი-ბრუგა სათიბები (ყვირალა, ჯინალი), ვაკე-ვაკი სათიბი (იფხრეული).

გვაქვს იშვიათი შემთხვევა, როდესაც კომპოზიტიის პირველი ნახევრის ფუძეში ბგერათკომპლექსი (ლუ) ამოვარდნილია და დარჩენილი ფუძის ნაწილი შერწყმულია რთული სახელის მეორე ფუძესთან: ღელელა (←ღელღელა←ღელღელ-ღელა) სათესი (ციხია).

ლ) სამ- და მეტფუძიანი გეოგრაფიული სახელები

საკვლევ რეგიონში დასტურდება სამფუძიანი და იშვიათად ოთხფუძიანი გეოგრაფიული სახელები. სამფუძიანი სახელებია:

ახოთვაკეტყე ტყე (ზაქიეთი), ბალთახევდელე (←ბალთახევის ღელე) ღელე (ჩიხორი), ბოდღვერახევიდელე (←ბოდღვერას ხევის ღელე) და დიდბლიზირი (←დიდი ბლის ძირი), დიდგულიხევი (←დიდი გულის ხევი) სათესები (ხევწრული, ხოხლევი), დიდკალოხევი (←დიდი კალოს ხევი) სათიბი (ზაქიეთი), ვაკეკლდითავი (←კლდის თავის ვაკე), ზემონავგარის წყარო (←ზემო ნაგომარის წყარო) წყარო (იფხრეული, წყალსიმერი), საკლდეხევი წყარო წყარო (იფხრეული), სანიოკლდითავი (←სანიორე კლდის თავი), ფერიაკლდითავი (←ფერიას კლდის თავი). სათიბები (იფხრეული, ივეთი), ღელითავიწყარო წყარო (იფხრეული), შუა დიდი მერე სათესი (სვირევანი), შოლტისხევისღელე ღელე (წყალსიმერი), შოლტისხევის მთა მთა (წყალსიმერი), შავიკლდეზირი (←შავი კლდის ძირი) სამ., (წყალსიმერი), ცივწყაროდელე (←ცივი წყაროს ღელე) სათესი (წყალსიმერი, წითელმწიბოლო (←წითელი მიწის ბოლო) სათესი (მანხატეთი)... ოთხფუძიანი სახელებია: ნეფედდოფლის წყაროსთავი საძოვარი (იფხრეული). წითელმწიბოლოხევი (←წითელი მიწის ბოლო ხევი) სათიბი (ივეთი)...

როგორც მოყვანილი მაგალითებით ჩანს, მრავალფუძიანი ტოპონიმის ყველა შემადგენელი წევრი მხოლოდით რიცხვში დგას. არ დასტურდება მრავლობითი რიცხვის არც ერთი შემთხვევა. თხზული ტოპონიმის გაფორმებაში მონაწილეობს არსებითი და ზედსართავი სახელი, იშვიათად წარმოქმნილი სახელი და ზმნიზედა. წყობა ძირითადად პრეპოზიციურია. მსაზღვრელ წევრებს ხშირ შემთხვევაში მოკვეცილი აქვთ ბრუნვის ნიშანი.

აღსანიშნავია, რომ შავშეთ-იმერხევის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა სამი ჯგუფი სამ და მეტეფუძიან ტოპონიმებში:

1. მრავალფუძიანი სახელები, რომლებიც შედგება მხოლოდ ქართული სიტყვებისაგან;

2. ქართულ-თურქული სიტყვებისაგან შემდგარი რთული ტოპონიმები;

3. თურქული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები.

მაგალითად, ავიღოთ გეოგრაფიული სახელი დიდბლიზირი, რომელშიც ყველა წევრი ქართულია, ტოპონიმში ყარაქელიჭალა („შავი ქედის ჭალა“) – კომპოზიტის პირველი წევრი თურქულია, მეორე და მესამე – ქართული, გურჯი გეჩიდ დოლ („ქართველის ნავალი გზა“) – რთული სახელის სამივე წევრი თურქულია.

მ) საზღვრული ინდიკატორით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები

შავშეთის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები, რომელთა საზღვრული წევრი ინდიკატორია. ინდიკატორი მეორდება სხვადასხვა სიხშირით. დამოუკიდებლად იგი წარმოადგენს რომელიმე გეოგრაფიული ობიექტის სახელს. საენათმეცნიერო ლიტერატურა თვითონ „ინდიკატორს“ იცნობს ფრანგი ენათმეცნიერის პაულ ლებელის მიხედვით (37,5). საზღვრული ინდიკატორით ნაწარმოები სახელებით დაინტერესდნენ აღიარებული ენათმეცნიერები დ. სერებრენიკოვი, ა. ბურხარდტი, ვ. ნიკონოვი და სხვები. მათ შექმნეს ფუნდამენტური ნაშრომები ამ საკითხთან დაკავშირებით (64; 16; 68; 69). ამ საინტერესო, პროდუქტული მაწარმოებლის შესახებ ა. შანიძე წერს: „დასახელებული პუნქტების კიდევ ერთი წყება წარმოადგენს კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილი საზოგადო სახელია: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, ციხე, ჯვარი, წყარო, ყანა, ხიდი და სხვ., პირველი ნაწილი კი წარმოშობით მისი მსაზღვრელია: ახალ-ქალაქი, ახალ-სოფელი, ახალ-დაბა, ურიათ-უბანი, უფლის-ციხე და სხვ...“

მდინარეთა სახელების ერთი ჯგუფიც კომპოზიტს წარმოადგენს, რომლის მეორე ნაწილია „წყალი“ („წყალა“): ცხენის-წყალი...

ხეობათა სახელებში ხშირად „ხევი“ („ჯევი“) ან „ხევა“ („ჯევა“) შედის. ასეთმა სახელებმა შეიძლება წყალიც აღნიშნოს, მთელი ხეობაც და სოფლის სახელადაც იქცეს: კავთის-ხევი, კისის-ხევი...“ (83, 138). სიტყვათშეერთების ეს ფორმა ნიშანდობლივია ქართული ტოპონიმისათვის, ამ მხრივ მეტად საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონების ინდიკატ-

ორით გაფორმებული ტოპონიმური ფონდი. კერძოდ, ფ. მაკალათიამ ფშავის ტოპონიმურ მასალებზე დაყრდნობით ინდიკატორთან დაკავშირებით ბევრ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მოგვცა რეგიონში ფიქსირებული ასეთი გაფორმების სახელების სრული ნუსხა, მათი გავრცელების სიხშირე და სხვ. მკვლევარი აკეთებს დასკვნას: „ინდიკატორთა მიხედვით კვლევა ტოპონიმების სტრუქტურულ-სემანტიკურ ტიპოლოგიას ააშკარავებს, ავლენს მრავალ ნიმუშს არქაული და დიალექტური ლექსიკიდან. ინდიკატორების გამოყოფა-შესწავლით შესაძლებელი ხდება ლექსიკური ერთეულების გავრცელების არეალთა კვლევა და სხვა.

ინდიკატორთა მიხედვით ადგილის აღმნიშვნელ სახელთა შინაარსობრივ დეტალიზაციასთან გვაქვს საქმე, მაგალითად, ტოპონიმებში განმეორებადი სიტყვები: თავი, ძირი, ბოლო... აღნიშნავენ, თუ ტოპონიმს რა ადგილი უჭირავს სხვა გეოგრაფიულ ობიექტებთან მიმართებაში (მაგ.: ჯევისბოლო, აკამათისთავი,...) ან რა ობიექტს აღნიშნავს (არყვონისმთა, შარაჯევი...). ამდენად მნიშვნელოვანია ინდიკატორთა კვლევა ტოპონიმების სემანტიკური ანალიზის თვალსაზრისით“ (41, 84).

საკვლევ რეგიონში საზღვრული ინდიკატორით გაფორმებული სახელები მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში:

ახო (ახოები//ახუები): ბერიახო³, * გაღმა ახო, გაღმითა ახო, დიდახო³, ზეგნი ახუები, ნარიანახო, ძაღლის ახო (სულ 11 ტოპ.);

ბოლო (ბოლოთი): ვაკიბოლო, ვაკიბოლოთი, ველიბოლო,² წითელმიწი-ბოლო (სულ 5 ტოპ.);

გზა (გზები): ორგზა, შუაგზა². წისქვილის გზები (სულ 4 ტოპ.);

დაბა: ახალდაბა, ზენდაბა (სულ 2 ტოპ.);

დარე; დიდდარე, ტიტადარე (სულ 2 ტოპ.);

ვაკე: გორგევაკე, დიდევაკე³, ზედა ვაკე³, ლოდევაკე, პატარა ვაკე, ჩიჩილევაკე (სულ 10 ტოპ.);

ველი (ველთი): დიდველი⁵, დიდველთი (სულ 6 ტოპ.);

თავი (თავა, თავები): ალაგითავი. ბალათავი. დართავი, დიდკალოხე-ვითავი, ვაკე კლდითავი, ვაკითავი, ვახათითავი, ველითავი, თეთრობითავი², კაბითავი, კაპანთავი, კართავაჟ, კვესაური თავი, კლდითავა, კლდითავები, კოლდითავ, კორკითავი, ლოდითავ. მახანთავი. ნაგუთნითავი, ნაფუზითავი, ნეფედოდოფლის წყაროსთავი, რუთავი. საინითავი, სანიოკლდითავი, ფერიაკ-

* ტოპონიმის თავზე აღნიშნული ციფრი მიგვანიშნებს გეოგრაფიული ობიექტის ხმარების სიხშირეზე.

ლღითავი, ფიქალთავი, ქაფითავი, ქვაბისთავი, ქობითავი, ლელითავი, ჩანჩ-
ხრითავი, ყავითავა, ყორითავი, (სულ 35 ტობ.);

თჷალი: წყაროთჷალი² (სულ 2 ტობ.);

კარი (კარა, კარები): გაღმეკარი, გულოკარ, გუმისკარი, ზჷელკარები,
კღდეკარი, კღდიკარა, კობიკარი, კოლოტიკარი, ფელოკარები, ქეღიკარი,
ქვაბიკარი, ქრბიკარი, ქობაკარი, ქჷაბიკარა,² ქჷაბიკარი, წისქვიღკარი (სულ
17 ტობ.);

კღდე/კიღდე: ბეჭიკღდე, გაჭრიღი კღდე², ღათიკიღდე, თეთრიკიღდე,
მუტრუკი კღდე³, ოთხკიღდე, საოგრე კღდე, შავი კღდე (სულ 11 ტობ.);

მთა: ქრმომთა², შავმთა, შოღტისხვეის მთა (სულ 4 ტობ.); მერე: დიღ-
მერე, კურტალემერე (სულ 2 ტობ.);

პირი (პირა): კაღოპირა, ტყიპირაღ, ძაღღიპირა, ჭაღაღ პირი (სულ 4
ტობ.);

რუ: ნარვაღა რუ, კორტოხირუ (სულ 2 ტობ.);

საფღავი: ვირისსაფღავი, მირისსაფღავი², ქურთისაფღავი (სულ 4
ტობ.);

ტყე: ახოთვაკეტყე, ნაშარაგევიტყე, ნარევიტყე, საღრიტყე, საფიატყე, სა-
ფურიფერღიტყე, ქეღატყე, ქურთიტყე, შავტყე², შუბღატყე (სულ 11 ტობ.);

ტბა: მანატბა, ფეთაღტბა, შავტბა, (სულ 3 ტობ.);

ფერღი: სანღღიაფერღი², საფუზრიფერღი, საწოღღიფერღი, საწყღღიფერღი
(სულ 5 ტობ.);

ქეღი//ქეთი: ზეღქეღი, ზეღქეთ², კაბეღაქეღი, კარავათ ქეღი, სათავუქ-
ეღი, ჷსტამიქეღი (სულ 7 ტობ.);

ქვაბი//ქჷაბი: დობღაქვაბი, ბეღენქჷაბი (სულ 2 ტობ.);

ღეღე (ღეღეები): აღბუღასღეღე, ბაღთახვეღეღე, ბარიღეღე, ბღიგორთ-
ისღეღე, ბრავაღთიღეღე, ბოღღვერახვევიღეღე, ბურმაღეღე, დიღღეღე, დი-
ობნიღეღე, ზეღნიღეღე, თუთიღეღე, თხინაღეღე, კაკაბავრიღეღე, კარისა-
თღეღე, მიწროღეღე, ნარღუევიღეღე, ორსუღაღეღე, პატარა ღეღე, პაწაღე-
ღე, რუთქიღეღეები, ქურაღეღე, რუსმანაღეღე, საინეღეღე, სამთივრიღეღე,
სარჩევითიღეღე, საქოთნიხვევიღეღე, სვირევისღეღე, სხაღნარიღეღე, ფაში-
ღეღე, ფართოღეღე, ყვერეღიენთღეღე, შოღტისხვევისღეღე, ჩიხორულ-
იღეღე, ცივწყაროღეღე, ცხვარაღისღეღე, წაირთღეღე, წისქვიღღეღე,
წყაროღეღე², წყღიანიღეღე, ჭეჭევეღასღეღე, ხევეწრულიღეღე, ხერცუა-
თღეღე, ხოხღევიღეღე (სულ 44 ტობ.);

ყანა (ყანები): ავაზანყანა, ახაღყანა, ბოღოყანა, გაღაღმა ყანა, გარზყე-
ანები, გაღმა ყანა², გაღმითა ყანა, გეგეროყანა, დაღმაღყანა, დოღოყანა², ენღ-

როყანა, ვარდიყანა², ვაშთაყანა, ზედა ყანა, ზემო ყანა, ზმობილყანა, თავშიყანა, კალოთანყანა, კოტრიყანა, ლოდიყანა, მანისყანა, მაჩოყანა, მოსიენთყანები, მურეშყანა, პატარა ყანა, პეტრიყანა, რუსყანა², სატყანა, სერიყანა⁴, სულიყანა, ფერდიყანა, ქერიყანა, ქურდიყანა, ქურთიყანა, ლელეყანა, ლელიყანა, შიგნიყანა, შოღლიეთყანა, ჩიტიყანა, წაროყანა, ჭალიესყანა, ჯარბაზიყანები (სულ 48 ტოპ.);

ციხე: იფხრეელის ციხე, ჩაქველთას ციხე (სულ 2 ტოპ.);

სერი (სერები): ავაზნისერი, აკვანასერი, ახალგზისერი, ბაგათსერი², გორგოშისერი, თოკისერი, კაკლებისერი, კალოსერი, კაცსერი, კირკათსერი, კრიჭასერი, ლეკებისერი, პანტისსერი, საყდრისერი, საყველასერი, ფიქლისერები, ქვაკაცასერი, ციკატისერი, ხელთახოსერი, ჯანიბალისერი (სულ 21 ტოპ.);

ძირი//ზირი, ზირა: აღვილაზირი, აღმადიზირი, აღმათიზირი², ბალიზირა, ბუჯღურაზირი, გოგოლაზირი, დიდბლიზირი, კარჩხლიზირი, კუტალაზირი, ლოლაზირი, საპატკნიზირი, ტყიმლიზირი, ქაბთაზირი, ლობიძირა, შავიკლდეზირი, ჩიტიძირა², ციხიზირი, ციხისძირი, წითელაზირი. ჭოლოზირი (სულ 21 ტოპ.);

წმინდა: არდიასწმინდა², გვერწმინდა. ელიაწმინდა³, ინაწმინდა. მარიამწმინდა (სულ 8 ტოპ.);

წვერი//წუერი (წუერები): დიობნიწუერი, ერდუათწვერი, ზნელიწუერი, კეფნი წუერი, კოდის წუერი. ლამაზწუერები, პატარ წუერი, ქეთმიწვერი, ხიდიწვერთ (სულ 9 ტოპ.);

წყარო (წყალი, წყართი): არჩილაწყარო, ბებერასწყარო, ბილიხევიწყარო, გაღმა წყარო, გოგრიეთწყალი, გრიალოწყარო². დავითიან წყარო, დამპალწყარო, დევადეებისწყალი. დოდოფლისწყარო², ზემონაგვარიწყარო², თაფლიწყარო, თეთრიწყარო, თელაწყარო, იანწყაროთი, კვირაღწყარო, კლარჭასწყარო. კლდეშუათის წყარო, კოდის წყარო, მაღალწყარო. მესრისწყარო//მესრიწყარო³, მიქელკარიწყარო, მიღმაწყარო, მომწვარასწყარო, მოსიენთწყარო. მუნთოწყარო, ორთქალწყარო, ორომავლისწყარო. ორპატიტაწყარო, საბურავაწყარო, სათიბიწყარო. საკლდეხევიწყარო. სადაქორიწყარო, სიანწყარო//სიას წყარო, სინქოთურიწყარო, სუანეთიწყარო, ტყლაპიწყარო, ტყუბლათწყარო, ურჩხთიწყარო, უღელტეხილისწყარო. ქალიწყარო³, ლელითავიწყარო. შამბალეთისწყალი, ცივიწყარო⁴, ცხრაწყარო. ცხრაწყაროთი, წყაროწყალი, წასადეგიწყარო, წონთიწყარო, ჭიოთისწყალი, ჭოტეწყალი, ხაფხაფისწყარო (სულ 62 ტოპ.);

ჭალა (ჭალები, ჭალათი): აკჯალა//აკჭავლა², ახალჭალა, ახალჭალები, გაღმა ჭალა², ვარდაჭალა, ზემო ჭალა, თიფიჭალა, ირმიჭალა, კიჭალა, მაჭალა, ღრმაჭალა, პაპუნაჭალა, საბუქე ჭალა, სამიჭალა, უკანჭალა², ჭალა-ჭალათი, ჭეთიჭალა, ხევიჭალა (სულ 20 ტობ.);

ხევი/ჭევი: აბანოსეკ, ბაგაიხევი, ბოდლეკურასევი², ბორცხევი, ბოსტანა-ხევი, გლიხევი, დიდგულისხევი², დიდკალოსევი, დიდკურხეკ, დოლაკალოსევი, ერგახევი, თეთრხევი, იმერხევი, კარხსალეთხევი, ნეფიჭევი, საბ-არახევი, სათხარახევი, საკლდეხევი, სამნიხეკ, სანივიხევი, სასარცხლისხევი, საქო-თნიხევი, სახელიხევი², ტბიჭევი, უჯახხევი, ქვაბიხევი, შნახევი//შანახევი, შოლტისხევი, წიხისხევი, წითელთაშიწიბოლოსევი, წიკლისხეკ, ჭოროხეკ, ჭურხევი, ჯვარისხევი (სულ 37 ტობ.);

ხიდი: დაბურულიხიდი, მოსიხიდი, პაწახიდი, ჯინალისხიდი (სულ 4 ტობ.);

ჯვარი/ჯუარი: კინიჯვარ², კინიჯუარი (სულ 3 ტობ.);

საკვლევ რეგიონში საზღვრულ ინდიკატორად გამოყენებულია როგორც არსებითი, ასევე ზედსართავი სახელები. მხარის ტოპონიმიაში გავრცელების სიხშირის მიხედვით გამოირჩევა შემდეგი ინდიკატორები: წყარო, ყანა, ღელე, ხევი, თავი, სერი, ძირი... ნაკლებად გვხვდება: დაბა, დარე, მერე, რუ, ქვაბი, ციხე. ინდიკატორია ჰიდრონიმული სახელები (წყარო, ღელე, ტბა, რუ...). მოპოვებული ტოპონიმური მასალების მიხედვით საზღვრული ინდიკატორით ნაწამობია 428 ტოპონიმური, ინდიკატორად გამოყენებულია 33 სიტყვა. ინდიკატორთა გავრცელების სიხშირე შავშეთის ტოპონიმიაში შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ინდიკატორთა გავრცელების სიხშირის ცხრილი

№№	ინდიკატორი ტერმინის დასახელება	რაოდენობრივი მასვენებელი	%
1	წყარო (წყალი, წყართი)	62	14,50
2	ყანა (ყანები)	48	11,22
3	ღელე (ღელეები)	44	10,28
4	ხევი/ჭევი	37	8,64
5	თავი, თავა (თავეები)	35	8,18
6	სერი (სერები)	21	4,90
7	ძირი/წირი, ძირა/წირა	21	4,90

№№	ინდიკატორ-ტერმინის დასახელება	რაოდენობრივი მაჩვენებელი	%
8	ჭალა (ჭალათი, ჭალები)	20	4.67
9	კარი (კარა, კარები)	17	3.97
10	წვერი (წვერი/წვერები)	9	2,10
11	ახო (ახოები/ახები).	11	2.57
12	კლდე/კილდე.	11	2.57
13	ტყე	11	2.57
14	ვაჟე	10	2,34
15	ქელი (ქეთი)	7	1.64
16	წმინდა	8	1.87
17	ველი (ველთი)	6	1.40
18	ბოლო (ბოლოთი)	5	1.17
19	ფერდი	5	1.17
20	გზა (გზები)	4	0.93
21	პირი (პირა)	4	0.93
22	საფლაეი	4	0.93
23	მთა	4	0.93
24	ხიდი	4	0.93
25	ტბა	3	0.70
26	ჯვარი/ჯუარი	3	0.70
27	დაბა	2	0.47
28	დარე	2	0.47
29	ოქალი	2	0.47
30	მერე	2	0.47
31	რუ	2	0.47
32	ქვაბი	2	0.47
33	ციხე	2	0.47
	სულ	428	100

გეოგრაფიული ობიექტის სახელი ერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი ტოპონიმია. იგივე სახელი სხვა შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს მსაზღვრელად ან საზღვრულ ინდიკატორად. პირველ შემთხვევაში ტოპონიმი მარტივია, სხვა დანარჩენში – რთული, მეორეული წარმოების. მაგალითისათვის ავიღოთ ჯვარი სათიბი (სვირევანი), ჯვარისხევი სოფ. უბანი (სვირევანი) და კინიჯვარი სათიბი (მაჩხატეთი) ე. ი. ჯვარი – ჯვარისხევი, – კინიჯვარი (←რკინის ჯვარი). პირველ შემთხვევაში ჯვარი დამოუკიდებელი, მარტივი ტოპონიმია, მეორე შემთხვევაში – მსაზღვრელი, მესამეში – საზღვრული ინდიკატორია. ანალოგიური მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება შავშეთის ტოპონიმიდან:

- ახო – ახოთვაკე – დიდახო
- ბოლო – ბოლოყანა – ვაკიბოლო
- დაბა – დაბის დაილა – ახალდაბა
- ვაკე – ვაკითავ – დიდვაკე
- ველი – ველიბოლო – დიდველი
- მერე – მერის წყარო – კუტალემერი
- ქედი – ქედიკარი – კაპელაქედი
- ღელე – ღელითავი – ბარიღელე
- ხევი – ხევიჭალა – ბოსტანახევი

ხშირია შემთხვევა, როცა მარტივი ტოპონიმი წარმოდგენილია მხოლოდ როგორც რომელიმე ტოპონიმის მსაზღვრელი ან საზღვრული ინდიკატორი. ეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს:

№	სახელი	დამოუკიდებელ ტოპონიმად ხმარების რაოდენობა	მსაზღვრელად ხმარების რაოდენობა	ინდიკატორად ხმარების რაოდენობა
1	აბანო	1	1	–
2	აგარა	3	–	–
3	არსიანი	2	–	–
4	ახო	7	1	11
5	ბოლო	1	2	5
6	ბრილი	3	–	–
7	გვირგვინი	1	–	–

№№	სახელი	დამოუკიდებელ ტოპონიმად ხმარების რაოდენობა	მსაზღვრელად ხმარების რაოდენობა	ინდიკატორად ხმარების რაოდენობა
8	დაბა	1	2	3
9	ღუბე	1	-	-
10	ვაკე	4	5	10
11	ვანი	2	1	-
12	ველი	1	4	6
13	ვენახი	3	-	-
14	ზიოსი	1	-	-
15	ზეგანი	1	2	-
16	კალო	1	3	-
17	კაპანი	3	1	-
18	კარაპატი	1	-	-
19	კარხალი	1	2	-
20	კარცხალი	1	-	-
21	კონცხი	1	-	-
22	კორტოხი	1	1	-
23	კორხი	3	1	-
24	კეუთი	1	-	-
25	ლარი	1	-	-
26	ლაშე	1	1	-
27	ლერწამი	1	-	-
28	მანხიანი	1	-	-
29	მითი	1	-	-
30	მინდორი	1	-	-
31	მერე	2	1	2
32	მურყანი	1	-	-
33	სარტყელი	1	-	-
34	ტვერი	1	-	-
35	უბე	1	-	-
36	ფაცხა	1	-	-

№№	სახელი	დამოუკიდებელ ტოპონიმად ხმარების რაოდენობა	მსაზღვრელად ხმარების რაოდენობა	ინდიკატორად ხმარების რაოდენობა
37	ფიქალი	1	2	–
38	ფონი	1	–	–
39	ფოსტი	1	–	–
40	ქარაფი	1	–	–
41	ქაფარი	1	–	–
42	ქელი	1	4	7
43	ლელე	3	4	44
44	ყანა	1	–	48
45	ჩანჩქერი	1	–	–
46	ჩანჩხი	1	1	–
47	ჩარდალი	1	–	–
48	ჩიდილ	1	–	–
49	ციალი	1	1	–
50	წალკოტი	2	–	–
51	წიაბტი	2	–	–
52	წმინდა	1	–	8
53	წურნაფი	1	–	–
54	ჭანჭახი	3	–	–
55	ჭოლო	2	1	–
56	ჭოჭე	4	1	–
57	ხევი	1	3	37
58	ჯვარი	4	1	3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთი და იგივე სახელი, ინდიკატორად უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე დამოუკიდებელ ტოპონიმად.

ანალოგიური სურათია არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიაშიც. ფ. მაკალათიას მართებული დასკვნით, ეს იმაზე მეტყველებს, რომ პირველად ტოპონიმებად ერთსიტყვიანა დამოუკიდებელი ტოპონიმები იყვნენ, რომელნიც შემდეგ ახალ, მეორეულ გეოგრაფიულ სახელებში ინდიკატორებად იქცნენ ობიექტის დაყოფის ან სხვა ნიშნის მიხედვით სახელების საჭიროების წყალობით (41, 96).

3.4. ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმები

შავშეთის ტოპონიმიაში ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მხარის ისტორიული წარსული თვალნათლივ აისახება საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში. შავშეთი საქართველოს ის ისტორიული კუთხეა, რომელსაც განვებამ მძიმე ხვედრი აგება. მაგრამ შავშელი კაცი წელში არ გატეხილა. მართალია, მამაპაპური სარწმუნოება წაართვეს, შემდეგ ერთმა ნაწილმა ენაც დაკარგა, მაგრამ შეგნება იმისა, რომ ქართველია და ისტორიული ბედ-უკუღმართობის მსხვერპლი. — არ დაუკარგავს, ასსოვს თავისი წარმომავლობა, წინაპართა გვარსახელები.

XX საუკუნის დასაწყისში ნიკო მარი შენიშნავდა, რომ აქ გვარები ძირითადად მთავრდება — ძე-ზე, აქაური მოსახლეობა, რომელიც უკვე ქართულად არ ლაპარაკობს, დაბოლოებას წარმოთქვამს თურქული ინტონაციით — ზე. ნ. მარის მიხედვით, ტბეთში შემდეგი გვარებია: ციალიძე, ნიქებეძე, კისერუძე, ავათიძე, მასკულიძე, სოფ ცუარებში: ფანსიძე და თურმანიძე; წითვეთში — ლასურიძე და ხელვიძე; სოფ. გარყილობში — ქადაგიძე; სოფ. სვირეკანში: ფულკარიძე, ბურიძე, გათამიძე/ქათამიძე; სოფ. მერიამში — ფირაძე, ირემაძე, სოფელ დაბაწვრილში — კობაძე და ხალაძე; ციხისძირში — კორდისძე, ყარმუსძე, აბრამისძე; სოფ. დასამობში — ჯარბიძე და სხვ. (44). ამჟამად ამ გვარსახელებიდან უმრავლესობა აღარ დასტურდება. მაგ., სოფელ ტბეთში გვარსახელი ნიქებეძე შემორჩა სათესის — ადგილს, რომელიც ადრე ამ გვარის ხალხის საცხოვრისი იყო. თვითონ ამ გვარის მატარებელი ხალხი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. სხვა გვარსახელები, რომლებიც ნ. მარმა დაადასტურა ტბეთში, დღეს აღარ გვხვდება. ასევეა სხვა სოფლებშიც.

სოფელ დაბაწვრილში ორ სხვადასხვა უბანს „ქქია კოპაზელარ“ („კოპაძეები“) და ხალაზელარ („ხალაძეები“). ამ უბნებში ნ. მარის ცნობით, ცხოვრობდნენ კოპაძეები და ხალაძეები. ამჟამად ამ გვარის ხალხი აქ არ ცხოვრობს, გვარსახელი კი შემონახა სოფლის უბნის სახელწოდებამ. მიუსე-

დავად ამისა, შავშეთის სოფლებში ბევრი სუფთა ქართული წარმომავლობის გვარსახელია შემორჩენილი. დღეს ოფიციალურად მოსახლეობას მიღებული აქვს თურქული გვარები, მაგრამ იციან წინაპრების გვარებიც... ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებული მასალის მიხედვით ეს გვარები სხვადასხვა დაბოლოებისაა: -ძე, -შვილი, -იენთ, -ეთ, -ეზ, -ოსან, გვაქვს თურქულ-დაბოლოებიანი (-ოლი, -ლარ...) გვარსახელებიც (მურეშოლი -მურეშაშვილი, მოლოლი -მოლიშვილი...) და ა. შ.

ქვემოთ მოგვყავს საკვლევ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ აღწერილი ძველი გვარსახელები ცალკეული სოფლების მიხედვით:

მამანელი: კახაბიძე, ნიქებიძე, დულაბიძე...

ზაქიეთი: ჩაქურიძე, მიქაძე, შობელაძე, შუბლაძე, კოჭოხიძე, ჯარბიძე, ყაბხინი//ყაბხინთი...

მიქელეთი: მიქელაძე//მიქელოლი.

დაბა: გოჩლიენთი, ზემოენთი, თათიენთი, სურათიენთი, მიქელეთი, პეტრიენთი, ჯიჯუნთი, ხაჯიენთი, ხოჯიენთი...

დიობანი: ბაირახტიენთი, კაკანი//კაკანიშვილები, გოგოლეთი, მოსიენთი, ჯაფარიძე...

სვირევანი: დავითიძე, ფუტკარაძე//ფუტები, ქოსიენთი, ზაზალაძე//ზაზალები, მელიქიშვილი//მელიქოლი, შარაძე, დულაბიძე, მურეშაშვილი//მურეშოლი, ხაჯალიძე, ლაზიშვილი//ლაზოლი, დარჩიძე, შამათაშვილი//შამათოლი, ბაირახტიენთი//ბაირახტოლი, ბუტიძე//ბუტიენთი, ჭალაძე, ყოსიენთი, ჭივიძე, კახიძე, კუკულაძე//კუკუები...

ჩაქველთა: მოლიშვილი, ჩიმაგეთი//ჩიმაგოსანი, ზედა გალმენთი, ლაზიენთი//ლაზიშვილი...

დასამობი: ჯარბიძე, ხერხაძე, ყურძენაძე, ხაჯიშვილი, ქურდო, ხაჯები...

წეთილეთი (აგარის უბანი): ვარდიძე, მარგაძე, მოსიძე, განაყოთი, შულლაძე, თურმანიძე, წითელაძე, წითლოძე...

სხლობანი: თულაძე, გურიძე, ფუტკარიძე, შალიკაძე//შალიკოლი, ნადირაძე...

ბაზგირეთი: გამეშიძე//ქამაშიძე („სარილოლი“ და „დელიქასანოლი“), თანთოშვილი...

წითვეთი: დულაბიძე, ლასურიძე, მჭედლიძე...

ხევწრული: ტალახაძე//ტალახიენთი, თუთიენთი, თედორაძე, მიქელყმაძე, ცეცხლაძე//ცეცხლიენთი, ქურდიკიძე, ფანჩიკიძე, ფანჩიძე, დავლაძე, გამრეკელიძე, ფუქშები (მაჭახლიდან მოსულან ძველად), მეგრელები, რევაზიშვილი//რევაზოლი, ქირთოები, კაწახები, ზაზაძე//ზაზაოლი, კენჭოშვილი...

//კენჭოლლი, გოჩოშვილი//გოჩოლლები, ფალაზაშვილი//ფალაზოლლები, ბელ-
თაძე//ბელტაძე//ბელტიეთი...

ტბეთი: პატარიძე.

როგორც აღვნიშნეთ, შავშეთის ტოპონიმიში ანთროპონიმული წარმომავ-
ლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს შემდეგი სუფიქსები: -ძე, -ძე//
ზე, -იენთ, -ეთ, -ებ, -ათ, -ურ//ულ, -ა-ურ.

-ძე სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები გვარსახელისაგან მომდინარე
სახელებია. შავშეთის სოფლების ცალკეულ უბნებში ცხოვრობენ, როგორც
წესი, ერთი გვაროვნული ოჯახები. სოფლის უბნის სახელწოდებაც სწორედ
აქ მცხოვრებთა გვარებიდან მომდინარეობს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს
მომენტი დარღვეულია, სოფლის უბნის სახელწოდების მატარებელი ოჯა-
ხები აღარ ცხოვრობენ, სახელი კი შემორჩენილია, რაც იმის უტყუარი საბუ-
თია, რომ ახლო ან შორეულ წარსულში ეს ადგილები მათი საცხოვრისი
იყო. იმერხევის ერთ-ერთ დიდ სოფელში – წყალსიმერში შედის შემდეგი
„მეჭელები“ (სოფლის უბნები): ბაბელიძე, ბასილიძე, ბუქიძე, ზაქარიძე,
კომბაძე, კობიძე, ხილვაძე. ამ უბნებში არც ერთი ბაბელიძე, ბასილაძე და
სხვა აღარ ცხოვრობს. სოფელ იფხრეველის უბნებია: იმნაძე, საღრიძე, ჭუ-
რკვესიძე, ჯაფარიძე. სოფელ კარავათშია „მეჭელე“ – ფანჩიძე, სადაც არც
ერთი ფანჩიძე არ აღმოჩნდა ამჟამად. სამაგიეროდ ამ გვარის ოჯახები დღეს
ცხოვრობენ სოფელ ხევეწულში. იგივე მდგომარეობაა წეთილეთის „მეჭე-
ლეში“, – რომლის სახელია დულაბიძე. ამჟამად დულაბიძეები ცხოვრობენ
მამანელისსა და წითვეთში. ნიკო მარის მიერ სოფელ ტბეთში ფიქსირებული
გვარსახელებიდან (ციალიძე, ნიქებეძე, კისერეძე, ავათიძე, მასკულიძე) დღეს
დასტურდება მხოლოდ ერთი – ნიქებეძე, ისიც სათესის სახელად. საკვლევ
რეგიონში -ძე სუფიქსით გაფორმებული ყველა გეოგრაფიული ობიექტი ე. წ.
„მეჭელეა“, გამონაკლისია თურმანიძე, რომელიც შავშეთის ერთ-ერთი მნი-
შვნელოვანი სოფელია.

როგორც ვხედავთ, -ძე სუფიქსით გაფორმებული ანთროპონიმები წარ-
მოდგენილია მხოლოდით რიცხვში, იშვიათად ასეთ სახელებს ერთვის -ებ
სუფიქსი. გამონაკლისია რამდენიმე ტოპონიმი: მიქაძეები, ჩაქურიძეები სოფ.
უბნები (ზაქიეთი). შავშეთ-იმერხევის მეზობელი ზემო აჭარის ტოპონიმიში
-ებ სუფიქსი ხშირად დაერთვის გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმებს...
გასული საუკუნის დასასრულისათვის ანთროპონიმები მეტწილად -ებ
სუფიქსის გარეშე იხმარებოდა. მაგ., გოგაძე, გელაძე, ირემაძე... (ამჟამად
გოგაძეები, გელაძეები, ირემაძეები...). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ
ზემო აჭარის ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელ-

წოდებების ნაწილი XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ არაა გაფორმებული -ებ სუფიქსით. - წერს მ. ქამადაძე (74, 16). შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიაში ეს პროცესი დღესაც დამთავრებული არ არის. ანთროტოპონიმები აქ უმეტესწილად წარმოდგენილია -ებ სუფიქსის გარეშე.

-იენტ, -იეთ, -ეთ სუფიქსები ანთროტოპონიმებს აწარმოებენ როგორც საზოგადო, ასევე პიროვნული სახელებისაგან და გვარსახელებისაგან:

-იენტ: აბრამ-იენტ-ი სოფ. უბანი (ხევწრული; პიროვნული სახელი აბრამი, გვარსახელი აბრამიძე), ბათ-იენტ-ი სოფ. უბანი (წყალსიმერი; გვარსახელი ბათაძე, შესაძლოა ბათნიძე), დარბაზ-იენტ-ი, კოსოლ-იენთი სოფ. უბნები (მანატბა, გვარსახელები: დარბაზიძე, კოსოლიძე), კუკულ-იენტ-ი, ხევრ-იენტ-ი სოფ. უბნები (უბე, ხოხლევი; გვარსახელები: კუკულაძე, ხევრაძე) და სხვ.

-იეთ: აბაშ-იეთ-ი სათესი ტყე (წეთილეთი; გვარსახელი აბაშიძე), ასამბ-იეთ-ი სათესი (ზაქიეთი; გვარსახელი ასამბაძე), ბალ-იეთ-ი სოფ. უბანი (ზიოსი; ბალაძე), ბერ-იეთ-ი, გიგ-იეთ-ი სოფ. უბნები (ჩიხორი, დასამობი; ბერიძე, გიგიძე//გიგაძე), გორგ-იეთ-ი, ლომ-იეთ-ი, მესხ-იეთ-ი სოფ. უბნები (ხოხლევი; გვარსახელები: გორგაძე, ლომაძე//ლომიძე, მესხიძე), ქოქლ-იეთ-ი, ცეცხლ-იეთ-ი სოფ. უბნები (დიობანი, მანატბა; გვარსახელები ქოქლაძე, ცეცხლაძე) და ა. შ.

-ეთ სუფიქსიანი გვარსახელები საკვლევ რეგიონში ხშირად დასტურდება: გაბილ-ეთ-ი სათესი (კარავათი; პიროვნული სახელი გაბილა), გამეშ-ეთ-ი სოფ. უბანი (ბაზგირეთი; პიროვნული სახელი გამეში//გამეშა, გვარსახელი გამეშიძე → (→გამაშიძე→ქამაშიძე), მიქელ-ეთ-ი სოფ., სოფ. უბანი (შავშეთი, წყალსიმერი; სახელი მიქელი//მიქელა, გვარსახელი მიქლაძე), ნიოლ-ეთ-ი⁷⁷ სოფ. უბანი (დასამობი; გვარსახელი ნიოლიძე←ლიონიძე←ლეონიძე), სოსან-ეთ-ი სათიბი (ზენდაბა; პიროვნული სახელი სოსანა, გვარსახელი სოსანაძე). შდრ. ცოცანიძე. როგორც ვხედავთ ანთროპონიმული სახელები შემორჩენილია გეოგრაფიულ სახელებში, გვარსახელები კი აღარ დასტურდება.

საყურადღებოა, რომ -ეთ სუფიქსით გაფორმებული გვარსახელები ხშირად გვხვდება „ტბეთის სულთა მატინანეში“. აბესალამი→აბესლამეთი, გოგოა→გოგლაეთი, ეგნატე→ეგნატეთი და სხვა (70). პროფ. მზექალა შანიძეს ამ სუფიქსის ასე მრავლად წარმოჩენა ისტორიული დიალექტოლოგიისათვის საყურადღებო ფაქტად მიაჩნია. იგი წერს: „ტბეთის მისახსენებლის მასალები გვიჩვენებს, რომ მსგავსი ფორმები ფართოდ იყო გავრცელებული იმ გეოგრაფიულ არეალზე, რომელიც დღევანდელ იმერხეულ კილოს უკავია“ (87, 53).

შავშეთ-იმერხევეში საგვარეულო სახელებიდან მომდინარე ტოპონიმებს აწარმოებენ აგრეთვე სუფიქსები -ათ, -ურ(//-ულ), -ურ-ა(//-ულ-ა).

-ათ: აბრამ-ათ-ი სათესი (მოქეთა; პიროვნული სახელი აბრამი, გვარ-სახელი აბრამიძე), ბასილ-ათ-ი ტყე (სინკოთი; ბასილი//ბასილა, ბასილაძე), გაბლ-ათ-ი (←გაბილათი) საძ., (მამანელისი; გაბილა, გაბილეთი), გობ-ათ-ი სათიბი (სათლელ-რაბათი; გობაძე), დავლ-ათ-ი სოფ. უბანი (დასამობი; დავლაძე), კაპან-ათ-ი საძ., (უბე; კაპანაძე), მესხ-ათ-ი სათესი (ჭუარები; მესხაძე//მესხიძე)...

-ურ(//-ულ), -ა-ურ(//-ა-ულ), ტოპოფორმანტი საკმაოდ პროდუქტულია საკვლევი რეგიონის ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებში: აბრაჟლი (←აბრამაჟლი) სათიბი (დაბაწვრილი), ბასილური სათესი (წეთილეთი), ბაჩაჟრი (მამანელისი), ბერული ტყე (დაბაწვრილი), გოგნაჟრი მთა (ციხისძირი), დავლაჟრი სათესი (დასამობი), ივანური სათესი (წეთილეთი), კვესაური სოფ. უბ., (ჩაქველთა), კობალაჟრი სათიბი (კარავათი), კოკიშაჟრი ტყე (გურნათელი), კუჭეტაჟლი სათიბი (დაბაწვრილი) ლემაჟრი (←ლომაური) სათიბი (ოქრობაგეთი), მარამული (←მარიამული) სათიბი (ზაქიეთი), ნადირაჟლი სათესი (ჭუარები), შარაბული სათიბი (წეთილეთი), წეწლაური (←წეწელაური) სოფ., (შავშეთი), წიქარაჟლი საძ., (ხევწრული) და სხვ. დასტურდება ორმაგი წარმოების ანთროტოპონიმები: თენიეთური სათესი (ჩაქველთა), მიქელეთური სათიბი (ჯინალი), ქედელაური სათიბი (კარავათი), ჯიმჭველაური სათიბი (ზაქიეთი) და ა.შ.

ეს გეოგრაფიული სახელები მომდინარეობენ შემდეგი პიროვნული სახელებისა და გვარსახელებისაგან: აბრამი (აბრამიძე), ბასილაძე, ბაჩა, ბერიძე, გოგნა//გოგინა, დავლაძე, ივანე, კვესა, კობალაძე, კოკიშა, კუჭეტა, ლემა/-ლომა, მარიამი, ნადირაძე, შარაბიძე, წეწლა//წეწელა, წიქარა, თენიეშვილი, მიქელაძე, ქედელიძე, ჭიმჭველა...

დასტურდება სხვა სუფიქსებით ნაწარმოები ანთროტოპონიმებიც: პეტრიელი (←პეტრ-ივ-ულ-ი←პეტრ-ივ-ურ-ი) სათესი (უბე), მესხ-ევრ-ა (←მესხ-ევრ-ა) სათესი (წეთილეთი), შუშან-ეჟრი-ი სათიბი (მორღელი), კუჭ-ან-თ ტყე (წითყეთი)...

გვაქვს შემთხვევები. როცა ერთი და იგივე ანთროპონიმის ფუძეზე სხვადასხვა სუფიქსის დართვით იწარმოება გეოგრაფიული სახელები: აბრამი-აბრამიენთი-აბრამათი-აბრაული (←აბრამაული), ე. ი. ანთროტოპონიმის ფუძეზე დართულია -იენთ, -ათ, -ა-ულ სუფიქსები; ბასილი-ბასილიძე-ბასილათი-ბასილური; მესხი-მესხიეთი-მესხათი-მესხევრა; გაბილა-გაბილეთი-გაბლათი (←გაბილათი); ბერი-ბერიეთი-ბერული...

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებენ: ქართულში: -ნ/-თ(ა) სუფიქსები (ტუხა→ტუხა-ან-ნ-ი, მერაბა→მერაბა-ან-ნ-ი...); (31). კახურში: -ან სუფიქსით

(ოთარა-ან-ი, საბია-ან-ი...) (50), ხევსურულში და ფშაურში -ნ/-თ: (ლეკო-ნი, ლეკო-თ,... წიწო-ნი, წიწო-თ...) (106; 50) და სხვ.

საკვლევ ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ რთულ გეოგრაფიულ სახელებს, რომელთა მსაზღვრელ წევრად გამოყენებულია ანთროპონიმი: არჩილაწყარო წყარო (იფხრეველი), გორგიეთწყალი ღელე (მაჩხატეთი), გორგივაკე საძ., (დაბა), გორგოშისერი სათიბი (წეთილეთი), დავითიან წყარო წყარო (სვირევეანი), დოლოყანა სათესი (სვირევეანი), ენდროყანა სათესი (უბე), კლარჭას წყარო წყარო(წეთილეთი), კოტრი ყანა სათესი (წეთილეთი), მაჩოყანა სათიბი (დიობანი), მუნთოწყარო წყარო (ზიოსი), მოსიეხიდი ხიდი (დიობანი), მოსიენთწყარო წყარო (იფხრეველი), მურეშყანა, პაპუნჭალა სათიბები (უბე, სვირევეანი), პეტრიყანა სათესი (ჩიხორი), საფიატყე ტყე (წეთილეთი), სულიყანა საძ., (კარავათი), ფაშიღელე ღელე (ბაზგი-რეთი), შუბლათტყე ტყე (ზაქიეთი), ჭეჭეველას ღელე ღელე (დასამობი) და სხვ.

ამ რთული ტოპონიმების მსაზღვრელი წევრი გვიჩვენებს გეოგრაფიული ობიექტის მეპატრონეთა სახელებს, გვარსახელებს და ზედმეტსახელებს. გორგიეთწყალი იგივე გორგაძეების წყალია, რომელიც იღებს სათავეს გორგაძეების უბნიდან, ამიტომ მდინარეშეა აქედან მიიღო სახელწოდება. ზემომოყვანილ მაგალითებში ჩანს გვარსახელები, პიროვნული სახელები და მეტსახელები: გორგოშიძე//გორგოშაძე, მოსიძე, შუბლაძე, არჩილა, დავითი, დოდო, ენდრო, მურეშა, პაპუნა, პეტრე, კლარჭა, კოტრი, მაჩო, მუნთო, საფია, სულია, ჭეჭეველა და ა. შ.

საკვლევ რეგიონის ტოპონიმიაში ანთროპონიმული წარმომავლობის სახელების მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებს თურქული მაწარმოებლები: -ლარ, -გილ, -ოდულ//-ოდულ-ლარ, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

3. 5. მცენარეთა სახელები ტოპონიმებში

შავშეთის ტოპონიმიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებს.

შავშეთი ტყეებითა და მცენარეული საფარით მდიდარი რეგიონია. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „შავშეთში იზრდება მრავალნაირი ხე, ბალახი, ყვავილები, ხეხილი. აქ ხილი კარგი იცის, ნამეტურ ყოლი (ბჟოლი)... მოდის პური, სიმინდი, ქერი, ლობი, ლობიო (მეტად კარგი სკოდნია), კართოფილი, ჭარხალი, მწვანილეულობა, ერთი სიტყვით, აქეთ კაცი რასაც – კი დარგავს და დათესავს, ყველაფერი ხეირობს.

გარდა ბრინჯისა“ (107, 265, 267). უფრო ადრე, 1874 წელს, გ. ყაზბეგი წერდა: „შავშეთის ბუნება გაცილებით მდიდარია. მესაქონლეობა და მეხორბლეობა აქ შეიძლება მნიშვნელოვნად განვითარდეს. შავშეთი აწარმოებს ხორბალს, რომელიც ბათუმის ბაზარზე ყარსისას სჯობნის. მიწის ზღაპრული ნაყოფიერების პირობებში შავშეთი შესაძლოა გახდეს ხორბლის წარმოების ცენტრი“ (81, 97).

რეგიონის მრავალსახეობიანი მცენარეული სახელები აისახა ტოპონიმებში. არის შემთხვევები, როდესაც ტოპონიმად წარმოდგენილია პირდაპირ მცენარის სახელი. ე. ი. ადგილის სახელდება მოხდა მეტონიმის გზით. მაგ.: მურყანი ტყე (კუჭენი), ლერწამი სათიბი (მიქელეთი)...

ტოპონიმის ფუძედ აღებულია ხე-მცენარეული სახელი:

არყი (*Betula*, არყის ხე, თეთრქერქიანი ხე საშუალო ტანისა, საქართველოში გავრცელებულია მაღალმთიან ადგილებში)⁷⁸: არყეთი სოფ. უბანი (ზ. სულისი), არყნალი ტყე (წეთილეთი).

ასკილი (*Rosa canina*, ეკლიანი ველური ბუჩქი, ისხამს თეთრს, მოყვითალო ან მოწითალო ყვავილს, იყენებენ ცოცხალ ღობეებად, ვარდების დასამყნობად, ასკილის ნაყოფისაგან ამზადებენ C ვიტამინს): ასკილუანი სათიბი (მანატბა).

ბალი/ბალამწარა (*Cerasus Silvestris*, საშუალო ან მაღალი ტანის ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა); მსხვილი დახრილი ფოთოლი აქვს, თეთრი ყვავილი და კურკიანი წვნიანი ნაყოფი): ბალვანა (←ბალოვანა) სოფელი (შავშეთი), ბალსუკანა სათიბი (მაჩხატეთი). ბალთახვედელე ღელე (ჩიხორი), დიდბლიზირი (← დიდი ბლის ძირი) სათესი (ხევწრული).

ბზა (*Ruxus sempervirens*, დაბალი ან საშუალო ზომის მარადმწვანე წვრილფოთლებიანი ხე ან ბუჩქი, გამოირჩევა მაგარი და მძიმე მერქნით, იზრდება ტყეში): ბზათა სოფ. უბანი (წყალსიმერი); შრდ.: ბზვანი – სოფელი ვანის რაიონში.

ვაშლი (*Malus domestica*): ვაშლათ სათიბი (ჭუარები), ვაშლთაყანა სათესი (ახალდაბა).

ვენახი (1. მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გაშენებულია ვაზი, ვაზის ბაღი. 2. ძვ. და კუთხ. (გურ.) ვაზი): ვენახები სათესი (სვირევანი). ამჟამად ვაზი გაშენებულია შავშეთ-იმერხევის დაბლობ ადგილებში, უმეტესად მდინარეთა გასწვრივ მდებარე სოფლებში. მუსლიმანური რელიგიის გავრცელებამდე ეს კულტურა ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. ამას ადასტურებს სხვადასხვა სოფლებში (ტბეთი, წითვეთი, იფხრეველი...) დღესაც შემორჩენილი ქვის საწნახელები.

ვერხვი (*Populus tremula*, საშუალო ან მაღალი ტანის ხე ტირიფისებრთა ოჯახისა; ქერქი ნაცრისფერი აქვს, ფოთლები მომრგვალო და მსხვილკბილა, გრძელყუნწიანი, მთროლოავი და შრიალა): ვერხვინალი სოფელი (შავშეთი), ვერხვინალა ტყე (ხევწრული).

თელა (*Uimus Foliocea*, დიდი ტანის ხე, აქვს ასიმეტრიული ფოთლები... გვხვდება უპირატესად ჭალისა და ველის ტყეებში, აგრეთვე ნარგავების სახით ქუჩებსა და ბაღებში, მერქანი მაღალი ღირსებისა აქვს): თელაწყარო წყარო (უბე).

თუთა (*Morus alba*), იგივე ბჟოლი//ბჟოლა. შავშეთის სოფლები ცნობილია ამ კულტურით. „კულტურული მცენარეულობიდან აქ კარგად ხარობს თუთის ხე“ – წერდა გ. ყაზბეგი (81, 97): თუთიღელე ღელე (ჩიხვთა).

კატარი: კატართ სათიბი (ჯინალი), კატრუანი ტყე (წყალსიმერი), კატროვანი ტყე (სვირევანი).

ლეკის ხე (*Acer piatanoides*, ჩვენს ტყეებში ფართოდ გავრცელებული ნეკერჩხლისებრთა ოჯახისა...): ლეკნართი სათიბი (ზაქიეთი), ლეკთუკანა ტყე (უბე).

მსხალი (*Porus sp. div. cult*); სხლობანი სოფელი (შავშეთი), სხალფილა სოფ. უბანი (სვირევანი), მსხალნარი სათიბი (ხევწრული), მსხალნარიღელე ღელე (ხევწრული), სხალთნამწუართი სათიბი (იფხრევლი). ადგილობრივ მსხლის მრავალი ჯიში ხარობს, მათგან ერთ-ერთი კუტალა მსხალია, რომელიც ფუძედ უღევს რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს: კუტალეთი სოფ. უბანი (სვირევანი), კუტალიზირი (← კუტალიძირი←კუტალას ძირი) სათესი (მანატბა), კუტალები⁷⁹ სათესი (ხევწრული). ველურ ანუ ტყის მსხალს აქ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პანტა ჰქვია. დასტურდება ტოპონიმი პანტის სერი მთა (ივეთი).

მუხა (*Quercus*, მსხვილი, მაგარმერქნიანი ხე წიფლისებრთა ოჯახისა... იზრდება ნელა; ისხამს რკოს; მერქანს ხმარობენ ბოჭკოების, პარკეტის, ავეჯეულობის და მისთ. წარმოებაში): მუხნერ (←მუხნარი) ტყე (ზ. სულისი), მუხობანი სოფელი (შავშეთი).

ნიგოზი (1. დარჩეული კაკლის გული. 2. კუთხ. (იმერ., გურ.), იგივე კაკალი (*Yuglans regia*, მაღალი, ფართოფოთლებიანი ხე; ისხამს მაგარნაჭუჭიან, წენგიონ ნაყოფს; აქვს მაგარი და მძიმე მერქანი): ნიგოზირაღ (← ნიგოზიზირაღ← ნიგოზის ძირაღ← ნიგოზის ძირი) სათიბი (წყალსიმერი).

ტყემალი (*Prunus divaricata*, საშუალო ზომის ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა... იზრდება ტყეებში, ზოგჯერ მოჰყავთ ბაღებში, ყვავილობს ფოთლის გაშლამდე): ტყემლიზირი (←ტყემლიძირი←ტყემლის ძირი ←ტყემლის ძირი) სათიბი (ხევწრული).

გეოგრაფიული სახელის ფუძე კულტურულ მცენარეთა სახელია:

ასლი (*Triticum diocum*, კილიანი ხორბალი, ლეწვის დროს თავთავი ადვილად ემტვრევა, მაგრამ მარცვალი კილებში (ბოდენი) რჩება და მოითხოვს დამატებით ცეხვას). „არც ერთ სხვა ენაში ხორბლეულის ამ ჯიშს ასეთი სახელი არ ეწოდება და ამის გამო ეს ტერმინი ნამდვილ ქართულ სიტყვად უნდა ვცნათ“ – წერს ივ. ჯავახიშვილი (113, 338). ნაასლევი სათიბი (დიობანი).

იფქლი. „შავშეთის ფრიად მომცემ ბარში უხვად მოდის სიმინდი და ხორბალი (იფქლი) – წერდა გაზეთი „ივერია“ 1877 წელს, №18, გვ. 8 (ავტორი პეტრე უმიკაშვილი). შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა დანარჩენ კუთხეებში ნათეს ხორბლეულს (პურს, ქერს, ჭვავს) ძველთესლურს ეძახიან, ხოლო შემოდგომაზე ნათესს – იფქლს, რომელიც ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველ ქართულში და აღნიშნავდა შემოდგომის ხორბლეულს, ან საერთოდ პურეულს, ივ. ჯავახიშვილი წერდა: იფქლი „ძველი-სძველი ქართული სიტყვაა... რომლის ანარეკლი უნდა გვქონდეს სვანურს „ითქ“-ში (XLEB)... ხოლო მეგრული „ირქი“ იფქრისაგან უნდა იყოს „ფ“-ს გაქრობით და „ქრ“ ადგილმონაცვლეობით წარმომდგარი“ (113, 327, 395). არნ. ჩიქობავა ყურადღებას ამახვილებს სვანური ფექისა („ფექელი“) და ქართული იფქლის ფონეტიკურ-სემასიოლოგიურ კავშირზე. იფქლში მან გამოყო საწარმოებელი ფუძე ფქ – ფექ და ი- და ლ- აფიქსები (91, 171-172).

საკვლევ რეგიონში იფქლ-ი ძირისაგან რამდენიმე გეოგრაფიული სახელი არის ნაწარმოები, რაც მიგვანიშნებს იმას, რომ პურეულის ეს ჯიში აქ საკმაოდ გავრცელებული იყო: იფხრანა (← იფხრიანა) სათიბი (მაჩხატეთი). ტოპონიმი ნაწარმოებია -იან და -ა სუფიქსების დართვით, ფუძისეული ქლ ბგერათკომპლექსი წარმოდგენილია ხრ ფორმით, -იან სუფიქსში ი ხმოვანი ჩავარდნილია: იფქლი-იფქლიანი-იფქლიანა-იფქლანა-იფხრანა. ე. ი. იფხრანა ის ადგილია, სადაც ითესება იფქლი. იფხრევილი ერთ-ერთი დიდი სოფელია იმერხევში, მდინარე იმერხევის მარცხენა სანაპიროზე. ი. სიხარულიძეს „იფხრეული“ „იმერხეულის“ (იქითა მხარის) სახენაცვალ ფორმად მიაჩნია (69, 51). ჩვენი აზრით, ტოპონიმის ამოსავალი ფუძე არის იგივე იფქლი. ანალოგიური ძირისაა ტოპონიმი იფხრევანი საძ., (სინკოთი), რომელიც ნაწარმოებია რთულ -ევ + ან სუფიქსით.

სელი (*Linum usitatissimum*, ერთწლიანი, ცისფერყვავილებიანი და კოლოფანაყოფიანი მცენარე, აქვს პრიალა, ბრტყელი, ზეთით მდიდარი ფესვი, რომლისაგანაც ზეთს ხდიან, ხოლო ბოჭკოსაგან ამზადებენ ქსოვილს): სელავრი სათიბი (იფხრევილი), ნასელვარი სათესი (ბაზგირეთი).

სვილი (იგივეა, რაც ჭვავი – Secale. ბოტან. 1. პურეული მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა; აქვს მოგრძო, მოკლეფხიანი თავთავი...) **სვირევანი** (←სვილევანი) სოფელი (იმერხევი).

ქერი (Hordeum sativum, ბოტან. 1. თავთავიანი პურეული მცენარე; აქვს ერთყვავილიანი ფხიანი თავთუნები, მარცვალ კილგადაკრული, იშვიათად – შიშველი). სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით გაზაფხულის ნათესს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისას – ქრთილი (58, 220). საკვლევ რეგიონში გვხვდება ქერთან დაკავშირებული ტოპონიმები: ქერეველა სათიბი (წეთილეთი), ქერიყანა ტყე (მორღელი).

დასტურდება ბალახ-მცენარეულისაგან მომდინარე ტოპონიმებიც:

ჭილი (Iuncus, ბოტან. ტენიან ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი (იშვიათად – ერთწლიანი) ბალახოვანი მცენარე): **ჭილიეთი** საზამთრო სადგომი (ტბეთი), **ჭილაური** საძ., (სხლობანი).


ფლორონიმებია საკვლევი რეგიონის გეოგრაფიული სახელები: ბარდეთი სათიბი (ჯინალი), ბრინჯვალე სათესი (წეთილეთი), ბაზგირეთი (←ბაძგირეთი) სოფელი (იმერხევი), ნარსპარი სათესი (ხევწრული) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მცენარეული სახელები ფართოდ არის წარმოდგენილი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. გვხვდება როგორც ხე-მცენარეული, ასევე კულტურული და ბალახეული მცენარეებისაგან მომდინარე ტოპონიმები.

3.6. სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ტოპონიმები

შავშეთი მეურნეობის განვითარების მიხედვით ერთ-ერთ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენს. აქ განვითარებული იყო მემინდვრობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა-მელვინეობა, ხელოსნობა და სხვ. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „და არს ესე შავშეთ ტყიანი, გორა-მთიანი, ღელე-ღრატოიანი, ვიწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სიეიწროვედ“ (9, 679-186). მეურნეობის ეს დარგები აისახა საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში.

შავშეთი ისტორიულად გამოირჩეოდა მემინდვრობით. აქ გავრცელებული იყო პურეულის ჯიშები: ასლი, სელი, იფქლი, ფეტვი, მახა და სხვა. პურეულის კულტურებთან დაკავშირებული ტოპონიმებია: ნაპურნევი საძ., (დაბაწვრილი), ნაასლევი სათიბი (დიობანი), სელაერი სათიბი (იფხრევილი),



სოფელი ტბეთი (შავშეთი) 1998 წელი

ნასელვარი სათიბი (ბაზვირეთი), მახანთავი ტყე (წეთილეოი), ნაკალუები სათიბი (მანატბა), ნაწისქვილავათი საძ., (სვირევეანი)... ის ადგილი, სადაც ადრე პური, ასლი, სელი ეთესა, ნაპურნევი, ნასსლევი და ნასელვარია.

მეტსოველეობა შავშეთის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო და არის დღესაც. რასაც ხელს უწყობს რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მდიდარი, ნოყიერი მთის ალპური საძოვრები. დასტურდება რიგი ტოპონიმები, რომლებიც უკავშირდებიან ამ დარგს. უნდა აღინიშნოს ის, რომ დღეს ამ რეგიონში მეტსოველეობამ თითქმის განდევნა მიწათმოქმედება, ყველა სოფელში სახნავ-სათესი მიწები საძოვრებად და სათიბებად არის გადაქცეული. სათიბ-საძოვრები ცალკეა გათვალისწინებული როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლისათვის. საძოვრების ასეთი დაყოფა ცნობილია ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (82, 113) და ასახულია სათანადოდ საქართველოს სხვა კუთხეების ტოპონიმიაშიც (74, 57).

სახბუთი საძ., (მანატბა), საკრავე ტყე (მაჩხატეთი), კრავისაფართი სათიბი (უბე), ცხერის საწოლი საძ., (წეთილეოი), ხოყურა საძ., (ხოხი), ნაბერწი საძ., (ივეთი), საბერწი ტყე (დაბა), ხოხობაჟრი, წიქარაჟლი

საძოვრები (კინალი, ხეწრული). ხოხობა და წიქარა ხარების სახელებია და ეს საძოვრებიც მათთვის არის გამოყოფილი.

შავშეთში ხელოსნობის განვითარებამ თავისი კვალი დატოვა ტოპონიმი-აშიც.

სამჯელი ქ. შავშეთის ერთ-ერთი უბანია, ე. წ. „მეპელე“, სადაც ინფორმატორების გადმოცემით, მსხვილი სამჭედლოები არსებობდა ძველად. არ არის გამორიცხული, რომ სამჯელის პირვანდელი სახელი იყო სამჭედი ანუ სამჭედლო: ასე იხსენიება ეს სოფელი გაზეთ „დროებაში“ 1875 წელს (№50).

თიხის დამუშავებასთან დაკავშირებული ტოპონიმებია: სათიხე სათიბი (წეთილეთი), საკეცე სათესი (ზიოსი), ქოთანათი სათიბი (ზაქიეთი). თიხის მილებიანი წყალსადენი გამოყვანილი იყო მახარობის ხევიდან სოფელ ოქრობაგეთში და აგრეთვე სოფელ ანაკერტში (44, 10).

დასტურდება გეოგრაფიული სახელები: სახუეწელი გამოქვაბული (ივეთი), საჩარხია სამ., (იფხრეველი), გოდორათი ტყე (დაბაწერილი), საწერნაგე⁸⁰ კლდე (ჩიხორი). მეფუტკრეობას უკავშირდება ტოპონიმები სათაფლია სოფელი (შავშეთი), სასკია სათიბი (უბე).

როგორც ვხედავთ, საკვლევი რეგიონის სამეურნეო ტოპონიმები სხვადასხვა აფიქსითაა გაფორმებული ან იგი რთული სახელის შემადგენელი ნაწილია. გვხვდება მარტივი ფორმითაც: ახო სათესები (ჯინალი, ზიოსი, უბე). ახო ტყეში, ბუჩქნარში გატეხილი ყანაა, რომელიც შეიქმნა ტყის გაკაფვის ხარჯზე; ვენახი სათესი (დასამობი). მაჰმადიანური რელიგიის გავრცელების შემდეგ მევენახეობა-მეღვინეობა რეგიონში საკმაოდ დაკნინდა. თუმცა შავშეთის მრავალ სოფელში შემორჩენილი ქვის საწნახელები ამ დარგის ძველ დიდებაზე ღაღადებენ; ყანა სათესი (ხოხლევე). აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ხშირია რთული ტოპონიმები, რომელთა საზღვრული წევრი არის „ყანა“ და „ჭალა“. ისინი ამ შემთხვევაში ასრულებენ ინდიკატორის როლს:

ყანა (ყანები): ავაზანყანა, ახალყანა, ბოლოყანა, გადაღმაყანა, გარზეყანები, გაღმაყანა, გაღმითაყანა, დამპალყანა, ვარდიყანა, ზედა ყანა, ზემო ყანა, დოდოყანა, კოტრიყანა, მაჩოყანა, მურეშყანა, პეტრიყანა, ფერდიყანა, ქერიყანა, ქურთიყანა, ლელეყანა, შიგნიყანა, ჩიტიყანა და სხვ.

ჭალა (ჭალები, ჭალათი): ავჯალა//ავჭალა, ახალჭალა, ახალჭალები, გაღმა ჭალა, ვარდაჭალა, ზემო ჭალა, ირმიჭალა, მაჭალა//ღრმა ჭალა, პაპუნაჭალა, საბუქე ჭალა, სამიჭალა. უკანჭალა და ა. შ.

3.7. ფონეტიკური მოვლენები გეოგრაფიულ სახელეუბოში

შავშეთ-იმერხევის ტოპონიმიში მკვეთრად ჩანს იმერხეული კილოსათვის დამახასიათებელი ფონეტიკური თავისებურებანი. „ტოპონიმი ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა, მისი ერთ-ერთი თავისებური ჯგუფია. გეოგრაფიული საკუთარი სახელები, რომელთა უმრავლესობა წარმოშობით საზოგადო სახელამდე დადის, გაბნეულია სხვადასხვა დიალექტზე მეტყველი ხალხით დასახლებულ ტერიტორიაზე და სწორედ ამის გამო ტოპონიმიში მეტ-ნაკლები სისრულით აისახება დიალექტთა თითქმის ყველა ენობრივი თავისებურება“ (131, 229).

დასტურდება ჯ (ქხ) და ჯ ბგერის ხმარების შემთხვევები: საჯადი ტყე (მიქელეთი), ჯარისაწოლთი საძ., (წყალსიმერი), ჯერთვისი სათიბი (ხოხლევი), პარალელურად გვაქვს სახადი, ხარისაწოლთი, ხერთვისი. ჯ ერთვის ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს: ბეჭვაჲ სათესი (სვირევანი), გადაჭრილაჲ სათიბი (წეთილეთი), გვერდაჲ სათესი (ხევწრული), გზელაჲ სათიბი (სვირევანი) და ა. შ.

იმერხეულ მეტყველებაში ნიშანდობლივია მახვილი სიტყვის ბოლო მარცვალზე და წინადადებაში ბოლო სიტყვაზე. მაგ., ენწი ნ („ამას წინათ“), მივეთეჯე („მივეყრდენი“), ვეჭოფ („ვეჭვიანობ“), ვჭუამთ პურს. პირველ სამ მაგალითში მახვილი ბოლო მარცვალზეა, ხოლო წინადადებაში – ბოლო სიტყვაზე.

როგორც აღვნიშნეთ, საკვლევი რეგიონის ტოპონიმიში ასახულია ყველა ის ფონეტიკური მოვლენა, რაც დამახასიათებელია იმერხეული დიალექტისათვის. შედარებით უფრო გავრცელებულია ბგერის დაკარგვა, ბგერათა შენაცვლება (სუბსტიტუცია), ცვლილებები ბგერათკომპლექსებში, ენთეზისი (უფუნქციო ბგერის გაჩენა), ბგერათგადასმა (მეტათეზისი), ასიმილაცია, დისიმილაცია და სხვ.

ბგერის დაკარგვა. იკარგება როგორც ერთი ბგერა, ასევე ბგერათკომპლექსი, ხმოვანიც და თანხმოვანიც.

ე ხმოვნის წინ იკარგება ბ თანხმოვანი: ერთი (← ბერთი) სოფ. უბანი (ველი), „ერთი ბერების სადგომი ადგილია“ (97). ხმოვნის წინ ბაგისმიერი ბგერის დაკარგვა საერთოდ იშვიათია. ტოპონიმის ფუძიდან ამოვარდნილია რდ ბგერათკომპლექსი: საჩილა (←საჩრდილა) სათიბი (დაბაწვრილი), ან ბგერათკომპლექსი: საქოთა (←საქოთანა) ტყე (დაბაწვრილი). სატყვევარ (←სატყვევარ) საძ., (წითვეთი), აქ დაკარგულია – ევ სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი (ე), ხოლო ტოპონიმში საყვევარა (←სატყვევარა) საძ. (ზაქიეთი) დაკარგულია. ფუძისეული თავკიდური ტყ ბგერათკომპლექსი, ფუძეში რჩება ე ხმოვანი. სუფიქსები -ევ-არ-ა შენარჩუნებულია. ასევე პრეფიქს-სუფიქსური წარმოების

გეოგრაფიულ სახელში ჩავარდნილია თავკიდური და ბგერათკომპლექსი: ნაილვეი (← ნადაილვეი) სათიბი (სხლობანი, ზაქიეთი). ასევე მოკვეცილია -ევ სუფიქსის ხმოვნითი ნაწილი (ე): ნასელვარი (←ნასელვეარი) სათესი (ბაზვირეთი), ნაყანვარი (←ნაყანვეარი) სათიბი (ივეთი). ფუძეში დაკარგულია დისტანციურად მყოფი ხმოვნები ა და ი: ნანდრიეთი (←ნანადრიეთი) ტყე (დასამობი). დაკარგულია თავკიდური თანხმოვნები მს: ხალთეშუა (←მსხალთა შუა) სათიბი (კარავათი), ელ ბგერათკომპლექსი: ორობოკა (←ორობოკელა) სათიბი (ჩართულეთი), რ თანხმოვანი: გზელა (←გბელა – გრძელა) სათიბი საძ., (დაბა, ზიოსი), ღრ ბგერათკომპლექსი: მაჭალა (←ღრმაჭალა←ღრმაჭალა) საძ., (მიქელეთი), მრ ბგერათკომპლექსი: გვალა (←მრგვალა) სოფ. უბანი (დასამობი).

იკარგება მ თანხმოვანი: ლაშე (←მლაშე) სამკ. წყალი (კუჭენი), ლ თანხმოვანი: ახაშენ (←ახალშენი) სოფ. უბანი (ველი), დაკარგულია დისტანციურად მყოფი თანხმოვნები რ და ს: აღმათიზირი (←აღმართის ძირი) სათიბი (სვირევანი).

სიტყვის თავკიდური ტ თანხმოვანი დაკარგულია: ბათანა (←ტბათანა) სათიბი (დაბაწვრილი), შეიმჩნევა ფორმათა გამარტივების ტენდენცია: გადამახო (←გადაღმა ახო) სათიბი (ველი), აქვე გვხვდება გაღმა ახო სოფ. უბანი (ივეთი), გაღმითა ახო სათესი (მანატბა). ზემონავგარის წყარო (←ზემო ნავომარის წყარო) წყარო, საძ., (იფხრეველი, წყალსიმერი), ინგიშლისწყარო (←ვინ გიშლის წყაროს) წყარო (←წყალსიმერი). ამ უკანასკნელით გამოხატულია მთელი წინადადება, რაც იშვიათი შემთხვევაა ქართულ ტოპონიმიაში.

როგორც ვხედავთ, ბგერათა დაკარგვა ხდება როგორც მარტივი, ასევე კომპოზიტური გაფორმების სახელებში და საკმაოდ გავრცელებულია შავ-შეთ-იმერხევის ტოპონიმიაში.

ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა : ბგერათმონაცვლეობა ყველაზე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა ქართული ენის დიალექტებში. მისი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს ასიმილაცია, დისიმილაცია და სხვ. ერთმანეთს ენაცვლება თანხმოვნები და ბგერათკომპლექსები.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია ძ→ზ ბგერათმონაცვლეობა: ზიოსი (←ძიოსი), ბაზვირეთი (←ბაძვირეთი) სოფლები (იმერხევი), ბაბელიზე (←ბაბელიძე), ბასილიზე (←ბასილიძე), კომბაზე (←კომბაძე), საღრიზე (←საღრიძე), სუბუქიზე (←სუბუქიძე), კობაზე (←კობაძე), კოპაზე (←კოპაძე), ქოქნიზე (←ქოქნიძე) სოფლის უბნები (წყალსიმერი, იფხრეველი, დაბაწვრილი, სინკოთი) და ა. შ.

ვ → მ: მიწროთ (←ვიწროთ) სათიბი (ხოხლევი), მიწრო ღელე (←ვიწრო ღელე) ღელე (ბაზგირეთი), მირის საფლავი (←ვირის საფლავი) სათიბი, საძ., (სვირევანი, დიობანი), ზემწვრული (←ხევწვრული) სოფელი (იმერხევი).

ჯ → უ: საჯდომი (←საჯდომი) საძ., (წეთილეთი)...

კ → ხ: ახვანთ (← აკვანთ) სათიბი (სხლობანი)...

ვ → ზ: ბაზიან (←ვაზიან) ტყე (სხლობანი)...

ყ → ხ: არხნალი (←არყნალი) ტყე (ხანთუშეთი)...

ბ → პ: საპატკნიძირი (←საპატკნის ძირი) გამოქვ. (ზაქიეთი) და ა. შ.

ცვლილებები ბგერათკომპლექსებში: იმერხეულ მეტყველებაში ფიქსირდება ხმოვნებისა და თანხმოვნების კომპლექსთა ცვლილებები.

ვა → რ: ქრფიზერა (←ქვაბის ძირა) დიდი ქვა (დაბაწვრილი). ამ მაგალითში გვაქვს აგრეთვე ბგერათმონაცვლეობები: ფ←ბ, ზ←ძ. ქრცითელა (←ქვაწითელა) სოფ. უბან (ყვირალა). აქაც გარდა ბგერათკომპლექსის ცვლილებისა, დასტურდება თანხმოვანთა ბგერათმონაცვლეობაც: ც←წ. ქრთეთრისი (←ქვათეთრისი) სოფელი (შავშეთი), ქრბითავი (←ქვაბის თავი) სათესი (ჭუარები).

ვე → ო: ქრმინთი (←ქვემოინთი) სოფ. უბანი (ხოხლევი, წეთილეთი), ქრმოვრები (←ქვემოვრები) სოფ. უბანი (წეთილეთი), ქრმმთა (←ქვემო მთა) მთა (მაჩხატეთი), ქრშავრები (←ქვეშაურები) სათიბი (სვირევანი), სამაჩრთი (←სამაჩვეთი) სათიბი, საზამთრო სადგომი (ტბეთი), ჩაქრლთა (←ჩაქველთა) სოფ. (იმერხევი).

დასტურდება იშვიათი შემთხვევა, როდესაც ტოპონიმის ფუძეში ფიქსირდება ორივე – ვა → ო და ვე → ო ბგერათცვლილება: ქრქრშა (← ქრქვეშა ← ქვაქვეშა) სათიბი (სხლობანი).

ასიმილაცია: ქართული ენის დიალექტებში გავრცელებულია სრული და რეგრესული მიმართულების ასიმილაცია (8, 160). საკვლევ რეგიონში დასტურდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა სრული და ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები.

ღოდღოფლის წყარო (←ღედღოფლის წყარო) წყარო (დასამობი)...

აე → ეე: ყანები (←ყანები) სათესი (წეთილეთი), ჭალეები (←ჭალეები) სათიბი (←წეთილეთი), შიმშილა (←სიმშილა) სათიბი (მამანელისი), შაშვიდე (საშვიდე)...

ღისიმილაცია: სა-ე-ა → სა-ია: სათაფლია (←სათაფლეა) სოფ., (შავშეთი), საქორია (←საქორეა) სათიბი (წითვეთი), საბურთია (←საბურთეა) საძ., (ჩიხორი), სასკია (←სასკეა) სათიბი (უბე), საჩარხია (←საჩარხეა) საძ., (იფხრეველი)...

სა --- ეა-თ → სა---ი-ათ: სამერცხლიათი (←სამერცხლეათი) სათიბი (ზაქიეთი), საბურთიათი (←საბურთიეათი) საძ., (ხევწრული) და ა. შ.

დისიმილაცია ხშირად ქართულში რ ბგერას ეხება: რ (→ ლ): არყნალი (←არყნარი) ტყე (ხანთუშეთი), მორჩენალა (←მორჩენარა) საძ., (იფხრეელი), ვერხვინალი (←ვერხვინარი) სოფ. (შავშეთი).

მეტათეზისი: ბგერათგადასმა ქართულში უმთავრესად მოსდის სონანტებს (ვ. რ. ლ. მ. ნ): საბურთია (←საბურთია) საძ., (ზენდაბა), ნაჭარლები (←ნაჭარლები ← ნაჭალარები) სათესი (მანატბა) და სხვ. ნაჭარლები ყოფილი ჭალების სახელია.

დასტურდება ორიოდ იშვიათი შემთხვევა ხმოვანთა დისტანციური ბგერათგადასმისა: დიდვაკა (←დიდვაკე←დიდი ვაკე) სათესი (ჩართულეთი), ზედვეკა (←ზედა ვაკე) სათესი (ტბეთი).

ხმოვანთა რედუქცია: ქართულში რედუქცია ჩვეულებრივ ეხება ა, ე, ო ხმოვნებს. პირველი ორის დასუსტების შედეგად აღარაფერი გვაქვს. უკანასკნელი კი ტოვებს კვალს ე-ს სახით.

საკვლევი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში -ოვან სუფიქსს უმეტესად მოკვეცილი აქვს ო ხმოვანი: ნარვანი (← ნაროვანი) საძ., (ხევწრული), ბალვანა (←ბალოვანა) სოფ. (შავშეთი), ლელვანა (←ლელოვანა) სათიბი (შავქეთი, კუჭენი) და ა. შ. გვაქვს შემთხვევა. როცა სუფიქსის თავი იღური (ო) ხმოვანი შენარჩუნებულია: კატროვანი ტყე (სვირევანი).

უ ხმოვანი სუსტდება ა, ე ხმოვნების მომდევნო პოზიციაში, რის გამოც რეგიონის ტოპონიმები, რომლებიც გაფორმებულია -ა-ურ (//-ა-ულ), -ეულ სუფიქსებით, ადგილობრივ მეტყველებაში წარმოდგენილია -ა-ვრ (//-ა-ვლ), -ეულ დაბოლოებებით: გოგნა^აური//გოგნავრი, დავლა^აური//დავლავრი, კობალა^აური//კობალავრი, ნადირა^აული//ნადირავლი, მაკარა^ატი^აული//მაკარატიველი, მალარა^აული//მალარაველი და ა. შ.


უფუნქციო ბგერის გაჩენა: ხშირ შემთხვევაში ტოპონიმის ფუძეში ვითარდება უფუნქციო ბგერა. ამ მოვლენას ენთეზისს უწოდებენ (8, 180).

სამბროლია (←საბროლია) სათიბი (ზაქიეთი), სამხვალეთი (←სახვალეთი) სათიბი (ბაზგიერთი), სამათვალთერო (←სათვალთერო) სათიბი (მანატბა), ნამხოჯიენთი (←ნახოჯიენთი) სოფ. უბანი (წეთილეთი).

შენიშნულია, რომ თურქული ენა ვერ იტანს სიტყვის თავში და ფუძეში თანმხოვანთა თავმოყრას და მათ შორის ჩნდება ხმოვანი ბგერა. მაგალითად, სტამბული→ისტამბული, თბილისი→თიბილისი//თიფლისი. ეს მოვლენა გამოკვეთილად ჩანს საკვლევი რეგიონის ტოპონიმებშიც: ტბეთი→ტიბეთი, ჯნალი→ჯინალი, გარყლობი→გარყილობი და ა. შ.

3. 8. შავშეთ-იმერსების კიდრ(ონიძე)

შავშეთი მდიდარია მდინარეებით. ყოველი მხრიდან მომდინარე პატარა და დიდი მდინარეები ერთ მთლიან ქსელს ქმნიან. ყველა მდინარე მთებიდან და მთის კალთებიდან იღებს სათავეს, რის გამო ისინი სუფთა და მტკნარია. მათი დინების სიჩქარე სწრაფია ზაფხულობით და ზამთრობით წყლის დონე იკლებს, სამაგიეროდ გაზაფხულზე მთებში თოვლის დნობასთან დაკავშირებით მდინარეები საკმაო წყალუხვობით გამოირჩევიან.



სტუმრად 'საქიეთელ ექრიუმ ჩეთინყაიას (შუბლაძის) ოჯახში
შავშეთი, 1938 წელი. ახმედ პულბული (თედორაძე),
ნუგზარ ცეცხლაძე, ექრიუმ ჩეთინყაია (შუბლაძე).

შავშეთის მთავარი მდინარეებია:

შავშეთისწყალი სათავეს იღებს არსიანის ქედიდან, კერძოდ, საპარის მთის კალთებიდან. მარჯვნიდან მას ერთვის მდინარე მანსურათი, ჯარათისწყალი, ხოლო მარცხენა მხრიდან - მამანელიისწყალი, სოფოროსწყალი, ხანთუშეთისწყალი, ბალვანისწყალი, კუჭენისწყალი. შერთულის ტერიტორიაზე შავშეთისწყალი ერთვის მდინარე იმერხევს.

შავშეთისწყალი შავშეთის მთავარი მდინარეა. ეს ჰიდრონიმი მოხსენიებულია ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში, კერძოდ, ბაგრატ IV (1027-1072) მას იხსენიებს „პირველთა მეფეთა დაწერილ“ სიგელებზე დაყრდნობით მონასტერთა საზღვრების აღწერაში (78, 9).

იმერხევი ანუ იმერხევიწყალი სათავეს იღებს ფაფართის მთებში, კერძოდ, კი დევთუნის მთიდან. მდინარე იმერხევს მარცხნიდან ერთვის ყვირალა, მარჯვნიდან – ბაზგირეთისწყალი, ჩიხისხევი. მდინარე იმერხევი ზემო წელში ფაფართად იწოდება, ქვემო წელში - ფხიკურად. ასე იხსენიებს ნ. მარი (44, 85). XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში ეს მდინარე ჭოროხამდე ვრცელდებოდა (94; 16, 25, 86). უფრო ადრე კი იმერხევი შავშეთისწყლად იწოდებოდა (78; 15, 91, 42).

რეგიონის მნიშვნელოვანი მდინარეებია აგრეთვე სხლობანი, მანსურათი, ხანთუშეთისწყალი, ბაზგირეთისწყალი, ჩიხისხევი და სხვ.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ცნობილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჰიდრონიმებს – მდინარეებს, ღელეებს, ტბებს, წყალსატევებს საკუთარი სახელი არ გააჩნიათ. გამონაკლისი არც ჩვენი საკვლევი რეგიონია. გ. ყაზბეგი წერდა, რომ „მდინარეებს... მთელ თურქეთის საქართველოში, საკუთარი სახელები არა აქვთ: ყოველი სოფელი, ყოველი შესანიშნავი საგანი აძლევს მათ სახელწოდებას... მდინარეებს და ხეობებს ვუწოდეთ მთავარი პუნქტების სახელები“ (81, 55). სოფლების სახელებით იწოდებიან მდინარე სათლელისწყლის შენაკადები: სხლობანი, დაბაკეთილი, შავქეთი (შავშაქი) და კუჭენი. ისინი სოფელ ოქრობაგეთის ქვემოთ ქმნიან მნიშვნელოვან მთის მდინარეს.

სოფლის სახელწოდებიდან მომდინარეობს მდინარე ყვირალას სახელიც. გ. ყაზბეგი იძლევა სახელწოდება „ყვირალას“ განმარტებას: „მდინარე ყვირალამაც სახელწოდება მიიღო ქართული სიტყვიდან „ყვირილი“, რაც მყვირალას ზუსტი სინონიმია. ეს სახელი მთლიანად შეესატყვისება მდინარის ხასიათს: ზემო წელში იგი ხმაურით მოექანება ქვიან ფსკერზე, თანაც რეცხავს თიხოვანი ქანების მოყვითალო ფენებს და წყალს ჭუჭყიან იერს აძლევს“ (81. 75). -ილ სუფიქსი ვნებითი გვარის მიმღებობას აწარმოებს და ჰიდრონიმებშიც მიმღებობური წარმოშობის ტერმინებში გვხვდება. ხშირად ეს სუფიქსი გამოყენებულია მაკინინებელი -ა-ს დართვითაც: ყვირ-ილ-ა (მდინარე ზემო იმერეთში) (79, 31).

საკვლევ რეგიონში პირობითად გამოიყოფა ძირეული, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთებით გაფორმებული ჰიდრონიმები.

მარტივი. ძირეული, ჰიდრონიმებია: ღელე ღელე (ჭუარები), ხევი ღელე (იფხრეელი), ფონი წყარო, ღელე (სხლობანი), წყაროები წყარო (წეთილეთი). საკვლევ ტერიტორიაზე მარტივფუძიანი ჰიდრონიმები იშვიათად დასტურდება.

წარმოქმნილი ჰიდრონიმების საწარმოებლად სპეციალური სუფიქსები არ გვაქვს. პირობითად გამოიყოფა წარმოქმნილი ჰიდრონიმები: ნატბევი ტბა (წითეთი), ტბათი ღელე (ზიოსი), წყართი წყარო (უბე), წყარო (წყალსიმერი).

შავშეთ-იმერხევის ჰიდრონიმების დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათშეთების გზით. მსაზღვრელად გამოყენებულია ადგილის სახელი, საზღვრულად კი – წყალი (წყარო), ღელე, ხევი. საკვლევ რეგიონში გავრცელების სიხშირის მიხედვით სწორედ ეს ინდიკატორებია (წყარო // წყალი, ღელე, ხევი) პროდუქტული:

წყარო (წყალი): ბებერასწყარო, გრიალოწყარო, თელაწყარო, მაღალწყარო, ცივიწყარო, შამბალეთისწყალი, შავშეთისწყალი, ჭითისწყალი, ხაფხაფისწყარო და ა. შ. (სულ 62 ჰიდრონიმი).

ღელე: აღბუღასღელე, თუთიღელე, თხინაღელე, მიწროღელე, პატარა ღელე, ქურაღელე, წისქვილისღელე, წყლიანი ღელე, ცივწყარო ღელე, ხევწრული ღელე, ხოხლევი ღელე (სულ 44 ჰიდრონიმი).

ხევი: ბაგათხევი, ბოდღევარახევი, იმერხევი, კარჩხალეთხევი, ჩიხისხევი (სულ 37 ჰიდრონიმი).

ხშირად მდინარეთა სახელწოდებანი გადმოცემულია საზღვრული წევრის გარეშე. დარჩენილია მსაზღვრელი: ატენის მდინარე – ატენი, სპერის მდინარე – სპერი. ასე უნდა ყოფილიყო: იმერხევის მდინარე – იმერხევი. ზ. ჭიჭინაძე ამ მდინარეს ერთ ადგილას იმერად მოიხსენიებს (107).

ცალკე უნდა აღინიშნოს შავშეთის ტბების შესახებ. აქ დიდი ტბები არ გვხვდება. მხოლოდ რამდენიმე პატარა ტბაა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: 1. ყარაგოღლი (თურქ. Karagöl „შავი ტბა“), მდებარეობს შავშეთ-არტანუჯის საზღვარზე, ქურდევანის მთების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქედან წყალი სარწყავი არხებით გაჰყავთ მიმდებარე სოფლებში.

2. აქგოღლი (თურქ. Akgöl „თეთრი ტბა“), სოფელ ვერხვინალის მთებშია. იგი ღრმა და გამდინარეა.

3. ქიზგოღლი (თურქ. kız Gölü „კოგოს ტბა“) მდებარეობს არსიანის მთებში. (ხალხური გადმოცემით, ამ ტბიდან ხანდახან მზეთუნახავი ქალი ამოდის და თმას ივარცხნის).

4. ბუღაგოღლიც (თურქ. Boga Gölü „ბუღას ტბა“) არსიანის მთებშია. ხალხის გადმოცემით ამ ტბიდან ყოველ დილას ბუღა ამოდის და ბალახს ძოვს.

5. დაბაწვრილის ტბა (თურქ. Meşeli gölü „მეშელის ტბა“). „მეშელი“ სოფ. დაბაწვრილის თურქული სახელია. ამ ტბას ადგილობრივი მცხოვრებლები „ყარაგოღლი“ უწოდებენ. იგი ღრმაა და გაუმდინარი. ტბის ირგვლივ მწვანე მდელოები და ხშირი ნაძვნარი კარგი დასვენების პირობას ქმნის. შავშეთის ეს ადგილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასვენების კერაა ზაფხულის პერიოდში.

შავშეთი ისტორიულად ცნობილი იყო სამკურნალო წყლებით. აღსანიშნავია მიქელეთის აბანოები. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გ. ყაზბეგმა აიღო ამ სამკურნალო წყლის სინჯი და ანალიზისათვის თბილისში ჩაიტანა (81, 77). ცნობილია ველის, მამანელიის, ხანთუშეთის, ბალვანის მინერალური წყლები.

ლაშეთი სამკურნალო წყალს ჰქვია სოფელ კუჭენში. იგი მდებარეობს შავშეთ-არტაანის ცენტრალურ გზაზე, პატარა, უსახელო ღელის ნაპირას. ლაშე იგივე მლაშეა, თავკიდური მ დაკარგულია. „მლაშე“ მარილიან წყალს ნიშნავს. შესაძლოა ლაშე მიღებული იყოს ნაშეს სიტყვისაგან, რომელიც მდინარის რიყიან და ჯაგნარიან სანაპიროს აღნიშნავს (109, 460). მლაშე ჰქვია სოფლებს ადიგენისა და დუშეთის რაიონებში, ლაშე – ზემო იმერეთსა და ქართლში. შავშეთის სოფელ ველში დავადასტურეთ სათიბი ლაშეოფლა.

შავშეთის ტოპონიმიში გვხვდება თურქული ჰიდრონიმული ტერმინებით გაფორმებული რთული სახელები. ეს ტერმინებია: dcre „ხევი“, „ხეობა“, – „ღბი ტბა“, pınar\pınğar „წყარო“, Su „წყალი“, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

3. 9. ზანიზმები შავშეთის ტოპონიმიზში

შავშეთის ტერიტორია მოქცეულია იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც უძველესი პერიოდიდან ზანებით (მეგრულ-ჭანებით) იყო დასახლებული. ივარაუდება, რომ ქართული კილოების ერთი ნაწილი და მათ შორის შავშურიც (ბ. ჯორბენაძის მიხედვით, იმერხეული) ქართული და მეგრულ-ჭანური მეტყველების კონტაქტების შედეგად არის ჩამოყალიბებული. ბუნებრივია, რომ ამ კონტაქტებმა დანაშრევი დატოვა ქართულ დიალექტებში. ეს დანაშრევი თავს იჩენს როგორც ფონეტიკაში, ასევე მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში (130, 91).

შავშეთის ტოპონიმი მრავალფენიანია, რომელთა შორის ზანური უძველესია. ზანიზმები სუბსტრატის სახით შემორჩენილია საკვლევ ტერიტორიაზე: ოხორთი სამ., სათესი (ზაქიეთი, ივეთი). ამ სახელწოდებაში გამოიყოფა ჭანური ფუძე ოხორ, რაც ქართულად „სახლს“ ნიშნავს (91, 150).

ჯარგუალი სათიბი (სხლობანი). ჯა მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ხეს, ძელს. ჯარგვალი//ჯარგუალი მრგვალი, დაუხერხავი ხეებისაგან გაკეთებული შენობაა (22, 393).

ბუჭადღული სათიბი (მანხატეთი). ზანურად ღული ნიშნავს „თავს“ (22, 142). კომპოზიტის პირველი ნაწილი ბუჭად საკვლევ რეგიონში აღნიშნავს

პატარა ღელეში ჩადგმულ წისქვილს⁸¹. ე. ი. ბუჭაძდული ნიშნავს წისქვილის თავს ან ადგილს, რომელიც მდებარეობს წისქვილის თავზე. ბუჭულა წისქვილის სახელად ცნობილია იმერულშიც.

საკელევ რეგიონში გვხვდება ეთნონიმ „ზან“-ით, „ლაზ“-ით//„ჭან“-ით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები: ზანავრა სათესი (წეთილეთი), ზი-ზანავრი სათესი (მაჩხატეთი), ლაზიენთი სოფ. უბანი (ჩაქველთა), ნალაზმევი ტყე (მამანელიისი), სამლაზი სათიბი (დაბაწვრილი), ჭანაური სათესი (ჭუ-არები) და სხვ.

მეგრულ-ჭანური სუბსტრატით აიხსნება შავშეთის შემდეგი ტოპონიმები: ბლანზურთი სოფ. უბანი, სათიბი (ოქრობაგეთი, ველი), დღვაბიზელა სოფ. უბანი (სვირევანი), ნანაჭირე სამ., (კარაეთი), ოჭივარა სათიბი (ჩიხორი), ფუნათ სათესი (გურნათელი), ფურჩხუთი სათიბი (წეთილეთი), ჭომათი სათესი (უბე), ჯანჯირი იაილა (ბაზგირეთი), ჯანჯალთა ნაეკლ. (სხლობანი), ხუჭაჭინე სათიბი (ველი) და ა. შ.

შავშეთის ზოგიერთ სოფელში დღესაც ცხოვრობენ ლაზები, სოფელ ჩაქველთას ერთ-ერთ უბანს ლაზიენთა ჰქვია. აქ მცხოვრებთა უმრავლესობა ლაზია. ისინი ფლობენ როგორც ლაზურ, ასევე ქართულ და თურქულ ენებს, ინფორმატორების ცნობით, ბევრი ლაზი გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, დაკარგა თავისი ენა და ზნე-ჩვეულება. ძველად ლაზური მოსახლეობა კომპაქტურად სახლობდა შავშეთისწყლის და მდინარე იმერხევის აუზების სხვადასხვა სოფელში. მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს. ზანური ენის კვალი კი შემორჩა რეგიონის ტოპონიმთა.

ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობების
ასახვა შავშემიის ტრანონიშიაში

შავშეთი, სხვა ისტორიულ ქართულ მხარეებთან ერთად, ოთხ საუკუნეზე მეტია მოქცეულია უცხო ენობრივ (თურქულ) გარემოში. ოთხ საუკუნეზე მეტია ქართული ენა განიცდის თურქული ენის ზემოქმედებას. თუმცა აქაური ქართველების ერთმა ნაწილმა (იმერხეველებმა) დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობა საერთოდ რეგიონში დაიჭირა თურქულმა.

XIX საუკუნის ბოლოს შავშეთში ქართული ენა უკვე აღარ ისმოდა.

მოკლედ თურქული ენის შესახებ:

თურქული ენა (Türk didi, Türkçe) – თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ამ ენაზე დაახლოებით 50 მილიონზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს. ანატოლიურ-თურქული ენა ისტორიაში XIII საუკუნიდანაა ცნობილი. ქემალისტურ ბურჟუაზიულ რევოლუციამდე და მის შემდეგ განხორციელებულ ენის რეფორმამდე (1928 წ.), ლიტერატურული ენა ძალიან განსხვავდებოდა უბრალო თურქების (Kaba Türkçe) ენისაგან. იყო ისეთი პერიოდიც, როდესაც ლიტერატურული ენის ლექსიკური მარაგის 90%-ს შეადგენდა ძირითადად არაბული და სპარსული ენებიდან ნასესხები სიტყვები. 1928 წლამდე თურქები სარგებლობდნენ ანბანით, რომელიც არაბული დამწერლობის საფუძველზე იყო შედგენილი. 1928 წლიდან გადავიდნენ ლათინურ ანბანზე.

1932 წელს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ქემალ ათათურქის ინიციატივით შეიქმნა თურქეთის ლინგვისტური საზოგადოება, რომლის ძირითადი მიზანი გახდა თურქული ენის გაწმენდა უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვებისაგან. ეს პროცესი დღემდე მიმდინარეობს. თურქული ლექსიკონის გამდიდრების შემდეგი საშუალებები არსებობს: 1. თურქული ლექსიკა, რომელიც ლიტერატურული ძეგლებიდანაა აღებული; 2. დიალექტური ლექსიკა და 3. ახალი სიტყვების შექმნა უკვე არსებული სიტყვათწარმოქმნის მოდელების მიხედვით.

1983 წელს თურქეთის ლინგვისტური საზოგადოება შევიდა ათათურქის სახელობის ახლად შექმნილ „ენის, კულტურისა და ისტორიის უმაღლეს საზოგადოებაში“ (Ataatük Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu).

ტერმინი „ენობრივი კონტაქტები“ პირველად ცნობილმა მეცნიერებმა ა. მარტინემ (48), უ. ვაინრაისმა (23) და სხვა ლინგვისტებმა გამოიყენეს. „ენობრივი კონტაქტები“, აგრეთვე ტერმინი „ენათა ურთიერთგავლენა“ და „სესხ-

ება“, რომლებიც იხმარებიან „კონტაქტებთან“ დაკავშირებით მთლიანობაში, წარმოადგენენ ენათა ურთიერთობის რთულ პროცესს.

ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის საკითხებზე მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ ქართველი და უცხოელი თურქოლოგები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გამოკვლევები შექმნეს ამ სფეროში.

ქართული თურქოლოგიის მამამთავარმა, აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ მნიშვნელოვანი ნაშრომი უძღვნა ქართულ-აზერბაიჯანულ ენობრივ ურთიერთობებს (126). ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების კვლევის საქმეში დიდი ამაგი მიუძღვის ცნობილ თურქოლოგს, ქალბატონ ვენერა ჯანგიძეს. კერძოდ, მან შეისწავლა ქართული სუბსტრატული ლექსიკა ართვინ-შავშეთ-არტანუჯ-არტაანის მოსახლეობის თურქულ მეტყველებაში (120). ცნობილმა თურქოლოგმა ცისანა აბულაძემ მონოგრაფიულად შეისწავლა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ქართულ-თურქული თარგმნითი ნაწილი, დაამუშავა ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის მეტად საყურადღებო საკითხები (2). ცნობილმა მკვლევარმა მარიკა ჯიქიამ შეისწავლა ქართულ ენაში დადასტურებული თურქული ანთროპონიმები (128). აზერბაიჯანელმა მკვლევარმა ფატმა ალიევამ კი – თურქიზმები საშუალო საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში (4) და ა. შ.

ენობრივი კონტაქტების შესწავლას მსოფლიოში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ენათა კონტაქტების ტიპოლოგიური შესწავლა.

როგორც აღინიშნა, ქართული და თურქული ენები საუკუნეების განმავლობაში ურთიერთკონტაქტში იმყოფებიან, ქართული ენა თურქულ ენასთან უშუალო კონტაქტშია, რისი შედეგიცაა თურქული ელემენტების ქართულში შემოსვლა და ქართული ელემენტების თურქულში შეღწევა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-თურქულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს მეტწილად საფუძვლად ედო თურქეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, ბუნებრივია, მაინც მყარდებოდა კონტაქტები ხალხებსა და ენებს შორის.

ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის შედეგები თვალნათლივ აირეკლა საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაშიც. თურქული ენის გზით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების ქართულ დიალექტებში შემოვიდა არაბულ-სპარსული და საკუთრივ თურქული ლექსიკა, რამაც შემდგომ პერიოდებში გეოგრაფიულ სახელებშიც კპოვა ასახვა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ზ. ჭიჭინაძე დიდი გულისტკივილით წერდა, რომ „აქაურ სოფლებსა და სხვა გეოგრაფიულ სახელებს შეუცვალეს ქართული სახელი და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქართული სახელები, თითო-ოროლა სოფელს კი შერჩათ აქა-იქ ქართული სახელები, მაგრამ ერთობ მცირედ...

წყლებს და მდინარეებს უწოდეს ოსმალური სახელები და მოსპეს მათი ძველი სახელები. რაც მათ წინეთ ერქვათ...

ადგილებს. მთებს. ხეობებს. ველებსა და კლდეებსაც გამოუცვალეს სახელები და ქართულის მაგიერ უწოდეს ოსმალური სახელები... არ დარჩა არც ერთი კუთხე. ნაშთი, მთა, ბარი, ქვა, ქალი, კაცი და სხვანი რომ ქართულის მაგიერ ოსმალური სახელები არ სწოდებოდათ“ (107, 236).

ქართული გეოგრაფიული სახელების ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა, რა თქმა უნდა, ერთბაშად, ერთი ხელის დაკვეთით არ ხდებოდა. ეს იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი. „ოსმალთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი იწყება ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნა... ეროვნული გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნას ჩვენში ხელს უწყობდა: 1. ოსმალთა დაპყრობის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის შემცირება (დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი შიდა საქართველოში გადასახლდა), 2. ოფიციალურ ენად თურქულის შემოღება და საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის გამათურქებელი პოლიტიკის გატარება, 3. მოსახლეობის (გამაჰმადიანებული ქართველების) ფანატიკურად განწყობილი ნაწილის მასიური გადასახლება ოსმალეთში, 4. რეგიონებში არაქართული ეროვნული ელემენტების (ქურთები, ბერძნები, თურქები) ზრდა... ქართულმა გეოგრაფიულმა ნომენკლატურამ ამ ტერიტორიაზე ხმარებული სხვადასხვა სისტემის ენათა ფონზე საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა“ – დაასკენის აკად. ს. ჯიქია (127, 25-29).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ თურქები დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელებს, როგორც წესი, ხელუხლებლად ტოვებდნენ (127, 29). ოღონდ, არათურქული სახელი ფონეტიკურად გადათურქულდებოდა ხოლმე. მაგალითად, ბერძნულმა Brusa-მ თურქულში Bursa მოგვცა, აგრეთვე, ქართული „ახალციხე“, თურქ. Ahisha-დ იქცა და სხვ.

ამავე დროს ხშირია თურქების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გეოგრაფიული სახელების თარგმნის შემთხვევები. ამ ფაქტს აღნიშნავს ნ. მარი და წერს, რომ თურქები სომხეთის ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელებს თარგმნიდნენ: „в одних случаях употребляемые в речи турак термины оканываются простым переводом армянских названий“ (45, 25). იგივე ნ. მარი შენიშნავს საერთოდ სომხურ ტოპონიმიაში თურქული ფენის არსებობას. ცნობილია, რომ თურქები გეოგრაფიულ სახელებს თარგმნიდნენ ბალკანეთშიც.

თურქეთის მიერ დაპყრობილ ქართულ რეგიონებშიც ხშირია ადგილის სახელთა თარგმნის შემთხვევები. ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, რომ

„...დასაეღეთ არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოდაზის ჴეობა ანუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ, მიერ ჴამით უწოდეს სახელი ესე“ (9, 141). ქართული ოქროს ციხე მოინათლა „ალთუნ-კალა“-დ (თურქ. Altun-kal-a-), ქაჯის ციხე – „შეითან-კალაჲ“ (თურქ.Şeitan-kal-a), ოთხთაეკლესია – „დორთ ქილისე“-დ (თურქ. Dort kilise)... ჩვენს მიერ ადგილზე მოპოვებულ მასალებშიც არაერთხელ დასტურდება ტოპონიმთა პირდაპირი თარგმნის მაგალითები: ცხრაწყარო – ღოქუშფინარლი წყარო (კარავათი), აქ ცხრაწყარო აღნიშნავს არა მართლაც ცხრა წყაროს, არამედ ცხრას აქ მრავლობითობის ფუნქცია აქვს. შავი ტბა – ყარაგოლი (თურქ. kara „შავი“, göl „ტბა“); ლერწამის ტბა – ყამიშგოლი (თურქ. kams, „ლერწამი“, göl „ტბა“ ქვედა უბანი – აშალი მაჰალე aşāğī „ქვედა“ mahalle „უბანი“); ყვითელი ჴალა – სარჩაირ (თურქ. şari „ყვითელი“, çair „ჴალა“); დიდი ვაკე//დიდვაკე – ბუდუქ დუზ (თურქ. Büyük „დიდი“, düz „ვაკე“); პანტარან ვაკე – ქუჩუქ დუზ (თურქ. Küçük „პანტარან“, düz „ვაკე“); დამპალი ხიდი – ჩურუქ ქოფრუ (თურქ. çürük, „დამპალი“, köprü „ხიდი“); შავი მუხა – ყარამეშა (თურქ. Kara „შავი“, meşe „მუხა“). დაჭრილი ქვა – ქესუქ თაშ (თურქ. Kes-mek „ჭრა“, Kesik „გაჭრილი“, taş „ქვა“) და ა.შ.

საკვლევ რეგიონში თურქული ენის გაბატონების გამო ქართულ გეოგრაფიულ სახელს ჯერ გაუჩნდა თურქული ვარიანტი, პირდაპირ ნათარგმნი ტერმინის სახით, შემდეგ დროთა განმავლობაში ამ ახალწარმოქმნილმა ფორმამ შეიძინა მეტი სიცოცხლისუნარიანობა და საბოლოოდ შთანთქა კიდევ ქართული სახელი. ამ რთულ და ხანგრძლივ პროცესში შემდეგი ეტაპები (მომენტები) შეიძლება გამოიყოს:

1. ტოპონიმი სუფთა ქართული სახელია (ასე დარჩა დღემდე);
2. ტოპონიმს გამოუჩნდა თურქული ვარიანტი ნათარგმნის სახით (არსებობას განაგრძობს ორივე – ქართულიც და თურქულიც);
3. გაბატონდა თურქული ვარიანტი;
4. ქართული ტოპონიმი მივიწყებას მიეცა ან საერთოდ გაქრა.

იმერხევი დღესაც ქართულენოვანი რეგიონია, უცხო ენობრივი (თურქული) გეოგრაფიული სახელების ხედრითი წილი აქ უმნიშვნელოა. უფრო მეტიც, არის სოფლები, სადაც არც ერთი თურქული ტოპონიმი არ აღმოჩნდა. ეს სოფლებია: დაბა, დასამობი, დიობანი, ზაქიეთი, ივეთი, ჩაქველთა, ჩიხორი, მანატბა. სხვა სურათი გვაქვს შავშეთის სოფლებში. შავშეთში გაბატონებულია თურქული ენა, აქ ქართულად აღარავენ ლაპარაკობს. შავშეთის სოფლების მიკროტოპონიმიაშიც უკვე მომრავლებულია თურქულენოვანი სახელები. მაგ. სოფელ ვანთაში ფიქსირებული 45 გეოგრაფიული სახელიდან თურქულია 22, ქართული მხოლოდ – 6, ისტორიულ სოფელ ტბეთში დავაფიქსირეთ 47 თურქულენოვანი ტოპონიმი, ქართული – 44, სოფელ შაქე-

თში - 44 თურქულენოვანი, 4 ქართული, ხანთუშეთში - 36 თურქულენოვანი, 14 ქართული გეოგრაფიული სახელი და ა. შ. (იხ. დანართი V).

1927 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოუცვალა სახელები ართვინის ვილაეთის სოფლებს, მათ შორის შავშეთის ყველა სოფელს. სახელების შერჩევას საფუძვლად სხვადასხვა პრინციპი დაედო:

1. თურქული სახელი თითქმის ანარეკლია ქართულისა:

სოფელ ბალვანას უწოდეს ქირაზლი, რაც ბალიან ადგილს ნიშნავს - Kiraz „ბალი“, Li_ ქონების აღმნიშვნელი თურქული სუფიქსი, ქართული -იან- სუფიქსის ფარდი. სოფელი შავქეთს ეწოდა ყარაქირი ანუ შავი სოფელი. kara- „შავი“, köy „სოფელი“, ციხისძირს - ყაიაღიბი, კლდის ძირი, kaya „კლდე“, dip „ძირი“, ველს - ჯირითღუზუ, რაც იგივე საჯირითო ვაკეს ნიშნავს და სხვ.

2. სოფლის სახელი მომდინარეობს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან:

სოფელ დასამობს ეწოდა დერეიჩი, რაც ნიშნავს ხეობის შიგნით. dere „ხეობა“, içi - შიგნით; სირა-სინკოთს-ჩაიაღზი, მდინარის პირი, çay „მდინარე“, ağiz „პირი“. სოფელი მდებარეობს მდინარე შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე. ყვირაღას ეწოდა დემირყაფი, რაც რკინის კარს ნიშნავს. demir „რკინა“, Kapı „კარი“. სოფელი მდებარეობს ყვირაღას ხეობის სათავეში, საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს.

3. სოფლის სახელად შერჩენილია ფლორონიმები:

სოფელ ვანთას შეარქვეს ელმალი, რაც ქართულ ვაშლოვანს ეფარდება. elma „ვაშლი“, li - ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი. სოფელ ზენდაბას - არფალი, რაც ქერიან ადგილს ნიშნავს. arpa „ქერი“, ასევე ითქმის შემდეგი სოფლების თურქული სახელების შესახებ: სოფ. ივეთი - მისირლი, სიმინდიანი ან სიმინდოვანი, misir „სიმინდი“, სოფ. მუხობანი - უზუმლუ, ვაზიანი, üzüm „ვაზი“; სოფ. სათლელი - სოლქოლუ, ალვის ხიანი ადგილი, ალვანი. soğun „ალვისხე“; სოფ. სამჯელი (ძველი ქართული სახელია „სამჭედი“) - არმუთლუ მსხალნარი, armut „მსხალი“ სოფ. სვირევანი - დუთლუ. ბჟონარი ანუ თუთნარი, dut „თუთა“ ტბეთი - ჯევიზლი, ნიგეზიანი, ceviz „კაკალი//ნიგოზი“; სოფ. ჩართულეთი - ჩამლიჯა, ფიჭვნარი, çam „ფიჭვი“; სოფ. წორწელი - ჩავდარლი, ჭვაკიანი, çavdar „ჭვაკი“, სოფ. წეთილეთი - ერიქლი, ქლიავიანი, erik „ქლიავი“ და სხვ.

სოფლების როგორც ძველი, ასევე ახალი ანუ როგორც ქართული, ასევე თურქული სახელები სინონიმური ტოპონიმებია. ხმარებაშია ორივე სახელი. თუმცა არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართული სახელი ხალხთა მეხსიერებიდან ამოიშალოს და საბოლოოდ საერთოდ გაქრეს. აქედან გამომდინარე, დღევანდელი საქართველოს ფარგლებს

გარეთ დარჩენილ ქართულ ისტორიულ მხარეებში გეოგრაფიულ სახელთა სისტემატურ აღწერას, ეტიმოლოგიურ კვლევასა და ამ მასალების ფართო საზოგადოებისათვის წარმორჩენას დიდი სამეილიშვილო და ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება. იქ მცხოვრები ჩვენებურები კი გვეუბნებიან: „გამოუცვალა ჰუქუმათმა (მთავრობამ - ნ.ც.) ძუელი სახელი, გურჯული სახელი. მარა ყველამ ვიცით გურჯული სახელი; გენჯები (ახალგაზრდები - ნ. ც.) რაგუარ შეიქცევიან, არ ვიცი. დეიმახსოვრებენ ჰერალდა (ალბათ - ნ. ც.) ისინიც. არ დეიკარქვის გურჯი სახელი სოფლისა“ (73, 337).

ღმერთმაც არ ინებოს იქ ქართული სახელისა და ქართული ენის ამოძირკვა.

4. 1. თურქულენოვანი ტოპონიმები

შაკმეთის თურქულენოვან ტოპონიმებში სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მარტივი სახელები;
2. სუფიქსებით ნაწარმოები სახელები;
3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები.

ა) მარტივი სახელები

ღერე ლელე, საძ., (ტბეთი, მორღელი). თურქ. dere „ხეობა“, „ხევი“. ღერე საკვლევ რეგიონში იხმარება როგორც ზოგადად ხევის, ასევე მდინარის, ლელის მნიშვნელობით.

თოფრაქ ტყე (სხლობანი). თურქ. toprak „მიწა“.

დათალი სამოვრები (მამანელისი, მორღელი, შაკმთა, წყალსიმერი). თურქ. yatak „გომური“ (20, 25). დათალი იხმარება სადგომის, საწოლის მნიშვნელობით. დათალი ეწოდება პირუტყვის (ხარის, ცხერის...) ღამის გასათევად ადგილს.

მეიდან სათიბები (დაბაწვრილი, შაკმეთი). ეს სიტყვა არაბულია, თურქულში შესულია არაბულიდან. თურქ. meydan „მოედანი“.

სათარ საძ., სათიბი (გურნათელი. სხლობანი). სათარი საბასთან არის შეშა მოთრეული (57, 30). შ. ნიჟარაძე ამ სიტყვას ასე განმარტავს: „თაქვე დასაცურებელი (ხეების), ღარობი“ (55). სათარი მესხურ დიალექტშიც არის ცნობილი (39). იგი ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინია

და ზოგადად აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ხეებს (მორებს) მიათრევენ ფერ-
დობზე დასაცურებლად.

ჩაირ სათიბი (დაბაწვრილი). ჩაირი იმერხეულ დიალექტში აღნიშნავს
სათიბს, საძოვარს, ზოგჯერ ზოგადად მდელის მნიშვნელობა აქვს.

ჩერმიქ მინ. წყალი (მიქელეთი). აქაური მინერალური წყლები ცნობილია
მთელ შავშეთში. სოფელ მიქელეთს დღეს ოფიციალურად ჰქვია „ჩერმიქ“.
სოფლის სახელად აღებული იქნა მინერალური წყარო.

ყიშლა სოფ. უბანი, საძ., (ჯინალი, ხანთუშეთი) ყიშლა თურქული დიალ-
ექტიზმია, ლიტერატურულია: „kışlak“ და ნიშნავს „საზამთრო სადგომს“.
თურქ. kış „ზამთარი“ თურქულ „kışlak“ ქართული „ფერდა“ შეესიტყვება
(55, 343). ფერდა საგაზაფხულო-საშემოდგომო საძოვარია. იმერხეულ დიალ-
ექტში ყიშლას ქართული სიტყვა „მეზრე“ ცვლის: „თურქულად ყიშლა,
ქართულად მეზრეს ვეტყვით“ (73).

სირთ სათიბი (დაბაწვრილი) თურქ. sirt „ზურგი“, „სერი“. სირთი ჰქვია
ამობურცულ, ზურგა ადგილს, პატარა მალღობს.

სირთის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს ჩოქექს, რომელიც ჩავარდნილ,
ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს – ჩოქექ ტყე (ჩართულეთი).

მარტივი ტოპონიმია სოგუთ ტყე (ტბეთი) თურქ. soğut „ტირიფი“ და ა. შ.

ბ) სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭი-
რავს სუფიქსებით გაფორმებულ სახელებს.

პროდუქტიულობით გამოირჩევიან შემდეგი სუფიქსები: -lar\\-ler, -gil, -li, -
lık\\-luk (\\-lik\\-lük), -ci და სხვ.

-lar\\-ler სუფიქსი სახელის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია თურ-
ქულ ენაში. იგი ტოპონიმებს აწარმოებს არსებითი სახელისაგან:

გოლ-ლარ ტბები (შავეთი, დაბაწვრილი, ვანთა), თურქ. göl „ტბა“. დას-
ტურდება შემთხვევები, როდესაც ეს სახელი აღნიშნავს არა უშუალოდ ტბას
ან ტბებს, არამედ ტბასთან მდებარე ტერიტორიას, ტყეს, ან სათესს: გოლ-
ლარ ტყე (ოქრობაგეთი);

დოლაბ-ლარ გამოქვ. (ველი), თურქ. dolap „კარადა“;

თუქან-ლარ სოფ. უბანი (სხლობანი), თურქ. dükkân „დუქანი“. სოფლ-
ის ამ უბანში ადრე ბევრი სამჭედლო სახელოსნო ყოფილა და სახელიც ამის
გამო დაერქვა (97);

დათახ-ლარ სათიბი (ხანთუშეთი), თურქ. yatak „გომური“ (20, 25), საწ-
ოლი, სადგომი;

მეიდან-ლარ სოფ. უბანი, სათიბი (სხლობანი, მამანელიისი), თურქ. meydan „მოედანი“;

ჩოქექ-ლარ სათიბი, ტყე (მორღელი, სოფორო);

ქილისა-ლარ ნაეკლ. სათიბი (დაბაწვრილი, ვანთა, ველი, ციხისძირი), თურქ. Kilise „ეკლესია“.

-lar სუფიქსი დაერთვის ანთროპონიმულ სახელებს:

მაიქ-ლარ ტყე (ჩართულეთი);

მამუქ-ლარ საძ., (ციხისძირი);

მუთო-ლარ სოფ. უბანი (ქოთეთრისი);

ფაფუ-ლარ სათიბი (ბაღვანა);

ხაბელ-ლარ სოფ. უბანი (სხლობანი).

მაიქი, მამუქი, მუთო, ხაბელა პიროვნული სახელებია. აქ იგულისხმება არა ბევრი მაიქი ან ბევრი მუთო, არამედ მათ კუთვნილებაში მყოფი ადგილები (საძოვარი, ტყე...).

_lar/-ler სუფიქსი დაერთვის რთულ ფუძეებს:

ორთაქრფრუ-ლარ საძ., (დაბაწვრილი), თურქ. orta „შუა“, Köprü „ხიდი“;

სარიჩოფ-ლარ სათიბი (შავქეთი). თურქ. sarı „ყვითელი“, çöp „ნაგავი“.

ინფორმატორების ცნობით, ამ მიდამოებში იზრდება ყვითელი მცენარე, რომელიც გადამწიფების შემდეგ ერთიანად ღებება და მძაფრ სუნს უშვებს. აქაურთა თქმით, ამ ბალახს არც საქონელი ძოვს და არც ითიბება, ადგილზე ღებება. ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს ასეთი სახელი – „ყვითელი ნაგავი“ (97).

ერმენიჰალილ-ლარ საძ., (შავქეთი) – „სომხების ფარეხები“. ჰალილი საქონლის ფარეხია, ღობე შემოვლებული აქვს და დაუხურავია (97).

დასტურდება -lar სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი ler:

გოლ-ლერ ტბა (კუჭენი), თურქ. göl „ტბა“, გოლლერ – „ტბები“, უფრო ზუსტად ტბასთან მდებარე ადგილი;

დუზ-ლერ სოფ. უბანი (ხანთუშეთი). თურქ. düz „სწორი, ვაკე ადგილი“.

საკვლევ რეგიონში განსაკუთრებული პროდუქტულობით გამოირჩევა -ğil სუფიქსი, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ქართული სუფიქსები – -ან (სოსიკოსან-ი, პეტრეს-ანი...), -ეულ-/-ოულ (სოსიკოს-ეული. პეტრეს-ეული-ი...). უფრო მიახლოებით -ğil სუფიქსი ქართული – იენტ-/-იეთ სუფიქსის ფარდია. -იენტ – -იანთ რთული სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობაა. აღნიშნავს კუთვნილება-შთამომავლობას. მაგ., აბდულ-გილ=აბდულ-იენტ-ი, აბრამ-გილ=აბრამ-იენტ-ი, ბერი-გილ=ბერ-იენტ-ი და ა. შ. ასევეა -აანთ სუფიქსი. „ოთარაანთ“ რიგის სახელების მსგავსად.

-ğil სუფიქსით გაფორმებული სახელები ძირითადად ერთი წარმომავლობის ოჯახებით დასახლებული ტოპონიმებია და აღნიშნავს სოფლის უბნებს, სადაც, როგორც წესი, მხოლოდ ამ გვარის ოჯახები ცხოვრობენ.

-გილ სუფიქსი დაერთვის ანთროპონიმებს:

აბდულ-გილ სოფ. უბანი (სხლობანი). ეს იგივეა, რაც აბდულ-ის-ან-ი, აბდულ-ის-ეულ-ი, აბდულ-აანთ-ი, ე. ი. სოფლის უბანი, სადაც ამ პიროვნების შთამომავლები, ან მისი ახლო ნათესავეები ცხოვრობენ;

აივაზ-გილ სოფ. უბანი (მამანელისი);

ალი-გილ სოფ. უბანი (ჯინალი);

ბექირ-გილ სოფ. უბანი (წითვეთი);

ეზიზ-გილ სოფ. უბანი (ბალვანა);

მამო-გილ სოფ. უბანი (ტბეთი);

სუმაშ-გილ სოფ. უბანი (წითვეთი);

ყუშო-გილ სოფ. უბანი (შაემთა);

ჯუშო-გილ სოფ. უბანი (ტბეთი);

ჰანო-გილ სოფ. უბანი (შავექეთი).

აბდულ, აივაზ, ალი, ბექირ, ეზიზ, მამო, სუმაშ, ყუშო, ჯუშო, ჰანო პიროვნული სახელებია.

ტოპონიმის ფუძეა მაღალი ფენის ან სასულიერო წოდების სახელები:

ალა-გილ სოფ. უბანი (მამანელისი);

ეფენდი-გილ სოფ. უბანი (კუჭენი);

მოლლა-გილ სოფ. უბნები (ზენდაბა, ჭუარები);

ხაჯი-გილ სოფ. უბანი (წითვეთი);

ხოჯა-გილ სოფ. უბნები (სხლობანი, ჭუარები).

ალა და ეფენდი თურქულში თავაზიანი მიმართვის ფორმებია: ağa „ალა, ბატონო“; efendi „ბატონი“. მოლლა და ხოჯა კი – სასულიერო პირებია. ხაჯი წმინდა ადგილებში (მექა, მედინა) წასულ ადამიანს ეწოდება. „ხაჯ-წასული“ ამ ადგილების მნახველია. ამ სახელებისაგან არის მიღებული ტოპონიმებიც.

-გილ დაერთვის მეორე მაწარმოებლად პროფესია-საქმიანობის ამსახველ ტოპონიმებს:

ბალ-ჯი-გილ სოფ. უბანი (მამანელისი), თურქ. bal „თაფლი“, bal-ci „მეთაფლე“, – ci პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი სუფიქსია. ე. ი. ბალჯი-გილ არის უბანი, სადაც მეთაფლე ცხოვრობდა ან ახლაც ცხოვრობს;

დემირ-ჯი-გილ სოფ. უბანი (სხლობანი), თურქ. demir „რკინა“ demir-ci „მჭედელი“;

ყაჰვე-ჯი-გილ სოფ. უბანი (სხლობანი). თურქ. kahve „ყავა“ და სხვ.

ქურთ-გილ სოფ. ციხისძირის ერთ-ერთი უბნის სახელია. ამ უბანში წარსულში ცხოვრობდნენ ქურთები. ამჟამად აქ მხოლოდ ადგილობრივი შავშელები სახლობენ, სახელი კი უბანს ქურთებისა შემორჩა;

ჩამურ-გილ სოფ. უბანი (შავქეთი), თურქ. çamur „ტალახი“. ინფორმატორების ცნობით, ხშირი წვიმების შედეგად „აქაურობა ისე ატალახდება, ფეხს ვერ გადადგამ“ (97);

ყაია-გილ სოფ. უბანი (ჯინალი), თურქ. kaya „კლდე“.

სირთინ-გილ სოფ. უბანი სათიბი (დაბაწვრილი), თურქ. sirt „ზურგი, სერი“. ყაიაგილი სოფლის კლდიანი უბანია, სირთინგილი – ბორცვიანი.

– li ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი. იგი თურქულ ენაში ისევე იხმარება, როგორც ქართულში – იან, -ნარ და სხვა სუფიქსები. ძირითადად დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს:

ბოია-ლი⁸⁰ სათიბები (სათლელ-რაბათი, სინკოთი, ზენდაბა), თურქ. boya „საღებავი“, ბოიალი-საღებავიანი, შეღებილი; „წერნავი“ – „საღებავი“, შდრ.: საწერნაქე (66, 94);

სინეგ-ლი სათიბი (ზენდაბა), თურქ. sinek „ბუზი“ სინეგლი-ბუზიანი, მწერიანი;

ყავლა-ლი სათესი (ტბეთი), თურქ. kavga „ჩხუბი“, kavga-li „საჩხუბარი“. ე. ი. სადავო ადგილი;

ქირაზ-ლი სოფელი (შავშეთი), თურქ. kiraz „ბალი“. ქირაზლი ნიშნავს ბალიან ადგილს, ბალვანას (←ბალ-ოვან-ა);

ჩეფერ-ლი სათიბი (ზენდაბა), თურქ. ceper „ღობე“, ceper-li „ღობიანი“, ღობეშემოვლებული ადგილი“ (97);

ჯევიზ-ლი ტყე (ყვირალა), თურქ. ceviz „კაკალი“ ceviz-li „კაკლიანი“ იგივე „ნიგეზიანი“. ისტორიულ სოფელ ტბეთსაც დღეს ჯევიზი ჰქვია. ეს სოფელი მართლაც გამოირჩევა საუკეთესო ჯიშის კაკლის ბალებით.

ფინარ-ლი სოფ. (შავშეთი) pınar „წყარო“, წყაროიანი, ასე ჰქვია სოფელ სხლობანს.

გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს სუფიქსი - lik\\-lük, -lık\\-luk, , რომელიც დიალექტური ფორმით -luh\\\luğ - ფიქსირდება ტოპონიმებში. შინაარსობრივი მნიშვნელობა თითქმის იგივეა, რაც ქართულ -იან-, -ნარ-სუფიქსებს და სა --- ე, სი---ე პრეფიქს-სუფიქსებს გააჩნიათ.

აშლამა-ლუხ სათიბი (ზენდაბა), აშლამა- „ნერგი“, აშლამალულ ნერგიანი ადგილი ანუ სანერგე (97);

ბუზ-ლუხ ტყე (სათლელ-რაბათი). თურქ. buz „ყინული“, buz-luk „საყინულე“, ბუნებრივი გამოქვაბული ტყეში. სადაც წლის ნებისმიერ დროს ერთი და იგივე ტემპერატურაა შენარჩუნებული. მის მიმდებარე ტყესაც ამიტომ ეწოდა ეს სახელი;

ქირაზ-ლულ-ი სათიბი (შავშთა), თურქ. kiraz „ბალი“, ქირაზლული ბალიანი ადგილი. შდრ.: ქირაზლი;

მეზერ-ლულ-ი სასაფლაო (მორღელი), თურქ. mezar „საფლაავი“, mezar-lik „სასაფლაო“;

თუზ-ლუქ სათიბი (შავქეთი), თურქ. tuz „მარილი“. tuz-luk „სამარილე“. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ამ ადგილებში მეცხვარეები ცხვარს მარილს აძლევენ. ამიტომაც დაერქვა ეს სახელი ადგილს (97).

საკვლევ რეგიონში დასტურდება -siz უქონლობის აფიქსით გაფორმებული რამდენიმე რთული გეოგრაფიული სახელი:

დიბსიზ გოლლარი ტბები, სათიბი (დაბაკეთილი), თურქ. dir „ძირი“. dip-siz „უძირო“, ეს „ტბა“, დიბსიზ გოლლარი – „უძირო ტბები“;

სუზსუზ ყიშლა ტყე (სხლობანი), თურქ. su „წყალი“, -suz იგივე -siz უქონლობის სუფიქსია, სუსუზ უწყლო ადგილია, ამ შემთხვევაში ყიშლა ანუ საზამთრო სადგომი.

სიტყვათმცოდნეობითი ნაწარმოები ტოპონიმები

შავშეთის თურქულენოვან ტოპონიმურ მასალაში დიდია სიტყვათმცოდნეობითი ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების რიცხვი. რთული სახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელ-საზღვრულია. წყობა – პრეპოზიციური. მკვლევარი მ. კემულარია თურქულენოვან ტოპონიმებს, რომლებიც ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით არიან დაკავშირებულნი, განიხილავს სამი იზაფეტური წესის მიხედვით. მასალა აღებულია ქვემო ქართლის ტოპონიმიდან.

პირველ იზაფეტში მსაზღვრელ-საზღვრული უკავშირდება ერთმანეთს ყოველგვარი მორფოლოგიური კავშირის გარეშე: დაშბულალ – ქვის წყარო (დამ. „ქვა“).

მეორე იზაფეტში მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით, ხოლო საზღვრული დაირთავს მესამე პირის კუთვნილებით აფიქსს. აღმააღაჯი – ვაშლის ხე (ელმა//აღმა „ვაშლი“, აღაჯ, „ხე“, -ი მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი). ინექდალი – ძროხის მთა (ინექ „ძროხა“ დალი „მთა“).

მესამე იზაფეტში მსაზღვრელს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრული კი წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსით: პალიტინინ გუნოღუ (ფალის „მუხა“, გუნოღ „მზიანი მხარე“, „მზვარე“, აღმანინ დუზუ (დუზ „დაბლობი, მინდორი“)... (36, 17-18).

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში დასტურდება სამივე იზაფეტის მაგალითები, მაგრამ უფრო სჭარბობს პირველი იზაფეტის შემთხვევები, როცა მსაზღვრელ-საზღვრული მორფოლოგიური კავშირის გარეშე ერთმანეთთან დაკავშირებული.

ა) საზღვრული ჰიდრონიმული ტერმინია (ტბა, წყარო, ხევი...).
მსაზღვრელი – არსებითი ან ზედსართავი სახელი

საზღვრული წევრია ტბა, თურქ. göl – მსაზღვრელი არსებითი სახელი. მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს უკავშირდება ყოველგვარი მორფოლოგიური კავშირის გარეშე;

ბალიქგოლ ტბები (ქვ. სულისი, სხლობანი), თურქ. balik „თევზი“. göl „ტბა“, თევზის ტბა ანუ თევზიანი ტბა;

დევეგოლ ტბა (ტბეთი), თურქ. deve „აქლემი“, აქლემის ტბა;

დურნაგოლ ტბა (ქოთეთრისი) – წეროს ტბა (durna „წერო“);

ტავარგოლ ტბა (ტბეთი) – ცხერის ტბა (tavar „საქონელი“, „ცხვარი“);

ქიზგოლ ტბა (სხლობანი) – გოგოს ტბა (Kız „გოგო“).

მსაზღვრელი ზედსართავი სახელია:

ყარაგოლ ტბა (მოქეთა, სხლობანი) – შავი ტბა (Kara „შავი“);

ჩურუქგოლ ტბა, სათიბი (ტბეთი, შავქეთი) – დამპალი ტბა (guruk „დამპალი“).

მსაზღვრელი სუფიქსიანი სახელია, კერძოდ კი დართული აქვს ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი -ლი:

სრლითლი გოლ ტბა (ახალდაბა) – „ტირიფიანი ტბა“ (Söğüt „ტირიფი“);

ქულაქლი გოლ ტბა (სხლობანი) – ყურიანი ტბა (kulak „ყური“) და სხვ.

ამ უკანასკნელს გარშემოწერილობის გამო დაერქვა ეს სახელი.

მსაზღვრელს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრული კი წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსით (-ი);

მეიდან-ინ გოლ-ი ტბა (შავქეთი) – მოედანის ტბა;

შერიფ-ინ გოლ-ი ტბა (შავქეთი) – შერიფის ტბა (შერიფი კაცის სახელია)...

საზღვრული წევრია ფუნდარ, ლიტ. ფორმა – pinar, რაც ნიშნავს წყაროს, მსაზღვრელი – ზედსართავი სახელი:

სოუხფუნდარი წყარო (შავქეთი) – ცივი წყარო, თურქ. Soğuk „ცივი“;

ტაშფუნდარ სათიბი (დაბაწვრილი) – ქვიან ადგილზე მომდინარე წყარო (taş „ქვა“);

ყარაფუნდარ წყარო (ტბეთი) – შავი წყარო (kara „შავი“). აქ იგულისხმება ამ წყაროსთან მდებარე ადგილი და არა მხოლოდ წყარო.

საზღვრულია su – წყალი, მსაზღვრელი – არსებითი სახელი. რიცხვი – მხოლობითი:

ყიზსუდ წყარო (ტბეთი) – გოგოს წყარო (kız „გოგო“).

დერმანსუდ წყარო (ტბეთი) – წამლის წყარო (dennan „წამალი“);

სოუქსუდ წყარო (შავქეთი) – ცივი წყარო (Soğuk „ცივი“).

საზღვრულია dere – ხევი, დელე, მსაზღვრელი – არსებითი სახელი: დევირმანდერე დელე (გურნათელი) – წისქვილის ხევი (değirman „წისქვილი“).

მსაზღვრელი ზედასრთავი სახელია:

ბუჯუქ დერე დელე (შავქეთი) – დიდი დელე (buyuk „დიდი“);

ქორდერე დელე (შავმთა) – ბრმა დელე, ხევი (kör „ბრმა“);

ყურუდერე სოფელი (მორღელის თურქული სახელი) – მშრალი ხევი (kuru „მშრალი“).

ბ) საზღვრული – ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი ტერმინია (მთა, ვაკე, ბორცვი, კლდე...)
მსაზღვრელი – არსებითი ან ზედასრთავი სახელი

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად საზღვრული – მრავლობით რიცხვში დგას.

ტალ – თურქ. dağ „მთა“. ამ სიტყვის მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ მთა, მთიანეთი (თურქ. dağlık „მთიანეთი“), არამედ საზაფხულო იალაღები ანუ იაიღები მთაში.

ბილბილანტალი მთა, იაილა (ანკლია, სინკოთი) – ბილბილანის მთა. ბილბილანი მთათა სისტემაა შავშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით;

დუზტალი მთა, იაილა (სოფორო, ქოთეთრისი) – ვაკე მთა (თურქ. düz „სწორი, ვაკე ადგილი“). იაილა, რომელიც მთის მოვაკებულ, სწორ ადგილზე მდებარეობს;

იალანუსჩამ ტალღარი მთები (ზენდაბა) – მარტო ფიჭვის მთები ანუ მარტოხელა ფიჭვის მთები (თურქ. yalnız „მარტო“, çam „ფიჭვი“). ასევე მთაგრეხილი, მთათა სისტემაა იალანუს ჩამი, რომელიც შავშეთს არტანუჯისაგან მიჯნავს;

ჯინტალი მთა (სხლობანი) – ეშმაკის მთა (თურქ. cin „ეშმაკი, ჯადოქარი“).

დუზ – თურქ. düz „სწორი, ვაკე ადგილი“.

ბუჯუქ დუზ საძ., ვაკე (ტბეთი, ჯინალი) – დიდი ვაკე (თურქ. büyük „დიდი“).

ქაჯუჩუქ დუზ საძ., (ტბეთი) – პატარა ვაკე (თურქ. Küçük „პატარა“).

თეფე – თურქ. tepe „მწვერვალი, წვერი, ბორცვი“;

ტავშან თეფე⁸² ტყე (მამანელისი) – კურდღლის მწვერვალი. ბორცვი;

ქილისანინ თეფესი ნაეკლ. (მოქვთა) – ეკლესიის მწვერვალი, ბორცვი, სადაც იდგა ეკლესია. ახლა მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი;

ყანლი თეფე მთა, ტყე (კარავათი, მოქეთა) – სისხლიანი ბორცვი (თურქ. kan „სისხლი“, kanlı „სისხლიანი“). ამ შემთხვევაში მსაზღვრელი წარმოდგენილია სუფიქსით: –lı.

დასტურდება შემთხვევები, როცა თეფეს ცვლის სირთი, რასაც თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს. სირთ – თურქ. sirt „ზურგი, სერი“:

დაუდოლლი სირთი საძ., (ვანთა) – დაუდის ვაყის სერი, თურქ. oğul „ვაყი, შვილი“.

ქადა – თურქ. kaya „კლდე“:

ბალქადა ტყე (ვანთა) – თაფლის კლდე (თურქ. bal „თაფლი“). იგივე ძირის მსაზღვრელი წარმოდგენილია –lı სუფიქსით:

ბალლიქადა სათიბი (გურნათელი) – თაფლიანი კლდე;

ყარაქადა საძ., (ტბეთი) – შავი კლდე (თურქ. kara „შავი“).

გ) კომპოზიტის პირველი ნაწილია არსებითი, ზედსართავი სახელი ან სახელზმნა. მეორე ნაწილი – არსებითი სახელი

მეჭელე/მაჭალე – თურქ. mahalle „უბანი“. მსაზღვრელია არსებითი ან ზედსართავი სახელი, საზღვრული – მეჭელე/მაჭალე. მეჭელეს ინსტიტუტი ძალზედ განვითარებულია ისტორიული ტაო-კლარჯეთის ყველა მხარეში და მათ შორის შავშეთ-იმერხევეშიც. აქაური სოფელი დასახლებულია „მეჭელეების“ ანუ უბნების მიხედვით. სოფელი რამდენიმე უბნისაგან შედგება და როგორც წესი, თითოეულ უბანში თითქმის ერთი წარმომავლობისა და გვარის ოჯახები ცხოვრობს. მეჭელეების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა ცხოვრობს სოფელში და როგორია მათი განლაგების პრინციპი. სოფელში ჩვეულებრივ არის სამი და მეტი უბანი. მაგ., სოფელ ციხიაში სამი მეჭელეა, დასამობში – 5, ვერხეინალსა და შავშთაში – 7, ჭუარებსა და კუჭენში – 10, მამანელისში და ზენდაბაში – 11, წითვეთში – 13, სხლობანში – 26. სოფლის უბნების აბსოლუტურ უმრავლესობას თურქულმაწარმოებლიანი და თურქული შინაარსის სახელები ჰქვია. გამონაკლისია რამდენიმე ქართული გვარსახელისაგან მომდინარე უბნები. მაგ., დულაბიძე და ლასურიძე (სოფ. წითვეთი), ჩაქურიძეები, მიქაძეები (სოფ. ზაქიეთი) და სხვა. ყველა სოფელში, როგორც წესი, არის აშალი მაჭალე (თურქ. aşan „ქვემო, ქვედა“) – ქვემო უბანი და დოხარი მაჭალე (თურქ. yukarı „ზემო, ზედა“) – ზემო უბანი, ასევე ყველა სოფელშია თითქმის ჯამემაჭალე (თურქ. cami „მეჩეთი“). ის უბანი, სადაც ფუნქციონირებს მეჩეთი, ჯამემაჭალეა. ბევრ სოფელში ჯამემაჭალის ძველი ქართული სახელის დადგენა ვერ მოვახერხეთ, რადგანაც მეჩეთები საუკუნეების განმავლობაში მოქმ-

ედებენ, ძველი ქართული სახელი კი მალე გაქრა. გვაქვს უბნები: დუზმაჰალე სოფ. უბანი (მამანელისი) – ვაკის უბანი, სირთმაჰალესი სოფ. უბანი (მოქეთა) – სერის უბანი და ა. შ.

საზღვრული წევრია დოლ თურქ. yol „გზა“. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია. მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელი ხშირად რთულია, იშვიათად – მარტივფუძიანი:

დუზდოლ გზა, სამ., (მამანელისი) – სწორი გზა,

ესკიყიშლა დოლ გზა (სხლობანი) – ძველი ყიშლის გზა;

ინიყიშლა დოლ გზა (სხლობანი) – ახალი ყიშლის გზა. თურქ. eski „ძველი“, yeni „ახალი“;

თეფექრი დოლუ გზა (ახალდაბა), – თეფექრის გზა. თეფექრი სოფელ ახალდაბას ჰქვია. სიტყვასიტყვით თეფექრი ნიშნავს ბორცვზე, მაღლობზე გაშენებულ სოფელს;

მეშელიქრი დოლუ გზა (სხლობანი) – მეშელიქრის გზა. მეშელიქრი სოფელ დაბაწვრილის თურქული სახელია, რომელიც მომდინარეობს სახელ-იდან meşe „მუხა“, meşelik „მუხნარი“, „მუხიანი“;

ტაშლი დაილა დოლუ გზა (სხლობანი) – ქვიანი იაილის გზა, თურქ. taş-lik „ქვიანი“;

ყარმიზი დოლუ სათესი, გზა (ტბეთი) – წითელი გზა. თურქ. Kirmiz „წითელი“;

ყურთ დოლ გზა (ზენდაბა) – მგლის ბილიკი. თურ. Kurt „მგელი“ და ა.შ.

საზღვრული წევრია თარლა, თურქ. tarla „ყანა სათესი“. მსაზღვრელ-საზღვრული მხოლოდით რიცხვშია, იშვიათად – საზღვრული მრავლობით რიცხვში. მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია. საზღვრულ წევრს იშვიათად დართული აქვს მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი – სი:

არმუთ თარლასი სათესი (მორღელი) – მსხლის ყანა, ანუ ყანა, სათესი, სადაც მსხლების ხეები დგას. თურქ. armut „მსხალი“;

არფა თარლასი სათესი (ვანთა) – ქერის ყანა, თურქ. arpa „ქერი“;

ბოლოზ თარლასი სათესი (მორღელი) – ყელიანი ყანა ანუ სათესი, რომელსაც ვიწრო, ყელის ფორმა აქვს. თურქ. boğaz „ყელი“;

დარი თარლა სათესი (დაბაწვრილი) – ფეტვის ყანა, თურქ. dar „ფეტვი“;

სირთ თარლა სათესი (ტბეთი) – ბორცვიანი ყანა ანუ მაღლობზე მდებარე ყანა. თურქ. sir „სერი“;

ტაშლი თარლა სათესი (ჭუარები) – ქვიანი ყანა, თურქ. taş „ქვა“, taşlık „ქვიანი ადგილი“;

უზუნ თარლა სათესები (ანკლია, ჩართულეთი, ვანთა) – გრძელი ყანა, თურქ. uzun „გრძელი“;

ქაინაქ თარლა სათესი (დაბაკეთილი) წყაროს ყანა ანუ ყანა, სადაც გამოდის წყარო წყალი. თურქ. kaynak „წყარო“;

ჩოქექ თარლა სათიბი (ჩართულეთი) – ჩავარდნილ, ჩაღრმავებულ ადგილზე მდებარე ყანა, თურქ. çökük „ჩავარდნილი ადგილი“ და სხვ.

საზღვრული წვერია ქოფრი/ქოფრუ, თურქ. köprü „ხიდი“. მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია, ორივეს რიცხვი მხოლოდითია, საზღვრული წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსის (-სი) ფონეტიკური ვარიანტით: - სუ;

დეერიშოლლი ქოფრუსუ ხიდი (კუჭენი) – დეერიშის ვაჟის ხიდი. დეერიშოლლი თურქული გვარსახელია, რომელიც მომდინარეობს პიროვნული სახელიდან – დეერიში, დეერიშოლლი იგივე დეერიშის შვილია;

თეიფუროლლი ქოფრუსუ ხიდი (კუჭენი), თეიფურა კაცის სახელია;

ქემერქოფრი ხიდი (მორღელი, სვირევანი), თურქ. kemer „ქამარი“, საკვლევ რეგიონში ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ძველი, თაღოვანი ხიდები, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება აქ;

ჩურუქ ქოფრუსუ ტყე, ნაეკლ., სათიბი (მამანელისი, სხლობანი, დაბაწერილი) – დამპალი ხიდი, თურქ. çürük „დამპალი“ და ა. შ.

მსაზღვრელია სახელზმნა, უმეტესწილად მიძლეობა ან იშვიათად – ზედსართავი სახელი, საზღვრული კი – არსებითი სახელი: თაშ//ტაშ, თურქ. taş, ქვა“, მსაზღვრელ-საზღვრული მხოლოდით რიცხვში დგას;

დელიქლი ტაში ტყე (დაბაწერილი) „ნახვრეტიანი ქვა“, თურქ. delik „ნახვრეტი, ნახვრეტი, ხვრელი“. ამ ტყეში მრავლად არის ამგვარი ქვა და ადგილის სახელდებაც აქედან მომდინარეობს;

თიქილი ტაში ქვიანი ადგილი, საძ., (წეთილეთი) – დასობილი, დარჭობილი (ვერტიკალურად) ქვები, თურქ. dikili „დასობილი, დარჭობილი“;

ოთლი ტაშ საძ., (ხანთუშეთი) – „ბალახიანი ქვა“, თურქ. ot „ბალახი“;

ქესუქ ტაშ საძ., (ვანთა) – „დაჭრილი ქვა“, თურქ. kesmek „ჭრა“, „დაჭრილი“ და სხვ.

საზღვრულია არსებითი სახელი ჩაირ, რაც ზოგადად ნიშნავს საძოვარს სათიბს, მინდორს, მსაზღვრელი – არსებითი ან ზედსართავი სახელი, იშვიათად – ზმნიზედა. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია;

გოლლი ჩაირ სათიბი (სოფორო) – „ტბიანი საძოვარი, მინდორი“, თურქ. göl „ტბა“;

დერე ჩაირ სათიბები (ხანთუშეთი, ტბეთი, შავქეთი) – „ხევის საძოვარი, სათიბი“. თურქ. dere „ხეობა, ხევი“;

დიბ ჩაირ სათიბი (ზ. სულისი) – „ქვემო საძოვარი, სათიბი“, თურქ. dip „ძირი, ფსკერი“;

დოზარი ჩაირ სათიბი (ტბეთი) – „ზემო საძოვარი“, თურქ. yukari „ზევით“;

დენი ჩაირ სათიბი (შავქეთი) – „ახალი საძოვარი“, თურქ. yeni „ახალი“;

სარი ჩაირ იაილა, სათიბი, საძოვრები (წეთილეთი, წყალსიმერი, ზოხლევი, მანხატეთი) – „ყვითელი საძოვარი“, თურქ. sari „ყვითელი“;

საყათ ჩაირ სათიბი (ჯინალი) – „მწირი საძოვარი“, თურქ. sakat „ხეიბარი“;

ტაშლულ ჩაირ სათიბი (ტბეთი) – „ქვიანი საძოვარი“, თურქ. taş „ქვა“, taşlık „ქვიანი“;

ქუჩუქ ჩაირ სათიბები (მამანელისი, ველი, დაბაწვრილი) – „პატარა საძოვარი“, თურქ. küçük „პატარა“;

ყარამეშა ჩაირ სათიბი (გურნათელი) – „შავი მუხის საძოვარი“, თურქ. kara „შავი“, „მუხა“. იგულისხმება სათიბი, რომლის სიახლოვეს არის მუხნარი;

ჯამი ჩაირ სათიბი (ყვირალა) – „მეჩეთის კუთვნილი სათიბი“, თურქ. cami „მეჩეთი“ და ა. შ.

რთული სახელის მეორე შემადგენელი ნაწილია არსებითი სახელი ორმან, თურქ. orman „ტყე“, პირველი ნაწილი არსებითი ან ზედსართავი სახელია. მსაზღვრელი ხშირ შემთხვევაში არის რთული სახელი. მსაზღვრელ-საზღვრული მხოლოდით რიცხვშია:

ბაირამოღლი ორმანი ტყე (გურნათელი, ვანთა) – „ბაირამის ვაჟის ტყე“, ბაირამი კაცის სახელია;

დემირყაფი ორმანი ტყე (ჯინალი) – „რკინის კარის ტყე“. დემირყაფი სოფელ ყვირალას თურქული სახელია. თურქ. demir „რკინა“, kapı „კარი“;

დანუხ ორმანი ტყე (ხანთუშეთი, სათლელ-რაბათი) – „დამწვარი ტყე“, თურქ. yanmak „დაწვა, წვა“;

საყათ ორმანი ტყე (ჯინალი) – „ხეიბარი ტყე“, თურქ. sakat „ხეიბარი“. ამ შემთხვევაში იგულისხმება გაჩეხილი, განადგურებული ტყე.

მსაზღვრელია არსებითი ან ზედსართავი სახელი, საზღვრული – არსებითი სახელი დაილა, თურქ. yaylak „იალალი“, დაილა საზაფხულო საძოვარი და სადგომებია მთაში.

ბილბილან დაილასი, იალალი (ხანთუშეთი, გურნათელი) – „ბილბილანის იალალი“;

ესკი დაილა იალალი (ჯინალი, შაკეთი, კუჭენი) – „ძველი იალალი“, თურქ. eski „ძველი“;

საპარა დაილა/სახარა დაილა იალალი (ბალვანა, კუჭენი) – „საპარის//სახარის იალალი“;

ტაშლი დაილა იალალი (სხლობანი) – „ქვიანი იალალი“, თურქ. taş „ქვა“, taşlık „ქვიანი“;

ყარაგოლ დაილასი იალალი (მამანელისი) – „შავი ტბის იალალი“, თურქ. kara „შავი“, göl „ტბა“.

საზღვრული წვერია ყიშლა, რომელიც ყიშლალის სახენაცვალი ფორმაა და ნიშნავს „საზამთრო სადგომს“, თურქ. kiş „ზამთარი“, მსაზღვრელი-ზედ-სართავი სახელი.

აშალი ყიშლა საზ. სადგომი (ზენდაბა) – „ქვედა საზ. სადგომი“, თურქ. aşağı „ქვემო, ქვედა“.

ესკი ყიშლა დაილა (სხლობანი) – „ძველი საზამთრო სადგომი“, თურქ. eski „ძველი“. ეს უკანასკნელი, ინფორმატორების ცნობით, საზამთრო სადგომი იყო, შემდეგ კი იალალის ფუნქციები მიიღო;

დენი ყიშლა იალალი (სხლობანი) – „ახალი საზამთრო სადგომი“, თურქ. yeni „ახალი“. ე. ი. სოფელ სხლობანს ორი საზაფხულო იალალი აქვს მთაში, ერთი – ესკი ყიშლა, რომელიც ადრე საზ. სადგომი იყო და მეორე – ენი ყიშლა, იალალი, რომელმაც სახელი ესკი ყიშლას მიბაძვით მიიღო;

სუსუზ ყიშლა ტყე (სხლობანი) „უწყლო საზამთრო სადგომი“, თურქ. su „წყალი“, susuz „უწყლო“ და სხვ.

საზღვრული წვერია არსებითი სახელი დათალი, თურქ. yatak „საწოლი“, მსაზღვრელი არსებითი სახელი ან ზმნიზედა. კომპოზიტის ორივე წვერი მხოლოდით რიცხვშია.

აშალი დათალი სათიბი (ველი) – „ქვედა სადგომი“, თურქ. aşağı „ქვემო, ქვედა“;

დოზარი დათალი სათიბი (ველი) – „ზედა სადგომი“, თურქ. yukarı „ზევით“;

ოქუზ დათალი ტყე (ვანთა) – „ხარის საწოლი“, თურქ. öküz „ხარი“;

მარალ დათალი სამ., (კუჭენი) – „ირმის საწოლი“, თურქ. mazal „ირემი“ და ა.შ.

დ) სამ და მეტფუძიანი ტოპონიმები

შავშეთის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა მრავალფუძიანი ტოპონიმები, უპირატესად – სამფუძიანი. იშვიათად – ოთხფუძიანი სახელები. თხზული სახელის ყველა შემადგენელი სიტყვა თურქული წარმომავლობის ტოპონიმია. ისინი ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით არიან დაკავშირებული. გვაქვს სახელები, სადაც მსაზღვრულ-საზღვრული პირდაპირ, მორფოლოგიური კავშირის გარეშე უკავშირდებიან ერთმანეთს, სხვა შემთხვევაში მსაზღვრელ წვერს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრულს – მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი -სი. მსაზღვრელიც და საზღვრულიც მხოლოდით რიცხვში დგას. იშვიათად საზღვრული მრავლობით რიცხვშია.

გურჯი გეჩიდ დოლ გზა (ხანთუშეთი) – „ქართველის ნავალი გზა“, თურქ. Cürçü „ქართველი“, geçmek „გავლა, გადასვლა“, yol „გზა“;

დერემაჰალესინინ დერესი დელე (ტბეთი) – „ხევის უბნის ხევი“, თურქ. dere „ხეობა, ხევი“, mahalle „უბანი“;

მოლა ოსმანინ ჩაირინ ალთი სათიბი (შავქეთი) – „მოლა ოსმანის მინდვრის ქვემო“, თურქ. alt „ქვეშ, ქვემოთ“;

ქემერ ქოფრუ ჩაირ დელე (მორღელი) – „ქვის ხიდთან მდებარე მინდორი“, თურქ. kemer „ქამარი“ köprü „ხიდი“;

ყარაქონინ დაილასინ გოლლარი ტბები (შავქეთი) – „შავქეთის იალაღის ტბები“. ყარაქონი ნიშნავს „შავ სოფელს“ და იგი შავქეთის თურქული სახელია.

ყარა ფუნდარ ჩაირ სათიბი (ჯინალი) – „შავი წყაროს მინდორი“;

ჩაქალინ სირთ მაჰალესი სოფ. უბანი (მოქეთა) – „ტურის სერის უბანი“, თურქ. çakal „ტურა“, sirt „ზურგი, სერი“, mahalle „უბანი“;

ჯამემაჰალე ორმანი ტყე (ციხისძირი) – „მეჩეთის უბნის ტყე“, თურქ. cami „მეჩეთი“, mahalle „უბანი“, „ტყე“;

იქი სუინ არასი სოფ. უბანი, ტყე (ხანთუშეთი, მამანელისი) – „ორ წყალს შუა“, თურქ. iki „ორი“, su „წყალი“, ara, aralik „არე, შუალედი“. ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ორ წყალს შორის მდებარე ტერიტორია, კომპოზიციის მეოთხე წევრი ჩავარდნილია. მ. ქამადაძე წერს: „ზოგიერთი სამფუძიანი კომპოზიტი ოთხფუძიანიდან ჩანს მიღებული. ასეთი ტიპის სახელის ერთ-ერთი კომპონენტი ხშირად ზმნიზედაა. მაგ., სახელწოდებაში ბრტყელკილდიქვეში ჩავარდნილია ერთი წევრი „მამული“, „ტყე“, „ჭალა“ და ა. შ. ასეთ სახელებშიც ზმნიზედები მიუთითებს ობიექტის მდებარეობაზე და, ამავე დროს, ასრულებს ჩავარდნილი საზღვრულის როლს“ (74, 44).

4.2. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები

ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებულ რთულ ტოპონიმებში გამოიყოფა სამი ჯგუფი:

- ა) მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული – თურქული;
- ბ) მსაზღვრელი თურქული სიტყვაა, საზღვრული – ქართული;
- გ) სამფუძიანი ტოპონიმები.

ა) მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული – თურქული;

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული – თურქული. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია, მსაზღვრელად უმეტესად გამოყენებულია სოფლების სახელები. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია: აგარის დაილა, დაბის დაილა, უსტამისის დაილა, ხევწრულის დაილა იალალები (წეთილეთი, დაბა, უსტამისი, ხევწრული), ფაფართის დერე ლელე (სვირეევანი), ყურელას დერე ლელე (სვირეევანი).

მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: ართვინ დოლუ გზა (სინკოთი), ბალვანა ქოფრუსი ხიდი (ბალვანა), ვერხვინალ დოლუ გზა (ვერხვინალი), ზენდაბა ქოფრუსუ ხიდი (ზენდაბა), მერია დოლუ გზა (სხლობანი), მოქვთა დოლუ გზა (მოქვთა), სინკოთ დოლუ გზა (სინკოთი), სიხია დოლუ გზა (სხლობანი), სოფორა დოლუ გზა (სოფორო), ხანთუშეთ დოლუ გზა (ხანთუშეთი), ხანთუშეთ ქოფრუსუ ხიდი (ხანთუშეთი) და ა. შ.

მსაზღვრელი არსებითი სახელია, რომელსაც მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (-ის) ან ამ ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი (ს), თურქული საზღვრული წევრი დაირთავს მესამე პირის კუთვნილებით აფიქსებს (-ი ერთვის თანხმოვანფუძიან სახელებს, -სი ხმოვანფუძიან სახელებს):

არსიან ტალი იალალი (ციხია) – „არსიანის მთა“, თურქ. dağ „მთა“;

არსიან დერე მდინარე (მიქელეთი), „არსიანის მდინარე“;

გოგი დაილა იალალი (ივეთი) – „გოგის იალალი“, გოგი პიროვნების სახელია;

თელა ბოლაზი საძ.(ვანთა) – „თელის ყელი, სრუტე“, თურქ. bığaz „ყელი, სრუტე“, თელიანი, ვიწრო ადგილი;

კარისათ ტალი მთა (შავმთა) – „კარისათის მთა“;

ტბეთ ქილისესი ეკლესია (ტბეთი) – „ტბეთის ეკლესია“, თურქ. kilise „ეკლესია“;

უყეთ მაჰალესი სოფ. უბანი (ჭუარები) – „უყეთის უბანი“. უყეთი//უყედი მოუსავლიან ადგილს ნიშნავს;

ჭოლა მაჰალე სოფ. უბანი (ზ. სულისი) – „ჭოლას უბანი“, ჭოლა პიროვნული სახელია;

ჭილგოლი ტბა (დაბაკეთილი) – „ჭილის ტბა“;

ჭოჭმაჰალესი სოფ. უბანი (ხანთუშეთი) – „ჭოჭის უბანი“, ჭოჭე წყლიან, ჭაობიან ადგილს ჰქვია;

ხარი დათალი საძ., სათიბი (ჯინალი, ხევწრული, მაჩხატეთი, გურნათელი) – „ხარის ნაწოლი“, თურქ. yatak „საწოლი“;

ხევი მაჰალე სოფ. უბანი (ზაქიეთი) – „ხევის უბანი“, თურქ. mahalle „უბანი“ და სხვ.

გენეტურ მსაზღვრელს დართული აქვს სხვადასხვა სუფიქსი და მხოლოდით რიცხვში დგას, იშვიათად – ნარ-თან-იან მრავლობითში, საზღვრულიც მხოლოდითშია, ძალზე იშვიათად – მრავლობითში. საზღვრული რამდენიმე შემთხვევაში წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი -სი//სუ სუფიქსით. მსაზღვრელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი მოკვეცილი აქვს:

ბაცავრა დერე ღელე (ყვირალა) – „ბაცავრას ღელე“;

გობიანთა დერესი ღელე (სოფორო) – „გობიანთის ღელე“;

გობიანთა ჩაირლარი სათიბი (სოფორო) – „გობიანთის მინდვრები, საძოვრები“;

დავლათური ქოფრი ხიდი (დასამობი) – „დავლათურის ხიდი“;

ფიქალთ დერესი ღელე (ქოთეთრისი) – „ფიქალთის ღელე“;

ჩიხორული დაილა იალალი (დასამობი) – „ჩიხორულის იალალი“;

ხევწრული დაილა იალალი (ხევწრული) – „ხევწრულის იალალი“;

თენნარა დერესი ღელე (ჯინალი) – „თელნარის ღელე“;

თენნარა თარლა სათიბი (ჯინალი) – „თელნარის ყანა“;

ტალახიეთ ჩაირ სათიბი (ჯინალი) – „ტალახიეთის მინდორი“;

ვაჩიეთ ქოფრუსქუ ხიდი (სინკოთი) – „ვაჩიეთის ხიდი“;

ვაჩიეთ დერესი ღელე (სინკოთი) – „ვაჩიეთის ღელე“;

ველათ დოლუ გზა (სხლობანი) – „ველათის გზა“;

ქელათ დოლუ გზა (სხლობანი) – „ქელათის გზა“;

ჭერნაულათ ორმანი ტყე (შავმთა) – „ჭერნაულათის ტყე“;

ფიქალთ ჩაირ სათიბი (სოფორო) – „ფიქალთის მინდორი“;

ბელეშეთ დუზი საძ., (სათლელ-რაბათი) – „ბელეშეთის ვაკე“;

დედულეთ ორმანი ტყე (ჯინალი) – „დედულეთის ტყე“;

დედულეთ ჩაირ სათიბი (ჯინალი) – „დედულეთის მინდორი“;

შიმშილაურ მაჰალესი⁸³ სოფ. უბანი (ვერხვინალი) – „შიმშილაურის უბანი“;

შიმშილაურ დერესი ღელე (ვერხვინალი) – „შიმშილაურის ღელე“;

ჭოლათ მაჰალესი სოფ. უბანი (ვერხვინალი) – „ჭოლათის უბანი“;

ველთა ორმანი ტყე (გურნათელი) – „ველების ტყე“, ველებზე გაშენებული ხელოვნური ტყე;

ქირიან დუზი ტყე (დაბა) – „ქერიანი ვაკე“ და სხვ.

გენეტური მსაზღვრელი წარმოდგენილია თურქული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით -ნინ-//-ინ-//-უნ-. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია, საზღვრული – იშვიათად მრავლობითში, საზღვრულს დართული აქვს პირის კუთვნილებითი აფიქსები -ი და -სი.

გარყელობინ დერესი მდინარე (ჭუარები) – „გარყელობის მდინარე“;

ველათინ დუზი ვაკე (ხანთუშეთი) – „ველათის ვაკე“;
ვანთანინ ქილისესი ეკლესია (ვანთა) – „ვანთის ეკლესია“;
ლეკინ დიბი სათესი (დაბაკეთილი) – „ლეკის ძირი“;
მახარობიწონინ ჩაირლარი სათიბი (ოქრობაკეთი) – „მახობლის ხევის მდინარეები“;

სოჩუნ დიბი სათიბი (ჩართულეთი) – „სოჭის ძირი“;
შაეკეთინინ სუჯუ ღელე (ბალვანა) – „შაეკეთის წყალი და ა. შ.
მსაზღვრელი პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელია, საზღვრული-
თურქული სიტყვა, ორივეს რიცხვი მხოლოდითია:

საირმე ორმანი ტყე (ვერხვინალი) – „საირმის ტყე“;
საღორა დიბი სათიბი (ციხია) – „საღორის ძირი“;
სახახვია თეფე მთა, საძოვარი (მორღელი) – „სახახვიას სერი“;
საყორნიეთ ორმანი ტყე (ჯინალი, ციხია) – „საყორნიეთის ტყე“;
სანადირო გოღლი ტბა (ციხია) – „სანადირო ტბა“;
საბუდარა ქოფრუსუ ხიდი (მორღელი) – „საბუდარას ხიდი“. საბუდარა
სოფელ მორღელის ერთ-ერთი დასახლებული უბანია, ადრე ცალკე სოფელი
იყო;

საბზელეთ დუზი ტყე (ანკლია) – „საბზელეთის ვაკე“;
სარკინეთ ჩაირ სათიბი (ჯინალი) – „სარკინეთის მინდორი“;
სართუმალა თარლა სათესი (ჯინალი) – „სართუმალას ყანა“ და სხვ.
მსაზღვრელი სახელზმნაა, საზღვრული – არსებითი სახელი, ორივეს
რიცხვი მხოლოდითია:

დაწვილი დუზი სათიბი (სვირევეანი) – „დამწვარი ვაკე“;
ჩაკიდული ღერე ღელე (სინკოთი) – „ჩაკიდული ღელე“ და სხვ.
მსაზღვრელი ზედსართავი სახელია, საზღვრული არსებითი სახელი. მსა-
ზღვრელად გამოყენებულია როგორც ვითარებითი. ასევე მიმართებითი ზედ-
სართავები, ორივე მხოლოდით რიცხვში დგას:

დიღჩაირ სათიბი (ზენდაბა) – „დიდი მინდორი“;
ზუქელი დათალი საძ., სათიბი (ივეთი, ახალდაბა) – „ძველი საწოლი“;
კოკოლა სირთი სათიბი (ზენდაბა) – „კოკოლა სერი“;
პატარა სემთი სათიბი (წეთილეთი) – „პატარა უბანი“ და სხვ.
მსაზღვრელი ზმნიზედაა, საზღვრული – არსებითი სახელი. ორივე
რიცხვი მხოლოდითია:

ზემო მეჰელე სოფ. უბანი (ბაზგირეთი) – „ზემო უბანი“;
ქვემო მეჰელე სოფ. უბანი (ბაზგირეთი) – „ქვემო უბანი“;
შუა მეჰელე სოფ. უბანი (დაბა) – „შუა უბანი“ და ა. შ.

ბ) მსაზღვრელი თურქული სახელია. საზღვრული – ქართული

მსაზღვრელად გამოყენებულია თურქული ანთროპონიმული სახელი, საზღვრულად – არსებითი სახელი. კომპოზიტი უმეტესწილად ორშემადგენლი-ანი სახელია, ასეთი გაფორმების ტოპონიმები აღნიშნავენ ადგილის მფლობელთა კინაობას:

- მუსადედეს წყარო წყარო (უბე);
- მუსაყანა სათესი (წეთილეთი);
- იოლუნის ყანა სათესი (სვირეევანი);
- ფეზულას ვაკე სათესი (ხობლევი);
- ჯანდარას წყარო (ივეთი);
- ჰაჯის ახო სათესი (ველი);
- ქუნდუს ხარო სათიბი (შაკეთი);
- დაყუფა წყარო (ზიოსი);
- ალიბაშიწყარო (ზიოსი);
- ქილდირიზახო სათიბი (ველი) და ა. შ.

დასახელებულ მაგალითებში მოცემულია პიროვნული სახელები და მეტსახელები: მუსადედე, მუსა, იოლუნი, ფეზულა, ჯანდარა, ჰაჯი, ქუნდუსა, დაყუფა, ალიბაში, ქილდირიზა.

კომპოზიტის პირველი ნაწილი არსებითი, იშვიათად ზედსართავი სახელია. მეორე ნაწილი – არსებითი სახელი. ორივე მხოლოდობით რიცხვში დგას.

- ალთუნახევ სათიბი (სინკოთი) – „ოქროს ხევი“;
- ბალუქ ჭოჭი სათიბი (ზენდაბა) – „თევზის ჭოჭე, წყლიანი ადგილი“;
- ბოშყანათ⁸⁴ სოფ. უბანი (ახალდაბა) – „ცარიელი ყანები“;
- გოლყანა სათესი (დაბაწვრილი) – „ტბის ყანა ანუ ტბის ირგვლივ მდებარე ყანა“;
- დარეთავი სათიბი (სვირეევანი) – „ბექობის, მალლობის თავი“;
- მადენი ღელე (სვირეევანი) – „მადანის ღელე“;
- სარი პანტა სათიბი (დაბაწვრილი) – „ყვითელი პანტა“;
- სარიჭალა სათიბი (ზენდაბა) – „ყვითელი ჭალა“ (შდრ.: სარიჩაირ – „ყვითელი ჭალა, მინდორი“);
- ქილისაკარი ნაეკლ. (დასამობი) – „ეკლესიის კარი“ და სხვ.

გ) სამფუძიანი ტოპონიმები

საკვლევ რეგიონში გვხვდება ორზე მეტფუძიანი, ძირითადად სამფუძიანი გეოგრაფიული სახელები, რომელთა გაფორმებაში მონაწილეობას ღებულობს როგორც ქართული, ასევე თურქული სიტყვები:

ასლანიყალეთავი საძ., (ხეწურლი), „ასლანის ციხის თავი“;
 აღმათიზირიდერე ლელე (სვირევანი), „აღმართის ძირის ლელე“;
 დიდმერე ქოფრი ხიდი (სვირევანი) – „დიდი მერის ხიდი“;
 ვარდჭალა დერესი ლელე (მამანელისი) – „ვარდჭალას ლელე“;
 ივანთგერმაჰალე ორმანი ტყე (ციხისძირი) – „ივანანთ უბნის ტყე“;
 ოთხკილდე ქოფრი ხიდი (სვირევანი) – „ოთხი კლდის ხიდი“;
 ტყიპირა თარლა სათიბი (ჯინალი) – „ტყის პირა სათესი“;
 ყარაქედი ჭალა საძ., (ივეთი) – „შავი ქედის ჭალა“;
 ციეწყაროთ ბაირები სათესი (ჩაქველთა) – „ცივი წყაროების საძოვრები“;
 ჯამიკარის წყარო წყარო (ივეთი) – „მეჩეთის კარის წყარო“ და ა.შ.
 სამფუძიან სახელებში პირველი ორი კომპლექსი ასრულებს ერთი მსა-
 ზღვრელის როლს, საზღვრული ჩვეულებრივ მესამე წევრია, წყობა – პრე-
 პოზიციური. არ ჩანს პოსტპოზიციის შემთხვევები. მსაზღვრელ-საზღვრულ-
 ის რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად საზღვრული მრავლობით რიცხვშია. მსა-
 ზღვრელ წევრებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვს, იშვიათად
 – შენარჩუნებული.

4.3. ქართულ-თურქული მანარმოებლობით გაფორმებული სასმელები

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭი-
 რავს შერეული გაფორმების გეოგრაფიულ სახელებს. ტოპონიმების გაფ-
 ორმებაში მონაწილეობას ღებულობს როგორც ქართული, ასევე თურქული
 მანარმოებელი. ასეთი გაფორმების სახელებში გამოიყოფა ორი ჯგუფი:

- ა) სახელწოდების ფუძე ქართულია, მანარმოებელი – თურქული;
- ბ) სახელწოდების ფუძე თურქულია, მანარმოებელი – ქართული.

ა) სახელწოდების ფუძე ქართულია, მანარმოებელი – თურქული

ქართულ ფუძეს დართული აქვს თურქული სუფიქსები: -ლარ, -გილ, -
 ლულ, -ლი.

-ლარ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსია თურქულ ენაში. იგი
 დაერთვის როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ ფუძეს:

- გორა-ლარ საძ., (მორღელი) – „გორები“;
- მინდორ-ლარ საძ., (მორღელი) – „მინდვრები“;

ნაკაფ-ლარ სათესი (ვანთა) – „ნაკაფები“;

ნაფუზარ-ლარ სათესი (სხლობანი) – „ნაფუზრები“. ბოლო ორ მაგალითში – ლარ სუფიქსი დართული არის ოდენპრეფიქსით (ნა-კაფ-ი) და პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ (ნა-ფუზ-არ-ი←ნა-ფუძ-არ-ი) სახელებზე;

პანტი-რალ სათესი (ჩართულეთი) – „პანტები“, (ბგერათა გადასმა: - ლარ//-რალ);

ჭოჭ-ლარ სათესი (დაბაკეთილი) – „ჭოჭები“ და სხვ.

–გილ სუფიქსის დართვით შტოგვარის სახელები იწარმოება:

აბრამ-გილ სოფ. უბანი (ციხისძირი) – „აბრამიენთი, აბრამაანთი, აბრამის შთამომავლების საცხოვრისი ადგილი“;

გალმე-გილ სოფ. უბანი (ჭუარები) – „გალმიენთი, გალმა უბანში მცხოვრებნი“;

გულო-გილ სოფ. უბანი (ჭუარები) – „გულოენთი, გულოსანი, გულოს უბანში მცხოვრებნი“;

ნადირ-გილ სოფ. უბანი (ტბეთი) – „ნადირაათნი, ნადირაძის უბანში მცხოვრები“;

დათვა-გილ სოფ. უბანი (მამანელი) – დათვის უბანში მცხოვრებნი. „დათვი//დათვა“ აქ მამაკაცის სახელია.

–ლულ:

თიხა-ლულ სათესი (დაბაწვრილი) – „თიხნარი“;

ფიჩხი-ლულ სათიბი (სოფორო) – „საფიჩხე, საფიჩხია“...

–ლი:

ბარათა-ლი სათესი (დაბაწვრილი) – „ბარაქიანი“;

თელა-ლი ტყე (სოფორო) – „თელნარი, თელიანი“ და სხვ.

ბ) სახელწოდების ფუძე თურქულია, მაწარმოებელი – ქართული

ამ ჯგუფის სახელებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1. სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები და 2. პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები.

1. სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები:

იენთ//–იეთ:

გოლლ-იეთ-ი სოფ. უბანი (ზიოსი) – „სოფლის უბანი, სადაც ტბაა, ტბის უბანი“;

პალჯ-იენთ-ი სოფ. უბანი (ხობლევი) – „მეთაფლის უბანი“, თურქ. bal „თაფლი“;

ხოჯ-იენთ-ი სოფ. უბანი (წყალსიმერი) – „სოფლის უბანი, სადაც ცხოვრობს სასულიერო პირი – ხოჯა“;

ჰაჯ-იენთ-ი სოფ. უბანი (იფხრეელი) – „სოფლის უბანი, სადაც წმინდა ადგილებში (მექა, მედინა) წასული კაცი ცხოვრობს“ და სხვ.

-ებ:

ინჯილ-ებ-ი სოფ. უბანი (წეთილეთი) – „მარგალიტები“, თურქ. inci „მარგალიტი“;

ორმან-ებ-ი საძ., (ტბეთი) – „ტყეები“, თურქ. orman „ტყე“ და ა. შ.

-ურ-ა:

ფუნდუკ-ურ-ა ტყე, საძ., (მიქელეთი), თურქ. findik „თხილი“...

-ათ-ა:

სუ-ათ-ა წყარო (ქვ. სულისი), თურქ. su „წყალი“.

-ურ//-ულ:

დერე-ულ სათესი (დაბაწვრილი), თურქ. dere „ხეობა, ხევი“...

2. პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები

ნა--- ევ/ნა---ავ:

ნა-ყალ-ევ ტყე (ტბეთი) – „ნაციხარი“, თურქ. kale „ციხესიმაგრე“;

ნა-ქილის-ავ-ი ნაეკლ. (ხევწრული) – „ნაეკლესარი“..., თურქ. kilise „ეკლესია“.

ნა--იენთ:

ნა-მ-ხოჯ-იენთ-ი სოფ. უბანი (წეთილეთი) – „ნახოჯარის, ხოჯად ნამყოფის ყოფილი საცხოვრებელი უბანი“, შ თანხმომანი ფუძის თავში გაჩენილია...

სა --- ე:

სა-ბიშ-ე სათიბი (წეთილეთი)...

4.4. უცნობი სემანტიკის ტოპონიმები

შავშეთის ტერიტორიაზე ისტორიულ წარსულში ქართველებთან ერთად მრავალი ტომის ხალხი ცხოვრობდა (თურქები, ქურთები, სომხები, ბერძნები...), მათი ცხოვრების კვალი აისახა ტოპონიმიაშიც. ამასთან ტოპონიმთა ერთი ნაწილი უძველესი წარმოშობისაა და მას არსებობის გრძელ მანძილზე იმდენი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სემასიოლოგიური ცვლილებები განუცდია, რომ მრავალი მათგანის სემანტიკის გარკვევა გაძნელებულია და მათი თავდაპირველი ფორმების აღსადგენად საჭიროა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოშველიებით ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიების ჩატარება. ფაქტები ამისა უამრავია საზოგადოდ და ასევე ბევრია საკვლევი

რეგიონის სინამდვილეშიც. აქ უხვად მოგვეპოვება ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთა სახელდების მოტივაცია ქართველური, მაგრამ დროთა ვითარებას ისე შეუცვლია ადგილის სახელისათვის ფორმა და შინაარსი, რომ, ერთი შეხედვით, უცხო წარმოშობისად მოგვეჩვენება. ამასთან დასტურდება ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთა ახსნა უცხო ენობრივ საფუძველზე გარკვეული კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგ ხდება შესაძლებელი.

უცნობი სემანტიკის ტოპონიმებად მივიჩნით შემდეგი გეოგრაფიული სახელები: აბლიქ, ანთისათ, ანჭელაგურნა, არმანათ, არიშეთ, ატატი, აქრევანე, აღზნელა, აღოთ, აჩმა, ბადრადინე, ბაქუსა, ბირეგი, ბოსნაქელ, ბოტორა, ბულუნთ, გადაგოთილა, განიკავა, გარმაშაულ, გეგვერა, გელწია, გენეკოპურ, გენეჯავრი, გონთანი, გონთი, გორდილან, გორჩათ, გოხოვრა, დადათბა, დათორხა, დამბასკარა, დაპოუშს, დაულ, დილხანა, დისკარო//დისჯადრო, დრანკოლუ, ეირიყარ, ელიქაპთე, ენიქავრე, ელრიოჟუმ, ეპია, ვაკუფ, ვანდელა, ვარსლა, ვაჩექ, ვერლოიან, ზემბურ, ზერაკახო, ზონინელეფ, იანუქ, იენყალარ, დენალორ, ილანლიქ, ილასახოთი, ინჯესულ, კოეთი, კლიკავრი, კომსივრი, კორწიძან, ლეგვათ, ლესმანა, ლესფანა, ლეფენალარ, ლონკლაურ, მინანლორ, მაზღამ, მაკალჯუ, მაკემულლარ, მარანჯიუ, მარიშავლა, მაქაქნარა, მაქუერ, მედისორ, მეთაბრა, მიჯაჯ, მოდეჯარ, მოშაბარა, მუქშებრა, ნათპორა, ნაიბეჯი, ნაინახორ, ნალიჯავა, ნალოზ, ნარკოლა, ნასიფართი, ნაფის, ნაშარიგევა, ნახსა, ნახსით, ნიკრავრა//ნიქრავლა, ნელვარ, ნესშნარ, ომბოლიქ, ორომგოჯო, ოროქ, ოსომათი, ჟაჟეთა, რემფერლულ, რესმანათ, სადუნ, სავდუჭერ, სავლინე, სავორწიო, საზვერა, სათოგა, სამსანურ, სასალახ, სასოფა, სატავალა, სატრიბუანთ, საფეთგენა, საქოგარ, საღანიანთ, საღოთ, საჰარა, სებეხური, სეფირთ, სეჯედულ, სიმუშა, სინგურთი, სირმოლა, სოიგრა, სორმაგულე, სორუსბელ, სოსნათა, სიქილა, სურსულათ, ტაბიკოვრა, ტამატაჰანა, ტიზათი, ტონტო, უკუდჩილა, უმატა, უშარდულ, ფითაფირ, ფედელ, ფენქირეთ, ფეორა, ქავოთ, ქანიათ, ქილაქ, ქეცინერ, ქორთლიქოთ, ქუჯანთ, ღართი, ღაცსნი, ღორხ, ღუნზურა, ღურეთმა, ყაისა, ყარნესაყლა, ყომსივრი, ყორნიქლე, შაბავენ, შამაზოლი, შანგელი, შამფლოლ, შაულ, შაფეთა, შედათ, შედამო, შოლობილა, შორაქ, ჩაგზელი, ჩეთულ, ჩეჩატ, ჩივერეთ, ჩილუ, ჩისათ, ჩოლვერნა, ჩულათ, ჩუტეს, ციპა, წაწიპელა, წურეკნეფი, წორეფ, ჭიმრეეთი, ჭილოვრა, ჭუტესი, ხალასეთი, ხაფურ, ხოსგურთი, ხურაუთ, ხუწველა, ხრხოტა, ჯეგლიფურ, ჯეზნარა//ჯეზნორა, ჯენქელეგ, ჯენჯუვან, ჯესკინ, ჯესნერა, ჯერმა, ჯმაქ, ჯონჩალ, ჯუქანთ, ჰათუ, ჰანევერ, ჰევტ, ჰოშოვრეთ.

ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი ტოპონიმი აიხსნება ქართველურ ენათა მონაცემებით. ამასთან არ არის გამორიცხული, ამ ტოპონიმთა გარკვეული ნაწილის ახსნა უცხო ენობრივ (არაბულ, ბერძნულ, სპარსულ, თურქულ, სომხურ...) საფუძველზე.

II. მურღულის ხეობის ტოპონიმია

მდინარე ჭოროხის აუზის მხარეები, კერძოდ, კი, ტაო-კლარჯეთი ყოველთვის იყო და დღესაც არის ლინგვისტიკის, ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, არქეოლოგებისა და გეოგრაფების მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვანი რეგიონი (20; 26; 32; 44; 69; 72^a; 73; 81; 97; 107; 120). მეტად ფასეულია აქაური ტოპონიმური მასალების შესწავლა.

დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის გარეთ დარჩენილი ისტორიული ქართული მხარეების ტოპონიმისა და ონომასტიკის შესწავლას დიდი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ეს რეგიონები ოთხ საუკუნეზე მეტია, რაც უცხო სახელმწიფოს შემადგენლობაში არიან და ამ ხნის განმავლობაში აქ მთლად არ გამქრალა ქართული ენა და ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა.

ამ მხრივ გამოირჩევა ისტორიული ტაო-კლარჯეთი, საერთოდ მდინარე ჭოროხის აუზის მხარეები: სპერი, თორთომი, იმერ და ამიერ ტაო, კლარჯეთი, ლივანა (ძველი ნიგალი) ოთლისი და სხვა.

რაც შეეხება მდინარე მტკვრის ზემოწყლის რეგიონებს – კოლას, არტანს, ჩილდირს, ხანაკს, დამალს და ფოცხოვს, აქ ქართველობის კვალი და, საერთოდ, ყოველივე ქართული დიდიხანია აღგვილია მიწისაგან პირისა. თურქული ენის გავლენა ძლიერ იყო ამ მხარის ქართულზე. კოლას „ქართულად ძნელად ვინმე ლაპარაკობდეს“ – წერდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დ. ბაქრაძე (10^b, 40). „ქართული დაივიწყეს ჩილდირისა და ფოცხოვის ქართველმა მაჰმადიანებმაც“ (107, 222-242).

დაკარგული ისტორიული რეგიონების, ცალკეული ქალაქებისა და სოფლების, უძველესი ქართული მიწა-წყლის გეოგრაფიული ნომენკლატურის შედარებით სრულად გამოვლენა – ეს იყო დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ვილაეთში ჩვენი არაერთი საველე-შემკრებლობითი მუშაობის მიზანი. მოპოვებული ისტორიულ-გეოგრაფიული და ონომასტიკური მასალა საშუალებას გვაძლევს უფრო ახლოს შევისწავლოთ ისტორიული რეალიები და ახალი შუქი მოვფინოთ ძველი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის იმ ბნელით მოცულ საკითხებს, რომლებიც დიდი ხანია აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობის უმთავრესი წყაროა და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, შეკრებილ-შეჯერებული მასალა ხელს შეუწყობს ქართული ტოპონიმის, კერძოდ კი მისი ზოგადი პრობლემების ძიების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

ქართული გეოგრაფიული სახელების შესწავლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აკადემიკოსი ს. ჯიქია. იგი წერს: „მოვუაროთ ჩვენი მშობლიური

ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებს, დავიცვათ ისინი ყოველგვარი ხელყოფისაგან. ეროვნული ტოპონიმია – ეს უდიდესი საგანძურია, ოქროს ფონდია, რომლის საფუძველზე შეიძლება გაიშალოს დიდი მეცნიერული მუშაობა შორს მიმავალი დასკვნებით ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე“ (128^ა, 3).

ჭოროხის ხეობა, ისტორიული ტაო-კლარჯეთი არის სწორედ ის მხარე, სადაც დულდა ლიტერატურული შემოქმედება – შეიქმნა უდიდესი საეკლესიო სამონასტრო ცენტრები, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები. უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რომელიც, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილია ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო ლიტერატურული სკოლა, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა და მიმართულება.

დღევანდელი თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ართვინის ვილაეთში შედის შემდეგი რაიონები:

1. იუსუფელის რაიონი, მოსახლეობა 39 692 კაცი, ფართობი 2 327 კვ. კმ.
2. შავშეთის რაიონი, მოსახლეობა 38 558 კაცი, ფართობი 1,317 კვ. მ.
3. ართვინის რაიონი, მოსახლეობა 32 220 კაცი, ფართობი 1 052 კვ.კმ.
4. ბორჩხის რაიონი, მოსახლეობა 32 220 კაცი, ფართობი 1 168 კვ.კმ.
5. ხოფის რაიონი, მოსახლეობა 31 464 კაცი, ფართობი 289 კვ. კმ.
6. არტანუჯის რაიონი, მოსახლეობა 19 875 კაცი, ფართობი 969 კვ. კმ.
7. არხავის რაიონი, მოსახლეობა 19 016 კაცი, ფართობი 314 კვ. კმ.
8. მერღულის რაიონი, მოსახლეობა 13 222 კაცი, ფართობი 212 კვ. კმ.

სულ ვილაეთის მოსახლეობის რაოდენობა დღეს შეადგენს 226267 მცხოვრებს (56.44). ვილაეთის შემადგენლობაში შედის ისტორიული ქართული რეგიონები: კლარჯეთი, იმიერ და ამიერ ტაო, ოთღისი, სპერი – ჭოროხის აუზში და ლაზეთის ნაწილი რიზემდე (არხავისა და ხოფის რაიონების ჩათვლით). რაც შეეხება მდინარე თორთომის წყლის აუზს და მის მიმდებარე ისტორიულ ქართულ მიწა-წყალს, ის მოიცავს დღევანდელი თორთომისა და უზუნდერეს რაიონებს და ადმინისტრაციულად მიეკუთვნება ერზრუმის (არზრუმის) ვილაეთს. სწორედ ამ რაიონებშია მოქცეული ოშკისა და ხახულის დიდებული ტაძრები.

ვილაეთის მთავარი ქალაქია ართვინი, რომელიც მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. ართვინი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. აქ ოდითგანვე ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა. მე-16 საუკუნის დასაწყისიდან ართვინი ოსმალეთის მფლობელობაში ექცევა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1878 წლიდან იგი რუსეთის იმპერ-

ის ფარგლებშია. 1918-1921 წლების მოვლენების შემდეგ ეს რაიონი ართვინითურთ თურქეთის შემადგენლობაში რჩება.

ნიგალის ხევი თავისთავად მოიცავდა ართვინის რაიონსაც. ამ სახელწოდებით იხსენიებოდა მდინარე ჭოროხის გარკვეული ნაწილი. ისტორიული ქართული სახელი „ნიგალი“ თურქული მმართველობის დროს „ლივანდ“ ანუ „ლივანად“ იქცა. ართვინის ციხეც „ლივანა ყალედ“ მოიხსენიება დღეს.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე წერს ართვინის შესახებ: „ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზე არს ართვინი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი, და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერი იწოდების ლივანის ხეობად“ (9, 114).

დღევანდელი ქალაქის ტიპის დაბა ბორჩხა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დადასტურებულია „ფორჩხა“-დ.


ჩვენ ბოლო წლებში შესაძლებლობა გვქონდა ართვინის ვილაეთის ბორჩხისა და მურღულის რაიონებში გვეწარმოებინა საველე მუშაობა. უშუალოდ ამ მიზნით ვიმუშავე ართვინისა და მურღულის რაიონების რამდენიმე სოფელში. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ყველა ქართულ სოფელს ოფიციალურად თურქული სახელი ჰქვია. ჩვენს მიერ აღვიღებულ მოპოვებული ტოპონიმური მასალებიდან აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია. მეტად საინტერესოა ეს ფაქტი იმ ფონზე, რომ საკვლევი ტერიტორია დიდი ხანია მოწყვეტილია დედასაქართველოს და ამასთან ძლიერია თურქული ენის ზემოქმედება. უფრო მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ამ რაიონებში შემორჩენილი ქართული ენა ჯერ კიდევ ინარჩუნებს იმ ცხოველყოფილებას, იმ საწარმოქმნო მოდელებს, რომელსაც ჩვენ აჭარაში, გურიაში ან იმერეთში ვხვდებით. ეს ის ენობრივი ჯაჭვია, რომელიც, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაწყდება. მურღულისა და ბორჩხის რაიონებში მოპოვებულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი: 1. ქართული ტოპონიმები, 2. თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები და 3. შერეული გაფორმების გეოგრაფიული სახელები. დასტურდება აგრეთვე ზანური წარმოშავლობის გეოგრაფიული სახელებიც.

დაბა მურღული და მურღულის რაიონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ისტორიული კლარჯეთისა. იგი მდებარეობს ქალაქ ართვინის სამხრეთით მისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ვიწრო და ღრმა ხეობაში. მურღული ცნობილია თავისი სასარგებლო წიაღისეულით, რომელსაც გამოიყენებდნენ რუსეთის მმართველობის დროსაც. დღეს ეგრეთ წოდებულ მურღულის „ფაფრიკებში“ რამდენიმე ათასი ადგილობრივი და სხვა რაიონებიდან ჩამოსული მუშახელია დასაქმებული.

მურღულის დღევანდელი თურქული სახელწოდების გოქთაშის ადგილი, სადაც დღეს დაბა არის გაშენებული, მოიხსენიება როგორც „ჭინკათხევი“.

ეს არის სწორედ ადგილის უძველესი ქართული სახელი. „ფაფრიქა ქი არი. იქ არის ჭინკათხევი. იქ ძუელათ ბევრი ფერები ყოფილან. ნასოფლარები არი ბევრი იქა. მალღა ჩანს ნაბელღავე გორა, გოგნარი ციხე. აქეთ-იქით ციხეები, იქით ჭილაკრელი ზეგანია. ლომიკეთია იქით“ (73, 299). ასე ხსნიან სახელწოდების მნიშვნელობას ადგილობრივი მცხოვრებლები.

მურლულს მიეკუთვნება შემდეგი სოფლები: აგარა, არხვა, ბაგა, ბაშქოი, ბუჯური, გურბინა, გოგლიეთი, გეკლი, ღურჩა, დიალეთი, ერეგუნა, ზან-ცული//ძანცული, ისკები, კაბარჯითი, კორღეთი, კორდიეთი, ლომიკეთი, ოზ-მალი, ტრაპენი, ფოროსეთი, ქვამჩირეთი, ქორთუკეთი, ქამელეთი, ქურა, ყავრიეთი, ჩხალეთი, წყალყა, ჭილაკრი, ხახური//ხახული, ხოსროლი, ჯუანი-ჯვანი.



მალღაჲ ქამაღაქე და სეზაოტის
აღფაიდინი(ფაღა'სოღლი)
მურღული, 2004 წელი

მურლულის ხეობის ტოპონიმები და მიკროტოპონიმები მრავალმხრივ არის საინტერესო. რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას. მნიშვნელოვანია არქაული ლექსიკა. რომელიც შემორჩენილია გეოგრაფიულ სახელებში. მურლულის ხეობის ჰიდრონიმიაში და ტოპონიმიაში გამოირჩევა ერთი ფენა, რომელსაც არქაული ელფერი დაჰკრავს. ასეთია, მაგალითად, წყაროს სახელი, სოფელ გურბინში – ავაზნები. ავაზანს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ასევე ქართლში. ისეთ წყაროს უწოდებენ, რომელსაც წინ დიდი გობი აქვს დადგმული – ავაზნის ეს მნიშვნელობა ცნობილია სულხან-საბა ორბელიანისათვის: „ავაზანი, წყლის სადგური“ (57, 38). ილია აბულაძის განმარტებით ავაზანი იგივეა რაც „ქვაბი, აუზი, ემბაზი“ (1, 140).

მურლულის ხეობის ტოპონიმიაში სათანადოდ არის ასახული მეურნეობის სხვადასხვა დარგის წარსული და

აწმყო. ასეთი სახის. ეგრეთ წოდებული სამეურნეო ტოპონიმები, ხშირად მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის კომპოზიტებია, რომელთა მსაზღვრელადაც

წარმოდგენილია სოფლის, უბნის, გვარის ან ცალკე პიროვნების სახელი: გოგლიეთის მიწები, ჩხალეთის საძოვრები (გოგლიეთი და ჩხალეთი სოფლებია). ნასყიდაძიების მულქები, რეჯებოღლების ჩაირები. (თურქ. მულქი „მამული“, ჩაირი „სათიბი“), ალიას ახო, დოლაბიძეების ახოები (დოლაბიძე და დოლაბერიძე სოფ. ქართლაში შემორჩენილი ქართული გვარსახელებია).

ზოგჯერ მსაზღვრელი ჩავარდნილია და ცალკედ დარჩენილი მსაზღვრელი გაფორმებულია -ურ//ულ სუფიქსით: ბაბა-ურ-ი//ბაბა-ურ-ებ-ი, გორგიჭულ-ი, კახა-ურ-ა//კახა-ურ-ებ-ი, ჯაფარა-ულ-ებ-ი, ხარებ-ულ-ებ-ი და სხვ. -ურ სუფიქსთან ერთად დართული მრავლობითობის -ებ სუფიქსი ამ ტიპის ტოპონიმებში ნაკვეთის სრდიდეზე მიუთითებს და არა სიმრავლეზე. ასეთი ფუნქციით -ებ დამოუკიდებლადაც გვხვდება: დოლაბიძე-ებ-ი, რგვალ-ებ-ი, რუგალმ-ებ-ი, სერისთავ-ებ-ი, ტბ-ებ-ი და ასე შემდეგ.

აღნიშნული ტიპის ტოპონიმები ხშირად მიუთითებენ მცენარეულ საფარზე: ვენახ-ებ-ი, ვაშლ-ებ-ი, ტყემლი მიწ-ებ-ი, ეკლიან-ებ-ი. სამეურნეო ტოპონიმები წარმოდგენილია აგრეთვე დანიშნულების სა-ე და სა-ო აფიქსებით: სა-ნახშირ-ე, სა-კვამლ-ე, სა-სარ-ე, სა-სარე-ებ-ი, სა-ხატ-ო, სა-ჯინიბ-ო-ებ-ი და სხვ.

ხშირად გვხვდება წინაეითარების ამსახველი ნა-ევ და ნა-არ (დისიმილაციით ნა-ალ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები: ნა-ზერ-ევ-ი, ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-კალოვ-არ-ი, ნა-ლობი-არ-ი, ნა-ბოსლ-არ-ი, ნა-ბოვირ-ალ-ი..

ცნობილია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვაენოვანი ეთნიკური ჯგუფის სიახლოვე მხარის ტოპონიმიაზე, ასევე კილოსა და კილოკავის ლექსიკურ შემადგენლობაზე. ამ მხრივაც მეტად საინტერესო რეგიონია მურღულის ხეობა. აქ აღვილობრივ ქართველ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები – თურქები, ქურთები, სომხები. მურღული ართინის ვილაეთში მნიშვნელოვანი ცენტრია მომპოვებლობითი და გადასამუშავებელი მრეწველობით. აქ თავს ოდითგანვე იყრიდა მუშახელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. მხარე ეთნიკურად ძალზე ჭრელია, თუმცა აღნიშნული რეგიონი ძირითადად ქართველებითაა დასახლებული. საერთოდ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში მოსახლეობის სიჭრელე განპირობებულია ამ მხარეების ისტორიული ხვედრით. ტაო-კლარჯეთიც არაერთხელ იყო დარბეული სხვადასხვა მომხდურის მიერ, რაც იწვევდა მის დაცემა-განადგურებას ეკონომიურად და კულტურის თვალსაზრისითაც. აქ მრავალი მჭიდროდ დასახლებული ადგილი გაუკაცრიელდა. გაჩნდა ათობით და ასობით ნასოფლარი და ნასახლარი, რაც მკვიდრი მოსახლეობის გადაშენების უტყუარი მაჩვენებელია.

თუმცა ქართული გენი აქ სამუდამოდ არ განადგურებულა. ასევე უდიდესი ზარალი მიაყენა ამ მხარეს მუჰაჯირობამაც. მეცხრამეტე საუკუნეში მურღულუის ხეობის სოფელი ერეგუნა მთლიანად დაიცალა ქართული მოსახლეობისაგან. ეს გარემოება დამატებით სირთულეებს ქმნის ამ მხარის ტოპონიმთან აღნუსხვისა და შესწავლის საქმეში, რადგან გვიან მოსული ხალხი ყოველნაირად ცდილობს წაშალოს ძველი, აბორიგენი მოსახლეობის კვალი ამ მიწა-წყალზე.

განსაკუთრებით საზიანო იყო საქართველოსათვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ართვინის ოკრუგში გატარებული რუსეთის პოლიტიკა, მიმართული იქითკენ, რომ ეთნიკურად აეჭრელებინა ეს მხარე. არაქართველთა აქ დამკვიდრებას ხელს უწყობდა კიდევ.

ტაო-კლარჯეთის ოდინდელი ქართული სოფლების ერთი ნაწილი დღეს სხვა ეროვნების ხალხითაა დასახლებული. ამიტომ ძნელდება ქართულენოვან ტოპონიმთა მოძიება-შესწავლა. სოფლებში: ქურაში, ჩხალეთში, არხვაში, ჯუანში მოხერხდა ტოპონიმთა ჩაწერა როგორც ქართველთა, ასევე არა ქართული ინფორმატორებისაგან. საანალიზო მასალამ შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა:

1. უცხოენოვანი ხალხის დასახლების პირველ საფეხსურზე ითარგმნებოდა ქართული ტოპონიმები: ქუ^ა დიდი//ბუ^აჯუქთამ (სოფ. ჩხალეთი), შუა უბანი //ორთა მეჭელე(სოფ. არხვა), ხმელი ხიდი // ყური ქოფრი (სოფ. ჯუანი) და ა.შ.

2. მეორე ეტაპზე ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი მცირდება, იზრდება თურქულენოვანი მოსახლეობა, ან ქართველი მოსახლეობა ივიწყებს ქართულს და თურქულად მეტყველებს. ამ შემთხვევაში უპირატესობა თურქულს ეძლევა. გეოგრაფიული ობიექტის სახელდებაც ამ ენაზე ხდება. ქართველები ობიექტს თავის ენაზე აღნიშნავენ, თურქები კი კალკირების მაგივრად ახალ ტოპონიმს აწარმოებენ თავისი შეხედულების მიხედვით: ქ^ამ^არ ქურა//ულუზ მაპალე (სოფ. ქურა), წაბლუანი//იეშილ ჩაირ / სათიბი სოფ. ბუჯური/. იბადი ვენახი // ქურჯუ იერი / საძოვარი, (სოფ. ბაშქოი) და სხვ.

3. შეიძლება გამოიყოს მესამე ეტაპიც. მას შემდეგ, რაც თურქული ენა მთლიანად გაბატონდება სოფლის მეტყველებაში, ტოპონიმებიც მხოლოდ ამ ენაზე იქმნება და მას აღარ გააჩნია შესაბამისი ქართულენოვანი ვარიანტი.

მურღულუის ხეობის ქართული სოფლების ტოპონიმებში დასტურდება რამდენიმე თურქული ტერმინი, რომლებიც თავდაპირველად რეგიონის სამეცხველო ლექსიკაში დამკვიდრდნენ, შემდეგ კი ასახვა პპოვეს გეოგრაფიულ სახელებში. ესენია: დაილა/საზაფხულო სადგომი და საძოვარი მთაში, /ჩჩა-

ორი /მინდორი, მდელი, სათიბი, /ჰალილი /ბაკი, საქონლის დასასვენებელი ადგილი, /თეფე (ბორცვი, გორაკი) და სხვ.

მურღულის ხეობა ცნობილია, როგორც სპილენძის მოპოვებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი ცენტრი არა მარტო ჭოროხის ხეობაში, არამედ საერთოდ კავკასიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ქურაში ლითონის საღობი ბრძმელები, ქურები. აქედან მიიღო სახელი სოფელმა.

სპილენძის ადგილობრივი წარმოების ბაზაზე განვითარდა სპილენძის სამჭედლო ხელოსნობა, რომელიც სპილენძის ნაკეთობებით ამარაგებდა ჭოროხის აუზის მოსახლეობას. საკვლევ რეგიონში სპილენძის, ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ნაშთები გამოვლენილია აგრეთვე ძანსულში, კვარცხანაში, გიუმშიხანეში, ლომაშენში, ხოდსა და სხვა პუნქტებში (35, 41).

ცნობილია, რომ ოსმალეთის მფლობელობის დროს ჭოროხის აუზში სპილენძის მოპოვება-დამუშავების საქმე მნიშვნელოვნად დაეცა. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ ეს საქმე გამოცოცხლდა და აღმავლობის გზას დაადგა. ამ დროს გაიზარდა სპილენძის მოპოვება ქარხნული წესით. ძანსულის საბადო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. თურქეთის ფარგლებში მოქცეული ეს საბადოები დღესაც ფუნქციონირებს.


მურღულის ხეობის ტოპონიმიაში სათანადოდ არის ასახული მეურნეობის ამ დარგის წარსული და აწმყო. ასეთი სახის ე. წ. სამთამადნო, სამეურნეო ტოპონიმები ხშირად მსაზღვრელ-საზღვრული ტიპის კომპოზიციების ან საერთოდ მარტივი, უაფიქსო ტოპონიმებია, ასეთი ტოპონიმები წარმომავლობის მიხედვით შეიძლება იყოს თურქულიც და ქართულიც, უფრო მეტად ზედსართავი სახელი. როგორც ცნობილია, ეკოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო რეგიონში. დღევანდელი თურქეთის ოფიციალური ხელმძღვანელობა რამდენადმე აგვარებს ამ პრობლემას, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

მურღულში დასტურდება ტოპონიმები: გატრუსული მიწები (საძ. საძოვარი, სოფ. გურბინი), საყათ ჩაირი (სათიბი, სოფ. ქურა), კდარი წყალი /ელმიშ სუიუ (მურღულში ჩამდინარე წყალი, უვარგისი, გაბინძურებული წყალი), ალიას ვერანა ჩაირები (სათიბი, სოფ. ჯუანი)...

ზოგჯერ მეტაფორულობა ტოპონიმის ხელახალი გააზრების, ხალხური მეტაფორიზაციის შედეგია. მაგალითად, წყაროს სოფ. ჩხალეთში კქვია რეფათ ფუნდარ, რაც ქართულად ნიშნავს მიცვალებულ წყაროს. ამ სახელს ასე განმარტავენ: „სხვა წყლებივით არ რაკრაკებს, მიწაში იპარვის“, სინამდვილეში წყარო რომელიმე მიცვალებულის სახელზე უნდა იყოს გაკეთებული.

მეტად საინტერესოა მურღულის ხეობის ჰიდრონომული ქსელი. როგორც სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აქაც ჰიდრონიმებს სპეციალური სახელი არ აქვთ. ისინი იწოდებიან იმ სოფლებისა და მთების სახელით. საიდანაც გამოედინებიან. რაიონის ერთ-ერთი დიდი მდინარეა კაბარჯეთის წყალი, არის ნაგომავრის წყალი, ატიეთის დელე, ბაშქოის დელე და სხვა.

ტბებიდან მნიშვნელოვანია ყარაგოლი, რომელიც ბორჩხისა და ბაგენის მთაშია და მასუკულავ გული. ამ ტბაში რომ ჩაიხედავ „მასუკულავები“ (ვარსკვლავები – ნ. ც.) ჩანს.



მალხაზ ქაბადაძე და ნუკზარ ცეცხლაძე
ტბა „ყარაგოლი“, ბორჩხის რაიონი, ივლისი, 2004 წელი.

მურღულის ხეობის სოფლებში ბევრია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები. თითქმის ყველა სოფელში დასტურდება ტოპონიმები: ნასაყდრევი, ნაქილისავი, ნაციხარი. ეკლესიის ნაშთებია შემორჩენილია სოფლებში: გურმინში, კორიდეთში, ადგილს ჰქვია „ქილისა იერი“ ყავრიეთში, ქვემო ქურაში და სხვა. კარგად შემონახული ისტორიული ძეგლი მურღულში არ გვხვდება. წინათ ხეობაში ბევრი ყოფილა თაღოვანი ხიდები, დღეს, მათი უმრავლესობა დანგრეულია. ციხე-კოშკებიდან მნიშვნელოვანია კლარ-

ჯეთის ციხე, რომელიც ძალზედ დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. უნდა აღინიშნოს, რომ მურღულის ხეობაში ჩვენ მიერ წარმოებული საეკლესიო მუშაობა მხოლოდ საწყისი ეტაპია ამ მეტად საინტერესო ისტორიული ქართული მხარის ონომასტიკისა და ისტორიული გეოგრაფიის შემდგომი შესწავლისათვის. ამ მხრივ მუშაობას, შეძლებისდაგვარად, კვლავ გაავრცელებთ.

III. ჭოროხის აუზის სამკლესიო-საბანანათლებლო ცენტრების (ტაბითი, ოპიზა, ფორთა, დოლისყანა, ბართა, იმსანი, ხახული, ოთხთა ეკლესია...) ტოპონიმი

ჭოროხის აუზში შემავალი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები: ტაო, კლარჯეთი, ოლთისი, სპერი, თორთომი და სხვ. საუკუნეების განმავლობაში დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი დაწინაურების საქმეში. აქედან დაიწყო ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა. ეს რეგიონები განსაკუთრებით აღორძინდა მე-9-10 საუკუნეებში. სწორედ აქედან დაიწყო ბაგრატიონთა სამეფო დინასტიამ საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. ჭოროხის აუზში შემავალ ამ რეგიონებში ფართოდ გაიშალა საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა, დაარსდა ტბეთი, ბანა და სხვ. საეპისკოპოსო.

ტბეთის საეპისკოპოსო კათედრას მე-10 საუკუნის ბოლოს სათავეში ედგა საეკლესიო ხასიათის საგალობლების მწერალთა ჯგუფის წარმომადგენელი იოვანე მტბევარი. ჩვენამდე მოღწეული იოანეს ჰიმნები უმეტესად პროზითაა დაწერილი. ტბეთშივე მოღვაწეობდა გიორგი პროხორე შავშეთიდან, რომელსაც განათლება წყაროსთავის სასწავლებელში მიუღია. მან პალესტინაში ააშენა ჯვრის ქართველთა სავანე. ოპიზაში მოღვაწეობდა საქვეყნოდ სახელგანთქმული ოქრომჭედელი ბექა ოპიზარი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ანუ ჭოროხის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი მე-16 საუკუნის დასაწყისიდან მეზობელმა ოსმალებმა დაიპყრო. სწორედ ამ პერიოდიდან (მე-16-17 სს.) იწყება ჭოროხის აუზში შემავალი ქართული მხარეების „გათათრების“ მძიმე და აუტანელი პროცესი, ოსმალეთის იმპერიის ძლიერებით ქედმოხრილი ქართული პროვინციები იძულებული გახდნენ ელიარებინათ ოსმალეთის ხელისუფლება. თურქებმა დაპყრობ-


ილი ტერიტორიები სანჯაყებად დაკვეს. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ჭოროხის აუზის ნაწილი, რომელიც ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაში შედიოდა, იყოფოდა 12 სანჯაყად. ანდრიანოპოლის შემდეგ თურქეთმა ჩილდირის საფაშო გააუქმა და ჭოროხის აუზის ამ საფაშოში შემავალი მხარეები (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი) ერზრუმის საფაშოს შეუერთა.

1921 წელს მოსკოვ-ყარსის ხელშეკრულებით ოსმალეთს გადაეცა ბათუმის მხარის დიდი ნაწილი, ართვინი, არტაანი, ყარსი. კვლავ დაიკარგა ქართველთა სისხლითა და ოფლით გაპოხიერებული ქართული მიწა-წყალი, ქართული მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები: ტბეთი, ოპიზა, ბერთა, შატბერდი, ხახული, იშხანი, პარხალი, ოთხთა ეკლესია, ბანა და სხვ.

ჭოროხის აუზის ფარგლებში შემაგალ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონთა მოსახლეობის ძირითად ნაწილს ოდითგანვე ქართველები შეადგენდნენ. ასე იყო მე-10 საუკუნის 20-იან წლებშიც. აქაურ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა სარწმუნოებით მუსლიმანია. ეს რელიგია აქაურ ქართველთა შორის გავრცელდა მე-17 საუკუნიდან. მაგრამ ქართველ მუსლიმანებში წმინდად არის დაცული ქართული ადათ-წესები, ყოფა-ცხოვრების ქართული წესი. აქაურ ქართველთა დიდ ნაწილს დღემდე შემოუნახავს ქართული დედაენა და მთელი ხალხი თავისთავს გურჯს (ე. ი. ქართველს) უწოდებს.

ჭოროხის რაიონის რეგიონების მცხოვრებლებისათვის მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის დედაენა ქართული იყო. ბოლო პერიოდში აქ იმძლავრა უკვე თურქულმა ენამ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს მხარეები 1878-1921 წლებში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. სწორედ ამ დროს განიდევნა თითქმის სრულიად ქართული ენა და დამკვიდრდა თურქული „ამაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველების დასუსტებისაკენ, ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. ყველაფერი ქართული აქ დიდ დევნას განიცდიდა. თუ სადამდე მიდიოდა კერძოდ ქართული ენის შევიწროება ამ მხარეში – ადვილად წარმოსადგენია მარტო იმ ფაქტიდან, რომ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსაჯულოში ქართული ენის ასეთ დევნას შედეგად ის მოჰყვა... რომ მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნისნახევრამდე ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა ამ ზოგ კუთხეში დავიწყებას მიეცა“ (73 ა 193).

დღეს ჭოროხის აუზის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მოქცეულია თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, ქართული ენა შემონახულია ქ. ართვინსა და მის მიმდებარე ახლო სოფლებში, ბორჩხაში, მარადიდში, ზედა მაჭახელში, მურლულში, იმერხევში, ტაოს ზოგიერთ სოფელში (ქუაბაკში, არმენხევში, გუდასხევში...).



საწაფხულო იალაღი „შუაისია“,
 მოსჩანს შთა აბანოფერდი (ხინანის ხეობის სათავეები)

ჭოროხის აუზის ისტორიულ ქართულ რეგიონებში თურქული ენის გაბატონებას შემდეგ მოჰყვება ის, რომ ქართული ენის შეზღუდვას თან სდევდა ქართული წეს-ჩვეულებების თანდათანობით მივიწყება და საბოლოოდ – საერთოდ გაქრობა. ამ ფაქტს ხელს უწყობდა აქ ჩამოსახლებული არაქართული ელემენტების – თურქების, ქურთების, თარაქამების, სომხების, გამუსლიმანებული სომხების (კემშილები) მცხოვრებთა ეთნოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული ფაქტორები.

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით ტოპონიმისა და საერთოდ, ონომასტიკის სფეროში? როგორ არის შემონახული ქართული გეოგრაფიული

ნამკნკლატურა ჳორთხას აუხის ისტორიულ ქართულ რეგიონებში? კონკრეტულად კი – ყოფილ საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში – ტბეთში, ოპიზაში, ფორთაში, ბერთაში, დოლისყანაში, იმხანში, ხახულში...

ამ მახნით ვმონაწილეობდი საველე ეთნოგრაფიულ და დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში. 1995-2004 წლებში ვაწარმოებდი შექმრებლობით მუშაობას შავშეთში, ტაოში, კლარჯეთში, თორთუმში. უფრო ადრე იგივე მახნით ვმუშაობდი მდინარე მტკვრის ხედი წელის რეგიონებში – კოლაში, არტაანში, ჩილდირში, ხანაკსა და დამადლშიც, აგრეთვე, ფოცხოვში გვქონდა ბედნიერება გვენახა ჳორთხის აუხის თითქმის ყველა საეკლესიო-სამონასტრო ცენტრი – ტბეთი, იმხანი, ხახული, ოიხთაეკლესია, დოლისყანა, ბერთა... და ჩავვეწერა ეთნოგრაფიული და ტოპონომიკური მასალები.



ტბეთის ტაძარი

თავისი სიდიდითა და განუმეორებლობით გამოირჩევა შავშეთის სოფელი ტბეთი, რომელიც ისტორიულად შავშეთის ცენტრი იყო. აქ რეზიდენცია ჰქონიათ შავშეთის მხარის გამგებლებს. ტბეთის კათედრალი, რომელიც აგებულია მე-11 საუკუნის დასაწყისში აშოტ კუხის მიერ, მოდწეულია ჩვენამდე. ეს მონუმენტური ძეგლი კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქმნილებაა.

1874 წელს ტბეთი ინახულა და დეტალურად აღწერა გიორგი ყაზბეგმა. „სოფელი ტბეთი პატარა მდინარის ნაპირზე მდებარეობს. საქართველოს ისტორიის საუკეთესო პერიოდში ტბეთი იმ ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო. რომელიც მართავდა ქრისტიანულ სამყაროს გურიიდან და ზარზმიდან არტანუჯამდე... ტბეთის სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული მოგონება აქაურ ტაძარზე... ტბეთის მონასტერს შეუძლია რომიც კი დაამშვენოს“ (81, 79-80).

1879 წელს ტბეთი მოინახულა დ. ბაქრაძემ, რომელიც განცვიფრებული დარჩა ტბეთის ეკლესიის ხილვით (10).

1888 წელს ტბეთი დაათვალიერა ა. პავლინოვმა (60), 1904 წელს – ნიკო მარმა (44). ტბეთის შესახებ საინტერესო ცნობები გამოაქვეყნეს პ. უვაროვამ (72) და თედო სახოკიამ (63ა).

ტბა უძველესი პიდრონიძული ტერმინია. ტბეთი ტბებიან ადგილად მოი-აზრება. ვასუშტი ბატონიშვილის ცნობითაც, ტბეთმა „მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ (9). ა. შანიძის მიხედვით, ტბეთის უძველესი ფორმაა ტბევი. ევ- აქ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელია. ისევე როგორც ბობნევი, ვაშლევი, ბოსლევი... ძველი ფორმა შენარჩუნებული ჩანს ფორმაში მ-ტბ-ეე-არ-ი, რომელიც ნაწარმოები უნდა იყოს კოლხური – არ სუფიქსით (შდრ: ოპიზარი, სახულარი, ოლთისარი...) (85, 766).

ტბეთი ძალზე გავრცელებული ფორმაა სრულიად საქართველოში. იგი გვხვდება აჭარაში, შაკუშეთში, შიდა ქართლში, იმერეთში, აფხაზეთში სხვადასხვა ფორმით: ტბეთი, ნატბევი, ტბისი, ტბა, ტბათი, ტობანჩა, სხალტბა, ტაბახმელა.

საბას მიხედვით „ტბა – ზღვა არს მომცრო, ტბას უწოდებენ ნავთსაყუდელსა. ტბორე – ავი გუბე“. საბა ტბის განმარტებას უფრო აკონკრეტებს წყაროსთან და ფაქტიურად იმასვე იმეორებს: „სადა გარე შემოველების უწოდებენ ტბასა, ცუღსა, მცირესა ტბათაგანსა – ტბორე“ (58, 135, 393).

ახლა კონკრეტულად ჭოროხის აუზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის – ტბეთის ტოპონიმების შესახებ. სოფელი ტბეთი შავშეთის ადმინისტრაციული ცენტრიდან – შავშეთიდან მდებარეობს 14 კმ-ის მანძილზე.


სოფელ ტბეთში და საერთოდ ჭოროხის აუზის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებში – ოპიზაში, ბერთაში, იშხანში და სხვაგან, ჩვენი მუშაობის ძირითადი მიზანი იყო ის, თუ როგორ შემონახა ქართული ენა იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ, რა მდგომარეობაშია თვით საკათედრო ტაძარი, სხვა ეკლესია-მონასტრები და, რაც მთავარია, სოფლების გეოგრაფიული ნომენკლატურა – ტოპონიმები.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ტბეთში ქართული ენა გამკრალაია, ღრმად მოხუცებულებს თუ ახსოვთ. 1928 წელს თურქეთის ხელისუფლებამ სახელი გამოუცვალა არსიანის და არტაანის ვილაეთების ყველა სოფელს – ტბეთს ეწოდა ჯევიზლი (CEVIZLI), რაც ნიშნავს ნიგვზიანს. ეს სოფელი მართლაც გამოირჩევა კაკლის საუკეთესო ბაღებით.

სოფ. ტბეთში ჩაწერილი 115 ტოპონიმიდან ქართულია – 44, თურქული – 47 ტოპონიმული. ქართულ-თურქული სიტყვებით ნაწარმოებია 14 გეოგრაფიული ობიექტის სახელი, ზანური წარმომავლობის სახელად მივიჩნიეთ 1 ტოპონიმი, უცნობი სემანტიკისა და სტრუქტურის სახელად – 9. ე. ი. როგორც ვხედავთ, ენობრივი კონტაქტების ხანგრძლივი და ღრმა კვალი ძალზედ დატყობია სოფლის ტოპონიმის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ რეგიონებში არაქართული ელემენტების (თურქები, ქურთები, ჰემშილები, ბერძნები, სომხები...) გაჩენამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა საერთოდ ონომასტიკის სურათის შესაცვლელად. მართალია, ძირითადად ქართულმა მოსახლეობამ პროცენტული უპირატესობა შეინარჩუნა ჩამოსახლებულ და მომთაბარე ხალხებთან შედარებით, მაგრამ მიგრირებულთა ცხოვრების კვალი შემორჩა მხარის ისტორიას. ეთნოგრაფიას და ტოპონიმის. მით უფრო საინტერესოა ეს მოყვება ონომასტიკის თვალსაზრისით, რადგან აღნიშნულ რეგიონში გეოგრაფიულ ობიექტთა ნომინაცია, სახელების პროცესი, ჩვენ საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ ონომასტიკული ერთეულის (ამ შემთხვევაში ტოპონიმის) ჩამოყალიბებასა და ცვლილებებს. ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ როგორ მიმდინარეობს ტოპონიმიზაცია ორი სხვადასხვა ენის მატარებელი ხალხის ერთ არეალში ცხოვრების დროს. რა თქმა უნდა, სიჭარბე რომელიმე ხალხისა გარკვეულ როლს თამაშობს ტოპონიმთა წარმოქმნაში და მისი თავისებურებების ჩამოყალიბებაში. მაგრამ მნიშვნელოვანი როლი აკისრია მეორე ენას, რომელიც პირველის პარალელურად განაგრძობს არსებობას, გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება ერთმა მოახდინოს მეორის ასიმილაცია, მაგრამ ასიმილირებული ენის კვალი მაინც აისახება გაბატონებულ ენაში.

სოფლები, ჩვეულებრივად, სოფლის უბნებად ანუ „მეკელეებად“//„მაკალეებად“ იყოფა. სადაც, როგორც წესი, ერთი წარმომავლობის ოჯახები ცხოვრობენ.

სოფ. ტბეთში შემდეგი უბნები ანუ „მეკელეებია“: იორმაგილ, ნადირგილ, ჯირიგილ, ეთერგილ, ხალოგილ, თურუთლარ, ბუჩიგილ, მამოგილ, ხარშოგილ, ჯუმოგილ, აღანაგილ, ედეკემგილ, ქურთინგილ, თერძინგილ. -გილ სუფიქსს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართულ ან (სოსიკოს-ან-ი, პეტრეს-ან-ი). ეულ//ოულ /სოსიკოს-ეულ-ი პეტრეს-ეულ-ი/ და-იენტ-იეთ /აბრამ-იენტ-



სვენი ინფორმაციური სექსის ქუეცი(პარკაროი)
 1991 წლის ივლისის სოფ. ტბეთი (საგაქოთი)

იქ ან ანთ თითა რაანთ... სუფიქსებს გაანნიათ. აქ მთავარ როლს ასრულებს პაროქება, რომლის სახელას მიხედვით ნაწარმოებია უბნის სახელწოდება ჩორამი, ყაერი, მამო, ხალო, ელექემ და სხვ./.

ტბეთში ერთი პერიოდი კოლადან- (თურქ. GOLLE) გადმოსულ ქურთებს უცხოვრიათ. ამ უბანს ქურთილგილინ მაპალესი ჰქვია. დღეს ტბეთში ქურთები აღარ ცხოვრობენ, მაგრამ სოფლის უბანს მათი სახელი შემორჩა.

ტბეთში ჩავსწერეთ სოფთა ქართული ტოპონიმები: აღმა-დაღმა, ჭალები, ნიქაბეზე („ნიქაბადე“). ფონა, იმერაყა („იმერიეთ ყანა“ ე. ი. იმერ. იქეთ მდებარე ყანა), ზედვეკა („ზედვაკე“), ტვერი („სმირი ტყე“). კულათი, ქედისათი, რუთავი, ჭურათი, ღობიძირა, ჩანჩქარა, კენჭიანი და სხვ.

სოფლიდან 3 კმ. მანძილზე მდებარეობს ადგილი სამაჩოთი. ტოპონიმის ფუძეა „მანვი“, რომელსაც დართული აქვს პრეფიქს-სუფიქსი სა-ეთ. სამაჩოთი იგივე სამაჩვეთია. ქართული ენის შავშურ-იმერხეულ დიალექტში ვე და ვა ბგერათკომპლექსები ვვაძღვევს ო-ს: ქვემო-ქომო. ქვაწითელა-ქოწითელა. ქვემოთა-ქომოთა და ა.შ.

სოფლის ტოპონიმურ ფონდს ავსებს თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები, რომლებიც საერთოდ ახალ ფენად უნდა ჩაითვალოს. თურქული ტოპონიმებია: აშალი-იოხარი /„აღმა-დაღმა“/ ბუთუქ-„ღუზ“ /„ღიდი კაკე“/. დერე ჩაირ /„ღელის ჭალა“/. დერმან სუ /„წამლის წყალი“/. სირთ თარლა „ბორცვიანი სათესი“/. ყარა ყაია /„შავი კლდე“/ და ა. შ.

გვსვლება ქართულ-თურქული სიტყვებით და მაწარმოებლებით გაფორმებული ტოპონიმები: ბურმახევი, ნაყალევი /„ნაცხარი“/ მუხანინ გოლი „მუხას ტბა“ ან ტბა, რომლის სიახლოვეს მუხის ხეები დგას/. რუსულ-თურქული ტოპონიმია ფოსტან გოლი /„ფოსტის ტბა“/. რუსული მმართველობის დროს 1878-1918 წწ ამ ტბაზე გადიოდა აჭარასთან და ახალციხესთან დაკავშირებული გზა. ეს ტბა მდებარეობს ალპურ ზონაში, არსიანის ქედის დასავლეთ ფერდობზე და ეკუთვნის სოფ. ტბეთის იაილას.

ნიკო მარმა 1904 წელს სოფელ ტბეთში დაადასტურა შემდეგი გვარები: ციალიძე, ნიქებეძე, კისერეძე, აგათიძე, მასკულიძე, ამათგან დღეს დასტურდება მხოლოდ ერთი – ნიქებეძე. იგივე ნიქაბაძე, ნიქებეზეს ფორმით და ისიც ყანის, სათესის სახელად. ეს ადგილი ამ გვარის საცხოვრისი იყო. თვითონ გვარი სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად ნიკო მარის აქ მოგზაურობის შემდეგ. ახლა ტბეთში ცხოვრობენ პატარიძეები. ადგილობრივი უხუცესი ინფორმატორების ცნობით, პატარიძეები ორ საუკუნეზე მეტია, რაც ტბეთში ცხოვრობენ. ნ. მარს ეს გვარი არ დაუდასტურებია. ადგილობრივი ინფორმატორის, 87 წლის შუქრი ქურდაშის (ქართული გვარი არ ახსოვს) მიხედვით, პატარიძეები შავშეთის სოფელ ტბეთში დამკვიდრებულან მე-19 საუკუნის დასაწყისში. მათ წინაპრებს უცხოვრიათ აჭარაში, კერძოდ სოფელ ტბეთში (შუახევის რაიონი). აჭარის ტბეთში პატარიძეები დღესაც ცხოვრობენ.



უეგურ ქეჩიკიან(პატარიძე)
სოფ. ტბეთში

ისტორიული კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებს შორის მნიშვნელოვანია ოპიზა. რომელიც მდებარეობს „შავშეთის-წყლისა და ანაკერტის შორის. ჭოროხის აღმოსავლეთით, აჭარის მთის კალთასაკენ“. იგივე ვახუშტი ოპიზის შესახებ წერს: „იყო დიდხელოვნებით ქმნული და შენელებული... ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიოს წესითა და მამულითა შეწირულითა“ (9, 461).

ნიკო მარის მიხედვით, „ოპიზა“-ში მეგრულ-ჭანური ფორმა ჩანს /ო – კოლხური სუფიქსი.

პიზ ანუ პიჯ//პირ-ფუძე. ე. ი. ოპიზა-საპირე, სანაპირო/, რაც ამ მხარეში ადრეულ პერიოდში ქართული მოდგმის ხალხების არსებობას ადასტურებს.

ოპიზის მონასტერი მეორედ აშენების შემდეგ (მე-9 საუკუნის 60-იანი წლები) საკმაოდ გაძლიერდა. ის მალე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად იქცა.

ოპიზით დაინტერესდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები და მოგზაურები. 1874 წელს ოპიზა მოინახულა გიორგი ყაზბეგმა. 1879 წელს – დიმიტრი ბაქრაძემ, 1888 წელს – რუსმა მკვლევარმა ა. პავლინოვმა, 1904 წელს ოპიზაში საინტერესო მასალები მოიპოვა აკად. ნიკო მარმა.

ოპიზის მონასტერი ამჟამად, შეიძლება ითქვას, მიწასთან არის გასწორებული. მოსახლეობას საერთოდ არ ახსოვს ქართული ენა, თუმცა სოფლის ქართულ გეოგრაფიულ სახელებს ასახელებს. ოპიზაში 1998 წელს ორჯერ მოგვიწია ჩასვლა. ოპიზაში ვიყავი 2004 წლის აგვისტოშიც.


ოპიზაში ჩაიწერეთ ქართული ტოპონიმები: **სამყურიათი, წოწოლა, მახათა**, (მთის სახელებია), **შდრ. მახათა მთა** აღმოსავლეთ საქართველოში, **ლურჯა** (მდინარე), **ქუსლა** (საძოვარი) **მოზვერეთი, მანთისხევი** (აქ არის ეკლესიის ნანგრევები და გამოქვაბულები). **თავდუღუ, დიდიკაცო** (სათიბი) და სხვ.

ოპიზაში თურქული ენის გაბატონებას შემდეგ მოჰყვა ის, რომ სოფელში მოძრავლად თურქული ტოპონიმები: **ხაჩინტაში** („ჯვრიანი ქვა“), **დეგორმანტაში** („წისკვილის ქვა“), **ჩობანდუზი** („მწყემსის ვაკე“) და ა. შ.

გვხვდება შერეული გაფორმების სახელები: **ქუსლა სირთი, ლურჯა დერესი, ქეთქეთინ სირთი**.

ოპიზა დღეს პატარა სოფელია. 1874 წელს აქ 12 კომლი ცხოვრობდა. სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლევა ინტენსიური დასახლების საშუალებას. ამჟამად ოპიზაში 7-8 კომლია ითვლება მუდმივ მცხოვრებლად. სოფლის მოსახლეობა თავად აღნიშნავს, რომ ოპიზა (ადგილობრივი გამოთქმით: „ოპიწა“) „გონჯ“ ადგილას მდებარეობს და მოუსავლიანია. მართლაც მთის ვეებუროელა ფლატეებს შორის გაშენებულია დასახლება, სადაც მისვლა ძალიან ძნელია. ამასვე აღნიშნავდა გიორგი ყაზბეგი: სოფელ ოპიზამდე „ჩვენი გზა 3 1/2 საათს გრძელდება. აქედან პირველი საათი ცხენით, დანარჩენი 2 1/2 საათი ფეხით უნდა ვიაროთ. მხოლოდ ამითაც შეიძლება იმსჯელო, თუ რა საზიზღარი გზაა... ჩვენ კი ვიწრო ბილიკით სოფელ ოპიზაში ავედით... მე მწყეროდა ნახვა ძველი საქართველოს ამ უწმინდესი ადგილისა, რომელსაც უძღერა ვახუშტიმ და რომელიც ჯერჯერობით არც ერთ ევროპელს არ უნახავს. ჩემი ჯაფა სათანადოდ დაფასდა“ (81, 100).

ოპიზა ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქ სხვა-



შატბერდი (ფორთია)

დასხვა დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქართველ მწერალთა და საეკლესიო მოღვაწეთა მთელი პლეადა: გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, ბექა და ბეშქენ ოპიზარები და სხვ.

ჭოროხის აუზის საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შატბერდი. შატბერდის ადგილმდებარეობის შესახებ ქართველ მკვლევართა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმოჩენის შემდეგ პრობლემა თითქოს გადაიჭრა. შატბერდი რომ კლარჯეთშია, ეს უდავოა, მაგრამ კონკრეტულად სად? ნიკო მარმა 1904 წელს კლარჯეთში მონინასულა ქვემო ფორთა და მეცნიერმა იგი შატბერდის ტაძრად მიიღო. დიდ მეცნიერს ეს სოფელი ცარიელი დახვდა. ყველანი იალალებზე იმყოფებოდნენ – სოფლის მეხტარმა იგი ღამის გასათევად

ეკლესიის ეზოში შეიყვანა. რითაც მეცნიერი დიდად გახარებული დარჩა და გუნებაში სტუმრად გრიგოლ ხანძთელთან წარმოიდგინა თავი. საშინელი ფიზიკური დაღლილობა თანდათან მოეხსნა და მშვენიერ განწყობაზე დადგა. რადგან იმყოფებოდა ქართველთა უძველეს სავანეში. ერთ დროს აყვავებული ქართული კულტურის სულიერ სამყაროში, მაგრამ როცა გადააბიჯა კარიბჭის ზღურბლი, საჯინბოში მოხვდა. სამრეკლო საბძლად იყო გამოყენებული. ღვთისმშობლის ეკლესიაში ამბიონზე ფერდებნაცკენილი თხა დაბორიალეზდა. ირგვლივ საშინელი სუნი იდგა (44.139).

ქვემო ფორთა შატბერდად მიიჩნდა ექვთიმე თაყაიშვილსაც. საწინააღმდეგო მოსაზრებებს ასაბუთებს პ. ინგოროყვა. მისი მტკიცებით, ქვემო ფორთის შატბერდად მიჩნეული ტაძარი ხანძთაა, ხოლო შატბერდი მისგან საკმაოდ დაშორებულად მიიჩნია (32. 316-317). შატბერდის ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენს მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის შესაცვლელად სათანადო საბ-



ექვთიმე თაყაიშვილი

უთები არ ჩანს. ასე რომ, ქვემო ფორთა შესაძლოა შატბერდია, რომელიც დიდხანს განაგრძობდა არსებობას და დღევანდლობამდე ზუსტად შეინარჩუნა XII-XIII საუკუნეების სახე.

ისევე როგორც ოპიზაში, ფორთაში მისვლაც ძალიან ძნელია.

ფორთაში დღეს ქართული ენა აღარ ისმის. მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით არ არის დიდი, სოფელში მაინც რამდენიმე ე. წ. „მეკვლე“ გამოიყოფა. ის ადგილი, სადაც დიდებული ტაძარი დგას, ბაღლარად იწოდება და შატბერდის ცენტრალური უბანია. სოფლის უბნების სახელებია: კელითი, დეპანწმინდა (აქ არის ნაეკლესიარი) სომური, ხარეთი, შუა ფორთა, შადი ფორთა. სოფლის ქართული ტოპონიმები ცოტაა. წაბლავა (წაბლი-წაბლა, წაბლა-ვა), მარაწმინდა (მარიამწმინდა), ნაქოხარი, სანდავური, ფიქრობი, ახო, ზიარეთი, დაჩიელთური, ნაგუთნი, კაჩხალის დელე. სოფლის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თურქულენოვან ტოპონიმებს: ომაგილინ სუიუ//ომარიგილინ სუიუ/ - „ომარაანთ უბნის წყალი“, ბაირინ თარლა („სადოვრების სათიბი“), გუნეჯ ჩაირი („ნათელი სათიბი“, ჭალა), ყუზეჯ თარლა („ჩრდილიანი სათესი“ ანუ ყანა, რომელიც ჩრდილიან ადგილზეა), ბუიუქ დერე („დიდი მდინარე“). ქორდერე, სუთუნდერე, ჯეინერდერე, ყარაგოლი, ტაშლი ხარმანი. დასტურდება შერეული გაფორმების ტოპონიმები: ბუეჯუქ ახოლარ („დიდი ახოები“), ბუეჯუქ კოკოლა, ქუჩუქ კოკოლა, აღმალი ახო („ვაშლიანი ახო“) და სხვ.



ენი რაბათი (არტანუჯი)

კლარჯეთის მნიშვნელოვანი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრია დოლისყანა. იგი მდებარეობს კარჩხლის მთის სამხრეთ ფერდობზე. სოფლის სახელი მომდინარეობს პურეულის ერთ-ერთი ჯიშის სახელისაგან, რომელსაც დოლის პური ჰქვია. ამ სოფელში აშენებულმა ტაძარმაც სახელი სოფლისაგან მიიღო. დოლისყანა ერთ-ერთი იმ სავანეთაგანია, სადაც კლარჯეთის მოღვაწეებმა გრიგოლ ხანძთელის მეთაურობით საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა განახორციელეს.



ნუგზარ ცეცსლაძე და ვალინა მიქელაძე.
 დოლისყანა (კლარჯეთი)
 1998 წლის სოცსბერი

გუმბათოვანი დოლისყანის ტაძარი დღეს საკმაოდ კარგად გამოიყურება. იგი ამაყად გადმოჰყურებს ართვინ-არტანუჯის სანახებს. სოფლის უხუცესებს ესმით ქართული. მათ, მართალია, უჭირთ გაბმული მეტყველება, მაგრამ ხედებიან გაგონილს. სოფელში სამი უბანია ანუ ე. წ. „მეჭელე“. ესენია: ზუვარეთი, კერეჭული და სირაკანნი. საველე მუშაობის დროს სოფელში ჩავიწერეთ ტოპონიმები: თავთავი (სათესი), სენექი (სადოვარი), კინჭიხარი, ქედიმალა (ტყე), კატრავანი //კატროვანი/, ხარხანი, უნჭიბათი, სარკალი, ნაურმევი, ვაკე, მესხუთუნ სუფთა იაილა. დღეს დოლისყანა ეკუთვნის ართვინის ვილაეთს ართვინის რაიონს და ჰქვია თურქული სახელი – ჰამამლი.


ბერთა მდინარე კარჩხლის მარჯვენა ნაპირზე. მაღალი მთის ფერდობზე მდებარეობს. იგი ახლოსაა

დოლისყანასთან და ოპიზასთან. ბერთა თავის დროზე ვერ მონახულეს გ. ყაზბეგმა და დ. ბაქრაძემ. 1888 წელს ბერთაში მივიდა ა. პავლინოვი, 1904 წელს – ნიკო მარი.

ბერთის ირგვლივ უშველებელი, ციცაბო მთის ფერდობებზე მიყუყუელია სოფლის ცალკეული უბნები, რომელთა რაოდენობა ოც ერთეულზე მეტია. მათი უმეტესობის სახელი ქართულია. ისინი ნაწარმოებია – ურ/ულ სუფიქსით: შენეთ-ურ-ი, პაპავ-ურ-ი, ნუკა-ურ-ი, წინდილა-ურ-ი, მაღალავ-ურ-ი, კოკვა-ურ-ი, ათანას-ურ-ი საქარ^აულ^ა. გვხვდება სხვა წარმოების სახელებიც: ჭედლინი, ოქრობიზე //ოქრობიძე, სოფლის მიკროტოპონიმიაში ქართული ტოპონიმების ხვედრისი წილი საგრძნობლად დიდია: დიდვაკე, სათიხე, ხერხი, თავკატური, შავშეთი (ტყის სახელია), შავქეთი (სოფლის უბნის სახელი), ძეგლი (ჰქვია სასაფლაოს) და სხვ. გვხვდება თურქული სახელები. ტოპონიმთა ერთი ნაწილის სტრუქტურა და სემანტიკა გაურკვეველია: საკოზა, ოქონსო, ჯუმაჯახო, ქენეხთ, კინატო და ა. შ.

დღეს ბერთას ოფიციალურად ჰქვია ორთაქრი, რაც ქართულად შუა სოფელს ნიშნავს. ჩვენ გვქონდა საშუალება მოგვენახულებინა სოფლის რ-კლასიანი სკოლა და გავსაუბრებოდით მასწავლებელსა და მოსწავლეებს.

იშხანი ტაოს საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრებს შორის ერთ-ერთი უპირველესია. იგი მდებარეობს ჭოროხის მარჯვენა შენაკადის – ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ამაღლებულ ტაფობზე. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ართვინს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდან ჯევი, რომელიც გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა, მოდის აღმოსავლეთით. ამ ჯევზედ არს იშხანს ციხე, ფრიად მაგარი, დიდშენი, და ეკლესია გუმბათიანი, დიდშენიერად ნაგები“ (9, 136-137).




იშკი

კარგი მდებარეობით გამოირჩევა იშხანი. მოსახლეობას, გამაჰმადიანებულ მესხებს ცუდად, მაგრამ მაინც ესმით ქართული, მეტადრე, ღრმად მოხუცებულებს. იშხანი ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი იმ სავანეთაგანია, სადაც მოღვაწეობდნენ ზემო ქართლის ეპისკოპოსები. იშხანი მეჩეთად გადაკეთებამ იხსნა სრული განადგურებისაგან. დგას გუმბათი, ორნამენტები შესანიშნავია. ეზოში პატარა ეკლესიაა. აქვეა სოფლის დაწყებითი სკოლაც. ბავშვების ურიაძული ავსებს დიდებული ძეგლის სიცარიელეს. დღეს იშხანში 230 კომლი ცხოვრობს. სოფლის 79 წლის მცხოვრებმა ოსმან იურთმა დიდი სიამოვნებით ჩაგვაწერინა სოფლის გეოგრაფიული სახელები. აი ისინიც: სოფლის უბნები: სირთმაჰალე, დერემაჰალე, ჯამემაჰალე, დეერიშგიბმაჰალე, ქურთგილინმაჰალე, ალაბგილობილ მაჰალე მიკროტოპონიმებია: ქოშიკარი (შემოსასვლელი კარი“). სუბაბაძე (ტყე), სალიქაი, საჩუხ, სუხბენ, სულქურე, ქვამაგარა //ქომაგარა, გველეთ, ავრექ, ეპრექა, დანურ ქაფიქარი, ზუარ//ზვარ, ჩუქურ, სეხბენ, ჩუხური.

როგორც ვხედავთ, სოფლის გეოგრაფიულ სახელებში ქართული ტოპონიმები ცოტაა.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა დღევანდელ ხახულში. სოფლის უბნის სახელები სვერინქირ, ქორქილ, ოდუქ, ბაღბაში, ქამისორ, აივაზ, ეშიდალ,




პარხალი

თუმცა ქართულის მცოდნე იშვიათია. სოფლის ოფიციალური სახელია – დორთქილისა//დორთქილისე.

სოფლის მიკროტოპონიმიში მცირე რაოდენობით დასტურდება ქართული წარმომავლობის ტოპონიმები. სოფელში ჩაწერილი 50-მდე ტოპონიმიდან ქართულია დაახლოებით 15-მდე. მაგალითად სოფლის ერთ-ერთ უბანს ანუ შექელეს ჰქვია სათხეთი, გვაქვს უბნის სახელად დიჭალა, რაც დიდ ჭალად უნდა აღვადგინოთ. ქართული გეოგრაფიული სახელებია ნაფლატი (საძოვარი), რუთაფი (სათესი, ყოფილი სათიბი ადგილი), ვენახეთი, ნაპურევი და სხვ. ვფიქრობთ, საინტერესო სახელდებასთან გვაქვს საქმე. ტყის სახელად დავადასტურეთ ტოპონიმი „იშხანი“ (ინფორმატორების მიხედვით, „იშხანი“ ხშირ, უდაბურ ტყეს ნიშნავს).

იოლუნ მაჰალესი სემანტიკისა და სტრუქტურის მიხედვით თურქულია. სახულში ქართული ენის კვალი გეოგრაფიულ ნომენკლატურაში თითქმის გამკრალია. ქართული ენის კვალი არ ჩანს არც ოთხთა ეკლესიის მცხოვრებთა მეტყველებებში. ოთხთა ეკლესია ერთერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო-სამონასტრო ცენტრია, ისტორიული ტაო-კლარჯეთისა. ტაძარი დარბაზული ტიპისაა და ძალიან ჰგავს პარხალს. იგი დღესაც საკმაოდ კარგად არის შემონახული. სოფლის მოსახლეობა გამაჰმადიანებული ქართველებია.




იშხანი

ოთხთა ეკლესიის მიკროტოპონიმიის ძირითადი ფონდი თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის სახელებია.

რაც შეეხება ჭოროხის აუზის სხვა მნიშვნელოვან საეკლესიო-სამონასტრო ცენტრებს, უნდა აღინიშნოს, რომ ოშკში არ მოგვეცა საშუალება მოსახლეობასთან დაახლოებისა და მათგან მასალის ჩაწერისა.

საქართველოს ისტორიულ სამხრეთი რეგიონების მნიშვნელოვან საეკლესიო და საგანმანათლებლო ცენტრებში შემორჩენილი ქართული გეოგრაფიული ნომენკლატურა ძვირფასი განძია ჩვენი ენისა. ამასთან, აქ დადასტურებული სხვა სახელები საინტერესო მასალებს გვაწვდიან ისტორიული ონომასტიკის კვლევისათვის.



ტბეთელებთან ტბეთის ტაძარში.
1998 წლის ივნისი

IV. ფოცსოვ-არტაანის ტოპონიმიდან

არტაანის მხარის სოფლები (ველი, ჭალა, ჯინჭორი, თეთრიციხე)

როგორც ცნობილია, შორეულ წარსულში მესხეთი ანუ ზემო ქართლი ვაკელებით დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მის შემადგენლობაში იყო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციები: ტაო, კლარჯეთი, აჭარა, შავშეთი, არტაანი, კოლა, სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი... ისტორიული, ეთნოლოგიური, და ენათმეცნიერული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მდ. მტკვრის ზემო წელის რეგიონები: არტაანი, ჩილდირი, კოლა, რომლებიც თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით შედიან არდაგანის (არდაჰანის) გუბერნიის შემადგენლობაში. ბოლო პერიოდამდე ეს მხარეები ეკუთვნოდა ყარსს, რომელსაც შემდგომ ცალკე გამოეყო არტაანი შემდეგი რაიონებით: თვით არდაგანი (არტაანი), ჩრდილი (ჩილდირი), კოლა(გოლე), ხანაკი, დამალი და ფოცხოვი (ფოსოფი).

ქართული ენა არტაანის მხარეში დიდი ხანია დაეიწყებულა, ქართული გეოგრაფიული სახელებიც თანდათან დაეიწყებას ეძლევა. ქართული ენა კოლასა და არტაანში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშია დაეიწყებული. კოლას „ქართულად ძნელად კინმე ლაპარაკობდეს“, – წერდა დ. ბაქრაძე (10^ა, 40). ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, „ქართული დაეიწყეს ჩილდირისა და ფოცხოვის ქართველმა მაჰმადიანებმა“ (107, 242).

ამ ძირძველ ქართულ მხარეებში ქართული ენის ამოძირკვით, ქართველთა გადაგვარებით და ქართული გეოგრაფიული სახელების მოსპობით დაინტერესებული იყო როგორც თურქეთის, ასევე რუსეთის ხელისუფლება. მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა ეს მხარე რუსეთის შემადგენლობაში ითვლებოდა, ამ ისტორიული რეგიონების შესახებ ალ. ფრონელი წერდა: „ჩვენს მთავრობას არ უყვარს ძველი ისტორიული სახელები და, თუკი შესაძლებელი და მოსახერხებელია, ყველგან და მუდამ სპობს ძველის ნიშანწყალს“ (73^ა, 151). მაგრამ იქვე ავტორი იმედიანად შენიშნავს, რომ: „ერის ხსოვნა აგრე ადვილად როდი ივიწყებს ძველ სახელს. ისტორიული სახელი ცარიელი სიტყვა ნუ კი გგონიათ, იგი სავსეა ნეტარი და პოეტური მოგონებით, ჩაქსოვილია ხალხის გულსა და ხსოვნაში. ისტორიული სახელი ტკბილი და საამო ნანაა, რომელიც მუდამ და განუწყვეტლივ აახლებს და აგონებს ადამიანს მამა-პაპათა ქველობა-ვაჟაკობას, ბედნიერებას და უბედურებას. კაცს არ შეუძლია, დაეიწყოს ერის თავგადასავალის გამოძახებული ისტორიული სახელი“ (73^ა, 151).

რა მდგომარეობაა ამ მხრივ დღეს არტაანის მხარეში? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მართალია, დღევანდელი არდაგანის (არდაჰანის) გუბერნიაში სოფელთა ერთ ნაწილს შემორჩენილი აქვს ქართული სახელები. მაგრამ ბევრი სოფლის ისტორიული ქართული სახელი დამახინჯებული, გადათურქულებული ან საერთოდ გამქრალია.


არტაანის მხარის მნიშვნელოვანი სოფლებია: ველი, ჭალა, ჯინჭორობი, თეთრიციხე.

სოფელი ველი (თურქული სახელი – სევიმლი) გაშენებულია მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ქ. არტაანის აღმოსავლეთით ვრცელ, ამაღლებულ მინდორზე. აკი საბაც ასე განმარტავს: „ველი მინდორი დიდი“ (57, 258).

ველი სოფლის სახელად ცნობილია შავშეთშიც. ერუშეთის ველი რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფელია. იგი ისტორიულ წყაროებშიც საკმაოდ ცნობილია. სოფლის დასავლეთით მდ. მტკვრის კლდოვან და მაღალ ნაწილზე მდებარეობდა ციხე, რომელიც ამ რეგიონში არსებულ სხვა ციხესიმაგრეებთან (ქაჯისციხე, დღევანდელი „შეითანყალე“, მგლისციხე, დღევანდელი „ყურთყალე“) ერთად დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ საქართველოს ისტორიაში. მე-19 საუკუნეში ეს ციხე და ეკლესია კარგად იყო შემონახული. ამჟამად ეკლესიის ადგილას მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. სოფლის ბოლოში არსებული ციხე კი დღესაც კარგად გამოიყურება. სოფელ ველში „დიდი დავთრის“ შედგენის დროს 30 კომლი ცხოვრობდა, 1878 წელს აქ იყო 24 მოსახლე.. 1889 წელს – 25 (სცია, ფონდი 532).

ოსმალეთის მფლობელობაში ყოფნის დროს ველელმა ქართველმა კათოლიკეებმა ბოლო პერიოდამდე კარგად შემოინახეს მშობლიური ქართული ენა. 1902 წელს სოფელ ველში კვლავ ისმოდა ქართული ენა. ექვთ. თაყაიშვილის მიხედვით, არდაგანის ოკრუგში ქართულად ლაპარაკობენ მხოლოდ ველში. ერუშეთში მარტო მოხუცებულებს ესმოდათ ქართული. ავტორი დასძენს, რომ საერთოდ ამ დროისათვის „არდაგანისა და ოლთისის ოკრუგებში“ ნაკლებად არის დაცული ქართული ენა. ვინაიდან აქედან ბევრი ქართველი გადასახლდა ოსმალეთში რუს-თათართა ომის შემდეგ 1877-1878 წლებში და მათ ადგილას სხვები გადმოსახლეს: თათრები, თარაქამები, ქურთები, ბერძნები და სომხები“ (27, 223). ცნობილია, რომ რუსული მმართველობის დროს სოფელ ველიდან ქართველი კათოლიკეები გადმოსახლდნენ ახალქალაქის მაზრის სოფლებში – კარდიკამში. ბავრასა და ხულგუმოში (55ა, 21). ამასვე ადასტურებს ლ. ზაგურსკიც (23ა, 68), აგრეთვე – ნ. ბერძენიშვილი და ს. ჯიქია (127, 351).

დღეს სოფელ ველში ახალციხიდან გადმოსახლებულთა შვილიშვილები ცხოვრობენ, გვხვდებიან აჭარელი მუჰაჯირებიც. ქართული ენა ღრმად მოხუცებულებსდა ახსოვთ. სოფლის მიკროტოპონიმებიც თურქულია (ქოფ-



ტიბური შავშური საცხოვრებელი სახლი

რულარ, საჯლარ, ყაღელარ, ქურუნლარ, უღუზღაილასი). სოფლის სამხრეთით მიედინება მდ. მტკვარი, რომელსაც ველელები ქურას ეძახიან.

ყურადღებას იპყრობს განცალკევებით მდებარე სათესი ადგილი ვერანა ველი. აქვეა ნასახლარებიც. სავარაუდოა, რომ ძირძველი ქართველი ველელები თავდაპირველად სწორედ აქ ცხოვრობდნენ. მათი წასვლის შემდეგ სოფელი მთლიანად დაცარიელებულა. ახალმოსახლეებმა კი სოფლის სხვა ადგილი აირჩიეს სამოსახლოდ. ასე შემორჩა სოფელ ველს ტოპონიმი ვერანა ველი.

ჭალა სოფლის სახელად დასტურდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში: გურიაში, აფხაზეთში, აჭარაში, იმერეთში, რაჭაში. ჭალა ჰქვია სოფელს არტაანის გუბერნიის ჩილდირის რაიონში. საბას განმარტებით, ჭალა არის“ წყლის პირი ნაყოფიერი“ (57, 197). სიტყვაში – ჭალა ძირეული ენობრივი მასალა აშკარად წყალს უკავშირდება. ერუშეთის სოფელი ჭალა მდებარეობს ჩილდირის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე, სოფ. თეთრიციხესთან ახლოს. ჭალა ჰქვია აგრეთვე ჩილდირის ტბაში ჩამავალ პატარა მდინარესაც. „სოფ. აღჯა-ყალიდან 2 ვერსის მანძილზე, სამხრეთის მხარეს ტბისაკვე ნაპირას მდებარეობს სოფელი ჭალა“. – აღნიშნავს ვ. კოპტონაშვილი (36ა). 1878 წელს სოფ. ჭალაში 41 კომლი ცხოვრობდა (სცია, ფონდი 78).

ამჟამად სოფ. ჭალას ჰქვია დოღრულარ. სოფლის მოსახლეობას შეადგენს ახალციხიდან და ასპინძიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები. სოფელში ქართული ენა აღარაეის ახსოვს. სოფლის ეკლესია დღესაც კარგად არის შემონახული. მიკროტოპონიმები თურქულია: კაჩალა (სათიბი), ფახირჩაი, ეირიყარ, ქუზეი საძოვრები)...

ჯინჯორობი (←ჯინჯრობი←ჯინჯრობი) თითქმის ზედ აკრავს ქ. არტაანს. ტოპონიმის ძირი მომდინარეობს მცენარის სახელისაგან (ჯინჯარი), რომელსაც დართული აქვს – ობ სუფიქსი. ვახუშტი ბატონიშვილი არტაანის აღწერის შემდეგ ამბობს: „ამას ზეით, მტკვრის კიდეა ზედავე არს დასავლეთით ჯინჯრობი (9, 132). ასეთი ფორმით დასტურდება სოფლის სახელი „საქართველოს ისტორიულ რუკაზე“. სოფელში დავადასტურეთ ფორმები „ჯინჯიროფი“ და „ჯინჯიროფი“.

სოფელი ჯინჯორობი ორია – დიდი და პატარა. „დავთრის“ მიხედვით კი ქვემო და ზემო. პატარა ჯინჯორობს დღეს ჰქვია სუგოზე, დიდს – ალზი ფეგი. („ფეგი“ ნასახლარებს ნიშნავს). 1878 წლიდან სოფელში ქართველ მაჰმადიანთა ნასახლარებზე დაფუძნდნენ მალაქები, რომლებიც აქ 1925 წლამდე ცხოვრობდნენ. ამჟამად ჯინჯორობში ფოცხოველები – სეგრელელები და წურწყაბელები სახლობენ. „დიდი დავთრის“ შედგენის დროს ქვემო ანუ დიდ ჯინჯორობში 92 კომლი იყო, ხოლო ზემო ანუ პატარა ჯინჯორობში – 48 კომლი (სტია, ფონდი 81). დღეს ორივე ჯინჯორობში 30 კომლია ცხოვრობს. სოფელში ვერც ერთი ქართული ტოპონიმი ვერ ჩავიწერეთ. სოფლის გეოგრაფიული ნომენკლატურა (ნახსა, ტაშკოფრუ, პაჯი-მეველუდ, იოხარი, აღიარ, აშალი, თაბიალარ, ყალეჯიქ, ჩერმიქ, მადარალარ, ბიჩინეგ, ათიათალ, ყარაანუხ დერე...) ახალია და ბუნებრივია, თურქული.

როგორც ცნობილია, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართულ გეოგრაფიულ სახელებს ოსმალეთის ხელისუფლების დროს თარგმნიდნენ თურქულად. „ყველა სოფელი ჩილდირში ქართული სახელწოდებით ყოფილა. მაგრამ, რადგან დიდხანს ეს ადგილები თათრის ხელშია და თათრებით დასახლებული. ზოგიერთი სოფლის სახელი თათრულად გადაუთარგმნიათ და დღემდე ქართული სახელი შერჩენილა. ასე, მაგალითად, ქართველები... ამბობენ „სოფელი თეთრა-ციხე“. თათრები ეძახიან „აღჯა“-ყალას“ და სხვ. – წერდა მე-19 საუკუნის ბოლოს ვ. კოპტონაშვილი (36ა).

სოფელი თეთრიციხე მდებარეობს ჩილდირის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. მისი დღევანდელი თურქული სახელია აკჩაყალე // აკცაკალე, რომელიც პირდაპირ ნათარგმნია ქართულიდან (აკ „თეთრი“. კალე „ციხე“). სოფლის ერთი ნაწილი ნახევარკუნძულის სახითაა შეჭრილი ტბაში. აქვეა კარგად

შემონახული ეკლესია და ციხე, რომლის ფერისაგან მიიღო სახელი სოფელმა.

დღეს აკნაყალე საკმაოდ დიდი სოფელია. სოფლის ძველი ქართველი მოსახლეობა ამ მხარის რუსეთთან შეერთების შემდეგ ერთიანად აიყარა და თურქეთის შიდა რეგიონებში გადასახლდა. მათ ადგილას რუსეთის მმართველობის დროს ჩამოსახლდნენ მალაკნები. რუსების პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს სოფლის ერთ-ერთი უბნის სახელი, რომელსაც დღეს ლაგერს ეძახიან. ამჟამად სოფელში ახალციხელი მესხების შთამომავლები ცხოვრობენ. სოფლის მიკროტოპონიმები თურქულია: **სარიჩაირი** („ყვითელი ჭალა“), **ქილისა დერე** (ეკლესიის ხევი“) და სხვ.

სოფელ ჭალაში ჩაეწერეთ რამდენიმე ქართული ტოპონიმი: **ნაფუზარი** ნაფუძარი (სოფლის უბანი, სათესი), **ღალაზე/ღალაძე** (სათიბი), **მოდრეკილი** (მთა). საყურადღებოა, რომ მდინარე მტკვრის ზემო წელის რეგიონებში: კოლა-არტაანში, ჩილდირში მხოლოდ სოფლებს აქვთ ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული სახელები. რაც შეეხება მიკროტოპონიმებს, შეიძლება ითქვას, რომ ქართული სახელების ხვედრითი წილი აქ უმნიშვნელოა.

შოსოს-არტაანის მხარის ტოპონიმთა წარმოშობის წიგნიერითი საკითხი

არტაანის მხარეში თურქეთის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ბევრი ქართული ტოპონიმი გაქრა, ბევრი გაბუნდოვანდა, ბევრიც შეიცვალა თურქული სახელით. ამ პროცესებს ხელი შეუწყო მოსახლეობის მიგრაციამ. თურქების, ქურთების, თურქმან-ყიზილბაშების და სხვა მომთაბარე ტომთა მასიურმა ჩამოსახლებამ შეცვალა მხარის გეოგრაფიული სახელები. ამ მხარიდან თურქეთის შიდა რეგიონებში გადასახლებულმა ქართველმა მაჰმადიანებმა „თან წაიღეს“ ქართული გეოგრაფიული სახელებიც.

მიუხედავად ამისა, დღესაც არტაანის მხარის ცალკეულ რაიონებში შემორჩენილია სოფლების ქართული სახელები. განვიხილავთ თანამედროვე არტაანის გუბერნიაში შემავალი რაიონების გეოგრაფიულ სახელებს, კერძოდ. ოიკონიმების (დასახლებული პუნქტების) სახელების წარმოშობის ზოგიერთ საკითხს. ამ რეგიონში სავსეა შემკრებლობით მუშაობას ვაწარმოებდით 1998-2000 წლებში.

თანამედროვე არტაანის გუბერნიის ოიკონიმებში გამოიყოფა მარტივი სახელები, აფიქსური წარმოშობის სახელები და რთული ტოპონიმები. მარტივი

სახელები ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან. ისინი განიცდიან ცვლილებებს და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან გეოგრაფიულ სახელთა უძველესი ისტორიის შესახებ.

თანამედროვე არტაანის გუბერნიის ქართულ ოიკონიმიაში მარტივფუძიან სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს სახელებია: აგარა, ალი, ყველი, მერე, ობოლი (ფოცხოვი), ჭალა (ჩილდირი), ჩიხორი, ველი (ხანაკი), ჯოჯორი (კოლა), კალანდარი (დამალი).



სტუმრად სელიმ არიჯის(ფუტკარაძის) ოჯახში,
სოფ. ქინჭორიფი,(არტაანი), 1999 წელი

აგარა, როგორც დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ძალიან გავრცელებულია საქართველოში. სულხან-საბას განმარტებით, აგარა არის „სადგური საზაფხულო, მთა, ნაგარევი. აგარაკი ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენახე. გინა დაბა“ (57, 36). ივანე ჯავახიშვილი აგარის მნიშვნელობას ასე განმარტავდა: „აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის ან მარტო საზაფხულო სადგომი იყო, ან სახნავ-სავენახე. რომელიც თუმცა სოფელსავით დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითო-ოროლა იქნებ ყურის მგდები ოჯახობა შეიძლება ყოფილიყო“ (113, 114).

როგორც ჩანს, აგარის მოსახლეობა თანდათან მატულობდა და ცალკე სოფლად იქცეოდა ხოლმე. დღეს საქართველოში აგარა სოფლის სახელად მრავალჯერ არის დადასტურებული. აგარა ასევე ბევრია სოფლის სახელად დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ფოცხოვის აგარა მდინარე ფოცხოვისწყლის ზემო წელშია და ჰქვია თურქული სახელი – კალეონუ.

მერე მარტივი, საზოგადო სახელია. საბას განმარტებით, მერე არის „მეედანი, სწორი ვაკე... მეედანი მეედანი სხვათა ენაა, ქართულად მერე და მინდორი და ფორე ჰქვიან“ (57, 457, 463).

ივ. ჯავახიშვილი უფრო აკონკრეტებს მერეს განმარტებებს და გამოაქვს დასკვნა, რომლის მიხედვით „მერე სწორი, ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა, მაგრამ ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდება, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს. ირკვევა, რომ ტერმინი მთელ საქართველოში გავრცელებული იყო. ამიტომაც, რომ მერე საქართველოში ბევრგან გეოგრაფიულ სახელად გვხვდება“ (113, 127, 128). მერე არის იმ სამ სოფელთან ერთ-ერთი, სადაც ვახტანგ მეფის ბრძანებით ეკლესია აუშენებიათ: „აღაშენა... სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქუაბად“ (76, 1959, გვ. 178). ფოცხოვის მერე (თურქული სახელი ჩაკირკოჩი) მდებარეობს მდინარე ფოცხოვისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ფოცხოვში მერეს სახელწოდებით ცნობილია ციხეც (მერეს ციხე/მერეყალე).

ფოცხოვ-არტაანის მხარის ოიკონიმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აფიქსებით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებს. გვხვდება როგორც სუფიქსებით, ასევე პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული ოიკონიმები. პროდუქტიულობით გამოირჩევა შემდეგი სუფიქსები: -ა, -ეთ, -ია, -ობ, იშვიათად დასტურდება – იან,- ევან, -ოვან, -ის, -ებ სუფიქსებით ნაწარმოები ოიკონიმები.

-ა სუფიქსი ერთვის სახელის ზმნურ ფუძეებს: გუგუბ-ა (ხანაკი), დუდუნ-ა (არტაანი), ზუზუნ-ა // ზურუნ-ა (ჩილდირი). მასხარ-ა//სასხარ-ა (ხანაკი), სატყეპელ-ა (ფოცხოვი). -ა სუფიქსით იწარმოება სოფლების სახელები: ბადელ-ა (ფოცხოვი) ჩადუნ-ა (ჩილდირი). შდრ. გვარსახელი ჩადუნ-ელ-ი.

სოფელი დუდუნა ქ. არტაანის აღმოსავლეთით მდებარეობს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აქ მცხოვრებთა უმრავლესობა ასპინძის სოფლებიდან – ოშორიდან და თოკიდან არიან წამოსული. აი, სოფლის ტოპონიმებიც: საქორა//საქორია, ბეზირხანა, ყიზილგუნი, შაინთფეე, ყაზანყალე, სრაცაია, ჩეგილი დათალი, ყურუ დერე, ქურა (მდ. მტკვარი).

გუგუბა სოფ. ველის აღმოსავლეთით მდებარეობს, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. მცხოვრებნი აჭარიდან და ახალციხიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებია. სოფელში არის ეკლესიის ნანგრევები. სამწუხაროდ, გუგუბელებს არ ახსოვთ ქართული ენა.

-ეთ სუფიქსით ფოცხოვ-არტაანის მხარეში იწარმოება მრავალი სოფლის სახელი: კუნძულ-ეთ-ი, ჩიხირ-ეთ-ი (არტაანი), მუზარ-ეთ-ი, აჯამ-ეთ-ი, (კოლა), თაბაქ-ეთ-ი (ფოცხოვი), ორეშ-ეთ-ი//ერუშეთი, მაჩუეთი //მაჩვ-ეთ-ი (ხანაკი), კაკაბ-ეთ-ი, თათალ-ეთ-ი, საღირ-ეთ-ი (ჩილდირი).

ჩიხირეთი ორია. ერთი მდებარეობს ქ. არტაანის აღმოსავლეთით, მეორე – სოფ. დუდუნასთან ახლოს.

-ია და -ობ სუფიქსები აწარმოებენ შემდეგი ოიკონიმების სახელებს: ჭაბორ-ია, ღვინ-ია, კაპან-ია (ფოცხოვი), იორამ-ია (კოლა), ჭინჭორ-ობ-ი (არტაანი), ფიქრ-ობ-ი (ხანაკი), ვაშლ-ობ-ი (ჩილდირი)...

არტაანის მხარეში სოფლის სახელად დასტურდება ანტროპოტოპონიმები: ვარდოსანი (ხანაკი), ქურდოსანი, ბურდოსანი (არტაანი). „თითოეული სახელის მნიშვნელობა ასეთია: ბურდოსანი, ვარდოსანი, ქურდოსანი ებ-იანი მრავლობითით იქნება: ბურდოსები, ვარდოსები, ქურდოსები. ე. ი. სიტყვა მიუთითებს ამა თუ იმ ნაკვეთის, მიწის, ჭალის, ყანის პიროვნების საკუთრებაზე“ (12^ა 154).

საკვლევი რეგიონების ტოპონიმებში ნაკლებად დასტურდება –იან, -ევან, -ოვან, -ის, -ვანა სუფიქსებით გაფორმებული ოიკონიმები: ლამ-იან-ი (ფოცხოვი), ხელ-ოვან-ი (ხანაკი), კოდ-ის-ი (ჩილდირი) ჭილ-ვანა (ფოცხოვი) და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს – შენ კომპონენტის ოიკონიმების შესახებაც. ასეთი გაფორმების სახელები საკმაო რაოდენობით გვხვდება სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გამონაკლისი არც ფოცხოვ-არტაანის მხარეა: ზურგი-შენ-ი (ფოცხოვი), ახა-შენ-ი//ახალ-შენ-ი (ხანაკი), მინდა-შენ-ი, თამარა-შენ-ი (კოლა), ქირფა-შენ-ი //ფიქრა-შენ-ი, მინდა-შენ-ი (დამალი) და ა. შ.

პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ფოცხოვ-არტაანის მხარის ოიკონიმებში საკმაოდ შეზღუდულია. პრეფიქსებად ძირითადად გვხვდება დანიშნულების სა-, იშვიათად – წინავეითარების ნა-: სა-რძევე (არტაანი), სა-იხვე, სა-კირვე (ფოცხოვი), სა-ბად-ური (ჩილდირი), სა-ბუჯ-არ-ი//სა-ბუღ-არი (არტაანი) ნა-ქალაქ-ევი (ხანაკი)...

სოფელი სარძევე შავშეთ-არტაანის ცენტრალურ გზაზე მდებარეობს. ტოპონიმის ფუძეში ვ შემდგომ გაჩენილი ჩანს. სარძევეს ახალი სახელია –სულაქიურთ.

საკვლევი რეგიონის ოიკონიმებში გაირჩევა თხზული ტოპონიმთა წარმოების ორი ჯგუფი: 1. ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, როგორებიცაა: პატარა სარძევე, დიდი სარძევე, პატარა ჭინჭორობი, დიდი ჭინჭორობი (არტაანი), თეთრიციხე (ჩილდირი), შავიციხე (კოლა), შუაწყალი (ფოცხოვი)...

2. მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: ქალისწყარო, კოდისწყარო (ფოცხოვი). ველისციხე, სინდისგომი, ფიჩხისგომი, ხევისკარი (არტაანი), ჯვარისხევი (ხანაკი), მგლისციხე, ოქროსქოთანი, წყაროსთავი (ჩილდირი).

სოფლის სახელებად დასტურდება კართანახევი (ჩილდირი), ბანარხევი // ← ბალნარხევი //← ბალნარის ხევი (ფოცხოვი).


როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ მხარეებში დასახლებულ პუნქტებს შეცვლილი აქვთ სახელები. 1927 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოუცვალა სახელები ართინისა და ყარსის (ამჟამინდელი არდაგანის) გუბერნიის ყველა ქართულ სოფელს.

სახელების შერჩევას საფუძვლად დაედო სხვადასხვა პრინციპი. სოფელთა ერთი ნაწილის სახელები პირდაპირ თარგმნეს თურქულად. ასე იქცა მგლისციხე ყურთყალედ, თეთრიციხე – აქჩაყალედ, შავიციხე – ყარაყალედ. კუნძულეთს დღეს ჰქვია ჩათალდერე, პანკისს – ტაშლი დერე, რაბათს – ილდირიმთეფე, პეტობანს – კალკანკაია, საგრელის – ჩამბელი, სათლელს – დაილაალთი, ჯაჯუნს – დოღრულარ, ფაფოლას // ფაფალოს – არმუთვერენ და სხვ.

დასტურდება თურქული ანთროპონიმული წარმომავლობის ოიკონიმები: ჰაჯიალი, ომერადა, ნებიოღლუ (არტაანი) ჰაჯიაამედ, მოლლაპასან, სანამოღლუ, ისლამყალა (კოლა), აშიხზულაალი, ემინბეი (ფოცხოვი).

ძირითადი დასკვნები

ჭოროხის აუზისა და მტკვრის ზემოწელის ისტორიული რეგიონები ის უძველესი ქართული მიწა-წყალია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ძლიერი ქართული სახელმწიფოს ფორმირების საქმეში. მაგრამ ისტორიული ბედუკუდმართობის გამო ოთხ საუკუნეზე მეტია მოქცეულია სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში. მიუხედავად ამისა, აქ დღესაც ისმის ძველი, ჭეშმარიტი ტკბილქართული, აქაურებს არ დაუკარგავს თავისთავადობა და ეროვნული თვითშეგნება. ამასვე აღნიშნავდა გაზეთი „ივერია“ ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევარში: „ჩვენდა ნუგეშად ის არის, რომ შვილები თავის თავს ქართველებად აღიარებენ. ყველამ იცის და ახსოვს, რომ ძალადობით გაუმაჰმადიანებიათ და მოუგლეჯიათ საქართველოსაგან. სადაც ძველი ეკლესიებია, პატივსა სცემენ და სანთლები მოაქვთ დასანთებათა“ (გაზ. „ივერია“, №18, 1877 წ.). ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ამ რეგიონების გეოგრაფიული ნომენკლატურის ძირითადი ფონდი წარმომავლობის მი-



თანამედროვე ტიპის იპერხეული საცხოვრებელი სახლი

ხედვით ქართულია. თუმცა თურქული ენის ზემოქმედების შედეგად შავ-შეთის. ტაოს, არტაანის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თურქულენოვანმა და თურქული ენის გზით შემოსულმა სახელებმა.

ჭოროხის აუზის მხარეების ქართული ტოპონიმური სახელები ისე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეების გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის.

ჩვენ მიერ ადგილზე 1995-2004 წლებში საველე მუშაობის დროს მოპოვებული იქნა მნიშვნელოვანი ტოპონიმური მასალა. ამ მხარეების ტოპონიმია სპეციალურად არავის უკვლევია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან აქამდე არ იყო საშუალება ადგილზე საველე მუშაობის წარმოებისათვის. დღემდე ჩვენ გვქონდა ნიკო მარის მოგზაურობის დღიური. დიდი მეცნიერი აქ XX საუკუნის დამდეგს მოგზაურობდა. მან მნიშვნელოვან ტოპონიმურ მასალას მოუყარა თავი. რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურას ვხვდებით XIX საუკუნის ქართველი და უცხოელი მეცნიერებისა და მოგზაურების შრომებში. ჩვენს პერიოდში კი განსაკუთრებულია პროფ. შ. ფუტყარაძის დეაწლი. მისი „ჩვენებურების ქართული“ ახალი ათელის წერტილია ამ ისტორიული ქართული მიწა-წყლის შესწავლის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, აქამდე არ გვქონდა ამ რეგიონის ტოპონიმური ფონდის

სრული აღწერილობა ცალკეული სოფლების მიხედვით. წინამდებარე ნაშრომა, ვფიქრობთ, ამ ნაკლის შევსების ერთ-ერთი შემაღგენელი ნაწილი იქნება.

მოპოვებულ ტოპონიმურ სახელებში გამოყოფილი გვაქვს სამი ძირითადი ჯგუფი:

1. ქართული ტოპონიმები;
2. თურქულენოვანი ტოპონიმები;
3. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები.

თავისი ადგილი მიეკუთნისო 'ხანური წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს და აგრეთვე იმ ტოპონიმებს, რომელთა სტრუქტურა და სემანტიკა გაურკვეველია.

წარმოების მიხედვით გამოიყოფა მარტივი სახელები, აფიქსებით ნაწარმოები სახელები და თხზული ტოპონიმები. პროდუქტულობით გამოირჩევა აფიქსური წარმოება. სშირად დასტურდება როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოების მაგალითები.

ოლენპრეფიქსებად გვხვდება ნა- და სა. ნა- წინაკითარების გამომხატველია, სა- დანიშნულებისა. სა- აწარმოებს მყოფადი ღროის მიმღობას საშუალი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, ნა - ნამყო ღროის მიმღობას.

გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად ხშირად გვხვდება სუფიქსები: -ა, -ია, -იან, -იენტ, -იეთ, -ეთ, -თ-ი, -ურ//-ულ, -ნარ//-ნალ, -ოვან და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით დიდია -იენტ, -იეთ და -ეთ სუფიქსებით ნაწარმოები სახელების ხვედრითი წილი. ისინი აღნიშნავენ კუთვნილება-შთამომავლობას და აწარმოებენ შტოგვარის სახელებს.

საკვლევი რეგიონების ტოპონიმიაში ხშირია გეოგრაფიულ სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. ჩვეულებრივად პრეფიქსებად გვაქვს წინაკითარების გამომხატველი ნა- და დანიშნულების სა-, რომლებიც ფუნქციით ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან. აღსანიშნავია, რომ პრეფიქს-სუფიქსური წარმოება დამახასიათებელია საკვლევი რეგიონის მიკროტოპონიმისათვის. შაკშეთში ასეთი გაფორმების მხოლოდ ერთი ოიკონიმი (სათაფლია) დადასტურდა.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიტყვათშერთებით ნაწარმოებ სახელებს, რომლებიც ჩვეულებრივ მსახლკრეს-საზღვრული სახელებია. გავრცელებულია პრეპოზიციური წყობის შემთხვევები. დასტურდება აგრეთვე სამფუძიანი, იშვიათად ოთხფუძიანი სახელები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გვაქვს სამ და მეტფუძიანი სახელები, რომელთა ყველა შემაღგენელი ელემენტი ქართულია, ყველა ელემენტი თურქულია და არის ქართული და თურქული სახელიც.


რთულ გეოგრაფიულ სახელებში თვალსაჩინო ადგილი უკავია საზღვრული ინდიკატორით გაფორმებულ სახელებს. ინდიკატორი იხმარება სხვადასხვა სიხშირით. ინდიკატორებად გვხვდება როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელი. ხშირად დასტურდება ინდიკატორები: წყარო, ყანა, ღელე, ხევი, თავი, სერი, ძირი, ნაკლებად გვხვდება: დაბა, მერე, რუ, და სხვ. ინდიკატორია როგორც გეოგრაფიული, ისე ჰიდრონიმული ტერმინი.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიასი საკმაოდ დიდია მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე გეოგრაფიული სახელების ხვედრითი წილი. დასტურდება როგორც ხე-მცენარეული, ასევე კულტურული მცენარეულისაგან მომდინარე ტოპონიმები.

ისტორიული ტაო-კლარჯეთი მეურნეობრივად დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. აქ განვითარებული იყო მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, ხელოსნობა. ეს დარგები აისახა საკვლევი რეგიონის ტოპონიმებშიც.

როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეებში ჰიდრონიმებს სპეციალური სახელი არ გააჩნიათ. ჰიდრონიმები იწოდება იმ სოფლების, მთების ან სხვა ადგილების მიხედვით, რასაც ჩამოვილის ან საიდანაც იღებს სათავეებს. რაც შეეხება ტბებს, აქ დასტურდება საკუთარი სახელის მქონე გეოგრაფიული ობიექტები (ყარაგოლი//შავი ტბა, ყიზგოლი//გოგოს ტბა და ა. შ.).

ჭოროხის აუზი ძველი ზანების (მეგრულ-ჭანების) საცხოვრისი ტერიტორიაა. ამას მოწმობს გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ზანური ენის სუბსტრატს წარმოადგენენ. დღეს აქ დასტურდება ტოპონიმები: **ოხორთი**, **ჯარგაღალი**, **ლაზინთი**, **ჭანაური**. შავშეთის სოფლის ჩაქველთას ერთ-ერთ უბანში, რომელსაც ლაზინთი ჰქვია, დღესაც სახლობენ ლაზები. საერთოდ, ზანური ენის კვალი იმერხეულ მეტყველებაშიც ნათელია.



თორთომის ციხე

ქართული ენის იმერხეული დიალექტი, რომელიც შემორჩენილია აქ და უძვირფასესი, გადარჩენილი განძია ჩვენი ბედუკულმართი ისტორიისა, ერთ-ერთი იმ დიალექტთაგანია, რომელიც ოთხ საუკუნეზე მეტია მოწყვეტილია ქართულ სალიტერატურო ენას და თავისი ინერციით განაგრძობს არსებობას. სწორედ აქაურმა ქართულმა განიცადა ყველაზე მძიმედ უცხო ენის გავლენა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

თურქული ენის გზით აქ შემოვიდა თურქული, არაბული, სპარსული სახელები. ქრონოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი რეგიონების ტოპონიმებში შეიძლება გამოვყოთ სამი ფენა: უძველესი, ძველი და ახალი.

უძველეს ფენას განეკუთვნება მარტივი სახელები და ქართულში უძველეს მაწარმოებლად მიჩნეული ფორმანტებით (-ეთ, -იეთ, -იენტ, -თა...) გაფორმებული სახელები. ძველ ფენას – ყველა სხვა დანარჩენი ქართული სუფიქსებითა და პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული სახელები.

ახალია თურქული ენის ბატონობის დროს შექმნილი გეოგრაფიული სახელები.

ქართულ-თურქულმა ენობრივმა კონტაქტმა თავი იჩინა რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში. ქართულ ტოპონიმს ჯერ გამოუჩნდა თურქული ვარიანტი ნათარგმნის სახით, შემდეგ თურქული ენის მომძლავრების გამო, გაბატონდა კიდევ. ადგილის ქართული სახელი კი დავიწყებას მიეცა და საბოლოოდ საერთოდ გაქრა.

რადგან შავშეთში იმიერ და ამიერ ტაოში, ოლთისში, სპერში, კოლა-არტანში, ფოცხოვში ქართულად აღარავენ ლაპარაკობს, რეგიონების ტოპონიმიაში მომრავლებულია თურქულენოვანი სახელები. საპირისპირო მდგომარეობაა იმერხევში, მურლულში, ზედა მაჭახელში, ბორჩხაში. სადაც ქართულ ენასთან ერთად დაცულია ქართული გეოგრაფიული სახელები და მათ გადარქმევა ან დავიწყება ჯერჯერობით არ უწერია. თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ ყველა ქართულ სოფელს ოფიციალურად გამოუცვალა სახელი და მიაკუთვნა თურქული ყიდის სახელი.

სოფელთა სახელების გადარქმევას სამი პრინციპი დაედო საფუძვლად:

1. სოფლის თურქული სახელი თითქმის პირდაპირ ნათარგმნია ქართულ-ისაგან;

2. სოფელს სახელი დაერქვა მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით;

3. სოფლის სახელად ფლორონიმები.

სუფთა თურქულენოვან ტოპონიმებში გამოყოფილი გვაქვს სამი ძირითადი ჯგუფი:

1. მარტივი სახელები;


2. სუფიქსებით ნაწარმოები სახელები;

3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები.

მეორე ჯგუფში პროდუქტულობით გამოირჩევა შემდეგი სუფიქსები: -ლარ, -გილ, -ლი, -ლიქ// -ლექ// -ლეულ, -ჯი. თხზული გეოგრაფიული სახელები მსაზღვრელ-საზღვრული სახელია, წყობა – პრეპოზიციურია. ამავე ჯგუფის სახელებში გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები:

ა) მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია, საზღვრული – ჰიდრონიმული ტერმინი;

ბ) მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია, საზღვრული კი ასახავს ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას;



აჭარული საცხოვრებელი სახლი (სოფ. თხილვანა, ხულოს რაიონი)

გ) კომპოზიტის პირველი ნაწილია არსებითი ან ზედსართავი სახელი, მეორე ნაწილი – არსებითი სახელი;

დ) მრავალფუძიანი (სამ და მეტფუძიანი) სახელები.

მსაზღვრელ-საზღვრული სახელები ერთმანეთთან დაკავშირებულია იზაფეტური წესის მიხედვით. I იზაფეტში – მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს უკავშირდება ყოველგვარი მორფოლოგიური კავშირის გარეშე. II იზაფეტში მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო საზღვ-

რულს დართული აქვს მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი -ი და III პირის კუთვნილებითი აფიქსი -სი; III იზაფეტში მსაზღვრელს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრული კი წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსით. საკვლევ რეგიონში სამივე იზაფეტის მაგალითები დასტურდება, მაგრამ უფრო ხშირია I იზაფეტის ხმარების შემთხვევები. ამ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს უკავშირდება მორფოლოგიური კავშირის გარეშე.

ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებულ სახელებში გამოყოფილი გვაქვს სამი ჯგუფი:

1. მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული – თურქული;
2. მსაზღვრელი თურქული სახელია, საზღვრული ქართული;



თხილვანელი მუჰაჯირის – სური ქაშაშიძის შვილიშვილი ნეჯათ აჯარი(ქაშაშიძე) და ნუგზარ ცეცხლაძე. 1998 წლის ნოემბერი, ფოცხოვი

3. მრავალფუძიანი ტოპონიმები, რომელთა ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს როგორც ქართული, ასევე თურქული სიტყვები.

საკვლევ რეგიონებში დასტურდება შერეული გაფორმების გეოგრაფიული სახელები. ე. ი. ტოპონიმის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც ქართული, ასევე თურქული ძირები და მაწარმოებლები. აქვე გამოიყოფა 2 ჯგუფის სახელები:

1. სახელწოდების ფუძე თურქულია, მაწარმოებელი – ქართული;
2. სახელწოდების ფუძე ქართულია, მაწარმოებელი – თურქული.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმების ანალიზი მრავალფეროვან სურათს იძლევა. საკვლევ რეგიონის ძირითადი ტოპონიმური ფონდი მაინც ქართულია და გეოგრაფიული სახელები ისე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია ქართული ტოპონიმისათვის. ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობების შედეგები შესაბამისად ასახულია რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში.

ქოროხის აუზში შემავალი ისტორიული
ძართული რეგიონების ტოპონიმური მასალები

მაჟანელი და ქოროხის სეობა (ძირნათი, მარადილი)

სოფ. აპრია⁸⁵ (Uğur köyü): ახალგზა, ბორბალათი, გალდო, გოგავრა, გოჩია, გუბათი, გუდაბნო, დევთობანი, დიდლეუ, ვაშლიქედი, ველი, ზვარე//ზუარე, კივირაქილდე, კორდა, მელასათიბი, მომდრეკილა, ნაახვევი, ნადარბაზევი, ნანინო, ნაჭიშკრევი, ოთხზიარი პირდაპირი, სასვეტია, საპწი-
ალაქედი, სმონეთი//სიმონეთი, სურიანი, უსეინალილეუ, უკანეტყე, წაპტო, ჭიდილი//ჩიდილი, ჭივითა, ჭურიპირა, ჯილკუვაკიანი...

სოფ. აჭარის ალმართი//ალმართი: აბესლამიძეები სოფლ. უბანი, ალი-
ბეგიაკე სათესი, აჩხოილა საძ., მთა, ახალთა ტყე, ბარდნალი, ბალვანითაფი, ბევრეულა ტყეები, ბიძაყანა სათესი, ბოსტანა მთა, ბუბუნას ვაკე ტყე, ბლა-
ნეულა სახნ., გადასაქციელი გზა, გვალყანა სათესი, ტყე, გორაქედი სოფლ. უბანი, გორგაძიელი ტყე, გომპარეთი სოფლ. უბანი, გრეხილა, გრძელი ყანა სათესები, დიდვაკე, დიდვანი ქეები ტყეები, დიდლეუ ღელე, დიდმამულა სათესი, დილმიანი ტყე, დოლოგნიმინდორი, დოლოგნივაკე სათესები, დუნგა საძ., ვაკე, სოფლ. უბანი, ვაკეყანა, ზრუგენა სათესები, თხილები ტყე, იაი-
ლივაკე სათესი. იფთხნარიკუდილეუ ღელე, ტყე, კაპანათაღელე ღელე, კაპ-
ანთხევი სათესი, კაპანი სოფლ. უბანი, კვადავი, კვირიკავლი ტყეები, კო-
რნალიქედი ქედი. ტყე, კალოქედი სოფლ. უბანი, ლოლები ტყე, მაჭარნალი, მელავი სათესები. მერე ტყე, მინდორი, ჩაის პლანტ., მიღმა ყანა სათესი, მორთულაძიები სოფლ. უბანი, მოფლატული ტყე, ნავანევი, ნაიცალევი სო-
ფლ. უბნები, ნალიკარი სათესი, ნამწვარი ქედი, ნასახლევი ტყეები, ნას-
ელვარი ქედი სათესი, ნასკვიმერე სოფლ. უბანი, ნაფეტვარა, ნაქურთვალა ტყეები, ნალომვარი სათესი, ნაპურვალი. ნახანძრევი ტყეები, ნაჯკლევი საძ., ნუკრავი ტყე, რაბათი სოფლ. უბანი, საბილანცრო, სადგომიანი ტყეები, სათიბი სათ., სამოცია, სამძივი, სანისლია ტყეები, სარტყელა სათესი, სარ-
ცხელა საძ., სასვენის სათ., სასირე ტყე, საძ., საფერვანა სათესი, საცრიქედი ტყე, საწნახელი სათ., ტყე საჭიკარტე სათესი, სკურდიდი სოფლ. უბანი, სხლიანი სხეფეთყანა ტყეები, უზუნმემედი ტყე, ტყემლიანი ხეხილის ბაღი, ფარტენაძიები სოფლ. უბანი, ფიდნები სათესი, ქედქედიტყე ტყე, ქვაბისთავი სათესი, ქვედა ცხემლარა, ქლიავნარიქედი სოფლ. უბნები, ქუშინარა სათ., სოფლ. უბანი, ქუცუბანი ტყე, ყადიბოლო, ყონდაღაყანა, ყურიბოლო ტყეები, ყურწითელაქედი საძ., ჩავარდნილი სათესი. ჩალეწილი ტყე, სათესი, ჩინჩალ-
ევი ტყე, ჩიდილა სოფლ. უბანი, ჩიტოყანა სათესი, ჩქუნი საძ., ცივწყალი სათესი, ციცალა სათ., ძლევი საძ., ტყე, წაბნარა ტყე, წაბუცებული სათესი,

წითელქედი ქედი. წვეთურა. წიფნარი ტყეები. წისქვილიკარი ტყე. სათესი. ჭახილიყანა სათესი. ჭურათი ტყე. ხამიყანა სათესი. ხეჩელა სირთი ტყე. ქედი. ხერხა ტყე. ხორგი საძ., ხორგნალი. ხუშუტავაკე სათესები. ჯამიკარი საძ., ჯამისთავი სათესი...

სოფ. ეფერაბი (Efer Köyü: აეჯანდა, აკვანაი, ამოდენაი, ბაგათივაკე, ბარაჯგინავი, ბუმბულიქედი, ბრანზაი, გადასავალი, გამოხეთქილი, გაჭრილი ყაია, გირგოლავი, გოლამინდორაი, გორგითი, დაბელთური, დამზირათი, დიდქედი, დიდაკვანაი, დიდგობელი, დიქიანი წყალი, დოკონი, ეწრიანვაკე, ვასიეთი, ვაშლიანი ქედი, ზედა დამზირათი, ზედა ფუნდარი, ზიარეთისირთი, თავქალვაი, თაველე, თეთრიწყალი, თერიას ვაკე, იათალივაკე, კაიბოლეთი, კაკალური, კოკოს ყანა, კორტოხი, ლამაზი ყანა, მისიანკორის ძირი, მოკორვილა//მოყორვილაი ნაბოსტნევი, ნაბელავი, ნავანევი, ნანალევი, ნასაფენავი, ნატბევი, ნაფლატიანი, ნაფურვალი, ნაქალაქევი, ნაქილისავი, ნაჩადირევი, პატარა ვაკე, სათიხე, სათელეაი, სასვენე, სასკივრე, საყონდრე//ნანალევისთავი, საჩავრე სანაყი, საწურავაი, საძათი ღელე//სახხატი ღელე, საიმეს სირთი, საკიკრალო, სარანჩხუნაი, სისხლიანი ყაია, სკილენჯეთი, სვეტიანი ღელე, სუვანაი, სუპატრიაი, ტრედავი, უსქული//ურწყული, ფოტორო, ფუნდული, ქვენარაი, ქვათალეთი, ქვაკაცივაკე, შრატაი, ჩივთლიღი-ღელე, ჩიქუნეთითა, ჩორდაელი, ჩორიკალავი, წუთხე ღარდო, ხარკაბაელი, ხედიღი, ჯანჯვალევი, ჯინჯვანე, ჰეპრენჯი...

სოფ. ზადა ჩხუტუნაში: აბანოქედი, ანჯორიკას ვაკე, აჩხორილა, ახოთი-ვაკე ტყეები. ახოთიღელე ღელე. ბაზიარეთი სათესი. ბარდაღვაკე ტყე. ბაქე-ვლა სათესი. გვიანეთი სოფლ. უბანი. გზიპირი ტყე. გოხინავრი სათესი. გუგულათი საძ., დავითეთი სოფლ. უბანი, დობირო. დუბიანი სათესები. ეწრიანვაკე. ეწრიანქედი ტყეები. ვაკითავი საძ., ტყე. ზვარია სათესი. ზედა ვაკე. თავგავრა კაპანთა ტყეები. კახიეთი სოფლ. უბანი. კეფერათა სათესი. კილდიკიკინა, კილდიძირი. კორნალი ტყეები. კორტოხათი სათესი, ღოღი სათესი. მამლიყანა ტყე. მერე სათესი. მერკულეთი. მოხეთქილი, ნაგერვეთი სოფლის უბნები. ნასაფენავი ტყე. ნასელვარი სათესი. ნანალევი ტყე. ნაპურვ-ალი სათესი. ნაფეტვარა საძ., ოთხწიფლიანი, ოჭკრიალა ვაკე ტყეები. პეტრივი სათესი. საბილანცო ტყე. სათიბე სათესი, სათაო ტყე. სამზიარი, სამწიფლიანი საძ., ტყე. საფუტკრეთი სოფლ. უბანი. საქათმიქედი სათესი. საყავრია საჩორჩხე. საჭინკურია, სამქერსლე. ტარხენი. უსტაალიყანა ტყე-ები. ფონიკილდე სათესი. ქუცუბანი ტყე. ღელიბოლო სათესი. შიმშილახევი ტყე. ჩივთლიღელე ღელე. ჩირდილა საძ., ჩაის პლანტ. ჩხერი ტყე. ცაცხე-ებივაკე ტყე. ცხადიეთი. ძნელაძეები. ძნელიეთქედი სოფლის უბნები. ძნელ-ეთა ტყე. წითელმიწა სათესი. წორეღელე ღელე. ჭედლივრა//ჭედლივი ტყე.

ჯანავერა სათესი. ჯამი გაღმა ჩაის პლანტ., ჯებნევილელე ღელე, ზვართქლი-ანი ქელი ტყე. ქელი...

სოფ. ზემლვაკამ (Duzenli köyü): აღიანთი, ბარასკურეთი, ბახმავერო, გვალყ-ანა, გელატყე, გოხინავერი, გუნდილელე, დათვატყე, დიდლელე, ვარდაწყარო, ვასიეთი, ზვართთავეი, თხინარა, ლოდიანთი, მალრისინი, მელაღნარი, ნაფასე-ვი, ნაფეტვარი, ნალომვარი, ოხორათი, ოჯაგვი, საითური, სამანი, სამალევი, სანდავერი, სახალია, სურვანა, უქევიკავე, ურთხლისუკან, უხვითავეი, ფიქალთი, ქათამო, ქობათლუმი, ქოდაველიანთი, ქორღები, ქოშიფიანთი, შავლიეთი, წყავყანა, წყარო, ხელიმანთი, ხორგიანი, ჯაფარეთი, ჯურა, ჰაჯიანთი...

სოფ. მინლიეთი (Maral köyü): ბალიქელი, გივიეთი, გოგორტყე, დევაკ-რიქელი, დიდტყე, დიდი ქლა, ვაკედელი, ზემზჰარე/ზემზვარე, ზემტისი, ზექ-ალეთი, თელავნარი, ირემეთი, კავთი, კავნარი, კონკალათი, მერეთა, მერეთ-ისირთი, ნაოლავი, ნაციხარი, ნაჯომვარიქელი//ნაცომვარიქელი, ნაარხვევი, ოსანეთი, საწუმპი, ტომბოსხური, ფაფართი, ქავთარეთი, ქორთანეთი, ქელ-ასთავეი, ქუდიანიგოლი//კუდიანიგოლი, ყიბლისირთი, ცეცხლიეთი, ციმნარეთი, ციხიანი, წითლობი, ჭრეველიქელი, ხევილელე...

სოფ. სინლიეთი: ბალვანა სოფლ. უბანი. ბულულელე ღელე, გულიავი, დიდყანა, ზედვაკე სათესები. ზენგინოლღები სოფლ. უბანი. თავარანგელოზი მთა. ტყე. კაკალავი სათესი, ლაბათი სათ., ლობიაჯოღლიყანა სათესი, მალა-რიკარი ტყე. ნაბელღავი, ნალომვარი, ნაციხვარი, ნატბევი, სატური, საწ-ნახელი, საჭიკარტე, სიკონტრიკაპი, სულიბეგეკალო სათესები, სურიანქვა საძ. ტაბანი სოფლ. უბანი. ტოხიეთი, ტურიბულე სათესები, ქვაბნარა ტყე, შიმშიანი ქელი საძ. ჩალეწილი, ჩირდილა, ყაიათავეი, ყაიაძირი სათესები, ყულე სოფლ. უბანი. ჯვარქელა სათესი...

სოფ. მინლიეთი: ბარღნალი ტყე. ბელღები სათესი. ბოდღვერადელე ღელე-ბოდღვერა ტყე. დევაკვრას ღელე ღელე. დევაკვი. დეფანეთური სათიბი, ვაკე სოფლ. უბანი. ვაკეყანა. თელაძირი სათესები. კეცოპლაკე ტყე, კილღიხვაი. კორღი, კონტოხი, მადენისთავეი სათესები. მარჯანევი ტყე. მაჭახელი მდ., მაჭახელჰესი ჰესი. მეგრელავი, ნაოჩვარი. ნაშენი სათესები. ნასხლეტიღელე ღელე. ნაფლატაი საძ., ომერაკალო, ოჯაბურა სათესები, ოჯაბურადელე ღელე. პლაკიანი სათესი, პირსაბანღელე ღელე. საკოხია სათესი, სარახია ტყე. სახვეწელი საძ., ტყე. ქვასასვენი ჩაის პლანტ., ქელი სოფლ. უბანი. ყორნალი, ყულღიკარი სათესები. შარა სოფლ. უბანი, ჩირღილი ტყე, ჩი-რღილიღელე ღელე. ცეცხლავრი სათესი. წყავყანა ტყე. ჯიღბახური სათესი. ტყე. ჯირეღნალი ტყე...

სოფ. ყაპარისთავი (Kayalar köyü): ავაზანი, აღიაყანა, ამოდენაი, აკვანაი, არყიანიქელი, ახალთა, ბოგილქელი, გასაყარი, გაღმა წყალი, გზელანანქერაი,

გობი, გულახმედყანა, გუნდარაული, დაბალყელი, დამპალწყარო, დამწვარი, დამწვარმალარა, დაბალყელი, დიდგუნდურაი, დიდლეღე, დიდლეღითავი, დიდღართო, ვაკიები, ვაკენთი, ვაშლის ძირი, ზრუგაი, თაქუსვერი, თელე-
ენარი, თომბოსხური, თომავერი, თურულითავი, თხინალვაკე, თხინალიყური, თხმელნარი, იარმელიქედი, ინაწმივდა/// ინაწმინდა, კამიები, კანჯარაული, კუვათალეთიღელღე// ქვათალეთიღელღე, კუნდუხაი, ლამაზყანა, ლეკობანი, ლეკობანითა//ლეკობანიმთა, ლოდივაკე, მალალყანითავი, მიღმა წყალი, მოლ-
ისანი, მორსნალიქედი, ნაბელღავიქედი, ნაბოლქვარი, ნაგომვარი, ნაკორღალი, ნასელვარი, ნაქილისვარი, ნაფეტვარი, ნაჭარხლევი, ნაჭიშკრევი, ნახორავი, ნაჯომვარი, ოდიქედი//ჯირეკნალიქედი, ოქროწყალი, პაწაი ღელღე, სადიკე-
აკე, საკასრიავაკე, საკუპრიაღელღე, სალოცავიღელღე, სამპრასელარღო, სახუნდარი, სახუნდარისთავი, ტურული//თურული, ტიტველსირთი, უემურაი, უქვი//უყვი, ფახუნავი, ფლაკიანი, ფოტორო, ქათამო, ქავთაროთავი, ქალდუ-
რმები, ქალინდერე, ქერჩხოქედი, ქვიღარა, ქილლითავები, ქილლითავი, ქუქედა ქვაბითავი, ქუჩუქ იათალი, ყელობა, ყოროღავი, ყურუხიდი, ყურღარო, შხამი-
ანი ვაკე, შუა გორაი, ჩარჩხალაღელღე, ჩაშნარი სირთი, ჩივთმაგარი, ჩხერი, ჩხუტუნარები, ცივი წყალი, ცივწყლები, ცივწყარო, ძმერხლიანვაკე, წაბ-
ლიანვაკე, წითელქედი, წითელყაია, წითლობი, ჭერითავი...

სოფ. აქველა ჩხუტუნაითი: აგარათავი ტყე. ალიბას ნაღები სათ.. ბად-
უყვეთი სოფლ. უბანი, ბარღნალი ტყე, ბულნარი ტყე, ბურღნალა სამ.. დავი-
თეთი სოფლ. უბანი, დიღმიანღარღო ტყე, თოვლივაკე სამ.. კეჟერეთა სოფ.
უბანი. კინტურეთი სათესი, კილღიანი სამ.. კიკოწყარო სამ.. კოსტანეთი
სოფ. უბანი, კორნალი. კუნჭული ტყეები, ლუმბათი სათესი, მადენები სამ..
მაზარეღელა/მაზარევი სათესი, მეღელღადღიშვიღებისღელღე ღელღე, ნაბელღავი
სამ.. ნაბოსტნევი სათესი, ნასახლევი სამ.. ნაფაცხევი, ნაფურნევი ტყეები,
ნაქალაქევი სათ.. ნაღვარევი ღელღე, ნაქილისავი სოფლ. უბანი, ორთავნაძირი
სამ.. საბრაგუნა დასახ. უბანი, სამმარყანა, სამზიარი ტყეები, სამზიარიღელღე
ღელღე, სათარ, სასუქეთი, საპობი ტყეები, საცივი სათესი, საძიღღიანი სამ.,
სამმერხლე ტყე, ტალახური სათესი, უყვი ტყე, ფერიანი ღელღე ღელღე,
ფიქლობი ტყე, ქაჩალა სოფლ. უბანი, ქვაკიბე, ქორისათი ტყეები, ყალითავი
ნაეკლ, კლღე, ჩაიღული სათ.. ჩაკაკული ტყე, ჩივთიღელღე ღელღე, ჩხვენარი
სათესი, ცაცხვებივაკე ტყე, ციღნათელა სათესი, ციღნათელასბოლო ტყე,
ცხემღიან ქედი სათესი, ქედი, წაბნარი ტყე, წისქვიღიხევი ღელღე, წუ-
რღიღიანი გოღი სამ., ტბა, წყანარი ტყე, ჭაბუკაური, ჯალაბაური, ჯარყ-
ალევი ტყეები...

სოფ. შოქოღეთი: აჭარის გზები, ბაგათი სათიბები, ბაგა, ბარღნალი ტყე-
ები, ბაბლუცავი სამ., გორგოშაღელღე ღელღე, გაღმა ქოქოღეთი სოფლ. უბანი,
ღოღაბეთი სამ., ღორღიუხაქედი ტყე, ეწრიანი ვაკე სათ., ერღო ჩაიღ ჩაიღ

პლანტ., თიკრათავი, იაილიკარი სათესები, ინჯასქელი ტყე, კარცხატიანი სათ., კოტამეხა საძ., კვერცხიკაკალო ტყე, კომსიერი, კურპანი სათესები, მალაქელი ქელი. მოლოქნარა, მონოცა სათესები, ნაბელლავი ტყე, ნაბოსტნევი, ნათანგლევი სათესები, ნასელვარი, ნაკაფი, ნაფოსვარი, ნაქერვალი ტყეები. ოთხზიარი სათესი, ორცულავაკე ტყე, საკოხია საძ., სათიხელელე ღელე, სანახვეროქელი, საყორნია, საწაბლოქელი, სამქერხლე ტყეები, საჯანაპირი სათესი, სიკალეთი სოფლ. უბანი, ურთხვიანი ტყე, ქველა ბილინცარო, ქვიტიერი სათესები, ქოქოლეთისღელე ღელე, შეფენილი საძ., ჩამახიშური//ჩამახისური სათესი, ჩამახიშურის ხიდი ხიდი, ჩამპალი საძ., ცაცხვარი. ცივწყაროთავი, ციხიგოდორა ტყეები. წისქვილიღელე ღელე, წყალწინა სათესი. ხმელღელე ღელე...

სოფ. ნიქუნეთი: აბანო ჩაის პლანტ., აღიაქელი სათესი, ბაბლუცავი, ბარღნალი ტყეები. ბასილეთი სოფლ. უბანი, ბერიყანა ტყე, ბეიზარი, ბოლაზი, ბოგილი სათესები. გათხრილი, გვალი ტყეები. გოგანეთი სათესი, გორიეთი სოფლ. უბანი. დიდღელე ღელე. დიდსასვენუკანა, დოკონი სამოვრები, ვაკითავი, ველა სათესები. ველას სირთი, ზელა ვაკე ტყეები, თავდიეთი სოფლ. უბანი. თავდიეთიღელე ღელე. თუფანაკალო დასახლ. უბანი, თერციხანა, იელი, კაპნები, კილდე სათესები. კიდე ტყე. კირკიტეთი სოფლ. უბანი, კოკოწყარო ტყე, კონცხა სოფლ. უბანი. კოპტანური ჩაის პლანტ.. კორდები საძ., კორდი სათესი. კორდითავი ტყე, კორნალი, ლორტო, ტყეები, მამული სათესი. მოყორვილაი ვენ. მადენითავი საძ.. მელაბოლი თხილნ., მერე საძ., მერე სოფლ. უბანი. მოლაისმეილიყანა ტყე. ნაასლევი სათესი, ნაბალევი ტყე, ნადირავლი ჩაის პლანტ.. ნაკანაფევი, ნასელვარი, ნაპუნვარი, ნაქერალი, ნაშენი. სათესები, ნაძვინარა, ონაგირა, პატარა ვაკე ტყეები. პატარა ღელე ღელე. საკოხია სათესი. სამზიარი, სამარქვლე ტყეები. სასვენი გზა, საყნიძირი სათესი. საძიძგლიგვერდა ვენ.. საწუმპი სათესი. საჭკიტე ღელე ღელე, სხლიანი ჩაის პლანტ.. ტაშავი საძ.. ტოკანას ჩხერი ჩანჩქ., ფოტორო ტყე. ქვაბისკარა სათესი, ქვაწინწყვილა საძ.. ღურბლანა, ჩახრაკა, ჩიდილა სათესები, ჩხერთავები ტყე, ციცილეთი დასახლ. უბანი. ძაღლისახრჩობელა ჩანჩქ.. წყამნარა ტყე. წითელმიწა ბუჩქნ.. წისქვილიღმართი. წისქვილიკარი სათესები. წოწოქელი ტყე. ჭუმბავრი, ჭყვინტური სათესები, ხარნაყანევი ტყე, ხიდითავი საძ., ხინკილეთი სოფლ. უბანი. ჯვარიღელე ღელე, ჯინჭვანი სათესი, ჰაჯიაყანა ტყე...

სოფ. ჭანძარი: აბანოღელე ღელე, ავჯიოღლევის ბაღჩა ნამოსახლ.. ახოთავი ტყე, გუბისთავი ხეს., ბაღი. დართავი სათესი, ველყანა საძ., ზემო კალო, კოსნოპი, მერჯანას ბაღჩა. სათესები. ნაბელლავი ტყე, ნაბოსტნევი, ნაპურვალი, ნამოხვარი სათესები, ნამოხვარის ღელე ღელე, ნასახლევი ჩაის პლანტ., ნაფეტვარი, ნაჭვავარი ბუჩქნარები. ნიგვზიანი, ნურიაკალო სათეს-

ები. ორბაძეთი ჩაის პლანტ., ოსმანაყანა ტყე, პაჩვავი ჩაის პლანტ., საკოხია, სამხლე სათესები, სასირე ტყე, საცრიქელი სათესი, საწნახელი ტყე, ფერდათი სათესი, ყრუღელე ღელე, შაქირაბაღჩა, ჩამოწყვეტილი ჩაის პლანტაციები. ჩამოწყვეტილის ღელე ღელე, ჩხერისთავი ტყე, ჩანჩქ., ცივწყარო ტყე, ჭენჭები სათესი, ჯამისკარი სასაფლაო...

სოფ. ხერთვისი (Camili Köyü): თევითი, მალყითი, სისვარეთი, ქვაბისური, ქულე, წისქვილნარაი...

კირნათი, მარაღილი

სოფ. კირნათი: აბანვა სოფლ. უბანი, ადა სამ., აკვანთა ტყე, ატობანა სათესი. ბარდნალა, ბევზეთი ტყეები, ბზაკისღელე ღელე. ბლესინი სათესი, ბერისახრჩობი ტყე, ბენდელივაკე სათესი, გასაბიჯელაი გზა, გვარას ციხე/თამარის ციხე ნაციხ., გვარიქელი ვენ., ქელი, გაჭრილი ქელი სოფლ. უბანი. გოგვებიკალო, გომთხვეი ტყეები, გოგორიქელი//გოგოლიქელი სათესი, დაბლა ვაკე. დიდქელი ტყეები, დობირო სათესი, ეკალავრი//ეკალავი ტყე, ეკალავრისღელე ღელე. ვაკე სოფლ. უბანი, ვაკესერმია, ვაციქელი სათესები, ვაშლიძირი ტყე. ველა სათესი, ველას წყარო წყარო. ველასღელე ღელე, ვენახნარა სათესი. ზეგანი, ზედა ნახვევი ტყეები. ზედა კირნათი სოფლ. უბანი. ზემობანი ნასოფლ.. თოდორავი სათესი, თოთოვი//თოთოვრი ტყე, თოთოვისწყალი//თავგუბე ღელე. ტყე, თოთოვრიქელი ქელი, ტყე, თორდანავი ტყე. იქეთ უბანი ნამოსახლ.. კალოპირი, კაპანათი, კერკეტი, კვერხია, კილდიძირი ტყეები. კობალეთი სოფ., კუხმუნჯა, ლაფნარა ტყეები. ლაფნარასღელე ღელე, ლეშტიეთი, მანანათი სათესები. მალლა ვაკე, მალრიკარი ტყეები. მელავი ხეხ. ბალი, მელყურძენა, მიღმა ყანა, მთავარანგელო, მოლაბეგიკარი ტყეები. მუსლულიკარი სოფლ. უბანი, მუხნართავი, ნახვევი, ნაბაკევი, ნაბოსლავი, ნაბელლავი ტყეები. ნაგომვარი დასახ. უბანი. ნაღარბაზევი სათესი, ნაეკლესავი ტყე, ნაკირნათევი სოფლ. უბანი, ნალობიევი, ნამოლეთავი ჩაის პლანტაციები, ნაოჩვარი, ნახხეთი-ტყეები, ნახახლევი სათესი. ნაფლატი, ნაფაცხევი//ნაფაცხარი, ნაქილისავი, ნალომვარი, ნაშენი, ნაციხვარი, ნაჭიშკრევი ტყეები, ნეფიწყარო წყარო, ოლითავი სათესი. ონაგირა ტყე, ოღლაური ნასოფლ. ოღლაევივაკე სათესი, ოღლაურის ნაციხვარი ნაციხ.. პლაკნარა, რაგატკა//ისაყეფენდის ვაკე, რუთავი, საბუდარი ტყეები, სალიბე წყარო, სანიწყალი წყარო, სამელი სათესი. სამგლიათი ტყე, სამკორდია ბუჩქნ.. სასულთობო სოფლ. უბანი, საქორია ტყე, საფერიანი, საფანელა სათესები. საყდარი, სამირველა, სამიგველაქელი//სამიგველიქელი, საჭინკია ტყეები, საჭიკარტე სოფლ. უბანი, საჭინკიას ღელე ღელე, საზვავი,

სხუანა, ტურავი, ტურიბუდე, ტყემლიძირი სათესები, უსტიქედი ქედი, დასახლ. უბანი, უყვიფორნალი ტყე, უდეღტეხილი სათესი, ფაცხიკარი დასახლ. უბანი, ფოტური ჩაის პლანტ., ფოშტიდელე დელე, ფურუნიკარი ბურქნ., ქვაბშვანი სოფლ. უბანი, ქვედა ნახვევი ტყე, ქედბოსტანი, ქეციმერა სათესები. ქეციმერას დელე დელე, ქოთანავი სათესი, ღარღალა//ღარღალ-აღელე დელე, ყალიძირი ტყე, ყალე ნაცის., ყარაღიაღვილი, ყოღჩაღმართი სათესები, შავტყე, შავყანა ტყეები, შუშანეთი სოფ., ჩიმაგავრი სათესი, ჩიმაგავრიდელე დელე, ჩირდილაი ჩაის პლანტ. ჩირდილი ტყე, ცინცამეთი სათესი, ცხენიხორცა. წაბნარი//წაბლნარი ტყეები, წაბნარი სოფლ. უბანი, წვერსიქედი//წვერსიქეთი, წითელაური ტყეები, წისქვილიკარი დელე, წყავიძირი ტყე, ჭანიყვაი ბურქნ., ჭიბაკური სათესი, ჭიბაკურისდელე დელე, ჭოროხი მდ.. ჭურთა, ხარდი, ხეროღმა ტყეები. ხორხა ჩაის პლანტ., ხუნდურათი. ხუცუბანი ტყეები, ჯამეკარი ტყე, ჯინჯარავლი//ჯინჯარავი სოფლ. უბანი, ჯიხოღლები, ჯონჭო სათესები...

სოფლ. მარაღიმი: აიშეყანა ტყე, ანზორას დელე დელე, აქეთაი ორპირი. აქეთაი ღრემში, აღრები, ბარდნალა ტყეები, ბეღლიკარი, ბოღნარი სათესები, ბუმბულიქედი, გამტკიცული, გაღმა გეფინერი ტყეები, გეზენი, დავალი მოზენია სათესები, დათვისაყენი ტყე, დათვისაყენიდელე დელე, დამპალწყალი ჩაის პლანტ., დიბეყანა სათესი. დიდმანიძეს დელე დელე, დობერადიდის დელე, დობიადიდი. ეწერი ტყეები. ეწერიყანა, ვაკე სათესები, ვენახნარი, ვაშლიძირი ტყეები. ზიბლიანი, თოდრიეთი ჩაის პლანტაციები, ირიქა, იქითაი დათვისაყენი. იქითაი ორპირი, ინჯინარი ტყეები. კაპანი სათესი. კალავეთი ვენ.. კაზანჩი ტყე. კვირიკეთი სათესი. კორითავი ტყე, კორნალი//ყორნალი სათესი. კოფმიში, კუკუნდიბე, ლესპარა, ტყეები, ლიმურეთი, ლო-ლები ჩაის პლანტაციები, ლომანაკეთი დასახლ. უბანი, ლონკროფეთი, მამუდას ყანა ტყეები. მირვეთის ვაკე სათესი, მოზენია ტყე. სათ., ნაგერვაძე ნამასკლავეთი ჩაის პლანტაციები. ნაორმევი ტყე. ნაოჯაღვარი//თანთოღლისოჯაღი, ნაფლატი. ნაფოცხვარიქედი სათესები, ნაქილისვარი ტყე, ნაჯამიევი სოფლ. ცენტრი, ობრეთი. ოთხზიარი ჩაის პლანტაციები, ოთხზიარიდელე დელე, ონჩომეთი სოფლ. უბანი, ორპირი ტყე. სათარი საძ., სათრისთავი სათესი, სათხე, სადაო ტყეები. საითაძირი სათესი, სკელე სოფლ. უბანი. სარჩხეთი ტყე. სასაზღვრო ტყე. სასახლეთი სოფლ. უბანი, სასვენი წყარო, საყდარი სათესი, საჯინჭრეთი, სინგურთი//სასინგურე ტყეები. სოხახი სოფლ. უბანი, სოხახიდელე დელე, სხალიარჩვეთი სათესი, სხალკეხიანანი, ტურიფოქი, ტყედიდი ტყეები, ტყედიდისდელე დელე, ტყემლიძირი სათესი, ტყე. უკუხულეთი სათესი. უფაქგუბელი ტყე. ფანჩვეთი სოფლ. უბანი. ფემფეს მოზენია ნამოსახლ. ქვაბიში, ქვაბურგი, ქვაპლაკია, ქვითავი ტყეები, ქედი სოფლ. უბანი. ქეშანი ტყე. ქეციქეთი სათესები,

//ნაკურევი. ნაფლატი საძ., ნიქართ თაში//ფიქალთ თაში კლდე, პარახტლარ, პოლუხლი სუდუ წყაროები, რისთავი//რუსთავი სათიბი, საგულე, სათხეთი სოფლ. უბანი, სალი, საქუთი, სელაანთ იაილები, სულეიმან სირთი, ფოის-ანთ სოფლ. უბნები. ქაფქარ, ქირაზლი დერე მდ., ქოთი მეჭელე, ქოჩაგილ ქუსარა, ღალვანე. ღომელთი, ყაიაგილ, შექერლი, ჭოთხევი სოფლ. უბნები.

სოფ. ოპიზა//Bağcılar köyü (კლარჯეთი)

ადამოლ დერესი, აკინე სუდუ მდინარეები, ასმაურ გზა, არშუალთ ბოლაზი, ბაირან თეფე მთა, დეგირმან ტაში, დიდიკაცო, ზინაური, თავდუდუ, იელეპი, ლურჯა საძ., ლურჯა დერესი ღელე, მახათა მთა, მანთისხევი ნაეკლ., მოზგერეთი, მუშავრო, სავლუკეთი, სამყურიათი წყარო, სისვეთი, ფირინშლუხ სოფლ. უბანი, ქეთქეთინ სირთი, ქუსლა საძ., ქუსლა სირთი, ყოლთიხევი სოფლ. უბნები. შექემდერე, ჩობანდუზი, წოწოლა, ხაჩინ ტაში, მთები...

სოფ. ტავთი//Cevizli köyü(შავშეთი)

აზრაზ სათესი, ასნივეურ ყიშლა, აღზნელა სათიბი, წყარო, აღანაგილ სოფლ. უბანი, აღმა-დაღმა ყიშლა, აშალი-იოხარი სათესი, ბადაჩიგილ მაჰალე სოფლ. უბანი, ბადაჩი ჩაირ სათიბი, ბაირ თარლარ სათესი, ბეგგილინ მაჰალე სათიბი. ბირილ ტყე, ბოლა გრლი ტბა, ბუდუქ დუზ საძ., ბუდუქ ქუქნერ ტყე. ბუმარხევი სათ., ბუჩიგილ სოფლ. უბანი, გორამოვლა საძ., გემალმას მაჰალესი სოფლ. უბანი, დადათბა საძ., დევე გრლ ტბა, დელიოთლულ საძ., დერე ღელე. დერემაჰალესინინ დერესი ღელე, დერე ჩაირ სათ., დერმან სუდ წყარო, ედეჰემგილ მაჰალე სოფლ. უბანი, ეთერგილ სოფლ. უბანი, ზედვეკა სათესი, ზიადოლულლარ მაჰალესი, თანთო სათესი, თეგერალლიქ გზა, თერ-ძინგილინ მაჰალე სოფლ. უბანი, თურუდოლლან ჩაირ სათიბი, თურუთლარ სოფლ. უბანი, თღნარ, თხინაღელე იმერეყა სათესები, იორამგილ სოფლ. უბანი, იოხარი ჩაირ სათ., კენჭიანი მთა, კიკივეური კილდიკარათ სათესები, კორდიბაღჩა ბოსტანი. კოხური საძ., კუდათი ტყე, კუსხათინ გრლი ტბა. მამოგილ სოფლ. უბანი, მუხანინ გრლი ტბა, ნაბიკორთ ტყე, ნაბოსკი ჩაირ. ნაბოსლევე სათიბები, ნადირგილ სოფლ. უბანი, ნაინახორ სათესი, ნაყალევი ტყე. ნიქაბეზე სათესი, ორმანები საძ., ოროქ საძ., ოსყალ სათესი, პატერეკა სათ., რათამ მოლლა საძ., რუთავი სათესი, სალასიეთ საძ., სამაჩოთი ყიშლა, ტყე, სანაჯბო სათესი, სანზერთევე სათ., საქიოდლარუნ მაჰალესი სოფლ. უბანი. საყვერა ტყე. საძ., სირთარლა საოესი, სოგუთ ტყე, სულენ

ქიბაროღლის ვაკე. ქიბაროღლის ნასახლევი ტყეები, ქუთურეთი სოფლ. უბანი. ქუშალა ჩაის პლანტ., ღლუფუნაღელე ღელე, ღორინათხარი, ღრეში ტყეები. ღრეშიღელე ღელე. ყარაბაში მთა. ქედი. ტყე. ყორნალი სათესი, ყორნალისღელე ღელე. შავტბა//შავტბა გუბეები. შავყანა, შეითანბაში, ჩიდილა, ცარა ტყეები. ცივწყარო წყარო. ძაბლავეთი სოფლ. უბანი, წაბნარი ტყე. წისქვილიყარი სათესი. წიფნარი. წყანარი ტყეები. ჭანჭახი სათესი, ჭანჭახიღელე ღელე. ჭალიბოლო ჩაის პლანტ. ჭიბაკური ტყე. ჭიბაკურისღელე ღელე ჭოდნარა სათესი. ხოფერა ნაკრძ...

სოფლ. მაჭახლისპირი: ბზვანა ტყე. გომი საძ. დედალიყვათი დასახლ. უბანი. ზაქორია ტყე. ზედა ვაკე საძ. ზედა მაჭახლისპირი სოფლ. უბანი, ზექედი სათესი. თხილნარა ტყე. სათესი. ლომავრი ჩაის პლანტ., ნავითავი სოფლ. უბანი. ნასახლევი, ნაშენი, ნაძვნარა, ნაჭიკტევი სათესები, სამზიარი ხეხ. ბაღი. ქვედა ვაკე, ქვედა მაჭახლისპირი სოფლ. უბნები, ქოროღლისყანა ტყე. შუშნარა საძ. ჩიდილა სათესი. ცივწყარო წყარო. ხეხ. ბაღი....

სოფ. ძირპეითი: ასლანის ყანა საძ. ბალიძირი სათესი. ბაღლული ხეხ. ბაღი. ბოღაზი გზა. გაღმა ყანა სათესი, გობიღელე ღელე. ემინაის ყანა სათესი. ვაკე სოფლ. უბანი. ვაკითავი ჩაის პლანტ.. ზედა ღელე ღელე. ზომოყანა სათესი. თოფალოღლი ჩაის პლანტ., იაზინ გურგენი//იაზირგურგენი ტყე. კორიხიდი ხიდი. კუმლული სოფლ. უბანი. ლობიაღლული სათესი. მოღულიყანა საძ. მუთუნიყანა//მუთუნაი სათესი, ნაგოღავი ჩაის პლანტ., ნასეღავი ტყე. ნამირევეთავი სათ. ნაქილისავი, ოტკობეჩია, ოჯახი სათესები პლაკე ტყე. საისეთი საძ. სასვენი გზა. საძიგლიყარი სათესი. სოუქსუ წყარო. ტყე, სიმონეთი სათესი. ქედს უყანა//ჩიდილა. ქომულღული ტყეები. ყუზინანა სოფლ. უბანი. ჩარჩხალა ტყე. ცივიწყალი წყარო. ძიგურეთი სოფლ. უბანი. წიფნარი, ჭანიგრიღელე ღელე. ჭოროხი მღ. ხასტალოღლიყანა ტყე. ხანიყარი, ხამიყანა სათესები...

ჭორღონის აუზის საიკლესიო-საბანანათოღებლი (მინტრაგბ)

სოფ. ბერთა//Orta köyü (კლარჯეთი)

ათანასური სოფლ. უბანი. აღასუნა ტყე. ბერთა ღერესი მღ. ბიკინალა, ბიკინალა იაიღასი იაიღა, ბუიუქმეშე. ბუიუქ დაიღა იაიღა. გორაღარი, გულავური სოფლ. უბანი. დაღბეჩეთი. დაბადაიღასი იაიღა, დიდვაკე, დიდბო, დიდბო გოღი ტბა, ეჯენავური//ეჯენევეური, ეჯვანთა სოფლ. უბნები, ზანზეღლი, ზაქარევეღლი სოფლ. უბანი. თავკატური, თავკეზე სოფლ. უბანი, კა-

ლატა, კალტომა დერესი მდ., კიკილალი, კინატო, კოკვაური სოფლ. უბნები. მატკატო, მალალაური სოფლ. უბნები, მაპალა ბოლაზი, ნამერიეთი, ნუკაური სოფლ. უბნები, ოქონსო, ოქრობიზე//ოქრობიძე, პალახკო, პაპაეური სოფლის უბნები, პარახტლარ, სათიხე, საკოზა, საყვესელი, სილაეური სოფლ. უბნები, ტავშანლი, ქალტალაქ, ქაჩქარ დერესი//კაჩქარ დერესი მდ.. ქენეხთ, ქოჭოლლარ დერესი მდ., ყარამეშე ტყე, ყარაგორლი ტბა, შავქეთი სოფლ. უბანი, ტყე, შავშეთი ტყე, შენეთური სოფლ. უბანი, ჩამლისირთ, ჩუხური, ძეგლი სასაყლაო, წინდილაური, ჭედლიანი სოფლის უბნები, ხეთე-ჭაირ, ხერხი, ჯენეხთ, ჯოროსა, ჯუმაჯახო სოფლ. უბნები...

სოფ. დოლისჰანა//Hamamlı (კლარჯეთი)

ვაკე, ზუვარი სოფლ. უბნები, თავთავი სათესი, იაილა, კატრავანი, კერ-ეჭული სოფლ. უბნები, კინჭინარი, მესსუთუ სუდუ, ნაურმევი, სენექი საძ., სირაკანი სოფლ. უბანი, სირკალი, უნჯიბათი, ქედი მალლა ტყეები.

სოფ. იშხანი//Ishan köyü (ტაო)

ავრექ, ათლარინ სუდუ მდ., ალაბალოსი, არაბგილ მაპალესი, ალა მაპ-ალესი, გეველეთი. დარნუჩი, დაქმაგარა, დევრიშგილ მაპალესი, დერე მაპალე სოფლის უბნები, ზუარ//ზვარ, თერიბიგინ თეფე მთები, მერექლარ, ნარაბუნ სუდუ მდ., მთა, სალიქარ, საჩუთი, სელქურე, სელყურა, სირთ მაპალე სოფლ. უბნები, სუბაბაძე, სუხბეჩი, ფამბულლუხ, ფახლალუხ, ქაფიკარი, ქემაგარა//ქომაგარა ქეიანი ადგილები, ქოშიკარი, ქურთგილინ მაპალე, ჩუქური, ჩუქურ იაილა იაილა, ჯამე მაპალე სოფლ. უბანი...

სოფ. ორთსაკლესი//Dort kilise (ტაო)

ალიკოლანთ სოფლ. უბანი, აღმათური, ამბალი დერე, ანწლი დერე მდინარეები, ახანგილ სოფლ. უბანი, ახეთი/ვენახეთი, ბაუთი, ბეიხეთ სოფლ. უბნები, ბეტაისე, ბეუქ ორმან ტყე, ბოლოქ ბაში სოფლ. უბანი, გონგირეფ, გუბთი სოფლ. უბანი, დიჭალა//დიდიჭალა, დუალეფართ, ელეჭუმლე, ესკი მაპალე სოფლ. უბნები, თინქალი დერე მდ., იშხანა ტყე, კალტამაქ, ლათი-ანთი მთა, მუნასტერ გეჩიდი ნაეკლ., მურაშგილ სოფლ. უბანი, ნაპრევი-

მურღულის ხეობა

სოფ. არხვა: გორგიჭალა//გიორგიჭალა, ვარდიეთი, ვაშლები, ვაშლოვანი, ვენახები, იმხრეთი, კამორჯიკარი, მალლიკარი, საბოსტნითავე, სულუგი მეზრე, ფაში მეჭელე, ქეცავრი, შუღლიეთი, ჯაფარაული, ხარებოღლები...

სოფ. ბაშაქო: ბადიმოდული, ეკლიანები ზეგარაგასქური, იაილა, მერე, პოჭოტური, სანახშირე, სიმინდები, ტბები, ტყემლიძირები, ქარიახო, ქუჩუკიერა//იბადი ვენახი, წყარო, წყაროთუალი...

სოფ. ბუჯაქო: გონგავრი, დავაღყანა, ვანისათიბი, ზემბადეთი, კაკლი-სძირი, კოტოლა, კატროანი//კატრუანი, კოკოლა, მანილუგი, მერე, მიღმა ყანა, ნადარბაზევი, ნადიკუარი//ნადიკვარი, ნაოჭირავი, რგვალეები, რუგაღმეები, საცირული, საჯინიბოები, სხალაყირო, ტრიალი, ქომო ყანა, ყელავრი, ყიბლე, ყომსივრი სერი, ჩამლუგი, წაბლუანი//იეშილ ჩაირ, ხობუკეთი, ხოსროულ მაჰალე, ხოჯიყანა...

სოფ. გეველი: ამბარლუზი, ბაბაური, ბახტიეთი, ბელელეთი, ბილონცარა, გოლი, გუბი, გუგუნავი, გუალი ყანა, დიდბაირი, დიდვენახი, ელბადიები, ეძებუნა, ზემდიდი, თეფე, იბადივენახი, კახაურა, კვირიკეთი, კოკოლეთი, მარილევი, მულულეთი, ნადარბაზევი, საკირე, სატურიეთი, საჩაქვეთი, ქვისთავი, ქელიეთა, ქერიეთი, ქომო გეველი, ქუაკამარი, ჩაირ, წასანაქირავი, წასაქათმევი, წუერიისიქითი, ჭაპნისხევი, ჭელი, ჭერი, ჰალილი...

სოფ. ქურა: ბაბაური, ბაბური, ბრმახევი, დამჰალყანა, ვაშლები, ზეგანი, კატრუანი, მთისძირი, მერე, ნაბოსლარი, ნასელვარი, ნაქერალი, ნაზვრევი, ნაფუტკრები, საკუამლე, სანახშირე, საყათ ჩაირ, საწუმლეთი, სისანავრი, ტეციეთი, ქომო ქურა//ულუზ მაჰალე, ყანადიდი, ყიშლიკარი, წყაროთუალი, ჭორტაველი, ჯაფარაული, ხარებული, ხევისკარი...

სოფ. ჩხალეთი: ბარდნარი, დოლაბიძეების ახოები, ეძებუნა, ვეჟნიეთი, ზედვაკე, თიქმე, ინექლი, კაბარჯიეთი, მუქლი, ნაკალოები, ორთა მეჭელე, რეჯებოღლების ჩაირები, სასვენი, ქუადიდი, ყადირეთი, შოთალი, ჩამურლი, წითელხევი, ხმელი ხიდი//ყურუ დერე, ჯინყაია...

სოფ. ჯუანდი//ჯვანი: ატიეთი, დერე ზედაი, ვაზიანიხე, ზედვაკე, კატრუან მადრიკარი, მონგავლი, ნაბოსლარი, ფუნდარი, ქუადიდი//ბიუქ თაშ, ყური ქოფრი//ხმელი ხიდი, შუა სოფელი, წყაროყანა, ცხენისზურგი, ჭიჭი-მერი...

ა*

აბაზათი	სათიბი	სინკოთი
აბანო	მინ. წყალი	ჯინალი
აბანოხევე	სათიბი	ვანთა
აბაშიეთი	სათესი, ტყე	წეთილეთი
ა ბ ა შ ქ ი მ ა ჰ ა ლ ე	სოფლ. უბანი	ანკლია
აბდულგილ	სოფლ. უბანი	სხლობანი
აბდულოღლუ	სოფლ. უბანი	კუჭენი
აბლიქ	სათესი	ჯინალი
აბრამათ	სათესი	მოქეთა
აბრამგილ	სოფლ. უბანი	ციხისძირი
აბრამიენთი	სოფლ. უბანი	ხევწრული
აბრაულ	სათიბი	დაბაწერილი
აგარა	სოფლ. უბანი	ჩიხორი
აგარა	სოფლ. უბანი	წეთილეთი
აგარა	სოფლ. უბანი	დაბაწერილი
აგარის დიაილა	იაილა	წეთილეთი
აგაროსმანი	სოფლ. უბანი	მოქეთა
ადალარ	სათიბი	ჩართულეთი
ავაზანათ	სათიბი	ზენდაბა
ავაზანათი	სათესი	ვანთა
ავაზანათი	სათიბი	მამანელისი
ავაზანათი	სათიბი	წყალსიმერი
ავაზანყანა	სათესი	მანატბა
ავაზნისერი	მთა	წეთილეთი
ავგასავალთი	გზა	წყალსიმერი
ავი გრლი	საძოვარი	მამანელისი
ავჭალანინ სუღუ	ღელე	ჩართულეთი
ავხოლარ	სათიბი	ჩართულეთი
ავჯალა	სათიბი	ჩართულეთი
ავჯალა	იაილა	სოფორო

* პირველ სვეტში მოცემულია ტოპონიმის დასახელება. მეორეში - მისი დანიშნულება, მესამეში - სოფელი. ან მხარე, რომელშიც შედის ეს გეოგრაფიული სახელი. ნაჩვენებია სოფლების და სოფლის უბნების ქართული და თურქული სახელები.

ავჯელავეურთ
აზრათი
აზრაზ
ათალარ//წითვეთი
ათინ ორმანი
აიგოლუ
აივაზგილ
აინალი ტორულ
აკვანასერი
ალაბალუქ თესილერი
ალაგითავი
ალაგოზგილ
ალალექ ჩაირ
ალთუნახევ
ალეანისწყარო
ალიბაშიწყარო
ალიგილ
ალმაზ
ალოთლუ
ამოსავალი
ანგანდიკოფრუქსუ
ანთისათ
ანკლია
ანჭელავეურნა
არდიასწმინდა
არდიასწმინდა
ართვინ დოღლუ
არიშეთ
არიშეთ ღერესი
არმანათ
არმუთ თარლასი
არმუთლუ//სამჯელი
არსიანი
არსიანი
არსიანდერე
არსიან- დაილა
არს დანტალი
არფა თარლასი
არფალი//ზენდაბა

სათიბი
საძოვარი
სათესი
სოფელი
ტყე
ტყე
სოფლ. უბანი
ტყე
სათიბი
წყალსაცავი
სათიბი
სოფლ. უბანი
სათიბი
სათიბი
სათიბი
საძოვარი
წყარო
სოფლ. უბანი
სათიბი
საძოვარი
გზა
ხიდი
საძოვარი
სოფელი
სათიბი
სოფლ. უბანი
საძოვარი
გზა
სოფლ. უბანი
ღელე
სათესი
სათესი
სოფელი
მთა
მთა
ღელე
